

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი
(ს/კ 205034639)

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს. შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს 200,000,000 (ორასი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციების (შემდგომში - „ობლიგაცია“ ან „ობლიგაციები“) ემისიის პირობებს. ობლიგაციების ვადიანობის პერიოდი შეადგენს 60 (სამოცი) თვეს ემისიის თარიღიდან (შემდგომში - „საბოლოო დაფარვის თარიღი“). ერთი ობლიგაციის ნომინალი განსაზღვრულია 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით. ობლიგაციების ემისიის თარიღია 2025 წლის 9 დეკემბერი (შემდგომში - „ემისიის თარიღი“).

ფასიანი ქაღალდის დასახელება	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ („რიკო ექსპრესი“, „კომპანია“, ემიტენტი“) ლარის სასესხო პორტფელით ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილი, არა-სუბორდინირებული ობლიგაცია
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (ს/კ 205034639) მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70 ვებ-საიტი: www.rico.ge ელ. ფოსტა: rico@rico.ge ტელ: +995 322 292 929
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ 404700819) მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N18-20-22 ვებ-საიტი: www.foresight.ge ელ. ფოსტა: brokers@foresight.ge ტელ: +995 322 22 52 12
ცენტრალური დეპოზიტარის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/კ 204935400) მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ბლოკი 10 ვებ-საიტი: www.gcsd.ge ელ. ფოსტა: info@gcsd.ge ტელ: +995 322 500 211
პროსპექტისა და საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებაზე	საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) მისამართი: თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1 ვებ-საიტი: https://www.nbg.gov.ge

პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge ტელ: +995 322 406 406
ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 2700605233 - 1 - 02
ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN	GE 2700605233
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	2025 წლის 18 ნოემბერი
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

უმისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

უმიტენტი - შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“

ხელმოწერილია შპს მიკროსაფინანსო „რიკო ექსპრესის“ სახელით:

ხელმძღვანელი: ლაშა ნიკოლაიშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 28.11.2025

ხელმძღვანელი: თამარ გოგოძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 28.11.2025

ხელმოწერილია შპს „ფორსაით ბროკერის“ სახელით:

ხელმძღვანელი: ნონა კრიხელი

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 28.11.2025

I. ობლიგაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია

1. ძირითადი მახასიათებლები

1.1. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი

„ობლიგაციების“ ემისიის თარიღია 2025 წლის 9 დეკემბერი.

1.2. შესავაზებული ფასიანი ქაღალდის ტიპი და კლასი

ფასიანი ქაღალდი წარმოადგენს ღარის სასესხო პორტფელით ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ობლიგაციას. ყველა „ობლიგაციას“ აქვს იდენტური სამართლებრივი სტატუსი და არცერთს არ გააჩნია უპირატესი უფლება სხვებთან შედარებით.

1.3. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი

გამოსაშვები „ობლიგაცია“ დენომინირებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

1.4. შესავაზებული ფასიანი ქაღალდების მთლიანი ოდენობა

შესავაზებული „ობლიგაციების“ ჯამური მოცულობა 200 000 000 (ორასი მილიონი) ლარია. ერთი „ობლიგაციის“ ღირებულება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარია. ჯამში ემიტენტი გამოუშვებს 200 (ორასი) ცალ „ობლიგაციას.“

1.5. ობლიგაციის ძირითადი მახასიათებლები

პროცენტის გადახდის (კუპონის) სიხშირე	„ობლიგაციონერები“ საპროცენტო სარგებელს (კუპონს) მიიღებენ ყოველთვიურად (შემდგომში - „ კუპონის დარიცხვის პერიოდი “)
საპროცენტო განაკვეთი	საპროცენტო განაკვეთი შეადგენს TIBR 1D + 3.00%-ს (შემდგომში - „ კუპონის განაკვეთი “)
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება „საბოლოო დაფარვის თარიღში.“
საპროცენტო განაკვეთის ცვლადი კომპონენტის ფასის ისტორია	TIBR ინდექსები ყოველდღიურად, დილის 9 საათზე ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მეთოდოლოგია და ისტორიული მონაცემები კი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
კუპონის განაკვეთის დადგენა	თითოეული „კუპონის დარიცხვის პერიოდისთვის“, კუპონის განაკვეთს დაადგენს გადახდისა და კალკულაციის აგენტი „კუპონის გადახდის დღემდე“ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე. ყოველი „კუპონის დარიცხვის პერიოდისთვის“, განსაზღვრულია „კუპონის განაკვეთის კალკულაციის პერიოდი“, რომელიც იწყება წინა „კუპონის გადახდის დღეს“ და მთავრდება მომდევნო „კუპონის გადახდის დღემდე“ 4 (ოთხი) სამუშაო დღით ადრე (შემდგომში - „ კუპონის განსაზღვრის თარიღი “). აღნიშნული მოიცავს მხოლოდ სამუშაო დღეებს.

	აღნიშნული „კუპონის განაკვეთის კალკულაციის პერიოდის“ ფარგლებში, „კუპონის განაკვეთის“ განსაზღვრისას გამოიყენება ერთდღიანი TIBR-ის ე.წ. „Trimmed Average“ შემდეგი მეთოდით: • კალკულაციის პერიოდში დაფიქსირებული ყველა ერთდღიანი TIBR განაკვეთი დალაგდება ზრდის მიხედვით • შემდეგ ამოიჭრება ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი 10%-ის შესაბამისი მაჩვენებლები • დარჩენილი მონაცემებიდან გამოითვლება არითმეტიკული საშუალო • მიღებულ მნიშვნელობას დაემატება ზემოაღნიშნული 3.00%-იანი სპრედი „კუპონის დარიცხვის პერიოდისთვის“ გადასახდელი კუპონის ოდენობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით: $P * (CR / 365) * n$ სადაც: ▪ P - ობლიგაციებში ინვესტირებული ძირი თანხა ▪ CR - ზემოთ მოცემული მეთოდოლოგიით დათვლილი კუპონის განაკვეთი ▪ n – „კუპონის დარიცხვის პერიოდში“ დღეების რაოდენობა
პროცენტის დარიცხვის დაწყებისა და პროსპექტის პირობებით განსაზღვრული პროცენტის გადახდის თარიღები	„ობლიგაციებს“ საპროცენტო სარგებელი დაერიცხება თითოეული ობლიგაციის გამოშვების თარიღიდან „ობლიგაციების“ „საბოლოო დაფარვის თარიღამდე.“ ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება ყოველთვიურად, თვის 30 რიცხვში (შემდგომში - „კუპონის გადახდის დღე“). თუ გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღისთვის, „Following Business Day“ კონვენციის შესაბამისად. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის გათვალისწინებით. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა განხორციელდება 2025 წლის 30 დეკემბერს.
ძირის დაფარვის თარიღი, ამორტიზაციის პირობები და დაფარვის პროცედურები	„ობლიგაციების“ ძირი თანხის სრულად გადახდა მოხდება „საბოლოო დაფარვის თარიღში.“
ობლიგაციების საბოლოო დაფარვის თარიღი	„ობლიგაციების“ ნარჩენი ძირი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის გადახდა მოხდება 2030 წლის 9 დეკემბერს („საბოლოო დაფარვის თარიღი“).
გამოსყიდვის ოფცია	პროსპექტით დადგენილ ვადებში, ამავე დოკუმენტით განსაზღვრული წესით, ობლიგაციებს გააჩნიათ, როგორც კლიენტის მხრიდან „ვადამდელი მიყიდვის ოფცია“ (Put Option), ასევე ემიტენტის მხრიდან „ვადამდელი გამოსყიდვის ოფცია“ (Call Option).
გამოსყიდვის პირობები და ვადები	ემიტენტის ობლიგაციების გამოსყიდვას განახორციელებს „ვადამდელი გამოსყიდვის დღეს“ ან „ვადამდელი მიყიდვის

	დღეს“ „გამოსყიდვის ფასად“, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს დამატებული ვადაზე ადრე გამოსყიდვის დღეს დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). როგორც „ობლიგაციონერებს“, ისე „ემიტენტს“ არ ექნებათ „ობლიგაციების“ „ვადამდელი მიყიდვის“ ან „ვადამდელი გამოსყიდვის“ ოფციის გამოყენების უფლება ობლიგაციების ემისიის თარიღიდან 2 (ორი) წლის მანძილზე. ორივე მხარის მიერ ოფციის გამოყენება შესაძლებელი იქნება 2027 წლის დეკემბრიდან და ყოველი მომდევნო წლის დეკემბერში. ამ მიზნით, ყოველწლიურად, 2027 წლის 1 დეკემბრიდან დაწყებული, „ობლიგაციების მფლობელებმა“ ან „ემიტენტმა“ უნდა წარადგინონ გამოსყიდვის მოთხოვნა „გადახდისა და კალკულაციის აგენტთან“ 1-დან 31 დეკემბრის ჩათვლით. თუ მოთხოვნა წარმოდგენილია „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ, „ემიტენტი“ ვალდებულია დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა 31 დეკემბრის შემდეგ არაუგვიანეს 90 დღისა. თუ მოთხოვნა წარმოდგენილია „ემიტენტის“ მიერ, „ობლიგაციების მფლობელები“ ვალდებული არიან დააკმაყოფილონ ასეთი მოთხოვნა 31 დეკემბრის შემდეგ ნებისმიერ მომენტში, 90-დღიანი ვადის ფარგლებში, ემიტენტის მოთხოვნის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროსპექტის 4.B.6.1.4 ქვეპუნქტი.
უზრუნველყოფა	„ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 80% (ოთხმოცი პროცენტი) უზრუნველყოფილია „ემიტენტის“ სასესხო პორტფელის შესაბამისი ნაწილით, როგორც ეს განსაზღვრულია „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობებსა და „გირავნობის ხელშეკრულებაში.“ „გირავნობის ხელშეკრულების“ მიხედვით, „ემიტენტი“ პირველი რიგის გირავნობით ტვირთავს სასესხო პორტფელის იმ ნაწილს, რომლის ნომინალური ღირებულებაც უტოლდება „ობლიგაციების“ ნომინალის 80%-ს. ეს ანიჭებს „ობლიგაციონერებს“ უპირატეს უფლებას სხვა კრედიტორებთან მიმართებით დეფოლტის დადგომის შემთხვევაში. დეტალები იხილეთ 4.B.6.1 ქვეპუნქტი - ობლიგაციების უზრუნველყოფა.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები	„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები გაწერილია პროსპექტის 4.B.6.1.1 ქვეპუნქტში.
ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა	„ობლიგაციები“ გამოშვებული იქნება დემატერიალიზირებული ფორმით სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ სისტემაში.

	მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ბლოკი 10 ვებ-საიტი: www.gcsd.ge ელ. ფოსტა: info@gcsd.ge ტელ: +995 322 500 211
--	---

1.6. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა

„ობლიგაციების“ მიმოქცევასთან დაკავშირებით რამე განსაკუთრებული უფლება ან შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული.

1.7. ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუნარობის/ გაკოტრების შემთხვევაში

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით თანაბარია ერთმანეთთან და „კომპანიის“ ყველა სხვა უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებასთან.

2. სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული ობლიგაციის ან/და ემიტენტის რეიტინგები

Scope Ratings-ის მიერ „ემიტენტს“ მინიჭებული აქვს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი: B+ სტაბილური პერსპექტივით. „ემიტენტის“ რეიტინგის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ „პროსპექტის“ 1.B.2.7. ქვეპუნქტში. უშუალოდ ემისიას არ აქვს მინიჭებული რეიტინგი.

3. დივიდენდების გაცემის პოლიტიკის აღწერა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიას“ შეუძლია დივიდენდების განაწილება როგორც წლიური, ასევე ნახევარწლიური მოგებიდან. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების პარტნიორი, სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. დივიდენდების განაწილებაზე შეზღუდვები არ ვრცელდება, გარდა იმ ვალდებულებებისა და პირობებისა, რომლებიც განსაზღვრულია „კომპანიის“ მოქმედ საბანკო ხელშეკრულებებითა და მათში გათვალისწინებული კოვენანტებით.

II. შეთავაზების შესახებ ინფორმაცია

1. შეთავაზების პირობები და ვადები

შეთავაზება მოიცავს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ „ობლიგაციებს“.

ემისიის ვალუტა	ლარი
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი
ობლიგაციების რაოდენობა	200 (ორასი) ცალი
ემისიის ჯამური ნომინალური ღირებულება	200 000 000 (ორასი მილიონი) ლარი
გამოშვების ფასი	ნომინალური ღირებულების 100%
ემისიის/შეთავაზების ტიპი	საჯარო
„ობლიგაციების“ გამოშვების თარიღი	„ემისიის თარიღია“ 2025 წლის 9 დეკემბერი
ობლიგაციების შეძენის პერიოდი	„ობლიგაციების“ შეძენა შესაძლებელი იქნება „ემისიის თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე.
შეთავაზების პერიოდის დასრულება	„შეთავაზების პერიოდი“ განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით დადგენილი პერიოდით, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება „ობლიგაციების“ შეძენა. „შეთავაზების პერიოდის“ დასრულების თარიღად განისაზღვრება თარიღი, როდესაც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: A. ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა B. შეთავაზებული „ობლიგაციების“ სრულად განთავსება C. „ობლიგაციების“ შეთავაზების შეწყვეტა
„ობლიგაციების“ „საბოლოო დაფარვის თარიღი“	„ობლიგაციების“ „საბოლოო დაფარვის თარიღი“, ანუ თარიღი, როდესაც მოხდება მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა არის 2030 წლის 9 დეკემბერი.

2. შესყიდვის განაცხადის მინიმალური ან / და მაქსიმალური თანხის ოდენობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა ან ინვესტიციის ჯამური თანხა)

შესყიდვის განაცხადის მინიმალური თანხა არის 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, ხოლო მაქსიმალური თანხაზე შეზღუდვა არ არის დაწესებული.

3. სავაჭროდ დაშვება და შემდგომი ვაჭრობა

3.1. ინფორმაცია იმის შესახებ, იგეგმება თუ არა შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე პროსპექტის ძალაში ყოფნის პერიოდში. აგრეთვე ინფორმაცია ყველა იმ ბაზრის შესახებ, სადაც ემიტენტის სხვა ფასიანი ქაღალდები ივაჭრება

„ობლიგაციების“ ემისიის შემდეგ, „ემიტენტი“ გეგმავს მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ან „თბილისის საფონდო ბირჟას“ „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

3.2. ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების პირობები

ლისტინგში დაშვება მოხდება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ან „თბილისის საფონდო ბირჟის“ მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესრულების შემთხვევაში. „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ლისტინგის მოთხოვნები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://gse.ge/upload/28.05.2020_6f4d6e87.pdf. „თბილისის საფონდო ბირჟის“ ლისტინგის წესები იხილეთ: [ბმული](#).

3.3. არსებობის შემთხვევაში, იმ პირთა დეტალები და მათი ვალდებულების ძირითადი პირობების აღწერა, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ შუამავლებად მეორად ვაჭრობაში და უზრუნველყონ შეთავაზების ლიკვიდურობა

არ არის რელევანტური.

3.4. თუ პროსპექტით განსახორციელებელი საჯარო შეთავაზების პარალელურად ან ახლო პერიოდში იგეგმება იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების კერძო განთავსება, ან, თუ იგეგმება სხვა კლასის ფასიანი ქაღალდების საჯარო ან კერძო განთავსება, უნდა მიეთითოს ასეთი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მახასიათებლები და ფასი

არ იგეგმება.

3.5. შეთავაზებასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები, ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯების შეფასების ჩათვლით

განთავსებასთან დაკავშირებული საკომისიოები არ აღემატება განთავსებული „ობლიგაციების“ 1%-ს. განთავსების საკომისიოს თანადაფინანსებას განახორციელებს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

3.6. ემისიით/შეთავაზების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლისა და ჯამური ხარჯების ან მათი სავარაუდო ოდენობის მითითება; ხარჯები უნდა მოიცავდეს ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯებსაც

„ობლიგაციების“ გამოშვებისა და სრულად განთავსების შემთხვევაში, „ემიტენტი“ მიიღებს არანაკლებ 199 000 000 (ას ოთხმოცდაცხრამეტი მილიონი) ლარს. განთავსებასთან დაკავშირებული საკომისიოები არ აღემატება განთავსებული „ობლიგაციების“ 1%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი ან/და სსიპ „აწარმოე საქართველოში“, კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.; ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

3.7. ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება

„ობლიგაციების“ ემისია „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა 2025 წლის 14 ნოემბერს.

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პროსპექტი“ განსაზღვრული მნიშვნელობები.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:



დამტკიცების თარიღი:

4 დეკემბერი, 2025 წელი.



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
რიკო ექსპრესი
(ს/კ 205034639)

ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტი

200,000,000 (ორასი მილიონი) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციების (შემდგომში - „ობლიგაცია“ ან „ობლიგაციები“) ემისია. ობლიგაციების ემიტენტია შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (შემდგომში - „რიკო ექსპრესი“, „ემიტენტი“). გამოშვების ფასი: ნომინალის 100%.

ობლიგაციების ემისიის საორიენტაციო თარიღია 2025 წლის [●] (შემდგომში - „ემისიის თარიღი“). ობლიგაციების ვადიანობის პერიოდი შეადგენს 60 თვეს ემისიის თარიღიდან. ემისიის ფარგლებში გამოშვებულ ობლიგაციებზე კუპონის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად. ერთი ობლიგაციის ნომინალი განსაზღვრულია 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს კომპანიის ლარის სასესხო პორტფელით ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილ, არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ იღებს სრულ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტში მოცემულ ინფორმაციაზე. კომპანია ადასტურებს, რომ მიმართა ყველა გონივრულ ზომას წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის უზრუნველსაყოფად. პროსპექტში ასახული მონაცემები მოიცავს ყველა ფაქტობრივ გარემოებას, რომელმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს დოკუმენტის სრულყოფილებასა და პოტენციური ობლიგაციონერების ჯეროვან ინფორმირებულობაზე. კომპანიისთვის ცნობილი ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ასახულია პროსპექტში, პროსპექტის მომზადების მეთოდოლოგიით განსაზღვრული სტანდარტების დაცვით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

განთავსების აგენტი: შპს „ფორსაით ბროკერს“




ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი:

ემიტენტი - შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

ემიტენტის სახელით ხელმომწერები:



სამეთვალყურეთ საბჭოს თავმჯდომარე
ლამა ნიკოლაიშვილი

დირექტორი
თამარ გოგოძე



განთავსების აგენტის სახელით ხელმომწერები:

შპს „ფორსაით ბროკერს“


დირექტორი
ნონა კრიხელი

ს/კ: 404700819

მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი,

წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N18-20-22

ვებ-საიტი: www.foresight.ge

ელ. ფოსტა: brokers@foresight.ge

ტელ: +995 322 22 52 12

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

სანამ გაეცნობით წინამდებარე „პროსპექტს“, გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ წინამდებარე დათქმა. პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება მომზადების თარიღისთვის არსებულ მონაცემებსა და ვარაუდებს, რომლებიც შესაძლოა შეიცვალოს. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ყველა რისკის შეფასება. რეკომენდებულია დამოუკიდებელი ფინანსური, სამართლებრივი და საგადასახადო კონსულტაციის მიღება. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი

მის: თბილისი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 1

ვებ-საიტი: www.nbg.gov.ge

ტელეფონი: +995 322 406 406

ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე, ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტები და კომპანიის მრჩეველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევს არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავიანთ კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ის არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა კომპანიისა, მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

გავრცელების შეზღუდვები

წინამდებარე „პროსპექტი“ და „ობლიგაციების“ შეთავაზება ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნით სხვა იურისდიქციაში, სადაც ასეთი ქმედება დაუშვებელია, ან ისეთი პირებისთვის, რომელთათვისაც მსგავსი შეთავაზება უკანონოა.

„პროსპექტის“ გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლოა შეზღუდული იყოს სხვადასხვა ქვეყანაში. პირები, რომელთა ხელშიც აღმოჩნდება ეს დოკუმენტი, ვალდებული არიან გაეცნონ ასეთ

შეზღუდვებს და დაიცვან ისინი. აკრძალულია „ობლიგაციების“ განთავსება, საჯარო შეთავაზება ან რეკლამირება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

„პროსპექტი“ დამტკიცებულია მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, რომელიც წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს. დოკუმენტი არ არის აღიარებული სხვა ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების მიერ.

უცხო ქვეყნის რეზიდენტები, რომლებიც გაეცნობიან წინამდებარე პროსპექტს, პასუხისმგებელნი არიან დარწმუნდნენ, რომ მათ აქვთ სამართლებრივი უფლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში. ამასთან, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი მონაწილეობა არ არღვევს მათი რეზიდენტობის ქვეყნის კანონმდებლობას. თუ არსებობს რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა ან მოთხოვნა მათი ქვეყნის კანონმდებლობით, ინვესტორები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ კომპანიასა და განთავსების აგენტს.

პროსპექტზე ხელმისაწვდომობა

პროსპექტი ხელმისაწვდომია მოთხოვნის საფუძველზე იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც განთავსების აგენტს - შპს „ფორსაით ბროკერსს“ (ს/ნ 404700819, მის: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი წმინდა ქეთევან დედოფალი, N18-20-22, ტელ: +995 322 22 52 12, ელ.ფოსტა: info@foresight.ge) - უდასტურებენ, რომ:

- I. არ იმყოფებიან აშშ-ის ტერიტორიაზე და არ არიან ამერიკის მოქალაქეები;
- II. არ იმყოფებიან გაერთიანებული სამეფოს ან ევროპის ეკონომიკური სივრცის ტერიტორიაზე;
- III. არიან პირები, რომელთათვისაც პროსპექტის მიწოდება კანონიერია მათი იურისდიქციის შესაბამისად.

ელექტრონული დოკუმენტის პირობები

პროსპექტის ელექტრონული ფორმით მიწოდების შემთხვევაში, კომპანია, განთავსების აგენტი და მათთან დაკავშირებული პირები არ არიან პასუხისმგებელნი:

- I. ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების შესაძლო განსხვავებებზე;
- II. კომპიუტერული ვირუსებით ან სხვა მავნე პროგრამებით გამოწვეულ დაზიანებებზე;
- III. დოკუმენტის გადაცემისას წარმოქმნილ ტექნიკურ ხარვეზებზე.

პროსპექტის ელექტრონულად მიღებით ინვესტორი ადასტურებს ზემოაღნიშნულ პირობებზე თანხმობას.

ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ დამტკიცებულ პროსპექტს.

წინამდებარე პროსპექტი შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც წარმოადგენს ოფიციალურ ვერსიას. პროსპექტის სხვა ენებზე თარგმნის შემთხვევაში, ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან დოკუმენტს.

პროსპექტის წარდგენიდან დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიის საქმიანობაში არ განხორციელებულა არსებითი ცვლილება. დამტკიცების შემდეგ ნებისმიერი არსებითი ცვლილების შემთხვევაში, დოკუმენტი შესაბამისად განახლდება.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

18 ნოემბერი, 2025 წელი.

სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა	8
A. შესავალი	8
A.1. ზოგადი ინფორმაცია ემისიის შესახებ	8
A.2. მნიშვნელოვანი მითითებები.....	9
B. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	9
B.1. ემიტენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია	9
C. ძირითადი რისკის ფაქტორები	20
D. შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია.....	21
D.1. განთავსების აგენტის შესახებ ინფორმაცია	21
D.2. მიღებული სახსრების გამოყენება.....	21
D.3. ყველა იმ ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შეთავაზებას; მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის	22
2. შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	23
3. სარეგისტრაციო დოკუმენტი	24
A. პასუხისმგებელი პირები	24
A.1. პროსპექტის შედგენაზე და მის შინაარსზე პასუხისმგებელი პირების დასახელება	24
A.2. დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული განაცხადი ...	24
A.3. ემიტენტის აუდიტორის შესახებ ინფორმაცია (თუ ცვლილება მოხდა, ცვლილების მიზეზი)	24
A.4. რეგისტრაციის დოკუმენტში გამოყენებული მესამე პირების შესახებ ინფორმაცია	24
A.4. განცხადება დოკუმენტში გამოყენებული მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესახებ	24
B. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	25
B.1. ემიტენტის მონაცემები	25
B.1. საქმიანობის ისტორია.....	25
B.1. სხვა დეტალები	25
C. საქმიანობის აღწერა	26
C.1. ძირითადი საქმიანობა	26
C.2. გასაღების ბაზრები	28
C.3. სამომავლო სტრატეგია და მიზნები	37
C.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები	37
C.5. საოპერაციო და კომერციული მიმოხილვა	38
D. ორგანიზაციული სტრუქტურა	42
E. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა.....	42
F. კაპიტალიზაცია და დავალიანება.....	55

G. რისკის ფაქტორები	70
H. მარეგულირებელი გარემო	91
I. ინფორმაცია ტენდენციების შესახებ	101
J. მოგების პროგნოზი და ვარაუდები	102
K. მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები	102
K.1. პარტნიორებისა და მმართველი ორგანოს წევრების შესახებ	102
K.2. პარტნიორებისა და მმართველი ორგანოს წევრების გამოცდილების შესახებ	104
K.3. ინტერესთა კონფლიქტი	106
K.4. ამ პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა და ე.წ. დამატებითი ბენეფიტები	107
L. მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა	107
L.1. მიმდინარე კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია	107
L.2. ინფორმაცია კომიტეტების შესახებ	108
L.3. კორპორატიული მართვის სტანდარტი	109
M. თანამშრომლები	110
N. მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები	111
N.1. 5%-ზე მეტი წილის მფლობელები	111
N.2. ხმის უფლებები	111
N.3. კონტროლის სტრუქტურაში ცვლილებები	111
O. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	111
P. ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია	113
P.1. წლიური ფინანსური ანგარიშგებები:	113
P.2. ფინანსური ანგარიშგების საადრიცხვო თარიღის შეცვლის შემთხვევა	113
P.3. საადრიცხვო სტანდარტი	114
P.4. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	114
P.5. წარდგენილი ფინანსური ინფორმაციით დაფარული პერიოდი	114
P.6. შუალედური და სხვა ფინანსური ინფორმაცია	114
P.7. წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი	115
P.8. პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია	115
Q. დამატებითი ინფორმაცია	116
R. მატერიალური ხელშეკრულებები	117
S. გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი	118
4. ფასიანი ქაღალდების მიმოხილვის ნაწილი	119
A. მნიშვნელოვანი ინფორმაცია	119
A.1. საბრუნავი კაპიტალი	119

A.2. ინტერესების აღწერა	120
B. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს.....	120
B.1. ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი	120
B.2. კანონმდებლობა	120
B.3. ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ	120
B.4. ვალუტა	120
B.5. რიგითობა.....	120
B.6. უფლებები და შეზღუდვები	122
B.7. ფასიანი ქაღალდის მფლობელთა წარმომადგენელი	152
B.8. მიმოქცევის შეზღუდვა	152
B.9. დაბეგვრა	153
B.9. საკრედიტო რეიტინგი	155
C. საჯარო შეთავაზების პირობები	155
C.1. შეთავაზების პირობები	155
C.2. განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა.....	158
C.3. ფასის დადგენა	159
C.4. განთავსება	159

1. ზოგადი მიმოხილვა

A. შესავალი

A.1. ზოგადი ინფორმაცია ემისიის შესახებ

ფასიანი ქაღალდის დასახელება	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ („რიკო ექსპრესი“, „კომპანია“, „ემიტენტი“) ლარის სასესხო პორტფელით ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაცია
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (ს/კ 205034639) მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70 ვებ-საიტი: www.rico.ge ელ. ფოსტა: rico@rico.ge ტელ: +995 322 292 929
განთავსების აგენტის/შეთავაზების განმანხორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ 404700819) მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N18-20-22 ვებ-საიტი: www.foresight.ge ელ. ფოსტა: brokers@foresight.ge ტელ: +995 322 22 52 12
ცენტრალური დეპოზიტარის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400) მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ბლოკი 10 ვებ-საიტი: www.gcsd.ge ელ. ფოსტა: info@gcsd.ge ტელ: +995 322 500 211
პროსპექტისა და საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) მისამართი: თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1 ვებ-საიტი: https://www.nbg.gov.ge ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge ტელ: +995 322 406 406
პროსპექტის დამტკიცების თარიღი	18 ნოემბერი, 2025 წელი

A.2. მნიშვნელოვანი მითითებები

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში.

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება.

B. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

B.1. ემიტენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

B.1.1. ემიტენტის იურიდიული და არსებობის შემთხვევაში კომერციული დასახელება

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“

B.1.2. ემიტენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

- იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო
- მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა

B.1.3. ემიტენტის ძირითადი საქმიანობების, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული საქონლის კატეგორიების, ასევე იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი

„რიკო ექსპრესი“, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, დაარსდა 2004 წელს. კომპანიამ საქმიანობის ლიცენზია 2007 წელს აიღო. ამ დროიდან

მოყოლებული, კომპანიის საქმიანობა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ფინანსური სერვისების მიწოდებაა, მათ შორის:

- სალომბარდე სესხები
- ფულადი გზავნილები
- კონვერტაციები
- თამასუქები

კომპანიის ძირითადი საქმიანობა სალომბარდე დაკრედიტებაა. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სესხი ოქროს, ვერცხლისა, ძვირფასი ქვების და სხვა ძვირფასი ლითონების უზრუნველყოფით.

საქმიანობის პირველ ეტაპზე, კომპანია იპოთეკურ სესხებსაც გასცემდა. 2019 წლიდან „რიკო ექსპრესი“ აღარ გასცემს აღნიშნული ტიპის სესხებს.

დღევანდელი მდგომარეობით, კომპანია აქტივების ზომითა და სესხების პორტფელის მოცულობით ყველაზე დიდი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა საქართველოში.

„რიკო ექსპრესი“ საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 70 ფილიალით და დასაქმებული ჰყავს 800-მდე თანამშრომელი. ფილიალები მუშაობენ 24/7 რეჟიმში.

B.1.4. ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების დასახელება, ვინ ფლობს, ან კონტროლებს ემიტენტს პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობით

დალი ურუშაძე (პ/ნ 01008005126) - 100%-იანი წილის მფლობელი

B.1.5. თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურის აღწერა მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით

„რიკო ექსპრესი“ არ არის ჯგუფის წევრი.

B.1.6 ემიტენტის დირექტორების დასახელება პოზიციების მითითებით

(i) სამეთვალყურეო საბჭო:

- ლაშა ნიკოლაიშვილი - თავმჯდომარე
- დავით შენგელია - წევრი
- ვლადიმერ შავლაყაძე - წევრი
- ანა ნიკოლაძე - დამოუკიდებელი წევრი
- ილია ფარეშიშვილი - დამოუკიდებელი წევრი

(ii) დირექტორი: თამარ გოგოძე

B.1.7. ემიტენტის აუდიტორ(ებ)ისა და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე პირების ან ექსპერტების დასახელება, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მათი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში

(iii) ემიტენტის აუდიტორი (2023, 2024):

- დასახელება: შპს „იუაი“
- ს/კ: 204441158
- სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-855308
- მისამართი: თბილისი, კოტე აფხაზის ქ. 44
- ტელ: +995 322 15 88 11

B.1.8. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი

განთავსების აგენტია შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ 404700819), რომელიც ემისიის ფარგლებში ასევე გადახდისა და კალკულაციის აგენტია. აღნიშნული მომსახურებების გაწევაში კომპანია იღებს საკომისიოს, რომელიც დამოკიდებულია წარმატებული განთავსების მოცულობაზე. განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტის ინტერესშია ემისიის წარმატებით განხორციელება და გამოშვებული „ობლიგაციების“ სრულად განთავსება.

„ემიტენტი“, „განთავსების აგენტი“ და „ემიტენტის“ აუდიტორი არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

„ემიტენტისთვის არ არის ცნობილი განთავსების აგენტთან აფილირებული რომელიმე კომპანიის შეთავაზებაში მონაწილეობის შესახებ.

B.2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

B.2.1. ემიტენტის შერჩეული ისტორიული ფინანსური ინფორმაცია ბოლო 2 ფინანსური წლისთვის, ამასთან თუ რელევანტურია, შუალედური ფინანსური ინფორმაცია შესადარისი პერიოდის ინფორმაციასთან ერთად

მოცემული ინფორმაცია მოიცავს 2023 და 2024 წლების აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მომზადებულ საბალანსო, მოგება-ზარალისა და ფულადი ნაკადების უწყისებს. დამატებით, წარმოდგენილია 2024 და 2025 წლების პირველი ორი კვარტალის (ნახევარწლიური) ანგარიშგებები, რომლებიც მომზადებულია არააუდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით. 2024 და 2025 წლების შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ ბასს 34 სტანდარტის შესაბამისად.

საბალანსო უწყისი

(ათასი ლარი)

	2023	2024	2024 6M	2025 6M
სულ აქტივები	609,885	725,256	644,504	,869,646
სულ ვალდებულებები	294,633	423,479	325,992	549,413
სულ საკუთარი კაპიტალი	315,252	301,777	318,512	320,233
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	609,885	725,256	644,504	869,646

მოგება-ზარალის უწყისი

(ათასი ლარი)

	2023	2024	2024 6m	2025 6m
საპროცენტო შემოსავალი — ჯამში	101,159	116,943	54,948	67,783
საპროცენტო ხარჯი — ჯამში	(24,597)	(30,174)	(14,026)	(22,111)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	76,562	86,769	40,922	45,672
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება	2,411	(265)	3,207	(462)
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ	78,973	86,504	44,129	45,210
არასაპროცენტო შემოსავალი — ჯამში	18,773	19,910	5,766	17,447
არასაპროცენტო ხარჯი — ჯამში	(34,308)	(44,116)	(17,952)	(33,104)
მოგება მოგების გადასახადამდე	63,438	62,298	31,943	29,553

მოგების გადასახადი	(13,668)	(12,594)	(3,010)	(8,126)
წლის წმინდა მოგება	49,770	49,704	28,933	21,427

ფულადი ნაკადების უწყისი
(ათასი ლარი)

	2023	2024	2024 6M	2025 6M
საოპერაციო წმინდა ფულადი ნაკადები	7,966	(86,620)	11,774	(82,892)
საინვესტიციო წმინდა ფულადი ნაკადები	(49,039)	41,050	7,289	(1,018)
საფინანსო წმინდა ფულადი ნაკადები	(12,152)	59,065	(8,560)	96,314
გაცვლითი კურსის ეფექტი	(1,344)	(192)	(2,458)	879
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(54,569)	13,303	8,045	13,283
დასაწყისის ფულადი სახსრები	109,530	54,961	54,961	68,264
დასასრულის ფულადი სახსრები	54,961	68,264	63,006	81,547

B.2.2. საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ მონაცემებს თან უნდა ახლდეს პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია, დანართი 6-ის მიხედვით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად

„ობლიგაციების“ ემისიის გათვალისწინებით დათვლილი პრო-ფორმა ინფორმაცია წარდგენილია კოეფიციენტების ქვეთავში.

B.2.3. თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტორის დასკვნის ტიპი (უპირობო, მოდიფიცირებული, პირობითი, უარყოფითი, უარი დასკვნის დაწერაზე) და პირობითი დასკვნის შემთხვევაში მიზეზების მოკლე აღწერა

თანდართულია 2023 და 2024 წლების აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოამზადა სდპ აუდიტორმა შპს „იუაიმ“. ორივე წლის აუდიტორულ დასკვნაში გამოხატულია უპირობო დასკვნა.

B.2.4. მოგების პროგნოზირებული ციფრის მითითება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში ფიგურირებს ეს ციფრი და ხდება მისი პროგნოზი ან შეფასება

არ არის რელევანტური კომპანიისთვის.

B.2.5. თუ ემიტენტის საბრუნავი კაპიტალი არ არის საკმარისი მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, უნდა მოხდეს ამის მითითება და უნდა აიხსნას მიზეზები.

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის საბრუნავი კაპიტალი შეადგენდა 246.6 მილიონ ლარს, თუმცა 2024 წლის ბოლოსთვის აღნიშნული მაჩვენებელი -104.6 მილიონ ლარამდე შემცირდა. ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება ნახევარი წლის მონაცემებშიც: 2024 წლის 6 თვის განმავლობაში დადებითი 28.3 მილიონი ლარის მაჩვენებელი 2025 წლის ანალოგიურ პერიოდში მკვეთრად შემცირდა და შეადგინა -351.6 მილიონი ლარი.

აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის მიერ 2023 წლის მე-4 კვარტალში მიღებული გადაწყვეტილებიდან, რომლის მიხედვით ახალ გასაცემ სალომბარდე სესხებზე ფორმალური სტანდარტული ვადა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 წლით განისაზღვრა. ამის მიზეზი არის, რომ ხშირ შემთხვევაში, კლიენტები იყენებენ ერთსა და იმავე უზრუნველყოფას განმეორებითი და მრავალჯერადი სესხების მისაღებად.

შესაბამისად, კომპანიის რესურსებისა და კლიენტების დროის დასაზოგად, მარეგულირებელთან შეთანხმებით და „ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულების“ პრინციპების დაცვით, „ემიტენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასესხო ხელშეკრულებები ფორმალურად და იურიდიულად გაფორმდეს 3 წლიანი ვადით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სესხები დღეს ოფიციალურად კლასიფიცირებულია გრძელვადიან (ერთ წელზე მეტი ვადიანობის) აქტივებად, რეალურ პრაქტიკაში სალომბარდე სესხების აბსოლუტური უმრავლესობის დაფარვა საშუალოდ 3 თვეში ხდება.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, კომპანიის სასესხო პორტფელი ეტაპობრივად ახლდება (ძველი სესხების ნაცვლად გაიცემა ახალი სესხები 3 წლიანი სტანდარტული ვადიანობით). სწორედ ამ მიზეზით ვხედავთ საბრუნავი კაპიტალის ეტაპობრივ გაუარესებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულად საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია, რეალური ბიზნეს-პრაქტიკა და ფულადი ნაკადების ფაქტობრივი მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ფორმალური სურათისგან. ფაქტობრივად, კომპანიის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცილებით უფრო ლიკვიდურია, ვიდრე ეს ბუღალტრული აღრიცხვიდან ჩანს. შესაბამისად, კომპანიას რეალურად არ უდგას საბრუნავი კაპიტალის არასაკმარისობის საკითხი.

ემისიის შედეგად, კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებელი გაუმჯობესდება, რადგან წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული ემისიიდან მიღებული გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) ფულადი სახსრებით მოხდება მოკლევადიანი (1 წლამდე ვადიანობის) ფასიანი ქაღალდების რეფინანსირება. 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით, ემისიის ეფექტის გათვალისწინებით „ემიტენტის“ საბრუნავი კაპიტალი - 151.5 მლნ იქნება (ემისიამდელი -351.6 მლნ-ის ნაცვლად).

B.2.6. ბოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, და/ან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა, რომელიც მატერიალური იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად;

გადახდისუნარიანობის შესაფასებლად რელევანტური მნიშვნელოვანი მოვლენები ბოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა.

B.2.7. ემიტენტის არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მიერ ემიტენტის ან/და მისი ფასიანი ქაღალდებისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულები.

ემიტენტს მინიჭებული აქვს B+ საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით. ემიტენტისთვის აღნიშნული რეიტინგის მინიჭება მოხდა სარეიტინგო კომპანია Scope-ის მიერ 2023 წლის 18 იანვარს. 2024 წლის სექტემბერში Scope-მა განაახლა „ემიტენტის“ რეიტინგი და კვლავ B+ რეიტინგი მიანიჭა სტაბილური პერსპექტივით. რეიტინგის ბოლო განახლების თარიღია 2025 წლის 10 ივნისი, როდესაც სარეიტინგო კომპანიამ „ემიტენტის“ რეიტინგის კვლავ B+-ზე (სტაბილური პერსპექტივით) დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. 2025 წლის სარეიტინგო ანგარიშში რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორებია:

1. „კომპანია“ არის საბაზრო ლიდერი საქართველოს სალომბარდე სესხების ნიშურ სეგმენტში, რაც ითვლება კომპანიის ძლიერ მხარედ.
2. მაღალი მომგებიანობა: სწრაფი ზრდა, ხარჯების კონტროლი და დაბალი საკრედიტო დანაკარგის რეზერვები უზრუნველყოფს მყარ წმინდა მოგებას.
3. მაღალი კაპიტალიზაცია: 43%-იანი კაპიტალის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატება რეგულატორის მინიმალურ მოთხოვნას (18%).

4. მცირე სავალუტო რისკი: უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები პორტფელის მხოლოდ 2%-ზე ნაკლებს შეადგენს და სრულად ჰეჯირებულია სვოპებით.
5. დამაკმაყოფილებელი დივერსიფიკაცია დაფინანსების წყაროებში: თამასუქების, ბანკებიდან სესხებისა და ობლიგაციების გამოყენება კაპიტალის სტრუქტურაში უზრუნველყოფს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას.
6. აქტივების კარგი ხარისხი: ოქროთი უზრუნველყოფილი პორტფელი და გირაოს რეალიზაციით თანხების ამოღების წარმატებული ისტორია კომპანიის ფინანსურ მდგრადობაზე მიუთითებს.

იმავე ანგარიშში, რეიტინგის განმსაზღვრელი უარყოფითი ფაქტორებია:

1. სესხების კონცენტრაციის რისკი: თითქმის 99% სესხებისა გაცემულია მხოლოდ სალომბარდე სესხებში, რაც ზრდის კონცენტრაციის რისკს.
2. გეოგრაფიული შეზღუდულობა: კომპანიის საქმიანობა სრულად საქართველოშია კონცენტრირებული, რის გამოც ქვეყნის სპეციფიკური რისკები შესაძლოა მნიშვნელოვნად აისახოს კომპანიაზე.
3. ხარჯების ზრდა: 2024 წელს მოგების დინამიკაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია საოპერაციო ხარჯების მატებამ (ახალი ფილიალების გახსნა და დიჯიტალიზაციაში ინვესტიცია).
4. ლიკვიდობის კოეფიციენტის ვარდნა: მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ აღემატება მინიმუმს, ტენდენცია შემცირებისკენაა.

ანგარიშის მიხედვით, რეიტინგის პოტენციური გაუმჯობესების ფაქტორი შესაძლოა იყოს ბიზნეს მოდელის დივერსიფიკაციის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს სერვისების უფრო ფართო სპექტრის დანერგვას და კომპანიის შემოსავლებში სხვადასხვა სერვისების წილის არსებით ზრდას. რეიტინგის პოტენციური გაუარესების ფაქტორები:

1. მოგების შემცირება: თუ დაფინანსების ხარჯების ზრდამ ან რეზერვების მატებამ შეამცირა წმინდა მოგება, რეიტინგი შესაძლოა გაუარესდეს;
2. კაპიტალისა და დაფინანსების უფრო აგრესიული მართვა, რაც გამოიხატება კაპიტალის ან ლიკვიდობის მინიმალურ მოთხოვნებთან მიმართებით უფრო მცირე ბუფერების შენარჩუნებაში;
3. საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორისთვის მაკროეკონომიკური და საოპერაციო გარემოს არსებითი გაუარესება, რაც შესაძლოა იყოს გამოწვეული ხანგრძლივი პოლიტიკური გაურკვევლობით ან/და რეგიონული დაძაბულობით.

„ემიტენტის“ რეიტინგის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ: <https://scoperatings.com/ratings-and-research/issuer/616920>.

B.2.8. ემიტენტის ბოლო 2 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ბაზაზე ამ წესის დანართი 9-ის შესაბამისად დათვლილი ფინანსური კოეფიციენტები. აღნიშნული და დამატებით სხვა კოეფიციენტების წარდგენა უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ემიტენტის ბიზნეს მოდელისა და საქმიანობის ინდუსტრიისთვის.

#	მომგებიანობა	2023	2024	2025 6M	2025 6M*
1	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	16.16%	16.11%	13.21%	13.21%
2	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	8.40%	7.45%	5.57%	5.32%
3	ჩაღებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROIC)	10.81%	9.54%	7.22%	6.58%
4	წმინდა საპროცენტო მარჟა (Net Interest Margin)	75.68%	74.20%	67.38%	67.38%
5	წმინდა საპროცენტო მარჟა (Net Interest Margin) ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით	67.78%	71.85%	63.21%	63.21%
6	საოპერაციო მოგების მარჟა (Operating profit margin)	49.88%	43.72%	35.58%	35.58%
7	წმინდა მოგების მარჟა (Net profit margin)	38.94%	34.63%	24.83%	24.83%
8	შეწონილი საპროცენტო განაკვეთები	21.13%	20.76%	19.94%	18.88%
9	საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი	28.04%	32.03%	41.06%	41.06%
10	დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე	9.27%	8.88%	9.17%	8.45%
11	დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე ჰეჯირების გათვალისწინებით	12.28%	9.69%	6.43%	5.93%
12	საპროცენტო განაკვეთის სპრედი	11.78%	11.88%	10.76%	10.43%
13	საპროცენტო განაკვეთის სპრედი ჰეჯირების გათვალისწინებით	8.85%	11.07%	13.50%	12.95%
#	აქტივების ხარისხი	2023	2024	2025 6M	2025 6M*
14	სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS)	0.32%	0.10%	0.14%	0.13%
15	უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ)	0.03%	0.03%	0.03%	0.03%
16	სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ)	1.07%	0.70%	0.93%	0.85%
17	PAR 90 მთლიან სესხებთან (სებ)	0.46%	0.01%	0.50%	0.46%
18	პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან (სებ)	2.50%	9.10%	1.68%	1.54%
19	ჩამოწერილი პორტფელის ამოღება (სებ)	7.00%	2.20%	1.54%	1.46%
#	საზედამხედველო კოეფიციენტები	2023	2024	2025 6M	2025 6M*
20	საზედამხედველი კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)	51.06%	45.24%	39.18%	36.19%
21	ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)	80.50%	24.68%	21.28%	21.28%

22	ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	0.00%	0.00%	0.00%	0.00%
23	ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	5.42%	11.27%	10.11%	10.11%
24	ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)	0.04%	0.01%	0.01%	0.01%
25	დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ)	17.28%	89.60%	86.70%	84.00%
#	ლიკვიდობა და ლევერიჯი	2023	2024	2025 6M	2025 6M*
26	ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები	9.0%	9.4%	9.4%	8.7%
27	ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები	33.5%	26.6%	16.8%	16.8%
28	კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი	67.4%	48.9%	43.0%	39.2%
29	მთლიანი ვალის კოეფიციენტი	45.5%	55.4%	59.8%	62.9%
30	მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	88.0%	133.2%	162.5%	184.8%
31	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	3.6	3.1	2.3	2.3
32	ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან	47.1%	56.4%	62.3%	65.1%
#	ობლიგაციის ფარგლებში არსებული კოვენანტები	2023	2024	2025 6M	2025 6M*
33	ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან	47.1%	56.4%	62.7%	65.5%
34	მაქსიმალური მოთხოვნა - 80%				
35	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)	51.1%	45.2%	39.2%	36.2%
36	სებ-ის მინიმალური მოთხოვნა - 24%				
37	ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)	80.5%	24.7%	21.3%	21.3%
38	სებ-ის მიერ დაწესებული მინიმუმი - 18% ან 25%				
39	ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
40	სებ-ის მიერ დაწესებული მაქსიმუმი - 15%				
41	ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	5.4%	11.3%	10.1%	10.1%
42	სებ-ის მიერ დაწესებული მაქსიმუმი - 40%				
43	ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)	0.04%	0.01%	0.01%	0.01%
44	სებ-ის მიერ დაწესებული მაქსიმუმი - 15%				

45	დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი (სებ)	17.3%	89.60%	86.7%	84.0%
46	სებ-ის მიერ დაწესებული მაქსიმუმი - 90%				

განმარტებები:

- (i) 2024 და 2025 წლების 6 თვის მონაცემებით, იმ კოეფიციენტების გამოთვლისას, რომლებიც მოიცავს მოგება-ზარალის მაჩვენებლებს, გამოყენებულია LTM მიდგომა.
- (ii) 2025 წლის 6 თვეზე და 2024 წლის ბოლოსთვის, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად, „ემიტენტის“ მიმართ დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტის (სებ) მინიმალური ზღვარი 18% იყო. აღნიშნული ზღვარი 2023 წლის ბოლოსთვის და 2024 წლის 6 თვეზე 25% იყო.
- (iii) სებ-ის საზედამხედველო კოეფიციენტების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესი (<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4245660?publication=0>).
- (iv) კომპანიის საპროცენტო ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, გამოშვებულ მარტივ თამასუქებს, სუბორდინირებულ ვალს, სავალო ფასიან ქაღალდებსა და საიჯარო ვალდებულებას.
- (v) კოეფიციენტების ტრენდების ანალიზი:
 - a. უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე, ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - 2023 წლიდან 2024 წლამდე, ასევე 2024 წლის პირველი ნახევრიდან 2025 წლის პირველ ნახევრამდე, უკუგების კოეფიციენტების შემცირება ძირითადად გამოწვეულია საოპერაციო ხარჯების (მათ შორის ხელფასებისა და ადმინისტრაციული ხარჯების) და საპროცენტო ხარჯების ზრდით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდებში შემოსავლებიც გაიზარდა, ხარჯების ზრდამ შემოსავლის ზრდის ეფექტი გაანეიტრალა. აქტივებისა და ჩადებული კაპიტალის ზრდასთან ერთად, ხარჯებსა და შემოსავლებში აღნიშნულმა ტენდენციამ გამოიწვია კოეფიციენტების შემცირება.
 - b. საოპერაციო მოგების მარჟა, წმინდა მოგების მარჟა - 2023 წლიდან 2024 წლამდე, მიუხედავად შემოსავლების ზრდისა, საოპერაციო და სხვა ხარჯების ზრდამ გამოიწვია მარჟების შემცირება. 2024 წლის პირველი ნახევრიდან 2025 წლის პირველ ნახევრამდე, შემოსავლები კვლავ გაიზარდა და გარკვეული ხარჯები გაიზარდა. თუმცა, ჰეჯირების ოპერაციებისა და საკურსო სხვაობის დადებითმა ეფექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის შემოსავალი და შედეგად - მოგების მარჟები გაუმჯობესდა.
 - c. საზედამხედველი კაპიტალის კოეფიციენტი (სებ), კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი - როგორც 2023 წლიდან 2024 წლამდე, ისე 2024 წლის პირველი ნახევრიდან 2025 წლის პირველ ნახევრამდე აღნიშნული კოეფიციენტების შემცირება შეინიშნება. ამის მიზეზი „ემიტენტის“ პორტფელის და შესაბამისად, მისი აქტივების სწრაფი ზრდაა;
 - d. დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი (სებ) - 2023 წელთან შედარებით 2024 და 2025 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა აღნიშნული კოეფიციენტი. აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის ბიზნესის სწრაფი გაფართოებით და შესაბამისი დაფინანსების მზარდი საჭიროებით. სწრაფი ზრდის სტრატეგიის განხორციელება მოითხოვდა დამატებითი საკრედიტო რესურსების მოზიდვას ფინანსური ინსტიტუტებიდან, რომლებიც უზრუნველყოფის სახით აქტივების დაგირავებას ითხოვენ;
 - e. ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ) - 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია ლიკვიდობის კოეფიციენტი 2024 და 2025 წლებში. აღნიშნული კლება

დაკავშირებულია კომპანიის სწრაფი ზრდის სტრატეგიით განპირობებულ მზარდ ფულადი რესურსების მოთხოვნასთან, რადგან პორტფელის გაფართოებისთვის კომპანიას მუდმივად სჭირდება დამატებითი ფულადი სახსრები;

- f. ლევერიჯის ზრდა - დამფუძნებლის კაპიტალზე უკუგების მაქსიმიზაციის მიზნით „ემიტენტი“ ცდილობს დაწესებული ლიმიტების ფარგლებში მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს საკრედიტო რესურსები. ამის შედეგია, რომ 2023 წელთან შედარებით 2024 და 2025 წლებში იზრდება ლევერიჯის კოეფიციენტი, რაც განპირობებულია „ემიტენტის“ მიერ ბანკებისგან ნასესხები სახსრების ზრდით. ნასესხებ სახსრებს „კომპანია“ საკუთარი სასესხო პორტფელის ზრდითვის იყენებს.

B.2.9. შერჩეული კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია

1. უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო კაპიტალთან.
2. უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე - მოგება შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო აქტივებთან.
3. ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - მოგება დაბეგვრამდე და საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული უკანასკნელი ორი წლის საშუალო საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების (ნასესხები სახსრები, ფასიანი ქაღალდები, სუბორდინირებული ვალი) ჯამზე.
4. წმინდა საპროცენტო მარჟა (Net Interest Margin) - წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან.
5. წმინდა საპროცენტო მარჟა (Net Interest Margin) ჰეჯირების ხარჯის გათვალისწინებით - წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების და ჰეჯირების ხარჯის შემდეგ შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან.
6. საოპერაციო მოგების მარჟა - მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული საპროცენტო შემოსავალს დამატებული არასაპროცენტო შემოსავალთან.
7. წმინდა მოგების მარჟა - მოგება შეფარდებული საპროცენტო შემოსავალს დამატებული არასაპროცენტო შემოსავალთან.
8. შეწონილი საპროცენტო განაკვეთები - გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი შეფარდებული საშუალო მთლიან სესხებთან.
9. საოპერაციო ხარჯი/შემოსავალი - საოპერაციო ხარჯი (მოიცავს არასაპროცენტო ხარჯებს და საკომისიო ხარჯს) შეფარდებული საოპერაციო შემოსავალს დამატებული არასაპროცენტო შემოსავლთან (მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და საკურსო სხვაობა).
10. დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე - საპროცენტო ხარჯი შეფარდებული საშუალო საპროცენტო ვალდებულებებთან.
11. დანახარჯები მოზიდულ სახსრებზე ჰეჯირების გათვალისწინებით - საპროცენტო ხარჯს დამატებული ჰეჯირების ხარჯი შეფარდებული საშუალო საპროცენტო ვალდებულებებთან.

12. საპროცენტო განაკვეთის სპრედი - სხვაობა შეწონილ საპროცენტო განაკვეთსა და მოზიდულ სახსრებზე დანახარჯებს შორის.
13. საპროცენტო განაკვეთის სპრედი ჰეჯირების გათვალისწინებით - სხვაობა შეწონილ საპროცენტო განაკვეთსა და მოზიდულ სახსრებზე დანახარჯებს დამატებული ჰეჯირების ხარჯებს შორის.
14. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (IFRS) - სესხების რეზერვი შეფარდებული სესხების პორტფელთან (ფასს-ის მიხედვით).
15. უმოქმედო სესხები მთლიან სესხებთან (სებ) - უმოქმედო სესხები შეფარდებული სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით).
16. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (სებ) - სესხების რეზერვი შეფარდებული სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით).
17. PAR 90 მთლიან სესხებთან (სებ) - PAR 90 სესხების მოცულობა შეფარდებული სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით).
18. პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან (სებ) - ჩამოწერილი პორტფელი შეფარდებული საშუალო სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით).
19. ჩამოწერილი პორტფელის ამოღება (სებ) - ამოღებული პორტფელი შეფარდებული საშუალო სესხების პორტფელთან (სებ-ის მიხედვით).
20. საზედამხედველი კაპიტალის კოეფიციენტი (სებ) - მთლიან კაპიტალს დამატებული სუბორდინირებული ვალდებულებები, გამოკლებული ჯამური დაქვითვები (არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება), შეფარდებული მთლიან აქტივებს გამოკლებული ზემოაღნიშნული დაქვითვები.
21. ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ) – საანგარიშო თვის, ყოველდღიური ლიკვიდური აქტივების საშუალო (გამოთვლილი როგორც, ნაღდ ფულს დამატებული ანგარიშები კომერციულ ბანკებში და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, გამოკლებული გაცვლილი ფულადი სახსრები, დაჯავშნული/დაგირავებული დეპოზიტები და გამოუთხოვადი დეპოზიტები) შეფარდებული ამავე თვის ყოველდღიური მთლიანი საბალანსო ვალდებულებების ლიკვიდობის მიზნებისთვის, საშუალოზე (გამოთვლილი როგორც, ჯამურ საბალანსო ვალდებულებებს, გამოკლებული, 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული/კონვერტირებადი ვალდებულებები, ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სახსრები, გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ ბანკებიდან და ფინ. ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები და ვალდებულებები ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაგენტის მიმართ).
22. ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ) – იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა შეფარდებული ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალთან.
23. ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ) – ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეფარდებული ჯამურ კაპიტალთან.
24. ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ) – ინსაიდერების მიმართ არსებული მოთხოვნები შეფარდებული ჯამურ საზედამხედველო კაპიტალთან.

25. დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი(სებ) - დაგირავებული აქტივები, შეფარდებული ჯამურ კაპიტალს გამოკლებული აქტივების გადაფასების რეზერვი.
26. ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მთლიან აქტივებთან.
27. ფულადი სახსრები/მოკლევადიანი ვალდებულებები - ფული და ფულის ექვივალენტები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან.
28. კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი - ჯამური კაპიტალი შეფარდებული წმინდა სესხების პორტფელთან.
29. მთლიანი ვალის კოეფიციენტი - კომპანიის საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან.
30. მთლიანი სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი - კომპანიის საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული კაპიტალთან.
31. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი - მოგება დაბეგვრამდე და საპროცენტო ხარჯამდე შეფარდებული საპროცენტო ხარჯთან.
32. ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან - კომპანიის ჯამური ფინანსური ვალდებულებები შეფარდებული კომპანიის ჯამურ აქტივებთან.

C. ძირითადი რისკის ფაქტორები

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

- „კომპანიის“ სასესხო პორტფელის მდგრადობა დამოკიდებულია უზრუნველყოფის (ძვირფასი ლითონების) ხარისხსა და ფასის ცვალებადობაზე.
- „კომპანია“ დამოკიდებულია საბანკო და კაპიტალის ბაზრებიდან საკრედიტო რესურსებზე წვდომაზე.
- „კომპანიის“ აქტივების ნაწილი უკვე დაგირავებულია, ხოლო მარეგულირებელმა შეზღუდვებმა უზრუნველყოფად გამოყენებულ აქტივებზე შესაძლოა შეზღუდოს „კომპანიის“ წვდომა ახალ დაფინანსებაზე.
- განვითარებად ბაზრებზე, მათ შორის საქართველოში, ინვესტირება მოიცავს მაღალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებს.
- მიკროსაფინანსო სექტორის სტრუქტურულმა ცვლილებებმა შესაძლოა შექმნას კონკურენტული დისბალანსი და ზეწოლა „კომპანიაზე“.
- საქართველოს ეკონომიკური არასტაბილურობა ან რეცესია უარყოფითად აისახება „კომპანიის“ ფინანსურ მაჩვენებლებზე.
- პოლიტიკური ტურბულენტობა და უსაფრთხოების გამოწვევები ზრდის ქვეყნის რისკს და ამცირებს ინვესტორთა ნდობას.
- მარეგულირებელი ბაზის ან საზედამხებლო ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა მნიშვნელოვანი იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობასა და მომგებიანობაზე.
- „კომპანიას“ შესაძლოა არ ჰქონდეს შესაბამისობა ყველა საუკეთესო კორპორაციულ მართვის სტანდარტთან.

- არსებობს რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ობლიგაციების ძირი და პროცენტი.
- „ემიტენტის“ მიერ ობლიგაციების ვადამდე გამოსყიდვამ შესაძლოა შეამციროს „ობლიგაციონერის“ მიერ მიღებული საერთო სარგებელი.
- „ობლიგაციების“ უზრუნველყოფა მოიცავს „ობლიგაციონერების“ მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების, გირავნობის რეგისტრაციისა და აღსრულების რისკებს.
- ფინანსური კოვენანტების დარღვევის რისკი – საკრედიტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვების დარღვევამ შეიძლება გაზარდოს დეფოლტის რისკი.
- „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.
- თუ არ განხორციელდა გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი.
- ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს, ხოლო უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შესაძლოა დაექვემდებაროს ყველა მფლობელი, მათ შორის ისინი, ვინც დარჩებიან უმცირესობაში.

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის ნაწილში გამჟღავნებული რისკ ფაქტორები მოიცავს მხოლოდ ემიტენტისთვის მნიშვნელოვნად მატერიალურ რისკებს და არ ასახავს სრულ ინფორმაციას ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან, ემიტენტის საქმიანობასთან და შესაბამის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ რისკებზე. სრული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტი, „რისკის ფაქტორების“ ქვეთავი.

D. შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია

D.1. განთავსების აგენტის შესახებ ინფორმაცია

D.1.1. განთავსების აგენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო ნომერი, აგრეთვე მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

- დასახელება: შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ: 404700819)
- ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მარშალ გელოვანის გამზირი N52
- იურიდიული მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფალს გამზირი, N18-20-22
- ვებ-საიტი: <https://foresight.ge>
- ელ. ფოსტა: info@foresight.ge
- ტელ: +995 322 22 52 12

D.1.2. განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები (Firm Commitment, Best Effort, Standby Commitments, Other); თუ სრულად ან საერთოდ არ ხდება ემისიის შეძენა, დარჩენილი ნაწილის რაოდენობა/წილი

განთავსების აგენტი და ემიტენტი შეთანხმდნენ, რომ განთავსების აგენტი ობლიგაციებს განთავსებს არა-გარანტირებულ (Best Effort) საფუძველზე.

D.2. მიღებული სახსრების გამოყენება

D.2.1. შეთავაზების მიზნების აღწერა

კომპანია ახორციელებს ობლიგაციების ემისიას გრძელვადიანი და სტაბილური ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით. მობილიზებული სახსრები მიმართული იქნება 2023 წლის 14 მარტს გამოშვებული ობლიგაციების (ISIN: GE2700604285) რეფინანსირებასა და საკრედიტო პორტფელის გაფართოებისკენ..

D.2.2. მიღებული სახსრების გამოყენება

ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრები (200 მლნ ლარამდე) გამოყენებული იქნება შემდეგნაირად:

- **არაუმეტეს 130 მლნ ლარი** – 2023 წლის 14 მარტს გამოშვებული ობლიგაციების (ISIN: GE2700604285) ძირითადი თანხის რეფინანსირებისთვის, რომელიც ვადამოსული ხდება 2026 წლის 17 მარტს. აღნიშნულ ემისიის რეფინანსირებას „ემიტენტი“ გეგმავს წინსწრებით წინამდებარე ემისიით გამოშვებული „ობლიგაციების“ განთავსების გზით მიღებული ფულადი რესურსების გამოყენებით. აღნიშნული ემისიის გამოსყიდვა განხორციელდება „ემიტენტის“ მიერ ინვესტორებისგან ობლიგაციების მეორად ბაზარზე გამოსყიდვის გზით.
- **დარჩენილი თანხა** – კომპანიის სესხების პორტფელის გაფართოებისა და ზრდისთვის.

D.3. ყველა იმ ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შეთავაზებას; მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის

„განთავსების აგენტს“, „ემიტენტსა“ და „ობლიგაციების“ ემისიაში მონაწილე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს.

2. შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ გეგმავს 200 000 000 (ორასი მილიონი) ლარამდე ჯამური მოცულობის ლარის სასესხო პორტფელით ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციების გამოშვებას და განთავსებას. ემისიიდან მიღებული წმინდა სახსრები იქნება არანაკლებ მოზიდული სახსრების 99%-ისა.

წინამდებარე ემისია კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის ბაზრებზე აქტიურ ოპერირებას და დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნებას. კაპიტალის ბაზრებზე მოზიდული რესურსები საშუალებას მისცემს კომპანიას განამტკიცოს ფინანსური მდგრადობა და შეინარჩუნოს ზრდის სტაბილური ტემპი.

მოზიდული სახსრების მნიშვნელოვანი წილი (არაუმეტეს 130 მილიონი ლარი) გამოყენებული იქნება 2023 წლის 14 მარტს განთავსებული ობლიგაციების (ISIN: GE2700604285) რეფინანსირებისთვის. დარჩენილი სახსრები მიმართული იქნება საკრედიტო პორტფელის გაფართოებისკენ, რაც პასუხობს ბაზარზე არსებულ მზარდ მოთხოვნას და აძლიერებს კომპანიის პოზიციებს სტრატეგიულ სასესხო სეგმენტებში. ეს მიდგომა კომპანიას აძლევს შესაძლებლობას, განავითაროს ეფექტური და შემოსავლიანი საკრედიტო საქმიანობა, გაიუმჯობესოს საბაზრო პოზიციები და მიაღწიოს შემოსავლების სტაბილურ ზრდას. შესაბამისად, რეფინანსირებისა და მიზნობრივი პორტფელის ზრდის კომბინაცია ერთდროულად ემსახურება, როგორც მოკლევადიან ფინანსურ ამოცანებს, ისე გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს.

3. სარეგისტრაციო დოკუმენტი

A. პასუხისმგებელი პირები

A.1. პროსპექტის შედგენაზე და მის შინაარსზე პასუხისმგებელი პირების დასახელება

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“

A.2. დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული განაცხადი

„პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები ვაცხადებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

A.3. ემიტენტის აუდიტორის შესახებ ინფორმაცია (თუ ცვლილება მოხდა, ცვლილების მიზეზი)

კომპანიას არ განუხორციელებია აუდიტორის ცვლილება პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდის მანძილზე.

ემიტენტის აუდიტორი (2023, 2024):

- დასახელება: შპს „იუაი“
- ს/კ: 204441158
- სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-855308
- მისამართი: თბილისი, კოტე აფხაზის ქ. 44
- ტელ: +995 322 15 88 11

A.4. რეგისტრაციის დოკუმენტში გამოყენებული მესამე პირების შესახებ ინფორმაცია

- სარეიტინგო კომპანია: ემიტენტს მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი Scope Ratings GmbH-ს მიერ (<https://www.scooperatings.com>). Scope Ratings GmbH წამყვანი ევროპული სარეიტინგო კომპანიაა, რომელიც წლებია საქართველოს ბაზარზე აქტიურად მუშაობს. Scope-ისგან ემიტენტს მინიჭებული აქვს B+ რეიტინგი, სტაბილური პერსპექტივით.
- განთავსების, გადახდის და კალკულაციის აგენტი: შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/ნ 404700819). მის: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი წმინდა ქეთევან დედოფალი, N18-20-22. ტელ: +995 322 22 52 12. ვებ-საიტი: www.foresight.ge. ელ.ფოსტა: info@foresight.ge
- დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400). მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ბლოკი 10. ვებ-საიტი: www.gcsd.ge. ელ. ფოსტა: info@gcsd.ge. ტელ: +995 322 500 211

A.4. განცხადება დოკუმენტში გამოყენებული მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესახებ

როგორც ემიტენტისთვის ცნობილია, პროსპექტში წარმოდგენილი მესამე პირებისგან მოპოვებული სტატისტიკური და სხვა ტიპის ინფორმაცია სრულად და ზუსტად არის ასახული. აღნიშნული მონაცემებიდან არ არის გამოტოვებული ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც ამ ინფორმაციას გახდიდა არაზუსტა და შეცდომაში შემყვანს.

B. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

B.1. ემიტენტის მონაცემები

- იურიდიული და კომერციული დასახელება: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“
- სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- ს/კ: 205034639
- მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, N68-70
- კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა
- ვებ-საიტი: www.rico.ge
- ელ. ფოსტა: rico@rico.ge
- ტელ.: +995 322 292 929

B.1. საქმიანობის ისტორია

„მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ 1997 წელს დააარსა შპს „რიკო კრედიტი“, რომლის საქმიანობა მოიცავდა იპოთეკური და სალომბარდე სესხების გაცემას.

წლების განმავლობაში კომპანია ჩამოყალიბდა ფინანსური სექტორის ერთ-ერთ წამყვან მონაწილედ. აღსანიშნია, რომ „რიკო კრედიტი“ იყო საქართველოში ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელმაც ფულადი გზავნილების საერთაშორისო ქსელ „მანიგრამთან“ პარტნიორობა დაამყარა.

შპს „რიკო ექსპრესი“ 2004 წელს დაარსდა. კომპანიამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიცენზია 2007 წელს აიღო და ამ პერიოდის მოყოლებული შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ სახელითაა წარმოდგენილი ბაზარზე.

„რიკო ექსპრესის“ საქმიანობის პროფილია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ფინანსური სერვისების მიწოდება, რაც მოიცავს სალომბარდე სესხებს, ფულად გზავნილებს, სავალუტო კონვერტაციებსა და თამასუქებს.

კომპანიის მთავარ პროდუქტს წარმოადგენს სალომბარდე სესხები - გირავნობა ძირითადად ოქროთა უზრუნველყოფილი. სესხების პორტფელის 95%-ის ფარგლებში მოდის სწორედ ასეთი ტიპის სესხებზე. შემოსავლების ძირითადი წყაროა საპროცენტო შემოსავალი. დამატებითი შემოსავლები, როგორებიცაა ფულადი გზავნილები და ვალუტის კონვერტაცია, საერთო შემოსავლის 20%-ს არ აღემატება.

„რიკო ექსპრესი“ საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია 70 ფილიალით და დასაქმებული ჰყავს 800-მდე თანამშრომელი. ფილიალები მუშაობს უწყვეტ 24/7 რეჟიმში, დღესასწაულების ჩათვლით.

კომპანიის მომხმარებელთა რაოდენობა 1.5 მლნ-ს აჭარბებს.

B.1. სხვა დეტალები

B.1.1. არსებობის შემთხვევაში, იმ მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე

ასეთი ტიპის მოვლენები არ ფიქსირდება.

B.1.2. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

ემიტენტს მინიჭებული აქვს B+ საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით. ემიტენტისთვის აღნიშნული რეიტინგის მინიჭება მოხდა სარეიტინგო კომპანია Scope-ის მიერ 2023 წლის 18 იანვარს.

რეიტინგის ბოლო განახლების თარიღია 2025 წლის 10 ივნისი. რეიტინგთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 1.B.2.7. ქვეპუნქტში.

B.1.3. ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა

ბოლო წლის განმავლობაში კომპანიის დაფინანსების სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ შესულა. დაფინანსების ძირითადი წყაროები კვლავაც სამია:

1. საჯარო ობლიგაციების გამოშვება
2. თამასუქები
3. კომერციული ბანკების პირდაპირი სესხები
4. სუბორდინირებული სესხი

მოზიდული სახსრების შესახებ დეტალური მონაცემები მოცემულია პროსპექტის 4.E.1. ქვეპუნქტში.

აღსანიშნია, რომ 2023 წელს კომპანიამ პირველად გამოუშვა ობლიგაციები (ISIN: GE2700604285), საიდანაც მიღებული ფულადი სახსრებით (დაახლოებით 130 მლნ ლარი) კომპანიამ მნიშვნელოვანწილად შეამცირა პირდაპირი საბანკო სესხების მოცულობა. 2023 წლის აღნიშნული მოვლენა წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას ემიტენტის დაფინანსების სტრუქტურაში.

ამ პროსპექტის ფარგლებში განსახორციელებელი ემისიიდან მიღებული თანხების ნაწილი მიმართული იქნება 2023 წლის 14 მარტს გამოშვებული ობლიგაციების სრულ რეფინანსირებაზე.

სამომავლოდ, კომპანია დაფინანსების წყაროდ განიხილავს თამასუქებს, საბანკო სესხებსა და კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებს.

C. საქმიანობის აღწერა

C.1. ძირითადი საქმიანობა

C.1.1. ემიტენტის საქმიანობის ტიპიდან და ბიზნეს-ოპერაციებიდან გამომდინარე, მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების, ასევე, ფინანსურ მონაცემებში მოყვანილი ყოველი წლისთვის წარმოებული პროდუქტების და/ან გაწეული მომსახურების ძირითადი კატეგორიების მოკლე აღწერა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ დღეისათვის საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის წამყვან კომპანიათა რიცხვს განეკუთვნება. 2025 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, ორგანიზაცია პირველ ადგილზეა აქტივების მოცულობით, გაცემული სესხების პორტფელის ზომითა და წლიური მომგებიანობის მაჩვენებლით.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო სალომბარდე დაკრედიტება. კომპანიის ძირითადი პროდუქტებია:

- **სალომბარდე სესხები** - „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესის“ ძირითად საფინანსო პროდუქტს სალომბარდე კრედიტები წარმოადგენს. ორგანიზაცია კლიენტებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ სესხი ოქროს, ვერცხლის და სხვა ძვირფასი ლითონებისა თუ ბრილიანტების უზრუნველყოფით.

კომპანია ფლობს ცენტრალიზებულ საინფორმაციო სისტემას და ინკასაციის მოწესრიგებულ ქსელს, რაც კლიენტს საშუალებას აძლევს კრედიტი აიღოს ერთ ფილიალში და დაფაროს ან გირაოს ნივთი დაიბრუნოს ნებისმიერ სხვა სერვის-ცენტრში.

სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 15-25%-ის ფარგლებში, მაქსიმალური ვადა კი 36 (ოცდათექვსმეტი) თვეს შეადგენს. კრედიტები გაიცემა გირაოს საბაზრო ღირებულების მინიმუმ 90%-იანი უზრუნველყოფით.

- **თამასუქი** - 2008 წლიდან „რიკო ექსპრესმა“ ბაზარზე შემოიტანა „ოქროს თამასუქის“ პროდუქტი - სარგებლიანი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის.

„ოქროს თამასუქის“ შესაძენად აუცილებელია მინიმალური ინვესტიცია 100,000 ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით აშშ დოლარში ან ევროში. პროდუქტი წარმოადგენს ალტერნატიულ საინვესტიციო ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურ შემოსავალს დროის განსაზღვრულ პერიოდში.

- **ფულადი გზავნილები** - „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ ფულადი გზავნილების ბაზარზე ლიდერ პოზიციას იკავებს და თანამშრომლობს წამყვან საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან. კომპანია ფლობს საკუთარ ფულადი გზავნილების პლატფორმას, რომელიც ოპერირებს ევროპისა და ისრაელის ცენტრებიდან. მომსახურება ხელმისაწვდომია კომპანიის 70 ფილიალში, ასევე თიბისი ბანკის, საქართველოს ბანკის, ტერა ბანკის, კრედი ბანკისა და ლიბერთი ბანკის განყოფილებებში.

„რიკო-გრამ საქართველო“ - შიდა ფულადი გზავნილების სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს თანხების გადარიცხვას ქვეყნის მასშტაბით რიკო ექსპრესის ყველა სერვის-ცენტრში. მომსახურების საკომისიო - 0.5%.

„რიკო-გრამ ისრაელი“ - საერთაშორისო გზავნილების სისტემა ისრაელთან, საკომისიო ტარიფი 1.2%. სერვისი ხელმისაწვდომია ისრაელში 250-ზე მეტ ლოკაციაზე.

„რიკოგრამ I-transfers“ და „რიკოგრამ Titanes“ - ევროპული ფულადი გზავნილების პლატფორმები, რომლებიც ემსახურება იტალიას, გერმანიასა და ესპანეთს. საკომისიო შეადგენს გზავნილის თანხის 1.1%-ს.

- **სავალუტო კონვერტაციები** - კომპანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით სავალუტო კონვერტაციებს სთავაზობს. კომპანია ამ მხრივ ცნობილია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო კურსის მქონე ფინანსური ინსტიტუტი.

2025 წლის დასაწყისში კომპანიამ ამოქმედა ონლაინ პლატფორმა ricofx.ge, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს განახორციელონ ვალუტის უნაღდო კონვერტაცია ლარის, აშშ დოლარისა და ევროს წყვილებში. ეს ინიციატივა პასუხობს საბაზრო ტრანსფორმაციას - უნაღდო ოპერაციების მზარდ მოთხოვნას და ციფრული პლატფორმების განვითარებას, რომლებიც კლიენტებს კონკურენტულ გაცვლით კურსებს სთავაზობენ ონლაინ რეჟიმში.

საქმიანობის ვადამდელ ეტაპზე, კომპანია ასევე გასცემდა იპოთეკურ სესხებს. სტრატეგიის ცვლილების შედეგად, კომპანია ამჟამად აღარ გასცემს ასეთი ტიპის სესხებს. კომპანიას წარსულში გაცემული იპოთეკური სესხების მცირე პორტფელი კვლავ აქვს და აგრძელებს მის მართვას.

C.1.2. არსებობის შემთხვევაში, ახალი პროდუქტის ან მომსახურების მითითება და განვითარების სტადიის აღწერა

არ არის გეგმაში.

C.1.3. არსებობის შემთხვევაში, ბიზნესის სეზონურობის აღწერა.

სეზონურობა არ ფიქსირდება.

C.2. გასაღების ბაზრები

C.2.1. ინდუსტრიის მიმოხილვა

C.2.2. ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, სადაც ემიტენტი ოპერირებს საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ახორციელებს ექსპორტს, მიღებული შემოსავლების ჩაშლა გეოგრაფიული მდებარეობის მითითებით, პროსპექტში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური წლისთვის

მიკროსაფინანსო სექტორის ზოგადი მიმოხილვა

ისტორია

საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორის ისტორია 2006 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყანაში შესაბამისი კანონმდებლობა შეიქმნა. შემდგომი პერიოდი ინდუსტრიის ინტენსიური განვითარებით ხასიათდებოდა - 2010-2016 წლებში სექტორის აქტივებმა საშუალო ზრდის 36.7%-იანი, ხოლო სასესხო პორტფელმა 35.9%-იანი წლიური ტემპი აჩვენა.

2017-2021 წლები ინდუსტრიისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. მარეგულირებელი გარემოს ტრანსფორმაციამ ბაზრის სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია. ამ პერიოდში დაწესდა ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი და ამოქმედდა დედოლარიზაციის პროგრამა, რომელიც უცხოური ვალუტის სესხების შემცირებას ისახავდა მიზნად. პარალელურად, მიკროსაფინანსო კომპანიებისთვის შემოღებულ იქნა მაქსიმალური 100 ათას ლარიანი სესხის ზღვარი. 2020 წლიდან დამატებით დაწესდა მოთხოვნა მთლიან საკრედიტო პორტფელზე 5%-იანი ზოგადი რეზერვის შექმნის შესახებ. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში მარეგულირებელმა გააძლიერა კაპიტალის მოთხოვნები და დაწესდა „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების“ სტანდარტები, რამაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დაავალდებულა უფრო მკაცრად შეაფასონ მსესხებლების გადახდისუნარიანობა.

დამატებით, სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი სს „კრედიტ“ 2017 წლის დასაწყისში გახდა კომერციული ბანკი, რამაც საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად დიდი ზეგავლენა მოახდინა მიკროსაფინანსო სექტორის აგრეგირებულ ინდიკატორებზე.

შედეგად, 2019 წელს რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა 2016 წელთან შედარებით განახევრდა და 38-მდე დაეცა (2016 წელს 80 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული).

მიკროსაფინანსო ინდუსტრიისთვის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენა 2023 წელს მოხდა, როდესაც „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი ამოქმედდა. აღნიშნული კანონით შეიქმნა ახალი ტიპის

ფინანსური ინსტიტუტი მიკრობანკი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობისა და რეალური ეკონომიკის დარგების დაკრედიტებას ახორციელებს იმ სექტორში, სადაც მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო კომერციული ბანკების ინტერესი შედარებით დაბალია.

2024 წლის 5 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „მიკრო ბიზნეს კაპიტალზე“ (MBC) მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია გასცა. 2025 წლის დასაწყისში, რამდენიმე თვის შემდეგ, კრისტალმაც განახორციელა ანალოგიური ტრანსფორმაცია და მიკრობანკი გახდა.

ორი წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიკრობანკად გადაკეთებამდე, მიკროსაფინანსო სექტორში ზრდის ტენდენცია ბოლო წლებშიც გრძელდებოდა. 2020-2024 წლებში, სექტორის აქტივების მოცულობის CAGR 11.31% იყო, ხოლო 2024 წლის ბოლოს 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აქტივების ზრდის ტემპმა 12.34% შეადგინა. მიკრობანკად გადაკეთებული მისიების გამოკლებით, აღნიშნული სტატისტიკა შემდეგნაირია: 2020-2024 წლებში სექტორის აქტივების მოცულობის CAGR 10.53%, ხოლო 2024 წლის ზრდა 2023 წელთან შედარებით 8.87% იყო.

ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა


2021 წლის დასასრულისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანმა აქტივებმა 1,634 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა ვალდებულებებმა 1,063 მილიონი ლარი და მთლიანმა კაპიტალმა 571 მილიონი ლარი. 2022 წლის მონაცემებით მთლიანმა აქტივებმა 1,879 მილიონ ლარს გადააჭარბა (15.0% ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან), მთლიანმა ვალდებულებებმა 1,216 მლნ ლარს (14.4% ზრდა), ხოლო კაპიტალი 662 მლნ ლარს შეადგენდა (16.1% ზრდა).

2023 წელს ზრდა შენარჩუნდა, თუმცა უფრო ზომიერი ტემპით. მთლიანი აქტივები 2 მლრდ ლარზე მეტი გახდა, ხოლო ვალდებულებები 1.3 მლრდ ლარამდე გაიზარდა და კაპიტალი 733 მლნ ლარს მიუახლოვდა. 2024 წლის განმავლობაში სექტორის აქტივებმა 2.2 მლრდ ლარს გადააჭარბა, ხოლო ვალდებულებებმა - 1.4 მილიარდ ლარს. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით კაპიტალის მაჩვენებელი 779 მლნ ლარი იყო.

2024 წლის ბოლოს და 2025 წლის დასაწყისში ორი მსხვილი მოთამაშის მიკრობანკად გარდაქმნის შედეგად, მიკროსაფინანსო სექტორის ჯამური აქტივები 464 მილიონი ლარით შემცირდა და 2025 წლის პირველი კვარტალის ბოლოს 1.8 მლრდ ლარს შეადგენდა.

2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, მთლიანმა აქტივებმა თითქმის 1.93 მლრდ ლარი შეადგინა. ამ პერიოდისთვის, ვალდებულებები 1.2 მლრდ ლარი იყო, ხოლო კაპიტალი - 711 მლნ ლარი. ამავე პერიოდისთვის, სექტორის ჯამური სესხების მოცულობა 1.69 მლრდ ლარი იყო.

გრაფიკი 1. მიკროსაფინანსო სექტორის აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი (მლნ ლარი)




წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

რაც შეეხება საკრედიტო პორტფელის დინამიკას, 2021 წლიდან მოყოლებული სექტორის სასესხო პორტფელის ჯამური მოცულობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. 2024 წლის ბოლოს, სექტორის მთლიანი სესხების მოცულობამ 1.9 მლრდ-ზე მეტი შეადგინა. შემცირება ფიქსირდება 2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, როდესაც სასესხო პორტფელის მოცულობა 1.69 მლრდ-მდე შემცირდა. აღნიშნულის მიზეზი ინდუსტრიის დიდი მოთამაშების „კრისტალისა“ და „ემბისის“ მიკრობანკად გარდაქმნაა.

2020-2024 წლებში, სექტორის მთლიანი სესხების მოცულობის CAGR 13.57% იყო, ხოლო 2024 წლის ბოლოს 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აქტივების ზრდის ტემპმა 15.66% შეადგინა. მიკრობანკად გადაკეთებული მისოების გამოკლებით, აღნიშნული სტატისტიკა შემდეგნაირია: 2020-2024 წლებში სექტორის მთლიანი სესხების CAGR 14.11%, ხოლო 2024 წლის ზრდა 2023 წელთან შედარებით 10.41% იყო.

გრაფიკი 2. მიკროსაფინანსო სექტორის სასესხო პორტფელის მოცულობა ვალუტების მიხედვით (მლნ ლარი)




წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

საგულისხმოა, რომ წლიდან წლამდე მცირდება აშშ დოლარში დენომინირებული სესხების წილი პორტფელში. ამის მიზეზი არის 2017 წელს დადგენილი რეგულაცია, რომლის თანახმად ფინანსურ ინსტიტუტებს აკრძალათ 100 ათას ლარზე ნაკლები მოცულობის სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა. ვინაიდან მიკროსაფინანსო კომპანიებს მხოლოდ 100 ათას ლარამდე მოცულობის სესხების გაცემა შეუძლიათ, 2017 წლიდან ისინი ფაქტიურად აღარ გასცემენ ლარის გარდა სხვა ვალუტაში სესხს.

რაც შეეხება გაცემული სესხების კატეგორიებს, მიკროსაფინანსო კომპანიები შემდეგი კატეგორიის სესხებს გასცემენ: ვაჭრობა და მომსახურება, სამომხმარებლო სესხები, ორგანიზაციული სესხები, სოფლის მეურნეობა, სალომბარდე სესხი, განვადება და სხვა.


გრაფიკი 3. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული სესხების კატეგორიები და მოცულობები წლების მიხედვით (მლნ ლარი)



როგორც „ემიტენტის“, ისე მთლიანად მიკროსაფინანსო სექტორის სასესხო პორტფელის დიდი წილი სალომბარდე სესხებზე მოდის. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, როდესაც „კრისტალისა“ და „ემბისის“ პორტფელები ჯერ კიდევ მიკროსაფინანსო სექტორში მოიაზრებოდა, სალომბარდე სესხების წილი მთლიან პორტფელში 55% იყო. აღნიშნული ორი სუბიექტის მიკრობანკად გარდაქმნის შემდგომ, 2025 წლის მეორე კვარტალის მონაცემებით, სალომბარდე სესხების წილი მთლიან სასესხო პორტფელში 76.8%-მდე გაიზარდა.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი აჩვენებს, რომ მიუხედავად მიკროსაფინანსო სექტორიდან ორი დიდი მოთამაშის გასვლისა, წლიდან წლამდე სალომბარდე სესხების სეგმენტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება, როგორც მოცულობის, ასევე მთლიან პორტფელთან მიმართებით წილის ჭრილში. აღნიშნული ტენდენციების მიზეზი არის „კრისტალისა“ და „ემბისის“ პორტფელების სტრუქტურა, რომლებიც ძირითადად სამომხმარებლო სესხების სეგმენტზე არის ორიენტირებული. სწორედ ამ გარემოების შედეგია, რომ მათი სექტორიდან გასვლის მიუხედავად სალომბარდე სესხების ჯამური მოცულობა არ შემცირდა, ხოლო აღნიშნული კატეგორიის სესხების წილი ჯამურ სესხებში გაიზარდა.


გრაფიკი 4. მიკროსაფინანსო სექტორის სალომბარდო სესხების დინამიკა და „რიკო ექსპრესის“ პორტფელის წილი სექტორის მთლიან სესხებში (მლნ ლარი)



წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

დამატებით აღსანიშნია, რომ მიკროსაფინანსო სექტორის სასესხო პორტფელის უდიდესი ნაწილი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებისგან შედგება. აღნიშნული განპირობებულია დაფინანსებისა და ჰეჯირების მაღალი ღირებულებით, რაც საბოლოო ჯამში მიკროსესხებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს იწვევს.


გრაფიკი 5. ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების პროპორცია ჯამურ ბრუტო პორტფელში (მლნ ლარი)



წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

რაც შეეხება საკრედიტო პორტფელის ხარისხს, ამ ნაწილში მიკროსაფინანსო სექტორი ინარჩუნებს გაუმჯობესების ტენდენციას, რაც ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი პორტფელის მაღალი წილითა და პორტფელის ზრდის ტემპით არის განპირობებული.


გრაფიკი 6. რეზერვისა და უმოქმედო სესხების წილი მიკროსაფინანსო სექტორის სასესხო პორტფელში (მლნ ლარი)



წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

მიკროსაფინანსო სექტორის სასესხო პორტფელი სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფას მოიცავს. ყველაზე დიდი წილი ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხზე მოდის. აღნიშნული ტენდენციის ძირითადი მიზეზი შპს „რიკო ექსპრესის“ პორტფელია, რომელიც თითქმის სრულად ოქროთი და სხვა ძვირფასი ლითონებითაა უზრუნველყოფილი.

გრაფიკი 7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი უზრუნველყოფის მიხედვით (მლნ ლარი)




წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

ინდუსტრიის სხვა მაჩვენებლები

2017 წლამდე, მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მშპ-ს ზრდის ტემპს, შესაბამისად, მთლიანი სასესხო პორტფელის ფარდობა მშპ-სთან სტაბილურად იზრდებოდა და 2016 წელს 3.9%-იან პიკს მიაღწია. ხოლო, 2017 წლიდან გამაცრებული რეგულაციების ფონზე, ამ მაჩვენებლის ეტაპობრივი კლება დაიწყო და 2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით .1.79%-მდე შემცირდა.

გრაფიკი 8. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი სასესხო პორტფელისა და მშპ-ს ზრდის ტემპები




წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>), საქსტატი

შენიშვნა: 2025 წლის 6 თვის მონაცემი განპირობებულია ორი მსხვილი მოთამაშის მიკრობანკად გადაკეთების შედეგად გამოწვეული შემცირებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაფინანსების სტრუქტურა ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურია. ბოლო წლებში, ვალდებულებების წილი სტრუქტურაში 64%-ის გარშემო მერყეობს.


გრაფიკი 9. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაფინანსების სტრუქტურა (მლნ ლარი)



წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

ნასესხები სახსრების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრებია წარმოდგენილი. ბოლო წლის განმავლობაშიც ზრდა სწორედ რეზიდენტი კომერციული ბანკებიდან მოზიდულ სახსრებში დაფიქსირდა, რაც ფინანსური გირავნობის ინსტრუმენტის გამოყენებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქტიურად ჩართვის შედეგია. ბოლო წლების განმავლობაში, დაფინანსების სტრუქტურაში კომერციული ბანკებისგან მოზიდული სახსრების წილი 85%-ის გარშემო მერყეობს.

გრაფიკი 10. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაფინანსების სტრუქტურა (მლნ ლარი)




წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

რაც შეეხება მოზიდული სახსრების ვალუტას, სექტორში შეინიშნება გაუმჯობესების ტენდენციები, რაც ლარის რესურსებზე გაზრდილ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. ბოლო წლების განმავლობაში, დაფინანსების სტრუქტურაში გაიზარდა ლარში მოზიდული რესურსების წილი, რისი მიზეზი ბანკებისგან ლარში მოზიდული სახსრების ზრდა და მიკროსაფინანსო სექტორის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გააქტიურებაა.

დამატებით, ვინაიდან „კრისტალისა“ და „ემბისის“ დაფინანსების სტრუქტურაში საკმაოდ მაღალი წილი ეკავა უცხოურ ვალუტაში მოზიდულ რესურსს, მათი მიკროსაფინანსო სექტორიდან გასვლამ სექტორის დაფინანსების სტრუქტურაში მნიშვნელოვნად შეამცირა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების წილი.


გრაფიკი 11. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მოზიდული სახსრები უცხოურ ვალუტაში (მლნ ლარი)



წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

დაფინანსებაზე წვდომის გაუმჯობესებასთან ერთად, მცირდება ნასესხების სახსრების საშუალო ღირებულება. აღნიშნულ ტენდენციაში როლს თამაშობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გააქტიურება, სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა მოიზიდონ ლარის რესურსი ხელსაყრელ პირობებში. აღნიშნული ტენდენცია სექტორისთვის პოზიტიურია, რადგან იმ ფონზე, როცა ამ ბაზარზე მყოფი სუბიექტების სასესხო პორტფელი თითქმის სრულად ლარშია დენომინირებული, ლარის საკრედიტო რესურსებზე წვდომა და მისი გაიაფება გაუმჯობესებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას და გააჯანსაღებს მათ საბალანსო პოზიციას.

გრაფიკი 12. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნასესხები სახსრების ღირებულება და პორტფელის შემოსავლიანობა



წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

C.3. სამომავლო სტრატეგია და მიზნები

სამომავლოდ, კომპანიის მიზანია მიკროსაფინანსო სექტორში ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და გამყარება, რაც ეფუძნება, როგორც ქსელის გაფართოებას, ისე საოპერაციო და ციფრული ინფრასტრუქტურის მუდმივ გაუმჯობესებას. ბოლო წლების განმავლობაში კომპანია აქტიურად ახორციელებს ფილიალების რაოდენობის ზრდას საქართველოს მასშტაბით, რითაც მნიშვნელოვნად ზრდის მომსახურების ხელმისაწვდომობას. მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში დამატებით გაიხსნა 20-მდე ფილიალი, რის შედეგადაც მათი რაოდენობა უკვე 70-ს აღწევს. ამ მიმართულებით გაფართოების ტენდენცია გაგრძელდება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს კომპანიის შესაძლებლობას, მიაწოდოს მომსახურება როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების დონეზე.

გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ბოლო სამი წლის განმავლობაში წარმატებით განხორციელდა კომპანია ALTA-ს პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს როგორც ბიზნესის საოპერაციო საჭიროებებს, ისე მარეგულირებელ მოთხოვნებს. ამ პროცესს წინ უძღოდა თანამშრომლების გადამზადება, რათა უზრუნველყოფილიყო პროგრამაზე შეუფერხებელი გადასვლა და მისი ეფექტური გამოყენება. ციფრული მიმართულებით ინვესტიციები გრძელდება, რაც კომპანიას აძლევს საშუალებას ოპტიმიზაცია გაუკეთოს შიდა პროცესებს, გაზარდოს ეფექტიანობა და გრძელვადიან პერსპექტივაში შეამციროს საოპერაციო ხარჯები.

მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება კომპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამჟამად მიმდინარეობს ციფრული ხელმოწერის სისტემის დანერგვა, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს დოკუმენტების ფიზიკური ხელმოწერის საჭიროებას, დააჩქარებს მომსახურების პროცესს და გაამარტივებს იურიდიული დოკუმენტაციის გაციფრულებას.

დამატებით, „კომპანია“ ახლო მომავალში გეგმავს ახალი, მაღალი სტანდარტის 100 კვ.მ.-იანი საცავის მშენებლობას, რომელიც გამოყენებული იქნება გაცემული სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში დაგირავებული ძვირფასი ნივთების შესანახად. ახალი ობიექტი აღჭურვილი იქნება მე-12 საფეხურის დაცვის სისტემით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების უმაღლეს დონეს. პროექტის საორიენტაციო მოცულობა 4 მლნ აშშ დოლარია. „ემიტენტი“ პროექტის დაფინანსებას კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან აპირებს. ამჟამად მოქმედი საცავი შედარებით მცირე ზომისაა და უსაფრთხოების უფრო დაბალი სტანდარტებით ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე, ახალი ობიექტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აქტივების დაცვის ხარისხს. მშენებლობის დასრულება და სრული მოწყობა დაგეგმილია მომდევნო ერთ წელიწადში.

კომპანია არ აპირებს ახალი ბიზნეს მიმართულებების ათვისებას, ვინაიდან არსებული ბიზნეს მოდელი უკვე დამკვიდრებული და მომგებიანია. სამომავლოდ აქცენტი გაკეთდება არსებული საქმიანობის გაღრმავებასა და ოპტიმიზაციაზე, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ ზრდას და კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას.

C.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები

C.4.1. ემიტენტის ბიზნესის სტრატეგიისა და მიზნების აღწერა, მათ შორის ფინანსური და არაფინანსური. ამასთან, კომპანიის სამომავლო გეგმების აღწერა

იხილეთ 3.C.3 ქვეპუნქტი - „სამომავლო სტრატეგია და მიზნები“.

C.4.2. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მიერ ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების შესახებ ინფორმაცია

არ არის რელევანტური კომპანიისთვის.

C.4.3. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუნარიობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების აღწერა

არ არის რელევანტური კომპანიისთვის.

C.5. საოპერაციო და კომერციული მიმოხილვა

C.5.1. თუ ემიტენტის ბიზნესის სპეციფიკისა და მომგებიანობისთვის მნიშვნელოვანია, ინფორმაცია ძირითადი პატენტების, ლიცენზიების, კომერციული ან ფინანსური კონტრაქტების ან წარმოების ახალი პროცესების შესახებ

კომპანიას 2007 წლიდან აღებული აქვს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის უვადო ლიცენზია, რომელიც მას აძლევს უფლებას გასცეს სალომბარდე სესხები და გაწიოს მისი მისთვის დაშვებული სხვა მომსახურება.

ამასთან, კომპანიას 2015 წლიდან აქვს პატენტი სასაქონლო ნიშნებზე, რაც მოიცავს „კომპანიის“ სახელწოდებას, ლოგოსა და ვიზუალურ აღწერილობას. აღნიშნულ სასაქონლო ნიშნებზე პატენტების ვადა გახანგრძლივდა 2025 წელს დამატებით 10 წლით, რისთვისაც კომპანიამ გადაიხადა შესაბამისი საფასური.

C.5.2. ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია, მისი ტიპების, წყაროების, ფასების ცვალებადობის/სტაბილურობის მიხედვით

არ არის რელევანტური კომპანიისთვის.

C.5.3. არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებელი ტექნოლოგიების აღწერა

როგორც საბუღალტრო პროგრამის, ისე სესხების საადრიცხვო სისტემის ფარგლებში, კომპანია თანამშრომლობს შპს „ალტა სოფტვეართან“.

ციფრული ხელმოწერის დასაწერად, კომპანია თანამშრომლობს აპირებს Signify-სთან.

დამატებით, AML მიმართულებით კომპანია თანამშრომლობს „სოფტგენტთან“, რომლის დახმარებით კომპანიამ დანერგა Transguard-ის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის (AML) სისტემა.

C.5.4. ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურების აღწერა

სესხის გაცემის და უზრუნველყოფის შეფასების პროცედურა

კომპანიის სალომბარდე დაკრედიტების პროცესი შემუშავებულია ისე, რომ უზრუნველყოს ბალანსი სწრაფ მომსახურებასა და რისკების ეფექტურ მართვას შორის.

პროცესი იწყება კლიენტის მიმართებით კომპანიის ნებისმიერ სერვის-ცენტრში, სადაც მოლარე-ოპერატორი, საკრედიტო ოფიცერი ან ფილიალის მენეჯერი აწვდის დეტალურ ინფორმაციას სესხის პირობების, პროცედურებისა და მოთხოვნების შესახებ.

კლიენტის მიერ გირაოს ნივთის წარდგენის შემდეგ, საკრედიტო ოფიცერი ახორციელებს მის ადგილზე შეფასებას. ეს პროცესი მოიცავს ნივთის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას და საბაზრო ღირებულების განსაზღვრას კომპანიის დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

სესხის ოდენობა დგინდება გირაოს შეფასებული ღირებულების პროპორციულად. რისკების მინიმიზაციისთვის, ფილიალის მენეჯერი ახორციელებს შეფასების დამოუკიდებელ ვერიფიკაციას, რაც ამცირებს როგორც ოპერაციული შეცდომების, ისე პოტენციური თაღლითობის ალბათობას.

პროცესის დასკვნით ეტაპზე ფორმდება სასესიო ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად ფიქსირდება კრედიტის პარამეტრები, გირაოს მახასიათებლები და ორივე მხარის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე კლიენტი იღებს სესხის თანხას ნაღდი ან უნაღდო ფორმით, მისი არჩევანის შესაბამისად.

მაღალი ღირებულების ნივთები, განსაკუთრებით ძვირფასი ლითონები, ყოველდღიურად გადაიზიდება ცენტრალურ საცავში, სადაც შიდა აუდიტის განყოფილება ახორციელებს დამატებით კონტროლს და ადარებს ფაქტობრივ მდგომარეობას დოკუმენტაციასთან.

C.5.5. მარკეტინგული პროგრამის აღწერა

მარკეტინგული კუთხით კომპანია ძირითადად ციფრულ სივრცეშია წარმოდგენილი. კომპანიას აქვს საკუთარი გვერდი ფეისბუქზე, სადაც რეგულარულად აწვდის ინფორმაციას მომხმარებლებს. ამის გარდა, კომპანიას აქვს ვებ-საიტი, სადაც დეტალურადაა მოცემული კომპანიის შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია.

დამატებით, კომპანია რეკლამებს ათავსებს საკუთარი ჩასარიცხი აპარატების ეკრანებზე.

C.5.6. ძირითადი მომხმარებლებისა და მომწოდებლების აღწერა მათი წილების მითითებით (შემოსავლის/შესყიდვების 10%-ის ტოლი ან მეტი)

კომპანიის სასესიო პორტფელის დივერსიფიკაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია. სულ მსესხებლების რაოდენობა (2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით): 208 334. ტოპ 10 მსესხებლის წილი მთლიან პორტფელში - 0.19%.

C.6. ემიტენტის კონკურენტული გარემო და ბაზარზე მისი პოზიცია

ყველა ძირითადი მაჩვენებლით, მპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ ერთპიროვნული ლიდერია მიკროსაფინანსო სექტორში. 2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, ბაზარზე ოპერირებს 29 ლიცენზირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებიც 375 ფილიალს და 3552 თანამშრომელს აერთიანებენ.

2025 წლის მეორე კვარტალის მონაცემებით, „რიკო ექსპრესის“ როგორც აქტივების, ისე მთლიანი სესხების მოცულობა მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი აქტივებისა და მთლიანი სესხების 45%-ია.

მიმდინარე მონაცემებით, მიკროსაფინანსო სექტორის ტოპ 10 კომპანიების სია შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	თანამშ. რაოდენობა	ფილი- ალები	სულ აქტივები (მლნ ლარი)	სესხების წმინდა პორტფელი (მლნ ლარი)	ბაზრის წილი (აქტივების მიხედვით)
რიკო ექსპრესი	767	70	866.3	738.1	45%
სვის კაპიტალი	501	35	281.6	243.6	15%
ლიდერკრედიტი	370	48	202.2	171.4	10%
სმარტ ფინანსი	107	12	92.4	87	5%
ევრო კრედიტი	131	22	85.9	80.7	4%
ლაზიკა კაპიტალი	433	19	66.6	62	3%
კრედიტსერვისი +	336	50	61.2	55.8	3%

ინტელექსპრესი	230	23	61.2	31	3%
სტანდარტ ფინანსი	136	16	46.1	39.4	2%
ბერმელი	93	25	46.1	39.4	2%
დანარჩენი მისო-ები	448	55	120.4	87.6	6%
სულ ჯამი	3,552	375	1,930.00	1,636.00	100%

წყარო: მიკროსაფინანსო ინდუსტრიის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (<https://nbq.gov.ge/data-of-microfinance-organizations>)

ბოლო წლების განმავლობაში, „ემიტენტის“ აქტივების წილი მიკროსაფინანსო სექტორის ჯამურ აქტივებში შემდეგნაირად იცვლებოდა:

წელი	2020	2021	2022	2023	2024	2025 Q2
ბაზრის წილი	31.14%	28.70%	30.18%	29.83%	31.98%	44.87%

ხოლო „ემიტენტის“ ბაზრის წილი „კრისტალისა“ და „ემბისის“ ამოკლებით წლების განმავლობაში შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

წელი	2020	2021	2022	2023	2024	2025 Q2
ბაზრის წილი	44.23%	41.19%	42.99%	42.22%	46.71%	44.87%

წინამდებარე ცხრილებში წარმოდგენილია ტოპ 5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შედარება საბაზრო პოზიციისა და მომგებიანობის კუთხით 2023 და 2024 წლების მდგომარეობით.

2023 წელი:

კოეფიციენტი	რიკო ექსპრესი	სვის კაპიტალი	ლიდერ- კრედიტი	სმარტ ფინანსი	ევრო კრედიტი
აქტივები (მლნ ლარი)	609.9	225.9	92.9	74.5	73.4
სასესხო პორტფელი (მლნ ლარი)	469.2	193.6	80.8	69.7	67.7
წმინდა მოგება (მლნ ლარი)	49.7	16.7	3.5	4.4	10.1
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	16.2%	19.7%	11.0%	21.8%	19.5%
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	10.9%	7.4%	3.8%	5.9%	13.8%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან პორტფელთან	0.25%	7.30%	8.66%	0.24%	11.23%
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	45.50%	59.00%	59.38%	67.25%	38.32%

2024 წელი:

კოეფიციენტი	რიკო ექსპრესი	სვის კაპიტალი	ლიდერ- კრედიტი	სმარტ ფინანსი	ევრო კრედიტი
აქტივები (მლნ ლარი)	725.2	244.0	200.7	83.4	76.7
სასესხო პორტფელი (მლნ ლარი)	618.0	227.3	167.6	79.1	67.8
წმინდა მოგება (მლნ ლარი)	49.7	21.2	5.3	4.8	11.8
უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	16.1%	22.7%	12.5%	19.3%	27.7%
უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	7.4%	8.7%	2.6%	5.8%	15.4%

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიან პორტფელთან	0.10%	7.13%	3.34%	0.15%	8.59%
მთლიანი ვალის კოეფიციენტი	55.40%	54.90%	76.00%	68.55%	27.37%

აქტივების და სასესხო პორტფელის მოცულობის თვალსაზრისით ცალსახა წანყვანი პოზიციასთან ერთად, „რიკო ექსპრესი“ უპირობო ლიდერია წმინდა მოგების კუთხითაც. 2024 წელს კომპანიის წმინდა მოგება 50.9 მლნ ლარი იყო, რაც ამავე პერიოდში მიკროსაფინანსო სექტორის ჯამური მოგების (133.6 მლნ ლარი) 38.2%-ია.

არსებული საბაზრო კონიუნქტურისა და სექტორული დინამიკის ანალიზი ადასტურებს „რიკო ექსპრესის“ დომინანტურ პოზიციას მიკროსაფინანსო ინდუსტრიაში. „კომპანიის“ კონკურენტული უპირატესობა ეფუძნება ძლიერი ბრენდის ცნობადობას, საქართველოს მასშტაბით განთავსებული ფილიალების ფართო ქსელს და მარტივ, მომხმარებელზე ორიენტირებულ მომსახურებას.

C.7. ინვესტიციები

C.7.1. ემიტენტის მიერ განხორციელებული მატერიალური ინვესტიციების აღწერა (თანხების მითითებით) თითოეული იმ პერიოდისთვის, რომელიც პროსპექტში წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებშია მითითებული

წინამდებარე ცხრილში მოცემულია კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2023, 2024, 2024 Q2 და 2025 Q2-ის მონაცემებით (ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად).

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

ინვესტიციის კატეგორია	2023	2024	2024 Q2	2025 Q2
მიწა და შენობა-ნაგებობები	1,199.29	2,872.06	2,507.04	-
ავეჯი და საოფისე ტექნიკა	806.44	1,628.43	670.30	655.84
ტრანსპორტი	621.75	299.53	45.71	360.18
<u>არამატერიალური აქტივები</u>	465.97	144.35	99.33	67.32.
ჯამი	3,093.45	4,944.37	3,322.39	1,083.34

C.7.2. ემიტენტის მიერ განხორციელებული იმ მატერიალური ინვესტიციების აღწერა, რომლებიც მიმდინარეობს პროცესშია, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა (ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ) და დაფინანსების სტრუქტურის (შიდა თუ მოზიდული სახსრებით) მიხედვით

„კომპანია“ ახლო მომავალში გეგმავს ახალი, მაღალი სტანდარტის 100 კვ.მ.-იანი საცავის მშენებლობა, რომელიც გამოყენებული იქნება გაცემული სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში დაგირავებული ძვირფასი ნივთების შესანახად. ახალი ობიექტი აღჭურვილი იქნება მე-12 საფეხურის დაცვის სისტემით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების უმაღლეს დონეს. პროექტის საორიენტაციო მოცულობა 4 მლნ აშშ დოლარია. „ემიტენტი“ პროექტის დაფინანსებას კომპანიის გაუნაწილებელი მოგებიდან აპირებს.

C.7.3. ინფორმაცია, ისეთი კომპანიების შესახებ, მათი წილების მითითებით, რომლებშიც ემიტენტი ფლობს წილს და რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და/ან მოგება-ზარალის შეფასებაზე (იგულისხმება შვილობილების გარდა არსებული წილების ფლობა)

არ არის კომპანიისთვის რელევანტური.

D. ორგანიზაციული სტრუქტურა

D.1. ჯგუფის წევრობა და შვილობილი კომპანიები

D.1.1. თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურისა და საქმიანობის მიმოხილვა, მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით; სიცხადისა და აღქმადობისთვის უმჯობესია ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგრამის გამოყენება

ემიტენტი არ არის ჯგუფის წევრი. კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული პარტნიორი, მის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი, ხოლო სტრატეგიული გადაწყვეტილებები, მათ შორის დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება და სხვა წესდების შესაბამისად გათვალისწინებული საკითხები სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის.

კომპანიის შიდა პროცესის აუდიტის პროცესის მართვისთვის შექმნილია აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი. დამატებით, კომპანიაში დანიშნულია კორპორატიული მდივანი ორგანიზაციის კარგი მმართველობითი პრინციპების დასაწესებლად და აღსასრულებლად.

პარალელურად, კომპანიაში ფუნქციონირებს დირექტორთა საბჭო. დირექტორთა საბჭოს წევრები ერთად იღებენ გადაწყვეტილებას კომპანიის მიმდინარე საოპერაციო საკითხებზე და ზედამხედველობას უწევენ ფილიალის მენეჯერებს ქვეყნის მასშტაბით, რაც გულისხმობს გამართულად მუშაობას, ფულადი ნაკადების/ინკასაციების კონტროლს და სხვა ყოველდღიურ სამუშაო პროცესს.

D.1.2. ემიტენტის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი, მათი სახელების, დაარსებისა და საქმიანობის ქვეყნის, მათში წილობრივი ფლობისა და ხმის უფლების მითითებით. ასევე, თუ ემიტენტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ჯგუფში შემავალ რომელიმე წევრზე, ამ დამოკიდებულების აღწერა

არ არის კომპანიისთვის რელევანტური.

E. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

E.1. ფინანსური მდგომარეობა

ემიტენტის ფინანსური მდგომარეობის, მასში მომხდარი ცვლილებებისა და საოპერაციო შედეგების აღწერა ყოველი წლისა და შუალედური პერიოდისთვის, რომელთათვისაც წარდგენილია ისტორიული ფინანსური ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს წლიდან წლამდე ფინანსურ ინფორმაციაში მომხდარი მატერიალური ცვლილებების მიზეზები და ანალიზი. ანალიზი უნდა მოიცავდეს ფინანსური მაჩვენებლების და თუ რელევანტურია, არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვას

წინამდებარე პუნქტში მოცემულია 2023 და 2024 სრული წლების აუდირებული ფინანსური მონაცემები. დამატებით, წარმოდგენილია 2024 და 2025 წლების 6 თვის არააუდირებული მონაცემები.

როგორც აუდირებული, ისე არააუდირებული მონაცემები წარმოდგენილია IFRS-ის სტანდარტების შესაბამისად.

E.1.1. მოგება-ზარალის უწყისი

მონაცემები მოცემულია ათას ლარში ('000)

	2023	2024	2024 6m	2025 6m
საპროცენტო შემოსავალი — სესხები	95,015	112,865	52,271	66,738
საპროცენტო შემოსავალი — ფულადი სახსრები და მოთხოვნები	6,144	4,078	2,677	1,045
საპროცენტო შემოსავალი — ჯამში	101,159	116,943	54,948	67,783
საპროცენტო ხარჯი — სავალო ფასიანი ქაღალდები	(10,319)	(13,186)	(7,357)	(6,645)
საპროცენტო ხარჯი — ნასესხები სახსრები	(7,315)	(6,844)	(2,430)	(6,980)
საპროცენტო ხარჯი — თამასუქები	(6,466)	(8,468)	(3,990)	(6,656)
საპროცენტო ხარჯი — სუბორდინირებული ვალი	-	(1,195)	-	(1,460)
საპროცენტო ხარჯი — საიჯარო ვალდებულებები	(497)	(481)	(249)	(370)
საპროცენტო ხარჯი — ჯამში	(24,597)	(30,174)	(14,026)	(22,111)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	76,562	86,769	40,922	45,672
საკრედიტო ზარალის ცვლილება	2,411	(265)	3,207	(462)
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ	78,973	86,504	44,129	45,210
საკომისიო შემოსავალი	8,230	6,901	3,449	5,976
საკომისიო ხარჯები	(1,353)	(1,527)	-	(1,712)
სავალუტო ოპერაციებიდან შემოსავალი/(ზარალი)	17,794	18,644	21,199	11,025
საკურსო სხვაობა	1,479	(2,410)	(2,458)	3,474
წარმოებული ინსტრუმენტები	(7,995)	(2,740)	(16,991)	(2,823)
სხვა შემოსავალი (ოქრო და სხვა)	618	1,042	566	1,507
არასაპროცენტო შემოსავალი — ჯამში	18,773	19,910	5,766	17,447
თანამშრომელთა ხარჯები	(22,139)	(28,324)	(10,318)	(17,250)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,850)	(5,342)	(5,057)	(10,253)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(7,319)	(9,410)	(2,577)	(5,601)
მარაგების ჩამოწერა	-	(1,040)	-	-
არასაპროცენტო ხარჯი — ჯამში	(34,308)	(44,116)	(17,952)	(33,104)
მოგება მოგების გადასახადამდე	63,438	62,298	31,943	29,553
მოგების გადასახადი	(13,668)	(12,594)	(3,010)	(8,126)
წლის წმინდა მოგება	49,770	49,704	28,933	21,427

შემოსავლის ჩამოლა

„კომპანიის“ შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სასესხო პორტფელიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, რაც ჯამური შემოსავლის 70-80%-ია. თუმცა, პარალელურად, შემოსავლები არსებითად დივერსიფიცირებულია სავალუტო ოპერაციებისა და ფულადი გზავნილების მიმართულებითაც. წლების მიხედვით „კომპანიის“ შემოსავლები შემდეგნაირად ნაწილდება:

შემოსავლის ტიპი	2023	2024	2024 6m	2025 6m
საპროცენტო შემოსავალი — სესხები	95,015	112,865	52,271	66,738
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან	17,794	18,644	21,199	11,025
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	8,230	6,901	3,449	5,976
საპროცენტო შემოსავალი — ფულადი სახსრები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6,144	4,078	2,677	1,045
ჯამი	127,183	142,488	79,596	83,071

ფულადი სახსრებიდან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს საბანკო ვადიანი ანაბრებიდან და მიმდინარე ანგარიშებიდან საპროცენტო შემოსავლებს. 2025 წლის პირველი ნახევარში აღნიშნული წყაროდან მიღებული შემოსავალი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ნაკლებია. აღნიშნულის მიზეზი არის, რომ 2024 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში „ემიტენტს“, როგორც საბანკო ანაბრებზე, ისე სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე საშუალოდ უფრო დიდი თანხები ჰქონდა განთავსებული, რამაც გამოიწვია უფრო დიდი საპროცენტო შემოსავლების მიღება.

რაც შეეხება თითოეული შემოსავლის წყაროს წილს ჯამურ შემოსავალში:

შემოსავლის ტიპი	2023	2024	2024 6m	2025 6m
საპროცენტო შემოსავალი — სესხები	74.7%	79.2%	65.7%	80.3%
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან	14.0%	13.1%	26.6%	13.3%
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	6.5%	4.8%	4.3%	5.1%
საპროცენტო შემოსავალი — ფულადი სახსრები და მოთხოვნები	4.8%	2.9%	3.4%	1.3%
ჯამი	100%	100%	100%	100%

საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან

სასესხო პორტფელის ზრდასთან ერთად იზრდება სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები. 2023 წლის სასესხო პორტფელის საშუალო მოცულობა 450 მლნ ლარი იყო, ხოლო ამავე პერიოდის საპროცენტო შემოსავალი სესხებიდან - 95 მლნ ლარი. რაც შეეხება 2024 წელს, პორტფელის საშუალო მოცულობა 550 მლნ ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავლები 112.8 მლნ ლარი იყო, რაც დაახლოებით 19%-იან ზრდას წარმოადგენს.

2025 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, სასესხო პორტფელის საშუალო მოცულობამ 680 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი 66.7 მლნ ლარი იყო. 2024 წლის იგივე პერიოდში საშუალო მოცულობა 500 მლნ ლარი იყო, საპროცენტო შემოსავალი კი - 52.3 მლნ ლარი. აღნიშნულ პერიოდში, სასესხო პორტფელი 36%-ით, ხოლო შემოსავლები 27.5%-ით გაიზარდა.

შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან

„კომპანია“ წლიდან წლამდე აქტიურად ანვითარებს სავალუტო კონვერტაციების სერვისს, რაც მზარდ შემოსავლებში აისახება. ნაღდი ფულის გადაცვლის გარდა, კომპანია 2025 წლიდან ვალუტის გაცვლის სერვისს კლიენტებს ონლაინადაც სთავაზობს. საშუალოდ, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები „კომპანიის“ მთლიანი შემოსავლის 13-15%-ია.

2023 წელს „ემიტენტმა“ სავალუტო ოპერაციებიდან 17.8 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო 2024 წელს - 18.6 მლნ, რაც 5.5%-იან ზრდას ნიშნავს.

2025 წლის 6 თვის მდგომარეობით, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი წინა წლის ანალოგიური პერიოდის 21 მლნ ლარიან შემოსავალთან შედარებით 47.6%-ით შემცირდა და 11 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წლის 6 თვის განსაკუთრებულად მაღალი შემოსავალი გამოწვეული იყო ამ პერიოდში ეროვნული ვალუტის კურსის მაღალი მერყეობა აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა სავალუტო ოპერაციებიდან შემოსავლების მისაღებად.

საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან

2023 წელს ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავალი 8.2 მლნ ლარი იყო, ხოლო 2024 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 18.8%-ით შემცირდა და 6.9 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წლის 6 თვის მონაცემებით, აღნიშნული წყაროდან მიღებული შემოსავალი 3.5 მლნ ლარი იყო. 2025 წლის 6 თვეში, ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიოები 68.5%-ით გაიზარდა და 5.9 მლნ ლარს მიაღწია.

ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლების წილი ჯამურ შემოსავალში საშუალოდ 4%-დან 6%-მდე მერყეობს.

ხარჯების ჩამლა

„რიკო ექსპრესის“ ყველაზე დიდი ხარჯი საპროცენტო ხარჯია. 2025 წლის 6 თვეში ამ კატეგორიის ხარჯი 22.1 მლნ ლარი იყო, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 57.6%-ით მეტია. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია, როგორც ბანკებისგან ნასესხები სახსრების ზრდიდან, ასევე თამასუქების გაყიდვიდან. კომპანიამ მოზიდული სახსრებით გაზარდა თავისი სალომბარდე სესხების პორტფელი.

რაც შეეხება 2023 წელს, საპროცენტო ხარჯი 24.6 მლნ ლარი იყო, ხოლო 2024 წელს - 30.1 მლნ ლარი, რაც 22%-იან ზრდას ნიშნავს. აღნიშნული ზრდის მიზეზიც ბანკებისგან ნასესხები სახსრებისა და გამოშვებული თამასუქების ზრდაა.

საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება

ფასს (IFRS) 9-ის თანახმად, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე „კომპანია“ ვალდებულია შეაფასოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების საშუალებით ხდება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დაშვებებს გაცემულ სესხებთან დაკავშირებით. რეზერვის ცვლილება აისახება მოგება-ზარალის უწყისში.

2023 წელს რეზერვი 2.4 მლნ ლარით შემცირდა, რაც დადებითაც აისახა „კომპანიის“ მოგება-ზარალზე. 2024 წელს რეზერვი მცირედით გაიზარდა, რამაც მოგება-ზარალის უწყისში -0.27 მლნ ლარის ხარჯი წარმოშვა. 2024 წლის 6 თვეში, რეზერვი კვლავ შემცირდა, რამაც 3.2 მლნ ლარის დადებითი ეფექტი გამოიწვია მოგება-ზარალზე, ხოლო 2025 წლის 6 თვეში რეზერვი გაიზარდა და მოგება-ზარალში 0.5 მლნ ლარის ხარჯად აისახა.

წარმოებული ინსტრუმენტები

„კომპანია“ როგორც სავალუტო რისკის ჰეჯირების, ისე საკურსო სხვაობიდან მოგების მიღების მიზნით (სპეკულაციურად) იყენებს სავალუტო სვოპებს, ძირითადად ლარი-დოლარი, ლარი-ევრო და დოლარი-ევრო სავალუტო წყვილებში. აღნიშნული ინსტრუმენტების ფარგლებში კონტრაქტები ძირითადად ადგილობრივი ბანკები არიან.

2023 წელს სვოპების გამოყენებასთან დაკავშირებულმა ხარჯმა 8 მლნ ლარი შეადგინა., ხოლო 2024 წელს - 2.7 მლნ ლარი. 2024 წლის 6 თვეში ეს ხარჯი 16.9 მლნ ლარი იყო, ხოლო 2025 წლის ანალოგიურ პერიოდში კომპანიამ ხარჯი 2.8 მლნ ლარი იყო.

საკურსო სხვაობა

„კომპანიის“ მოგება-ზარალში ასევე ფიგურირებს საკურსო სხვაობა, რომელიც „კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე არსებული სავალუტო პოზიციების გადაფასებიდან გამომდინარეობს. კომპანიას პოზიციები ძირითადად სამ ვალუტაში აქვს - ლარი, აშშ დოლარი და ევრო. 2023 წელს საკურსო სხვაობა დადებითი იყო და 1.5 მლნ ლარამდე შეადგინა. 2024 წელს საკურსო სხვაობა მინუსიანი იყო და 2.4 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წლის 6 თვეში ეს მაჩვენებელი -2.5 მლნ ლარი იყო, ხოლო 2025 წლის ანალოგიურ პერიოდში 3.5 მლნ ლარი.

საკომისიო ხარჯები

საკომისიო ხარჯები მოიცავს დაკავშირებულ მხარისთვის (შპს „რიკო ფეისთვის“) გადახდილ საკომისიოებს, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული კომპანიის მხრიდან საგადახდო ტერმინალებით მომსახურების საფასურს. აღნიშნული ტერმინალების გამოყენებით, „ემიტენტის“ კლიენტები ახდენენ სესხების ძირისა და პროცენტის დაფარვას. 2023 წელს, „კომპანიამ“ 1.35 მლნ ლარის საკომისიოები გადაიხადა, ხოლო 2024 წელს - 1.53 მლნ. პორტფელის მოცულობისა და გაცემული სესხების ზრდასთან ერთად გაიზარდა, 2025 წლის პირველ 6 თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკომისიო ხარჯი და 1.7 მლნ ლარი შეადგინა.

მარაგების ჩამოწერა

2024 წლის ანგარიშგების თანახმად, კომპანიამ 1.04 მლნ ლარის ღირებულების მარაგები ჩამოწერა. აღნიშნული მოიცავს ბალანსზე აღრიცხული დასაკუთრებული ოქროს რეზერვის ჩამოწერის ხარჯს, რომლის საპირწონედ იმავე პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში სხვა შემოსავლების მუხლში ჩანს 1.04 მლნ ლარის შემოსავალი.

ეს გამოწვეულია იმით, რომ 2023 წელს ახალი საადრიცხვო სისტემის დანერგვამდე, ძველ სისტემაში ტექნიკური შესაძლებლობების არ არსებობიდან გამომდინარე, ჩამოწერილი სესხები, მათი უზრუნველყოფა და უზრუნველყოფის გამოყენებით ამოღებული თანხები განსხვავებულად აღირიცხებოდა (კომპანია ვერ იყენებდა „რეზერვის ამოტრიალების“ მეთოდს). 2024 წლის მოგება-ზარალში არსებული ჩამოწერა და მის საპირწონედ შეტანილი სხვა შემოსავალი წარმოადგენს ძველი პერიოდიდან გადმოყოლილი ნაშთების შედეგს. „ალტას“ საადრიცხვო სისტემის დანერგვის შემდეგ კომპანიას გაუჩნდა შესაძლებლობა, აღნიშნული ოპერაცია აღრიცხოს „რეზერვის ამოტრიალების“ გზით. *თანამშრომელთა ხარჯები*

„კომპანიის“ კიდევ ერთი მოცულობით ხარჯი პერსონალზე გაცემული ხელფასებია. კომპანიის ზრდასთან ერთად, იზრდება როგორც თანამშრომელთა რაოდენობა, ასევე მათი ხელფასები. 2023 წელს თანამშრომელთა ხარჯი 22.1 მლნ ლარი იყო, ხოლო 2024 წელს 28 მლნ ლარი, რაც 26.7%-იან ზრდას ნიშნავს. 2025 წლის 6 თვეში აღნიშნული ხარჯი 17.3 მლნ-ს გაუტოლდა, რაც 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 67.9%-იანი ზრდაა.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

„კომპანიის“ სხვა ადმინისტრაციული ხარჯები პერიოდების მიხედვით შემდეგნაირად იშლება:

ხარჯის დასახელება	2023	2024	2024 6m	2025 6m
ძირითადი საშუალებების რემონტი და ტექმომსახურება	1,464	2,620	644	848
კავშირგაბმულობის და კომუნალური მომსახურება	1,691	1,870	319	437
დაცვის ხარჯი	874	1,107	542	626
ბანკის საკომისიო	94	582	70	82
სხვა ხარჯები	465	554	86	900
სამივლინებო ხარჯი	214	524	248	214
სადაზღვევო ხარჯები	1,197	461	21	3
საოპერაციო გადასახადები	165	421	304	312
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	422	400	15	17
სარეკლამო ხარჯი	22	292	135	191
საოფისე აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები	277	248	140	123
იჯარა და ქირა	185	174	-	1,789
წარმომადგენლობითი ხარჯები	249	157	53	57
ჯამი	7,319	9,410	2,577	5,601

მოგების გადასახადი

„ემიტენტის“ დარიცხული მოგების გადასახადი 2023 წელს 13.7 მლნ ლარი იყო, ხოლო 2024 წელს 12.6 მლნ ლარი, რაც 8%-იან კლებას ნიშნავს. 2024 წლის 6 თვის მონაცემებით, დარიცხული მოგების გადასახადი 3 მლნ ლარი იყო, ხოლო 2025 წლის ანალოგიური პერიოდისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 2.7-ჯერ გაიზარდა და 8.1 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდის მიზეზი „კომპანიის“ მიერ შიდა აღრიცხვაში მოგების გადასახადის დარიცხვის პრინციპის ცვლილებაა. „კომპანია“ 2025 წლიდან მოგების გადასახადის დარიცხვას ახდენს ყოველთვიურად, რაც იწვევს წლის შიდა ანგარიშგებებში დარიცხული მოგების გადასახადის უფრო მაღალ მაჩვენებელს.

E.1.2. საბალანსო უწყისი

მონაცემები მოცემულია ათას ლარში ('000)

	2023	2024	2024 6m	2025 6m
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,961	68,264	63,006	81,547
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	46,207	-	-	-
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	642	262	491	1,125
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	469,233	618,018	531,197	746,113
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,517)	(618)	(1,706)	(1,080)
აქტივების გამოყენების უფლება	5,290	5,081	6,254	4,907
ძირითადი საშუალებები	16,127	18,013	33,038	30,270
არამატერიალური აქტივები	831	816	854	1,207
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	-	276	-	-
სხვა აქტივები	18,111	15,144	11,370	5,558
სულ აქტივები	609,885	725,256	644,504	869,646

გამოშვებული მარტივი თამასუქები	100,937	145,722	123,365	174,358
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	2,900	-	1,363	7,631
ნასესხები სახსრები	42,189	99,258	56,004	189,503
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	129,693	128,907	130,458	128,514
საიჯარო ვალდებულებები	4,644	3,154	3,848	2,965
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	3,991	4,517	4,080	4,517
სუბორდინირებული ვალი	-	25,000	-	25,000
სხვა ვალდებულებები	10,279	16,921	6,875	16,925
სულ ვალდებულებები	294,633	423,479	325,992	549,413
საწესდებო კაპიტალი	1,584	1,584	1,584	1,584
გაუნაწილებელი მოგება	313,668	300,193	299,778	301,500
გადაფასების რეზერვი			17,149	17,149
სულ საკუთარი კაპიტალი	315,252	301,777	318,512	320,233
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	609,885	725,256	644,504	869,646

„ემიტენტის“ აქტივების შესახებ

მთლიანობაში, წლიდან წლამდე „კომპანიის“ აქტივები მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდით.

2023 წლის ბოლოს „კომპანიის“ აქტივები 610 მლნ ლარი იყო, ხოლო 2024 წლის ბოლოს - 725 მლნ ლარი, რაც 18.9%-იან ზრდას ნიშნავს.

2025 წლის 6 თვის მდგომარეობით კომპანიის აქტივები შეადგენდა 869.6 მლნ ლარს, მაშინ როდესაც 2024 წლის 6 თვის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი 644.5 მლნ ლარი იყო. აქტივების 2025 წლის 6 თვის მონაცემი წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 34.9%-ით არის გაზრდილი.

აქტივების ძირითადი კატეგორიებია:

- I. გაცემული სესხები - 2025 წლის 6 თვის ანგარიშგების მიხედვით, სასესხო პორტფელი კომპანიის აქტივების დაახლოებით 86%-ს შეადგენს. სესხების მოცულობა 2025 წლის მეორე კვარტალში 746 მლნ ლარი იყო, ხოლო 2024 წლის ბოლოს 618 მლნ ლარი.
- II. ფულადი სახსრები და ნაშთები კომერციულ ბანკებში - სესხების შემდეგ, ყველაზე დიდი მოცულობის აქტივს წარმოადგენს ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, რომელიც 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით შეადგენს მთლიანი აქტივების 9.5%-ს. ამ თარიღით, ნაღდი ფული და ნაშთები ბანკებში შეადგენდა 81.5 მლნ ლარს, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2024 წლის ბოლოს 68 მლნ ლარი იყო.
- III. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - წლების განმავლობაში, აქტივების 2-5%-ია ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რომლებიც დიდწილად მოიცავს „კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებს, მათ შორის ფილიალებს. 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით, ამ ტიპის აქტივების ჯამური ღირებულება 30.3 მლნ ლარი იყო.

IV. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ - „კომპანიას“ პერიოდულად აქვს ჭარბი ფულადი სახსრები, რომელსაც ის საბანკო ანაბრებზე ანთავსებს. 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, ასეთი თანხები 46.2 მლნ ლარი იყო. სხვა წარმოდგენილ პერიოდებზე ამ ტიპის განთავსება არ ფიქსირდება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან, მაღალ ლიკვიდურ ანაბრებს 90 დღის ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად და აქვთ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ფულადი სახსრების ტიპი	2023	2024	2024 6m	2025 6m
ნაღდი ფული	45,015.00	29,577.00	40,642.60	50,244.41
ფულადი სახსრები კომერციულ ბანკებში	9,946.00	38,687.00	22,363.44	31,302.55
სულ	54,961.00	68,264.00	63,006.04	81,546.96

გაცემული სესხების პორტფელი

გაცემული სესხების სტრუქტურა მკაფიოდ ასახავს კომპანიის სტრატეგიულ პრიორიტეტებს. პორტფელი იყოფა ორ ძირითად კატეგორიად - სალომბარდო სესხებად და იპოთეკურ სესხებად. იპოთეკური სესხების გაცემას კომპანია წლებია აღარ ახორციელებს, რადგან აღნიშნული მიმართულება სტრატეგიიდან ამოღებულია. შესაბამისად, იპოთეკური სესხების წილი პორტფელში ყოველწლიურად მცირდება და მისი მართვა შემოიფარგლება მხოლოდ არსებული სესხების ადმინისტრირებითა და განრიგით მომსახურებით.

მიმდინარე მდგომარეობით, სალომბარდო სესხებზე მაღალი კონცენტრაციიდან გამომდინარე, კომპანიის სასესხო პორტფელის დივერსიფიკაციის ხარისხი დაბალია.

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია „კომპანიის“ სასესხო პორტფელი პერიოდების მიხედვით. წლიური მონაცემები მოცემულია აუდირებული ანგარიშგების საფუძველზე, ხოლო 6 თვის მაჩვენებლები - ბასს 34-ის შესაბამისად.

ათასი ლარი	2023	2024	2024 6m	2025 6m
სალომბარდო სესხები	459,522	609,960	522,075	739,715
იპოთეკური სესხები	9,711	8,058	9,122	6,398
ჯამი	469,233	618,018	531,197	746,113

ეს ტენდენცია წარმოდგენილ ცხრილშიც ნათლად ჩანს: 2023 წელს იპოთეკური სესხების წილი მთლიანი პორტფელის 2% იყო, 2024 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 1.3%-მდე შემცირდა, ხოლო 2025 წლის მეორე კვარტალში - მხოლოდ 0.85%-ს შეადგენდა. პარალელურად, სალომბარდო სესხების წილი სტაბილურად იზრდებოდა და 2025 წლის ივნისში უკვე 99.1%-ს მიაღწია, რაც მიუთითებს კომპანიის კონცენტრირებულ საქმიანობაზე ამ მიმართულებით.

სალომბარდო სესხების ასეთი დომინანტური წილი ადასტურებს კომპანიის აქცენტს კონკრეტულ ბიზნეს სტრატეგიაზე: აქცენტი მოკლევადიან, გირაოთი უზრუნველყოფილ სესხებზე, რომლებიც მაღალი ბრუნვისა და მოთხოვნის მქონე პროდუქტია. შედეგად, კომპანიის მთლიანი სესხების პორტფელი 2023 წლის ბოლოს 469 მლნ ლარიდან 2025 წლის მეორე კვარტალში 746 მლნ ლარამდე გაიზარდა, სადაც თითქმის სრული მოცულობა სწორედ სალომბარდო სესხებზე მოდის.

კომპანიის სასესიო პორტფელის ზრდას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი მათგანია გაძლიერებული მარკეტინგული აქტივობები, რომელთა მიზანიაა მომხმარებელთა ბაზის გაფართოება და ბრენდის ცნობადობის ზრდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია გაყიდვების არხების გაფართოება, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით ახალი ფილიალების გახსნას გულისხმობს და, შესაბამისად, სერვისებზე ხელმისაწვდომობას ზრდის. დამატებით, ოქროს ფასის მატებამ საერთაშორისო ბაზრებზე პოზიტიური გავლენა მოახდინა სესხების მოცულობაზე: ვინაიდან კომპანიის სესხების უმრავლესობა უზრუნველყოფილია ოქროთი, მომხმარებლებს მიეცათ შესაძლებლობა უფრო მაღალი მოცულობის სესხების აღებისა.

სალომბარდო სესხები ძირითადად გაიცემა ერთწლიანი ვადით, მაქსიმალური ოდენობით 100,000 ლარი. სესხის ვადა ავტომატურად გახანგრძლივდება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი აგრძელებს საპროცენტო გადასახადების პერიოდულ დაფარვას. ყველა სესხი უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით, ხოლო საშუალო LTV მაჩვენებელი დაახლოებით 90%-ს შეადგენს.

კომპანიის მსესხებელთა ბაზა დივერსიფიცირებულია. მაგალითად, ტოპ 10 მსესხებლის წილი მთლიანი პორტფელის მხოლოდ 0.19%-ს შეადგენს, რაც მიუთითებს მსესხებელთა ბაზის კუთხით დაბალ კონცენტრაციის რისკზე.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ვადაგადაცილებული სესხების სტატისტიკა:

ათასი ლარი	2023 - აუღირებული	წილი	2024 - აუღირებული	წილი	2025 6m - არააუღ.	წილი
0-30 დღიანი ვადაგადაცილება	461,255	98.30%	612,633	99.13%	733,281	98.28%
30-60 დღიანი ვადაგადაცილება	3,863	0.82%	4,319	0.70%	5,328	0.71%
60-90 დღიანი ვადაგადაცილება	1,986	0.42%	1,026	0.17%	3,765	0.50%
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,129	0.45%	40	0.01%	3,739	0.50%
სულ	469,233	100%	618,018	100%	746,113	100%

როგორც ცხრილში ჩანს, ვადაგადაცილებების ჯამური მაჩვენებელი 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით ოდნავ გაზრდილია, თუმცა აღნიშნული ზრდა არ არის მატერიალური.

რაც შეეხება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, წლების განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 0.1-0.4%-ია (IFRS-ის სტანდარტების მიხედვით).

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

აღნიშნული საბალანსო მუხლი მოიცავს კომერციულ ბანკებში განთავსებულ ვადიან ანაბრებს. როგორც საბალანსო უწყისიდან ჩანს, აღნიშნული ტიპის აქტივი მხოლოდ 2023 წლის ბოლოს ჰქონდა „კომპანიას“. ამ პერიოდისთვის, კომპანიას გაუჩნდა ქარბი ფულადი სახსრები. დამატებითი სარგებლის მიღების მიზნით, „ემიტენტის“ მენეჯმენტმა გადაწყვიტა აღნიშნული ფულადი სახსრები დროებით განეთავსებინა კომერციული ბანკების ვადიან ანაბრებზე.

ძირითადი საშუალებები

2025 წლის 6 თვის არააუღირებელ მონაცემებზე დაყრდნობით, კომპანია ფლობს 30.3 მლნ ლარის ჯამური ღირებულების ძირითად საშუალებებს. ძირითადი საშუალებები მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს,

სხვადასხვა ტიპის საოფისე და კომპიუტერულ ტექნიკას და სხვა საშუალებებს. ამ კატეგორიის აქტივში შედის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, სადაც განთავსებულია „კომპანიის“ ფილიალები.

კატეგორია	2023	2024	2024 6m	2025 6m
მიწა და შენობა-ნაგებობები	10,030	12,223	27,391	24,507
კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	3,084	3,122	3,568	3,598
საოფისე აღჭურვილობა	1,684	1,397	897	749
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	1,329	1,271	1,182	1,416
ჯამი	16,127	18,013	33,038	30,270

აქტივების გამოყენების უფლება

აღნიშნულ საბალანსო მუხლი მოიცავს იმ იჯარით აღებულ უძრავ ქონებებს, სადაც კომპანიას საკუთარი ფილიალები აქვს გახსნილი. 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით, ჯამური ღირებულება 4.9 მლნ ლარია. აღნიშნული მონაცემი წინა პერიოდებთან შედარებით შემცირებულია, რაც გამოწვეულია „კომპანიის“ მიერ ზოგიერთი ქონების შესყიდვით და დანარჩენი ქონებების ცვეთით.

სხვა აქტივები

„კომპანიის“ სხვა აქტივები პერიოდების მიხედვით შემდეგნაირად იშლება:

სხვა აქტივები	2023	2024	2024 6m	2025 6m
მოთხოვნები ფულადი გზავნილების მიმართ	10,640	2,243	7,923	2,878
ოქროს ზოდები	2,677	6,358	-	-
დასაკუთრებული სამკაული	3,271	4,119	2,873	1,867
სხვა	1,523	2,424	574	813
ჯამი	18,111	15,144	11,370	5,558

ფულადი გზავნილების მიმართ მოთხოვნები - აღნიშნული მოთხოვნები ფორმირდება ფულადი გზავნილების ოპერაციების განხორციელების პროცესში. ეს თანხები მოიცავს „რიკო ექსპრესის“ პარტნიორი კომპანიების დავალიანებას „კომპანიის“ მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტივები ხასიათდება მაღალი ლიკვიდურობით - სტანდარტული ციკლი ითვალისწინებს დავალიანების დაფარვას 5 სამუშაო დღემდე ვადაში.

„ემიტენტის“ ვალდებულებების შესახებ

„კომპანიის“ ვალდებულებები ძირითადად სხვადასხვა ფორმით ნასესხების სახსრებისგან შედგება. დაფინანსების ძირითადი წყაროებია: საბანკო სესხები, გამოშვებული თამასუქები, საჯარო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული სამი წყაროდან მოზიდული სახსრები კომპანიის ვალდებულებების 89%-ზე მეტია.

2025 წლის 6 თვის მდგომარეობით კომპანიის ჯამურმა ვალდებულებებმა 549.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 68.5%-ით მეტია. ვალდებულებების აღნიშნული ზრდა ძირითადად განხორციელდება ბანკებისგან ნასესხები სახსრებისა (ზრდა: 56 მლნ-დან 189 მლნ-მდე) და გამოშვებული მარტივი თამასუქების ხარჯზე (ზრდა: 123.4 მლნ-დან და 174. მლნ-მდე).

მარტივი თამასუქები

დაფინანსების სტრუქტურაში „კომპანია“ წლებია აქტიურად იყენებს თამასუქებს. „კომპანიას“ თამასუქის შესახებ ინფორმაცია განთავსებული აქვს საკუთარ ვებ-გვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს პროდუქტთან შედარებით ზოგადი ინფორმაცია. შესყიდვით დაინტერესების შემთხვევაში, პირი

მიდის „ემიტენტის“ ფილიალში, შეაქვს თამასუქის შესაძენი თანხა და იღებს თამასუქის მკაცრი აღრიცხვის ბლანკს.

წლიდან წლამდე გამოშვებული თამასუქების ბალანსი სტაბილურად იზრდება. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2025 წლის 6 თვის ბოლოს მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული ჰქონდა მოკლევადიანი (ძირითადად, ერთწლიანი) პროცენტიანი მარტივი თამასუქები, რომლებიც დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში:

ვალუტა	2023	2024	2024 6m	2025 6m
ლარი	20,080	54,740	54,156	91,285
აშშ დოლარი	80,857	89,522	68,757	81,542
ევრო	-	1,460	452	1,531
სულ	100,937	145,722	123,365	174,358

სუბორდინირებული ვალი

2024 წლის 5 აგვისტოს კომპანიამ მფლობელისგან მიიღო ლარში გამოხატული სუბორდინირებული სესხი წლიური 11.78% საპროცენტო განაკვეთით. სესხის დაფარვის ვადაა 2034 წლის აგვისტო.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2023 წლის მარტში კომპანიამ გამოუშვა და ქართულ საფონდო ბირჟაზე განათავსა 3-წლიანი ლარში გამოხატული ობლიგაციები ნომინალური ღირებულებით 130 მლნ ლარი და კუპონური განაკვეთით TIBR+2%. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით საბალანსო ღირებულებით 169 მლნ ლარი.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება

„კომპანია“ 2025 წლიდან მოგების გადასახადის დარიცხვას ახდენს ყოველთვიურად. ამის შედეგად, 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით დარიცხული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება წინა წლის ანალოგიური პერიოდის 1.4 მლნ ლარიდან 7.6 მლნ ლარამდე გაიზარდა.

სხვა ვალდებულებები

„კომპანიის“ სხვა ვალდებულებები პერიოდების ჭრილში შემდეგნაირად იშლება:

სხვა ვალდებულებები	2023	2024	2024 6m	2025 6m
ვალდებულებები ფულად გზავნილებზე	4,069	2,084	3,060	4,981.00
კლიენტის წინსვებით ან ზედმეტობით ჩარიცხული თანხები	1,759	5,128	1,079	8,497.00
გადასახადები (მოგების გარდა)	601	1,596	1,299	1,126.00
მოთხოვნილი მარტივი თამასუქები	1,207	-	-	-
თანამშრომლების ბონუსები	2,324	5,036	-	-
დარიცხული გასაცემი ხელფასები და სხვა	319	3,077	1,537	2,321.00
სულ	10,279	16,921	6,875	16,925.00

„ემიტენტის“ კაპიტალის შესახებ

„კომპანიის“ კაპიტალი დიდ წილად გაუნაწილებელი მოგებისგან შედგება. 2023 წლის დასაწყისში, კაპიტალი 300.5 მლნ ლარი იყო, საიდანაც 1.58 მლნ ლარი საწესდებო კაპიტალი, ხოლო 299 მლნ ლარი - გაუნაწილებელი მოგება იყო. 2023 წელს, „კომპანიამ“ 49.7 მლნ ლარის მოგების გენერირების პარალელურად, დამფუძნებელზე 35 მლნ ლარის დივიდენდი გასცა. 2023 წლის ბოლოსთვის, ჯამური კაპიტალი 315 მლნ ლარამდე გაიზარდა.

შემდეგ, 2024 წელს „კომპანიის“ მოგებამ კვლავ 49.7 მლნ შეადგინა, ხოლო გაცემული დივიდენდების მოცულობამ - 63.2 მლნ ლარი. აღნიშნული შედეგად, „კომპანიის“ კაპიტალი 2024 წლის ბოლოს 301.7 მლნ ლარამდე შემცირდა.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება აუდირებული მონაცემების საფუძველზე 2023-2024 წლებისთვის (ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	1,584	298,960	300,544
წლის მოგება		49,770	49,770
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	49,770	49,770
გამოცხადებული დივიდენდები	-	(35,062)	(35,062)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,584	313,668	315,252
წლის მოგება	-	49,705	49,705
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	49,705	49,705
გამოცხადებული დივიდენდები	-	(63,180)	(63,180)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,584	300,193	301,777

2025 წლის 6 თვის მდგომარეობით, „კომპანიის“ კაპიტალი 320.2 მლნ ლარია. ზრდა გამოწვეულია გაუნაწილებელი მოგების ზრდით და ძირითადი საშუალებების გადაფასებით. ამასთან, 2025 წლის 6 თვის მონაცემებით „კომპანიამ“ 20 მლნ ლარის დივიდენდი გადაიხადა.

E.1.2. ფულადი ნაკადების უწყისი

მონაცემები მოცემულია ათას ლარში ('000)

	2023	2024	2024 6M	2025 6M
მიღებული პროცენტი	94,053	112,043	52,271	75,233
გადახდილი პროცენტი	(24,854)	(29,608)	(14,026)	(20,140)
შემოსულობა დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან	26,215	20,373	17,557	3,028
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ვაჭრობის ოპერაციებიდან და უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	10,260	18,643	5,239	11,025
ფულადი გზავნილებიდან საკომისიო შემოსავალი	9,583	6,901	3,449	8,772
გადახდილი საკომისიოები	(1,353)	(1,527)	-	-
სხვა შემოსავალი	553	462	375	-
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(20,715)	(21,555)	(10,318)	(13,051)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(4,501)	(13,790)	(4,652)	(4,865)
საოპერაციო ფულადი ნაკადები ცვლილებებამდე	89,241	91,942	49,895	60,002
სესხები მომხმარებლებზე	(61,127)	(172,190)	(31,775)	(131,543)
სხვა აქტივები	(2,243)	6,179	(6,741)	-
სხვა ვალდებულებები	(4,954)	3,219	3,404	(4,017)
საოპერაციო ფულადი ნაკადი დაბეგვრამდე	20,917	(70,850)	14,783	(75,557)

გადახდილი მოგების გადასახადი	(12,951)	(15,770)	(3,009)	(7,334)
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი	7,966	(86,620)	11,774	(82,892)
წმინდა განადღება/განთავსება საბანკო ანაბრებიდან	(46,207)	46,207	10,512	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,859)	(5,169)	(3,233)	(1,018)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	27	12	10	-
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადი	(49,039)	41,050	7,289	(1,018)
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	160,200	187,000	62,000	597,850
შემოსულობა გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდებიდან	129,326	-	-	-
შემოსულობა სუბორდინირებული ვალიდან	-	25,000	-	(1,387)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(250,656)	(130,081)	(55,798)	(508,784)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,544)	(3,149)	(1,130)	(1,787)
გამოშვებული (გადახდილი) მარტივი თამასუქები, წმინდა	(13,416)	43,475	22,428	30,543
გადახდილი დივიდენდები	(35,062)	(63,180)	(36,060)	(20,120)
წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადი	(12,152)	59,065	(8,560)	96,314
გაცვლითი კურსის ეფექტი	(1,344)	(192)	(2,458)	879
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(54,569)	13,303	8,045	13,283
დასაწყისის ფულადი სახსრები	109,530	54,961	54,961	68,264
დასასრულის ფულადი სახსრები	54,961	68,264	63,006	81,547

საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები

საოპერაციო ფულადი ნაკადების დინამიკა „კომპანიის“ აქტიურ ზრდას ასახავს. 2023 წელს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადმა 8 მლნ ლარამდე შეადგინა. 2024 წელს კომპანიამ რესურსები მიმართა სასესხო პორტფელის ზრდისკენ, რამაც გამოიწვია -86.6 მლნ ლარის წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები. აღნიშნული სწრაფი ზრდის მიზეზი ორგანოა: 1) ოქროს ფასის ზრდის ფონზე, არსებულმა კლიენტებმა უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის ფარგლებში გაზარდეს აღებული სესხის მოცულობა, 2) კომპანიამ მოიზიდა ახალი კლიენტები.

2024 წლის 6 თვეში „კომპანიის“ ნეტ საოპერაციო ფულად ნაკადები 11.8 მლნ ლარი იყო, 2025 წლის ანალოგიურ პერიოდში, პორტფელის სწრაფი ზრდის ფონზე ამ მაჩვენებელმა -82.9 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნია, რომ 2025 წელს სასესხო პორტფელის ექსპანსიის თანმხლებია საპროცენტო შემოსავლების სტაბილური ზრდა.

საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები

2023 წელს „კომპანიამ“ 49 მლნ ლარი განათავსა საბანკო ანაბრებზე. 2024 წელს აღნიშნული თანხები კომპანიამ უკან დაიბრუნა.

სხვა მხრივ, „კომპანია“ ყოველწლიურ ინვესტიციას ახორციელებს ძირითად საშუალებებში, რაც მოიცავს ფილიალების გასასხნელად საჭირო უძრავი ქონებების შეძენას და მათ რემონტს. 2023 წელს „კომპანიამ“ საინვესტიციო საქმიანობაში 2.9 მლნ ლარი დახარჯა, ხოლო 2024 წელს 5.2 მლნ ლარი. 2024 წლის 6 თვეში

„კომპანიის“ წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადი 7.3 მლნ ლარი, ხოლო 2025 წლის 6 თვეში ეს მაჩვენელი 1.02 მლნ ლარი იყო.

საფინანსო საქმიანობიდან ფულადი ნაკადები

„კომპანიის“ საფინანსო საქმიანობა ფულადი სახსრების მოზიდვას და მათ მომსახურებას მოიცავს. 2023 წელს „კომპანიამ“ პირველად გამოუშვა საჯარო ობლიგაცია, რომლის საშუალებით მან 130 მლნ ლარი მოიზიდა. დამატებით, ამავე წელს „კომპანიამ“ 160 მლნ ლარი მოიზიდა კომერციული ბანკებისგან. რაც შეეხება გადახდებს, 2023 წელს „კომპანიამ“ 250 მლნ ლარი ნასესხები სახსრები დააბრუნა, ხოლო დამფუძნებელს 35 მლნ ლარი დივიდენდი გადაუხადა.

2024 წელს „კომპანიამ“ დამატებით კომერციული ბანკებისგან 187 მლნ ლარი, ხოლო დამფუძნებლისგან 25 მლნ ლარის სუბორდინირებული სესხი მოიზიდა. ამავე წელს, „კომპანიამ“ 130 მლნ ლარზე მეტი ნასესხები სახსრები დააბრუნა, ხოლო დამფუძნებელს 63 მლნ ლარზე მეტი დივიდენდი გადაუხადა.

2025 წლის 6 თვეში, „კომპანიამ“ 508 მლნ ლარი ნასესხები სახსრები დაფარა, ხოლო ისესხა 597 მლნ ლარი. აღნიშნულ ნასესხებ სახსრებში მოიაზრება კომერციული ბანკების სესხები, რომელთაც „კომპანია“ ვადამოსულობის მიხედვით პერიოდულად ფარავს და შემდეგ დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში ისევ ითვისებს. დამატებით, ამავე პერიოდში, „კომპანიამ“ 20 მლნ ლარი დივიდენდი გადაიხადა.

წარმოდგენილი პერიოდების ბოლოს ფულადი ნაკადები შემდეგნაირად გაიზარდა/შემცირდა:

	2023	2024	2024 6m	2025 6m
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(54,569)	13,303	8,045	13,283

E.2. საოპერაციო შედეგები

E.2.1. იმ მნიშვნელოვანი ფაქტორების, მათ შორის მნიშვნელოვანი მოვლენების ან განვითარების ტენდენციების აღწერა, რომელიც მატერიალურ გავლენას ახდენს ემიტენტის საოპერაციო შემოსავალზე

საოპერაციო შემოსავლებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური გარემოებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 3.E.1. ქვეპუნქტში - „**ფინანსური მდგომარეობა**“.

E.2.2. თუ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილია დიდი ცვლილებები წმინდა გაყიდვებში ან შემოსავლებში, ამ ცვლილებების მიზეზების აღწერა

ვინაიდან „კომპანია“ სწრაფი ზრდის ფაზაშია, ყოველწლიურად იზრდება, როგორც სასესხო პორტფელი და მასთან ერთად საპროცენტო შემოსავლები, ისე სხვა მიმართულებები, როგორიცაა სავალუტო კონვერტაციებიდან მიღებული შემოსავლები და ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიოები.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ 3.E.1. ქვეპუნქტში - „**ფინანსური მდგომარეობა**“.

F. კაპიტალიზაცია და დავალიანება

F.1. ემიტენტის დაფინანსების სტრუქტურის აღწერა

F.1.1. თითოეული დაფინანსების წყაროსთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საკონტრაქტო და ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა, წლიური პროცენტი, ნარჩენი ძირი და დარიცხული პროცენტი, გრაფიკის ტიპი,

უზრუნველყოფები და კოვენანტები; ინფორმაციის არსებითობიდან გამომდინარე, წლიური პროცენტი შესაძლოა გამჟღავნებული იყოს ჯამურად

F.1.2. წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს 90 დღეზე უფრო ადრინდელი. გარდა ამისა ეს მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო 2 აუდირებული წლისთვისაც

დაფინანსების სტრუქტურაში საკუთარი კაპიტალის გარდა „კომპანია“ აქტიურად იყენებს ბანკებისგან ნასესხებ სახსრებს, გამოშვებულ მარტივ თამასუქებს, სავალო ფასიან ქაღალდებსა და სუბორდინირებულ სესხს. წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია „კომპანიის“ დაფინანსების სტრუქტურა საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

მონაცემები მოცემულია ათას ლარში ('000)

	2023	2024	2025 6m	2025 8m
გამოშვებული მარტივი თამასუქები	100,937	145,722	174,358	173,501
ნასესხები სახსრები	42,189	99,258	189,503	253,904
საიჯარო ვალდებულებები	5,039	4,644	2,965	2,965
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	129,693	128,907	128,514	128,514
სუბორდინირებული ვალი	-	25,000	25,000	25,000
სულ საპროცენტო ვალდებულებები	277,858	403,531	520,340	583,884
საწესდებო კაპიტალი	1,584	1,584	1,584	1,584
გაუნაწილებელი მოგება	313,668	300,193	318,649	318,649
სულ საკუთარი კაპიტალი	315,252	301,777	320,233	320,233
სულ საკუთარი კაპიტალი და საპროცენტო ვალდებულებები	593,110	705,308	840,573	904,117

ნასესხები სახსრები

„კომპანია“ დაფინანსების სტრუქტურაში აქტიურად იყენებს სესხებს კომერციული ბანკებისგან, რომელთაგანაც „ემიტენტს“ გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობები აქვს. ყველა სესხს აქვს ძირის ვადის ბოლოს დაფარვის ტიპი, რაც გულისხმობს იმას, რომ „ემიტენტი“ პროცენტს ფარავს ყოველთვიურად, ხოლო ძირის პერიოდის ბოლოს.

წინამდებარე ცხრილებში წარმოდგენილია „კომპანიის“ სესხები 2025 წლის 6 თვის და 8 თვის, ასევე 2024 წლის ბოლოს და 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით (მონაცემები მოცემულია ათას ლარში და წარმოდგენილია სებ-ის სტანდარტით).

სხვაობა სებ-ის სტანდარტსა და ფასს-ის სტანდარტს შორის: ფასს-ით აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სებ-ის სტანდარტის შესაბამისად წარდგენილია საკონტრაქტო ნარჩენი ძირი და დარიცხული პროცენტი

2025 წლის 8 თვის მდგომარეობით:

#	ბანკების და საფინანსო ორგანიზაციების დასახელება	ვალუტა	თანხა (ლარი)	საპროცენტო განაკვეთი, წლიური	ვალდებულების სახე	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება (ლარი)
1	სს იმ ბანკი საქართველო	GEL	6,000,000	13.50%	ბუღეტ სესხი	4/4/2025	7/30/2025	სესხების პორტფელი	7,200,000
2	სს საქართველოს ბანკი	GEL	10,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	8/15/2023	9/1/2026	სესხების პორტფელი	12,000,000
3	სს საქართველოს ბანკი	GEL	20,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	9/26/2023	8/3/2026	სესხების პორტფელი	24,000,000
4	სს ქართუ ბანკი	GEL	5,000,000	13.50%	ბუღეტ სესხი	6/10/2024	6/10/2026	სესხების პორტფელი	6,500,000
5	სს ქართუ ბანკი	GEL	5,000,000	13.50%	ბუღეტ სესხი	6/10/2024	6/10/2025	სესხების პორტფელი	6,500,000
6	სს იმ ბანკი საქართველო	GEL	8,000,000	12.50%	ბუღეტ სესხი	4/4/2025	7/30/2025	სესხების პორტფელი	9,600,000
7	სს საქართველოს ბანკი	GEL	10,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	9/27/2024	7/1/2026		
8	სს ხალიკ ბანკი საქართველო	GEL	10,046,925	11.00%	ბუღეტ სესხი	10/25/2024	10/25/2025	სესხების პორტფელი	12,000,000
9	სს ხალიკ ბანკი საქართველო	GEL	12,000,000	11.50%	ბუღეტ სესხი	1/20/2025	1/20/2026	სესხების პორტფელი	14,400,000
10	სს ლიბერთი ბანკი სესხის	GEL	15,000,000	13.50%	ბუღეტ სესხი	2/14/2025	11/25/2025		
11	სს საქართველოს ბანკი	GEL	20,000,000	12.00%	ბუღეტ სესხი	3/20/2025	7/20/2026		
12	სს ბაზისბანკი სესხის	GEL	10,000,000	13.00%	ბუღეტ სესხი	3/28/2025	9/28/2026		
13	სს საქართველოს ბანკი	GEL	11,500,000	12.00%	ბუღეტ სესხი	5/14/2025	5/14/2026		
14	სს თიბისი ბანკი	GEL	10,000,000	12.00%	ბუღეტ სესხი	6/12/2025	6/12/2026		
15	სს საქართველოს ბანკი	GEL	20,000,000	12.00%	ბუღეტ სესხი	7/1/2025	7/1/2026		
16	სს ხალიკ ბანკი საქართველო	GEL	5,000,000	14.00%	ბუღეტ სესხი	7/23/2025	7/23/2026	სესხების პორტფელი	6,200,000
17	სს საქართველოს ბანკი	GEL	8,500,000	12.00%	ბუღეტ სესხი	7/31/2025	1/30/2026		
18	სს თიბისი ბანკი	GEL	10,000,000	12.00%	ბუღეტ სესხი	7/31/2025	7/31/2026		
19	სს თიბისი ბანკი	GEL	10,000,000	12.00%	ბუღეტ სესხი	7/31/2025	7/31/2026		
20	სს თიბისი ბანკი	GEL	10,000,000	12.00%	ბუღეტ სესხი	7/31/2025	7/31/2026		
21	სს თიბისი ბანკი	GEL	10,000,000	12.00%	ბუღეტ სესხი	7/31/2025	7/31/2026		
22	სს ხალიკ ბანკი საქართველო	GEL	4,953,074	12.00%	ბუღეტ სესხი	8/25/2025	8/25/2026	სესხების პორტფელი	6,200,000
23	სს თიბისი ბანკი	USD	13,473,000	11.99%	ბუღეტ სესხი	7/31/2025	7/31/2026		
24	სს ტერა ბანკი	EUR	9,431,400	8.80%	ბუღეტ სესხი	8/28/2025	9/8/2025		
	ჯამი		253,904,399						104,600,000

2025 წლის 6 თვის მდგომარეობით:

#	ბანკების და საფინანსო ორგანიზაციების დასახელება	ვალუტა	თანხა გამოსახული ლარში	საპროცენტო განაკვეთი, წლიური	ვალდებულების სახე	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება გამოსახული ლარში
1	სს ლიბერთი ბანკი	GEL	15,000,000	14%	ბუღეტ სესხი	2/14/2025	11/25/2025	უგირავნო	
2	სს თიბისი ბანკი	USD	8,170,800	10%	ბუღეტ სესხი	4/8/2025	7/8/2025	უგირავნო	
3	სს საქართველოს ბანკი	GEL	20,000,000	12%	ბუღეტ სესხი	3/20/2025	7/20/2026	უგირავნო	
4	სს თიბისი ბანკი	GEL	9,315,175	12%	ბუღეტ სესხი	6/12/2025	6/12/2026	უგირავნო	

5	სს საქართველოს ბანკი	GEL	10,000,000	10%	ბუღეტ სესხი	8/15/2023	8/15/2025	სესხების პორტფელი	12,000,000
6	სს ქართუ ბანკი	GEL	5,000,000	14%	ბუღეტ სესხი	6/10/2024	7/10/2025	სესხების პორტფელი	6,500,000
7	სს საქართველოს ბანკი	GEL	19,999,999	12%	ბუღეტ სესხი	5/14/2025	5/14/2026	უგირავნო	
8	სს იმ ბანკი საქართველო	GEL	6,000,000	14%	ბუღეტ სესხი	4/4/2025	7/30/2025	სესხების პორტფელი	7,200,000
9	სს საქართველოს ბანკი	GEL	10,000,000	10%	ბუღეტ სესხი	9/27/2024	9/29/2025	სესხების პორტფელი	-
10	სს ბაზისბანკი	GEL	10,000,000	13%	ბუღეტ სესხი	3/28/2025	9/28/2026	უგირავნო	
11	სს იმ ბანკი საქართველო	GEL	8,000,000	13%	ბუღეტ სესხი	4/4/2025	6/30/2025	სესხების პორტფელი	9,600,000
12	სს ზალიკ ბანკი საქართველო	GEL	15,000,000	11%	ბუღეტ სესხი	10/25/2024	10/25/2025	სესხების პორტფელი	18,000,000
13	სს საქართველოს ბანკი	GEL	20,000,000	10%	ბუღეტ სესხი	9/26/2023	9/26/2025	სესხების პორტფელი	24,000,000
14	სს ქართუ ბანკი	GEL	5,000,000	14%	ბუღეტ სესხი	6/10/2024	6/10/2026	სესხების პორტფელი	6,500,000
15	სს ზალიკ ბანკი საქართველო	GEL	12,000,000	12%	ბუღეტ სესხი	1/20/2025	1/20/2026	სესხების პორტფელი	14,400,000
16	სს თიბისი ბანკი	GEL	10,000,000	10%	ბუღეტ სესხი	9/28/2024	9/30/2025	უგირავნო	
17	სს თიბისი ბანკი	USD	5,447,200	10%	ბუღეტ სესხი	5/14/2025	5/14/2026	უგირავნო	
	ჯამი		188,933,174						98,200,000

2024 წლის ბოლოს მდგომარეობით:

#	ბანკების და საფინანსო ორგანიზაციების დასახელება	ვალუტა	თანხა გამოსახული ლარში	საპროცენტო განაკვეთი, წლიური	ვალდებულების სახე	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება გამოსახული ლარში
1	სს თიბისი ბანკი	GEL	10,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	3/19/2024	3/19/2025	სესხების პორტფელი	12,000,000
2	სს იმ ბანკი საქართველო	GEL	5,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	6/10/2024	6/10/2025	სესხების პორტფელი	6,500,000
3	სს იმ ბანკი საქართველო	GEL	5,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	6/10/2024	6/10/2025	სესხების პორტფელი	6,500,000
4	სს საქართველოს ბანკი	GEL	10,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	8/15/2023	8/15/2025	სესხების პორტფელი	12,000,000
5	სს საქართველოს ბანკი	GEL	20,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	9/26/2023	9/26/2025	სესხების პორტფელი	24,000,000
6	სს საქართველოს ბანკი	GEL	10,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	9/27/2024	9/29/2025	სესხების პორტფელი	12,000,000
7	სს საქართველოს ბანკი	GEL	15,000,000	11.00%	ბუღეტ სესხი	10/25/2024	10/25/2025	სესხების პორტფელი	18,000,000
8	სს ქართუ ბანკი	GEL	6,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	12/20/2024	1/20/2025	სხვა	7,200,000
9	სს ქართუ ბანკი	GEL	8,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	12/20/2024	1/20/2025	სხვა	9,600,000
10	სს ზალიკ ბანკი საქართველო	GEL	10,000,000	10.00%	ბუღეტ სესხი	9/28/2024	9/30/2025	გირავნობის გარეშე	-
	ჯამი		99,000,000						107,800,000

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით:

#	ბანკების და საფინანსო ორგანიზაციების დასახელება	ვალუტა	თანხა გამოსახული ლარში	საპროცენტო განაკვეთი, წლიური	ვალდებულების სახე	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	გირაოს სახე	გირაოს ღირებულება გამოსახული ლარში
1	სს საქართველოს ბანკი	GEL	10,000,000	11.50%	ბულეტ სესხი	7/31/2023	8/15/2024	სესხების პორტფელი	12,000,000
2	სს საქართველოს ბანკი	GEL	20,000,000	11.50%	ბულეტ სესხი	9/26/2023	9/26/2024	სესხების პორტფელი	24,000,000
3	სს იმ ბანკი საქართველო	GEL	6,000,000	11.50%	ბულეტ სესხი	12/18/2023	1/26/2023	სესხების პორტფელი	7,200,000
4	სს ხალიკ ბანკი საქართველო	GEL	5,200,000	11.50%	ბულეტ სესხი	12/28/2023	11/20/2024	სესხების პორტფელი	10,000,000
	ჯამი		41,200,000						53,200,000

კომერციული ბანკებისგან აღებული სესხების გარდა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიას“ ნასესხები ჰქონდა 890 ათასი ლარი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსგან. ამ ნასესხებ სახსრებზე ვრცელდებოდა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 13.5% და მისი დაფარვის ვადა დასრულდა 2024 წლის სექტემბერში.

გამოშვებული მარტივი თამასუქები

დაფინანსების სტრუქტურაში „კომპანია“ წლებია აქტიურად იყენებს თამასუქებს. წლიდან წლამდე გამოშვებული თამასუქების ბალანსი სტაბილურად იზრდება. 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული ჰქონდა მოკლევადიანი (ძირითადად, ერთწლიანი) პროცენტის მარტივი თამასუქები, რომლებიც დენომინირებულია ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. მარტივი თამასუქების საპროცენტო განაკვეთები 8%-დან 11%-მდე მერყეობს ლარში, 3%-დან 7%-მდე აშშ დოლარში და 4.5%-დან 7%-მდე ევროში.

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია გამოშვებული თამასუქები მოცულობა 2023, 2024 წლებისა და 2025 წლის 6 თვის (მონაცემები მოცემულია ათას ლარში IFRS სტანდარტის შესაბამისად):

ვალუტა	2023	2024	2025 6m
აშშ დოლარი	80,857	89,522	91,285
ლარი	20,080	54,740	81,542
ევრო	-	1,460	1,531
ჯამი	100,937	145,722	174,358

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია 2023 და 2024 წლების ბოლოს მდგომარეობით, ასევე 2025 წლის 6 თვის და 8 თვის მდგომარეობით თამასუქების დაჯგუფებული ჩაშლა ვალუტების მიხედვით. მონაცემები წარმოდგენილია სებ-ის სტანდარტის მიხედვით. „ემიტენტს“ გაცემული ჰქონდა 100-ზე მეტი ოდენობის თამასუქი, ამიტომ ცხრილებში წარმოდგენილია დაჯგუფებული ინფორმაცია. თამასუქების ძირითადი იფარება ვადის ბოლოს და ისინი არის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები. ამასთანავე, თამასუქებს არ მოყვება არანაირი კოვენანტები.

2025 8m:

აშშ დოლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
1	4,159,622	11,208,519	USD	0	6.40%
2	8,250,667	22,232,247	USD	1	5.90%
3	4,262,253	11,485,068	USD	2	5.30%
4	2,583,391	6,961,205	USD	3	5.40%
5	782,500	2,108,525	USD	4	4.30%
6	1,727,466	4,654,830	USD	5	4.70%
7	1,762,205	4,748,438	USD	6	4.70%
8	1,098,500	2,960,018	USD	7	5.90%
9	941,329	2,536,505	USD	8	5.40%
10	3,148,044	8,482,719	USD	9	5.90%
11	3,632,242	9,787,439	USD	10	6.10%
12	5,383,824	14,507,252	USD	11	6.40%
სულ	37,732,044	101,672,765	USD		

ევრო

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
1	113,783	357,711	EUR	1	7.00%
2	327,328	1,029,053	EUR	2	7.00%
3	54,294	170,691	EUR	11	7.00%
სულ	495,405	1,557,455	EUR		

ლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
1	2,235,937	2,235,937	GEL	0	10.60%
2	2,693,773	2,693,773	GEL	1	11.00%
3	1,257,680	1,257,680	GEL	2	11.00%
4	848,177	848,177	GEL	3	10.50%
5	100,000	100,000	GEL	4	11.00%
6	100,000	100,000	GEL	5	11.00%
7	34,141,868	34,141,868	GEL	6	11.00%
8	1,259,565	1,259,565	GEL	7	11.00%
9	20,184,000	20,184,000	GEL	8	11.00%
10	4,730,380	4,730,380	GEL	9	11.00%
11	361,000	361,000	GEL	10	11.00%

12	872,778	872,778	GEL	11	11.00%
სულ	68,785,159	68,785,159	GEL		

2025 6m:

აშშ დოლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
1	4,462,116	12,153,019	USD	0	6.40%
2	2,985,670	8,131,771	USD	1	5.90%
3	3,079,372	8,386,978	USD	2	5.30%
4	7,040,671	19,175,972	USD	3	5.40%
5	3,272,295	8,912,423	USD	4	4.30%
6	2,661,891	7,249,926	USD	5	4.70%
7	796,000	2,167,986	USD	6	4.70%
8	1,629,466	4,438,014	USD	7	5.90%
9	1,633,935	4,450,185	USD	8	5.40%
10	1,336,270	3,639,465	USD	9	5.90%
11	1,281,829	3,491,189	USD	10	6.10%
12	3,738,490	10,182,151	USD	11	6.40%
13	120,100	327,104	USD	12	6.30%
სულ	34,038,105	92,706,184	USD		

ევრო

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
1	70,000	223,174	EUR	0	7.00%
2	329,195	1,049,539	EUR	1	7.00%
3	33,170	105,753	EUR	4	7.00%
4	51,945	165,611	EUR	9	7.00%
სულ	484,310	1,544,077	EUR		

ლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
1	3,510,025	3,510,025	GEL	0	10.60%
2	777,167	777,167	GEL	1	11.00%
3	1,315,000	1,315,000	GEL	2	11.00%
4	630,890	630,890	GEL	3	10.50%
5	910,000	910,000	GEL	4	11.00%
6	848,177	848,177	GEL	5	11.00%
7	44,141,868	44,141,868	GEL	8	11.00%

8	1,259,565	1,259,565	GEL	9	11.00%
9	20,284,000	20,284,000	GEL	10	11.00%
10	4,945,380	4,945,380	GEL	11	11.00%
სულ	78,622,073	78,622,073	GEL		

2024 წელი:

აშშ დოლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
0	389,745	1,093,936	USD	0	6.4%
1	2,624,275	7,365,815	USD	1	5.9%
2	3,515,064	9,866,082	USD	2	5.3%
3	1,889,178	5,302,545	USD	3	5.4%
4	601,200	1,687,448	USD	4	4.3%
5	1,080,530	3,032,832	USD	5	4.7%
6	1,956,068	5,490,292	USD	6	4.7%
7	2,367,387	6,644,782	USD	7	5.9%
8	1,429,500	4,012,321	USD	8	5.4%
9	4,794,100	13,456,080	USD	9	5.9%
10	6,079,432	17,063,750	USD	10	6.1%
11	3,093,007	8,681,453	USD	11	6.4%
12	2,071,317	5,813,773	USD	12	6.3%
სულ	31,890,803	89,511,107	USD		

ევრო

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
1	320,600	939,550	EUR	1	7.0%
2	120,826	354,093	EUR	3	7.0%
3	56,755	166,326	EUR	8	7.0%
სულ	498,181	1,459,969	EUR		

ლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
0	1,150,905	1,150,905	GEL	0	10.6%
1	934,425	934,425	GEL	1	11.0%
2	130,000	130,000	GEL	2	11.0%
3	1,205,429	1,205,429	GEL	3	10.5%
4	4,711,414	4,711,414	GEL	8	11.0%
5	2,457,268	2,457,268	GEL	9	11.0%

6	42,500,000	42,500,000	GEL	10	11.0%
7	500,000	500,000	GEL	11	11.0%
8	1,153,000	1,153,000	GEL	12	11.0%
სულ	54,742,441	54,742,441	GEL		

2023 წელი:

აშშ დოლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
0	440,244	1,183,992	USD	0	3.50%
1	1,651,106	4,440,484	USD	1	4.60%
2	1,698,978	4,569,231	USD	2	4.70%
3	915,942	2,463,334	USD	3	4.23%
4	1,254,691	3,374,366	USD	4	4.33%
5	3,883,595	10,444,542	USD	5	4.64%
6	3,340,422	8,983,731	USD	6	4.55%
7	1,896,401	5,100,182	USD	7	4.54%
8	1,680,500	4,519,537	USD	8	4.48%
9	2,234,436	6,009,292	USD	9	4.31%
10	3,702,489	9,957,474	USD	10	4.29%
11	2,083,052	5,602,160	USD	11	3.92%
12	5,273,119	14,181,526	USD	12	4.35%
სულ	30,054,976	80,829,852	USD		

ლარი

#	ბალანსი	ბალანსი (ექვ)	ვალუტა	დარჩენილი ვადა	საშუალო პროცენტი
0	1,417,000	1,417,000	GEL	0	12.0%
1	2,510,599	2,510,599	GEL	1	12.0%
2	8,183,219	8,183,219	GEL	2	12.0%
3	2,162,000	2,162,000	GEL	3	11.9%
4	112,455	112,455	GEL	4	11.0%
5	1,250,000	1,250,000	GEL	5	11.8%
6	3,142,948	3,142,948	GEL	6	12.5%
7	357,000	357,000	GEL	7	10.5%
8	106,409	106,409	GEL	8	12.3%
9	283,300	283,300	GEL	9	10.0%
10	555,000	555,000	GEL	10	10.0%
სულ	20,079,930	20,079,930	GEL		

გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები)

2023 წელს „კომპანიამ“ გამოუშვა სავალო ფასიანი ქაღალდი საჯარო ობლიგაციების სახით (ISIN: GE2700604285). ჯამში „კომპანიამ“ განათავსა 130 მლნ ლარის მოცულობის ლარის სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაცია.

აღნიშნული ობლიგაციის ძირითადი მახასიათებლებია:

ობლიგაციის ტიპი	უზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაცია
ემისიის მოცულობა	130 მლნ ლარი
გამოშვების თარიღი	14 მარტი, 2023
ვალიანობა	3 წელი
კუპონის განაკვეთი	TIBR + 2.00%
უზრუნველყოფის ტიპი	ლარის სასესხო პორტფელი
უზრუნველყოფის მოცულობა	ემისიის მოცულობის 130%: 169 მლნ ლარი

პერიოდების მიხედვით გამოშვებული ობლიგაციების მოცულობა წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილში:

წელი	ობლიგაციების მოცულობა
2023	130 მლნ ლარი
2024	130 მლნ ლარი
2025 8m	130 მლნ ლარი

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ობლიგაციებზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტები იყო 519 ათასი ლარი. 2025 წლის 8 თვეში ობლიგაციების ჯამურად დაერიცხა 8.9 მლნ ლარის პროცენტი. „ემიტენტმა“ 2025 წლის 8 თვეში გადაიხადა 6.7 მლნ ლარის პროცენტი, ხოლო გადასახდელი დარჩა 2.7 მლნ ლარი.

„კომპანიის“ მიერ 2023 წელს გამოშვებული ობლიგაციების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი ემისიის პროსპექტი, რომელიც განთავსებულია სებ-ის ვებ-გვერდზე (<https://nbg.gov.ge/supervision/public-companies>).

არაფინანსური კოვენანტები

კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხების ფარგლებში დაწესებული არაფინანსური კოვენანტების თანახმად, „კომპანია“ ვალდებულია სესხის გამცემი ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე:

- არ დაუშვას საკუთარი აქტივების/ქონების ან მისი/მათი ნაწილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება ან/და სხვაგვარად დატვირთვა ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებას, თუ ასეთი აქტივების ღირებულება აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 80 (ოთხმოც) %-ს.
- არ განკარგოს ნებისმიერი სახით საკუთარი აქტივები/ქონება (ან მისი/მათი ნაწილი) ან/და შეიძინოს ნებისმიერი მესამე პირის ნებისმიერი სახის აქტივები/ქონება ან მისი/მათი ნაწილი გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ქმედება გახორციელებულია კლიენტის ჩვეულებრივი საწარმოო

საქმიანობის ფარგლებში, თუ ასეთი აქტივების ღირებულება აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 80%-ს.

- არ განახორციელოს ინვესტიციები, დაიცოს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები, თუ ასეთი ინვესტიციების, ვალდებულებების ან/და ხარჯების ღირებულება აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 80 (ოთხმოც) %-ს. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ინვესტიციების, ან/და ხარჯების გაწევა ან/და ვალდებულებების აღება შეესაბამება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის ან/და სხვა საბანკო პროდუქტების მიზნობრიობას ან/და გახორციელებულია კლიენტის ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში.
- არ დაიცოს რაიმე დამატებითი საბალანსო ან გარესაბალანსო კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები, თუ მათი ღირებულება აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 80%-ს.
- არ გასცეს დივიდენდები თუ დივიდენდის მოცულობა წინამდებარე საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ჯამურად აღემატება კლიენტის მთლიანი აქტივების 80 (ოთხმოც) %-ს.
- „კომპანია“ ვალდებულია სესხის გამცემ ბანკს ყოველი თვის ბოლოს წარუდგინოს ყოველთვიური ანგარიში სასესხო პორტფელის შესახებ.
- მსესხებლის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული მოთხოვნების მოცულობა უნდა შეადგენდეს ათვისებული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი თანხის ჯამური ოდენობის არანაკლებ 130%-ს დაგირავებული სასესხო პორტფელში შემავალი იმ სესხების პროცენტული ოდენობა, რომლებზეც ფიქსირდება ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანება 15 დღის და/ან 15 დღეზე მეტი ვადით, არ უნდა აღემატებოდეს სასესხო პორტფელის ჯამური ოდენობის 5%-ზე.

ფინანსური კოვენანტები

2023 წელს გამოშვებული ობლიგაციების (ISIN: GE2700604285) ფარგლებში, „ემიტენტი“ დაწესებული აქვს ფინანსური კოვენანტები. „ემიტენტი“ ვალდებულია აღნიშნული კოვენანტები დაიცვას მუდმივად „ემისიის“ სრულად დაფარვამდე.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია 2023 წლის ობლიგაციების ემისიის ფარგლებში დაწესებული კოვენანტები და მათი შესრულება 2023, 2024 და 2025 წლის 6 თვის მდგომარეობით.

კოვენანტი	2023	2024	2025 6m
ფინანსური ვალდებულებები / ჯამურ აქტივებთან	45.49%	55.43%	63.28%
მაქსიმალური ლიმიტი	80%	80%	80%
საზედამხედველი კაპიტალის კოეფიციენტი (სებ)	51.06%	45.24%	39.18%
სებ-ის მინიმალური ლიმიტი	24%	24%	24%
ლიკვიდობის კოეფიციენტი (სებ)	46.48%	24.68%	21.28%
სებ-ის მინიმალური ლიმიტი	25%	25%	18%
ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	0.00%	0.00%	0.00%
სებ-ის მაქსიმალური ლიმიტი	15%	15%	15%
ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი (სებ)	5.42%	11.27%	10.11%
სებ-ის მაქსიმალური ლიმიტი	40%	40%	40%

ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი (სებ)	0.04%	0.01%	0.01%
სებ-ის მაქსიმალური ლიმიტი	15%	15%	15%
დაგირავებული აქტივების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (სებ)	17.28%	89.60%	86.70%
სებ-ის მაქსიმალური ლიმიტი	90%	90%	90%

„კომპანია“ ვალდებულია ობლიგაციონერებს მათი მოთხოვნის საფუძველზე გაუზიაროს ინფორმაცია ფინანსური კოვენანტების შესრულებასთან დაკავშირებით. ფინანსური კოვენანტების შესრულება ითვლება ინდივიდუალური საზედამხედველო ანგარიშიდან.

2023 წლის ემისიიდან მიმდინარე პროსპექტის შედგენამდე „კომპანიას“ არ დაურღვევია არც ერთი კოვენანტი.

კომპანიის სავალუტო პოზიცია

„კომპანიის“ საქმიანობა მოიცავს სავალუტო რისკს, რომელიც წარმოიშობა უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების არსებობიდან.

სავალუტო რისკის მართვის მიზნით, მენეჯმენტი იყენებს რამდენიმე ინსტრუმენტს:

- უზრუნველყოფს სესხების გაცემასა და დაფინანსების მოზიდვას იდენტურ ვალუტებში;
- აქტიურად იყენებს უცხოური ვალუტის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს (სავალუტო სვოპებს) ჰეჯირების მიზნით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით, 2023 და 2024 წლების აუდირებული მონაცემების შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	52,875	11,656	2,961	772	68,264
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	-	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	608,370	9,555	93	-	618,018
სხვა ფინანსური აქტივები	-	1,059	1,184	-	2,243
სხვა აქტივები	661,245	22,270	4,238	772	688,525
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(54,740)	(89,522)	(1,460)	-	(145,722)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(128,907)	-	-	-	(128,907)
ნასესხები სახსრები	(99,258)	-	-	-	(99,258)
სუბორდინირებული ვალი	(25,000)	-	-	-	(25,000)
საიჯარო ვალდებულებები	(1,038)	(2,116)	-	-	(3,154)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(4,907)	(1,979)	(328)	2	(7,212)
სულ ვალდებულებები	(313,850)	(93,617)	(1,788)	2	(409,253)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(12,689)	(82,053)	95,004	-	262

**წმინდა პოზიცია რისკის სამართავად
ფლობილი წარმოებული ფინანსური
ინსტრუმენტების შემდეგ**

	334,706	(153,400)	97,454	774	279,534
2023 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25,715	9,565	17,882	1,799	54,961
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	19,252	26,955	-	-	46,207
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	456,210	12,892	131	-	469,233
სხვა ფინანსური აქტივები	1,298	7,039	2,023	280	10,640
სხვა აქტივები	502,475	56,451	20,036	2,079	581,041
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(20,080)	(80,857)	-	-	(100,937)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(129,693)	-	-	-	(129,693)
ნასესხები სახსრები	(42,189)	-	-	-	(42,189)
საიჯარო ვალდებულებები	(2,504)	(2,140)	-	-	(4,644)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(3,198)	(1,397)	(2,375)	(65)	(7,035)
სულ ვალდებულებები	(197,664)	(84,394)	(2,375)	(65)	(284,498)
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(76,071)	46,505	30,208	-	642
წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	228,740	18,562	47,869	2,014	297,185

რაც შეეხება სავალუტო კურსის მიმართ მგრძნობელობას: აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა (შემცირებდა). ეს ანალიზი წარმოდგენილია წინა საგადასახადო საფუძვლის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც „ემიტენტის“ აზრით მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

	2024		2023	
ვალუტა	ცვლილება სავალუტო კურსში %	ეფექტი მოგებაზე	ცვლილება სავალუტო კურსში %	ეფექტი მოგებაზე
აშშ დოლარი	8.05%/(2%)	(12,349)/3,068	13%/(6%)	2,413/(1,114)
ევრო	8.42%/(2%)	8,206/(1,949)	18%/(7%)	8,616/(3,351)

ლიკვიდურობის პოზიცია

„კომპანიის“ საქმიანობა მოიცავს ლიკვიდობის რისკის მართვას. ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა მარტივი თამასუქებით წარმოდგენილი ფინანსური რესურსების ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების

დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილი „ემიტენტის“ ფინანსური ვალდებულებების ჩაშლა ვადიანობის მიხედვით:

ფინანსური ვალდებულებების ჩაშლა ვადიანობის მიხედვით:

2023	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	6,195	482	36,620	-	-	43,297
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	3,782	11,711	149,447	-	164,940
მარტივი თამასუქები	8,031	18,271	77,435	-	-	103,737
საიჯარო ვალდებულებები	189	373	1,683	2,984	478	5,707
სხვა ფინანსური ვალდებულებები	4,069	-	-	-	-	4,069
სულ არადისკონტური ფინანსური ვალდებულებები	18,484	22,908	127,449	152,431	478	321,750

2024	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	14,856	11,416	63,966	16,375	-	106,613
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	3,363	10,049	133,289	-	146,701
სუბორდინირებული ვალი	250	476	2,219	14,733	35,594	53,272
მარტივი თამასუქები	6,187	20,107	127,278	-	-	153,572
საიჯარო ვალდებულებები	280	373	1,387	2,063	760	4,863
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,212	-	-	-	-	7,212
სულ არადისკონტური ფინანსური ვალდებულებები	28,785	35,735	204,899	166,460	36,354	472,233

დამატებით, ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია 2023 და 2024 წლების საანგარიშგებო პერიოდებისთვის „კომპანიის“ ლიკვიდურობის პოზიცია, სადაც ჩაშლილია როგორც აქტივები, ისე ვალდებულებები 1 წლამდე და 1 წელზე მეტი ვადიანობის მიხედვით. წარმოდგენილი მონაცემების წყაროა აუდირებული ანგარიშგება.

2023	ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,961	-	54,961
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულების მიმართ	46,207	-	46,207.00
მომხმარებელზე გაცემული სესხები	321,535	146,181	467,716
ძირითადი საშუალებები	-	16,127	16,127
აქტივების გამოყენების უფლება	-	5,290	5,290
არამატერიალური აქტივები	-	831	831
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	642	-	642

მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი

სხვა აქტივი

სულ

-	-	-
18,111	-	18,111
441,456	168,429	609,885

გამოშვებული მარტივი თამასუქები

მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები

სუბორდინირებული ვალები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ნასესხები სახსრები

საიჯარო ვალდებულებები

გადავადებული მოგების გადასახადის

ვალდებულება

სხვა ვალდებულებები

სულ

წმინდა

100,937	-	100,937
2,900	-	2,900
-	-	-
556	129,137	129,693
42,189	-	42,189
1,908	2,736	4,644
-	3,991	3,991
10,279	-	10,279
158,769	135,864	294,633
282,687	32,565	315,252

2024

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულების მიმართ

მომხმარებელზე გაცემული სესხები

ძირითადი საშუალებები

აქტივების გამოყენების უფლება

არამატერიალური აქტივები

წარმოქმნილი ფინანსური აქტივები

მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი

სხვა აქტივი

სულ

ერთი წლის განმავლობაში	ერთ წელზე მეტი	სულ
68,264	-	68,264
-	-	-
85,819	531,581	617,400
-	18,013	18,013
-	5,081	5,081
-	816	816
262	-	262
276	-	276
15,144	-	15,144
169,765	555,491	725,256

გამოშვებული მარტივი თამასუქები

მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები

სუბორდინირებული ვალები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ნასესხები სახსრები

საიჯარო ვალდებულებები

გადავადებული მოგების გადასახადის

ვალდებულება

სხვა ვალდებულებები

სულ

წმინდა

145,722	-	145,722
-	-	-
-	25,000	25,000
520	128,387	128,907
84,265	14,993	99,258
1,788	1,366	3,154
-	4,517	4,517
16,921	-	16,921
249,216	174,263	423,479
(79,451)	381,228	301,777

F.1.3. იმ შემთხვევაში, თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე 90 დღის მანძილზე ემიტენტის კაპიტალიზაციისა და დავალიანების პოზიციაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, უნდა მოხდეს დეტალების აღწერა და ცვლილებების ჩვენება

ასეთი შემთხვევა არ მომხდარა.

F.1.4. თუ ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ვერ აკმაყოფილებს სასესხო კონტრაქტის პირობებს, არღვევს კოვენანტებს უნდა მოხდეს ამ ფაქტის გამჟღავნება, ასევე მიეთითოს ინფორმაცია ამ კონტრაქტის დეტალების და პრობლემის გადაჭრის გზის შესახებ (რესტრუქტურირება)

ასეთი შემთხვევა არ მომხდარა.

F.1.5. მითითება იმის შესახებ, მოხდა თუ არა ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობა

ასეთი შემთხვევა არ მომხდარა.

F.2. ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

„ემიტენტს“ მიმდინარე ეტაპზე დამატებითი სასესხო საჭიროება არ გააჩნია. კომპანია თავის კაპიტალურ სტრუქტურაში რეგულარულად იყენებს სხვადასხვა ტიპის სასესხო დაფინანსებას, როგორც ფინანსური ინსტიტუტებისგან, ისე ფიზიკური პირებისგან. აღნიშნული საკრედიტო რესურსების გამოყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია. კომპანიას აქვს გრძელვადიანი მდგრადი ურთიერთობები აღნიშნული საკრედიტო რესურსის მომწოდებლებთან და დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია ამ ურთიერთობების გამოყენება რესურსების მოსაზიდლად.

F.3. ემიტენტის ფულადი ნაკადების ოდენობისა და წყაროების აღწერა საფინანსო, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე

იხილეთ 3.E. პუნქტი - „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

F.4. ინფორმაცია ამ დანართის 4.C.7.1. ქვეპუნქტში განხილული სამომავლო ინვესტიციებისთვის საჭირო სავარაუდო რესურსების შესახებ

ინვესტიციების კუთხით, „ემიტენტი“ ორიენტირებულია ახალი ფილიალების გახსნასა და პროცესების გაციფრულებაზე. როგორც ისტორიულად, ისე სამომავლოდ, კომპანია საინვესტიციო საჭიროებებს აფინანსებს, როგორც დამფუძნებლის კაპიტალ-ინვესტიციებითა და გაუნაწილებელი მოგებით, ასევე სასესხო რესურსების მოზიდვით.

G. რისკის ფაქტორები

G.1. ზოგადი განაცხადი რისკთან დაკავშირებით

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება მოიცავს ფინანსურ რისკებს, რომელთა სრულყოფილი გააზრება აუცილებელია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე. პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან დეტალურად შეისწავლონ წინამდებარე დოკუმენტი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ქვემოთ წარმოდგენილ რისკ-ფაქტორებს, საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებისა და საინვესტიციო სტრატეგიის კონტექსტში.

აღწერილმა რისკებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე, ფინანსურ სტაბილურობასა და ბიზნესშედეგებზე. ნებისმიერი რისკის რეალიზაცია პირდაპირ აისახება ობლიგაციების საბაზრო ფასსა და ლიკვიდობაზე.

წარმოდგენილი რისკ-ფაქტორები ასახავს ობლიგაციებთან ასოცირებულ ძირითად საფრთხეებს, თუმცა სრული სურათი შეიძლება მოიცავდეს დამატებით, ამჟამად გაუთვალისწინებელ ან კომპანიისთვის უცნობ

რისკებს. მომავალში იდენტიფიცირებულმა ახალმა საფრთხეებმა შესაძლოა ანალოგიური უარყოფითი ეფექტი იქონიოს.

შესაბამისად, კომპანია არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემული ჩამონათვალი სრულად ასახავს ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო რისკს. ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ პოტენციური დამატებითი საფრთხეების არსებობის ალბათობა.

G.2. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის

G.2.1. „კომპანიის“ სასესხო პორტფელის მდგრადობა დამოკიდებულია უზრუნველყოფის (ძვირფასი ლითონების) ხარისხსა და ფასის ცვალებადობაზე.

კომპანიის სასესხო პორტფელი კონცენტრირებულია სალომბარდე სესხებზე, რომელთა მდგრადობა დამოკიდებულია სესხების უზრუნველყოფის (ძვირფასი ლითონები) ხარისხსა და ფასის ცვალებადობაზე. როგორც უზრუნველყოფის ხარისხის შეფასების არასათანადო მეთოდებმა ან პროცესუალურმა ხარვეზებმა, ისე ფასების ცვალებადობამ შესაძლოა გამოიწვიოს პორტფელის ხარისხისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

„რიკო ექსპრესის“ სასესხო პორტფელის 99% სალომბარდე სესხებს მოიცავს. ასეთი სტრუქტურა აშკარა კონცენტრაციის რისკს ქმნის, რადგან კომპანიის ფინანსური მდგრადობა და შემოსავლიანობა თითქმის მთლიანად ამ ერთ პროდუქტზეა დამოკიდებული.

სალომბარდე სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით, ძირითადად ოქროთი, რაც სპეციფიკურ რისკებს წარმოშობს. უპირველეს ყოვლისა, სესხის ხარისხი და უზრუნველყოფის ეფექტიანობა პირდაპირ დამოკიდებულია გირაოს სწორ შეფასებაზე. შეფასების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა, არასათანადო მეთოდებმა თუ პროცედურულმა ხარვეზებმა შესაძლოა გამოიწვიოს უზრუნველყოფის ღირებულების გადაჭარბებული ან დაქვეითებული განსაზღვრა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს როგორც პორტფელის ხარისხზე, ისე კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ სალომბარდე სესხები ძირითადად ოქროთია უზრუნველყოფილი, პორტფელის მდგრადობაზე უშუალოდ მოქმედებს ძვირფასი ლითონების საერთაშორისო ფასების ცვალებადობა. ოქროს ფასის მნიშვნელოვანმა ვარდნამ შესაძლოა მკვეთრად შეამციროს გირაოს რეალური ღირებულება და, შესაბამისად, გაზარდოს დანაკარგების ალბათობა.

გარდა ამისა, მაღალი LTV (Loan-to-Value) მაჩვენებელი, რომელიც 90%-ის ფარგლებშია, ზრდის იმ რისკს, რომ ოქროს ფასის შედარებით მცირე ცვლილებამაც კი გამოიწვიოს სესხის არასაკმარისი დაფარვა უზრუნველყოფით.

ამრიგად, „ემიტენტის“ ბიზნესმოდელი, რომელიც მთლიანად სალომბარდე სესხებზეა ორიენტირებული, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს როგორც უზრუნველყოფის შეფასების პროცესთან, ისე საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების მონიტორინგთან მიმართებაში.

G.2.2. „კომპანია“ დამოკიდებულია საბანკო და კაპიტალის ბაზრებიდან საკრედიტო რესურსებზე წვდომაზე.

„ემიტენტის“ საქმიანობის უწყვეტი და მდგრადი განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საკრედიტო რესურსების მუდმივ მოზიდვაზე, როგორც საბანკო სექტორიდან, ისე კაპიტალის ბაზრებიდან. „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისთვის, კომპანიას მოზიდული აქვს 292 მლნ ლარის სესხები კომერციული ბანკებისგან, ხოლო 174 მლნ ლარი - თამასუქებიდან, რაც ჯამში აქტივების 54%-ია. კომპანიის

ძირითადი ბიზნეს-სტრატეგია ეფუძნება არა მხოლოდ არსებული სასესხო პორტფელის შენარჩუნებას, არამედ მის აქტიურ ზრდას და დროულ რეფინანსირებას. ამ მოდელის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, რომ კომპანიას აქვს უზრუნველყოფილი სტაბილური და ხელმისაწვდომი დაფინანსების წყაროები.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა გარემოების გამო - იქნება ეს საბაზრო პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება, ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან საკრედიტო პოლიტიკის გამაცრება, ეროვნული ბანკის რეგულაციების არსებითი ცვლილება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, საკრედიტო რეიტინგის გაუარესება თუ სხვა სისტემური რისკი - კომპანიას მნიშვნელოვნად შეუზღუდება წვდომა აღნიშნულ დაფინანსების წყაროებზე, დიდი ალბათობით გაჩნდება რისკი, რომ „ემიტენტი“ დროულად ვერ შეძლებს არსებული ვალდებულებების სრულად დაფარვას ან მათ ეფექტიან რეფინანსირებას.

ასეთ ვითარებაში კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს სერიოზული ფინანსური და რეპუტაციული ზეწოლის ქვეშ. ერთი მხრივ, დაფინანსების წყაროების შეზღუდვა პირდაპირ შეამცირებს შესაძლებლობას, უზრუნველყოფილ იქნეს ოპერაციების სტაბილური მიმდინარეობა და შენარჩუნდეს ბიზნესის ზრდის დაგეგმილი ტემპი. მეორე მხრივ კი, მსგავსი გარემოება უარყოფით გავლენას მოახდენს როგორც არსებულ, ისე პოტენციურ ინვესტირებთან და საკრედიტო ინსტიტუტებთან ურთიერთობებზე. სავარაუდოდ გაუარესდება კომპანიის საკრედიტო რეიტინგი, გაიზრდება საპროცენტო მარჟები და გამაცრდება დაფინანსების პირობები, რაც კიდევ უფრო გაართულებს როგორც მიმდინარე, ისე მომავალი დაფინანსების მოზიდვას.

6.2.3. „კომპანიის“ აქტივების ნაწილი უკვე დაგირავებულია, ხოლო მარეგულირებელმა შეზღუდვებმა უზრუნველყოფად გამოიყენებულ აქტივებზე შესაძლოა შეზღუდოს „კომპანიის“ წვდომას ახალ დაფინანსებაზე.

კომპანიის საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის აუცილებელია მუდმივი წვდომა საკმარის ფულად სახსრებზე. „ემიტენტის“ ბიზნესმოდელი დაფუძნებულია საკრედიტო რესურსებზე, რომლებიც გამოიყენება სასესხო პორტფელის გასაზრდელად და არსებული ვალდებულებების დასაფარად.

აღსანიშნია, რომ კომპანიის აქტივების არსებითი ნაწილი (სასესხო პორტფელის 35%) უკვე დატვირთულია გირავნობით, როგორც არსებული სესხების, ასევე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის მიზნით. მიმდინარე მდგომარეობით, „კომპანიის“ დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი (დაკ), რომელიც 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით 86.4%-ია, მარეგულირებლის მიერ დაწესებულ 90%-იან ლიმიტთან ახლოსაა. აღნიშნული გარემოება ამცირებს თავისუფალი, დაუგირავებელი აქტივების მოცულობას, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვისას.

ამ ვითარებამ შეიძლება შეზღუდოს კომპანიის შესაძლებლობა მომავალში მიიღოს ახალი სესხები ან განახორციელოს რეფინანსირება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ლიკვიდობის დეფიციტი შეიქმნება ან საკრედიტო ინსტიტუტები გამაცრებულ პირობებს მოითხოვენ. შესაბამისად, გირავნობით უკვე დატვირთული აქტივების არსებობა ზრდის რისკს, რომ კომპანია მომავალში ვერ შეძლებს საჭირო დაფინანსების მოზიდვას ოპტიმალური პირობებით.

6.2.4. კომპანია შესაძლოა არ იყოს შესაბამისი კორპორაციული მართვის ყველა საუკეთესო სტანდარტთან.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ წარმოადგენს დამოუკიდებელ პირს და არის ერთპიროვნული მმართველის შვილი. არსებობს რისკი, რომ კომპანიაში არსებული შიდა კონტროლისა და მართვის სისტემები არ იქნება ეფექტიანი აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის მართვისთვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხარვეზები კომპანიის მმართველობაში და ფინანსური ზიანი.

აღნიშნული გარემოება ზრდის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის ალბათობას და შეიძლება გავლენა იქონიოს შიდა კონტროლისა და კორპორაციული მართვის პროცესების ეფექტიანობაზე.

თუ მმართველობის არსებული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის სათანადო მართვას, არსებობს რისკი, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაუცველი დარჩეს კომპანიის, კრედიტორებისა და ინვესტორების ინტერესები. შედეგად, ეს შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის მმართველობის ხარისხზე და გარკვეულ შემთხვევებში გამოიწვიოს ფინანსური ზარალი ან კომპანიის რეპუტაციის შელახვა.

კომპანიის გრძელვადიანი მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეფექტიანი მმართველობის მექანიზმების და გამჭვირვალე კონტროლის სისტემების არსებობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ყველა დაინტერესებული მხარის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

G.2.5. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში.

„ემიტენტის“ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიას ხშირად ჰქონდა და აქვს ღია სავალუტო პოზიციები (დეტალებისთვის იხილეთ 3.F.1. ქვეპუნქტი - „კომპანიის სავალუტო პოზიცია“). ეს ნიშნავს, რომ კომპანიის ბალანსზე არსებობს ვალდებულებები და აქტივები, რომლებიც გამოხატულია სხვადასხვა ვალუტაში - ძირითადად აშშ დოლარსა და ევროში.

სავალუტო ბაზრის ვოლატილობამ შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული პოზიციების ღირებულების მნიშვნელოვანი და მკვეთრი ცვლილება. მაგალითად, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების შემთხვევაში, ლარის გაუფასურებამ პირდაპირ შეიძლება გაზარდოს კომპანიის რეალური საკრედიტო ტვირთი და ვალის მომსახურების ხარჯები ლარში გადაანგარიშებისას. ვინაიდან კომპანიის შემოსავლების ძირითადი ნაწილი ლარშია დენომინირებული, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა წარმოიქმნას მნიშვნელოვანი დისბალანსი, რომელიც პირდაპირ ემუქრება ფინანსურ მდგრადობას.

აღნიშნული რისკის მატერიალიზება შესაძლოა პირდაპირ და უშუალოდ აისახოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე: სავალუტო კურსების არახელსაყრელი მერყეობის შემთხვევაში შესაძლოა მკვეთრად შემცირდეს მოგებიანობის მაჩვენებლები, გაუარესდეს წმინდა მოგება და შემცირდეს კაპიტალის ადეკვატურობა. გარდა ამისა, სავალუტო რისკების რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოულოდნელი ფინანსური ზარალი, რაც უარყოფითად იმოქმედებს როგორც მიმდინარე საოპერაციო საქმიანობაზე, ისე გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების განხორციელებაზე.

ამასთან, მაღალი ვოლატილობის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება სავალუტო ჰეჯირების საჭიროება, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ჰეჯირების სტრატეგიების არასწორად შერჩევამ ან არაეფექტიანმა განხორციელებამ შესაძლოა არა მხოლოდ არ შეამციროს, არამედ კიდევ უფრო გაზარდოს სავალუტო რისკები.

საბოლოო ჯამში, სავალუტო რისკების არაადეკვატურმა მართვამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება, რაც პირდაპირ აისახება დაფინანსების ხელმისაწვდომობასა და ღირებულებაზე. ინვესტორებისა და საკრედიტო ინსტიტუტების თვალში კომპანია ნაკლებად სანდო პარტნიორად იქცევა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გაართულებს როგორც კაპიტალის მოზიდვას, ისე ბიზნესის დაგეგმილი ზრდის უზრუნველყოფას.

კომპანია ევროს წარმოებულ ინსტრუმენტებს იყენებს არამხოლოდ ჰეჯირების არამედ მოგების გენერირების მიზნობრიობითაც. აღსანიშნავია რომ კომპანიის სავალუტო პოზიცია აშშ დოლარსა და

ევროში მნიშვნელოვნად შეიცვალა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით, კერძოდ 2024 წელს მნიშვნელოვნად გაუარესდა მოკლე სავალუტო პოზიცია დოლარში ხოლო გაიზარდა გრძელი სავალუტო პოზიცია ევროში. ამასთანავე კომპანიას სავალუტო გადაფასებასა და წარმოებულ ინსტრუმენტებზე 2024 და 2023 წლებზე უფიქსირდებოდა წმინდა ზარალი, ხოლო 2025 წლის პირველ ნახევარში წმინდა მოგება.

6.2.6. კომპანიას შესაძლოა დაუდგეს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც გამომდინარეობს საბრუნავი კაპიტალის უარყოფითი მაჩვენებლიდან (ლიკვიდობის კოეფიციენტები წლების მიხედვით იხ. 1.B.2.8. ქვეუნიქტი).

კომპანიის საქმიანობას თან ახლავს ლიკვიდურობის რისკი, რომელიც გამომდინარეობს აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობიდან. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით, კომპანიის საბრუნავი კაპიტალი ბუღალტრულად უარყოფითია, რაც ტექნიკურად ასახავს მოკლევადიანი ვალდებულებების ჭარბობას მოკლევადიან აქტივებზე.

აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის მიერ 2023 წლის მე-4 კვარტალში მიღებული გადაწყვეტილებიდან, რომლის მიხედვით ახალ გასაცემ სალომბარდე სესხებზე ფორმალური სტანდარტული ვადა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 წლით განისაზღვრა. ამის მიზეზი არის, რომ ხშირ შემთხვევაში, კლიენტები იყენებენ ერთსა და იმავე უზრუნველყოფას განმეორებითი და მრავალჯერადი სესხების მისაღებად. შესაბამისად, კომპანიის რესურსებისა და კლიენტების დროის დასაზოგად, მარეგულირებელთან შეთანხმებით და „ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულების“ პრინციპების დაცვით, „ემიტენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასესხო ხელშეკრულებები ფორმალურად და იურიდიულად გაფორმდეს 3 წლიანი ვადით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სესხები დღეს ოფიციალურად კლასიფიცირებულია გრძელვადიან (ერთ წელზე მეტი ვადიანობის) აქტივებად, რეალურ პრაქტიკაში სალომბარდე სესხების აბსოლუტური უმრავლესობის დაფარვა საშუალოდ 3 თვეში ხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულად საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია, რეალური ბიზნეს-პრაქტიკა და ფულადი ნაკადების ფაქტობრივი მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ფორმალური სურათისგან. ფაქტობრივად, კომპანიის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცილებით უფრო ლიკვიდურია, ვიდრე ეს ბუღალტრული აღრიცხვიდან ჩანს.

შესაბამისად, მიუხედავად ბუღალტრული მონაცემებით დაფიქსირებული უარყოფითი საბრუნავი კაპიტალისა, რეალური ლიკვიდურობის რისკი მნიშვნელოვნად შემსუბუქებულია და ნაწილობრივ ნეიტრალიზებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელის სპეციფიკითა და კლიენტების რეალური ქცევის პატერნებით.

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთი სიტუაცია მაინც მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს, რადგან ნებისმიერი ცვლილება კლიენტების ქცევაში - მაგალითად, სესხების დაფარვის ვადების გაგრძელებამ ან განმეორებითი სესხების მიღების ტენდენციის შემცირებამ - შესაძლოა სწრაფად გამოიწვიოს ლიკვიდურობის რეალური პრობლემები და გაართულოს კომპანიის უნარი, დროულად შეასრულოს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები.

6.2.7. კომპანიამ შესაძლოა დაარღვიოს მარეგულირებლის მიერ დაწესებული კოეფიციენტები და მაჩვენებლები, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის იურიდიულ სტატუსსა და რეპუტაციაზე.

„კომპანიის“ საქმიანობა ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ერთიან ზედამხედველობით ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო მოიცავს რიგ მნიშვნელოვან ფინანსურ და საოპერაციო

კოეფიციენტებსა და მაჩვენებლებს, რომლებიც დაკავშირებულია ლიკვიდურობასთან, ფინანსურ მდგრადობასთან და კაპიტალის ადეკვატურობასთან. კომპანიის მარეგულირებელი სტატუსი და მისი გრძელვადიანი მდგრადობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ამ მოთხოვნების მუდმივ დაკმაყოფილებაზე.

ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, კომპანიის რეგულატორული სტატუსი შესაძლოა დადგეს რისკის ქვეშ, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე, საბაზრო პოზიციაზე და გრძელვადიან მდგრადობაზე. გარდა ამისა, ასეთმა დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი საზედამხებელო ღონისძიებების დაწესება ან გარკვეული საოპერაციო შეზღუდვების დაწესება, რაც პირდაპირ იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე და მის შესაძლებლობაზე, მოიზიდოს ახალი ფინანსური რესურსები კაპიტალის ბაზრებიდან ან საბანკო სექტორიდან.

6.2.8. თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების გამართულობას, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლამ ან კიბერთავდასხმებმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიყენოს კომპანიის ოპერაციებს.

„კომპანიის“ საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის უწყვეტ ფუნქციონირებაზე, როგორც შიდა ადრინცხვის, ისე კლიენტთან მომსახურების ნაწილში. ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზი, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობა ან ტექნოლოგიური სისტემების მწყობრიდან გამოსვლა შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის საქმიანობაზე, შეაფერხოს ოპერაციები და გამოიწვიოს ფინანსური და რეპუტაციული ზარალი.

გარდა ამისა, კიბერთავდასხმებმა შეიძლება გამოიწვიოს მგრძნობიარე ინფორმაციის დაკარგვა, მომხმარებელთა მონაცემებზე ან ფინანსურ აქტივებზე უნებართვო წვდომა ან მომსახურების შეფერხება.

ამგვარი რისკების რეალიზაციამ შესაძლოა არა მხოლოდ ფინანსურ ზარალი, არამედ მომხმარებელთა ნდობის შემცირება გამოიწვიოს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში კომპანიის საბაზრო პოზიციებსა და რეპუტაციაზე უარყოფითად აისახება.

6.2.9. კომპანიის საქმიანობა დიდწილად დამოკიდებულია მის რეპუტაციაზე და ბრენდის ცნობადობაზე. რეპუტაციის შელახვამ, ბრენდის ღირებულების დაცემამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეარყიოს მომხმარებელთა ნდობა და შეამციროს შემოსავლები.

„კომპანიის“ მდგრადობა და ზრდის პოტენციალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის რეპუტაციაზე და ბრენდის ცნობადობაზე. მომხმარებელთა ნდობა კომპანიის მიმართ წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს პროდუქტის პოპულარობას, ბაზარზე პოზიციების გაძლიერებას და ფინანსური შედეგების სტაბილურობას.

ნებისმიერმა გარემოებამ, რომელიც შეარყევს კომპანიის რეპუტაციას - იქნება ეს მომსახურების ხარისხის გაუარესება, მომხმარებელთა უკმაყოფილების გაზრდა, არასათანადო კორპორაციული მმართველობა, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შეუსაბამობა, ან ნეგატიური მედია-კომუნიკაცია - შესაძლოა არსებითად შეამციროს ბრენდის ღირებულება და შეანელოს კომპანიის ზრდა.

6.2.10. კომპანია რეგულირებული ფინანსური ინსტიტუტია. მარეგულირებელი ბაზის ცვლილებებმა - მათ შორის, საკანონმდებლო და საზედამხებელო ცვლილებებმა - შესაძლოა ფუნდამენტურად შეცვალოს ბიზნესმოდელი და მომგებიანობა.

„კომპანია“ წარმოადგენს რეგულირებულ ფინანსურ ინსტიტუტს, რომლის საქმიანობა მთლიანად ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზედამხედველობასა და მოქმედ

სამართლებრივ ჩარჩოს. ამ გარემოში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება, მათ შორის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გამკაცრება, საპროცენტო ზღვრების დადგენა ან მომხმარებელთა დაცვის ახალი წესების ამოქმედება, პირდაპირ აისახება კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ცვლილებები შესაძლოა ფუნდამენტურად შეცვალოს კომპანიის ბიზნესმოდელი და მომგებიანობა. კერძოდ, კაპიტალის გაზრდილი მოთხოვნები ზრდის დამატებითი რესურსების მოძიების საჭიროებას, საპროცენტო რეგულაციები ზღუდავს შემოსავლის სტრუქტურას, ხოლო მომხმარებელთა დაცვის მკაცრი წესები ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებსა და შესაბამისობის უზრუნველყოფის ტვირთს.

იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი მოთხოვნები კიდევ უფრო გამკაცრდება, „კომპანიამ“ შესაძლოა დაკარგოს მოქნილობა ახალი პროდუქტების შეთავაზებასა და საბაზრო პირობებზე სწრაფ ადაპტაციაში, რაც შეამცირებს მის კონკურენტულ უპირატესობასა და გრძელვადიან მდგრადობას.

6.2.11. სასამართლო დავებში ჩართულობამ, იურიდიულმა პროცესებმა ან საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც ფინანსური, ისე რეპუტაციული ზიანი.

სასამართლო დავებში ჩართულობა, იურიდიული პროცესების გაჭიანურება ან საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევა კომპანიას უქმნის, როგორც პირდაპირ ფინანსურ, ისე მნიშვნელოვან რეპუტაციულ რისკებს. მსგავსმა შემთხვევებმა შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი ხარჯების ზრდა, ჯარიმებისა და კომპენსაციების გადახდის აუცილებლობა, ასევე ძირითადი ოპერაციების შეფერხება.

გარდა ამისა, სასამართლო დავების საჯარო ხასიათმა ან უარყოფითმა მედიაგამუქებამ შეიძლება შეარყიოს მომხმარებელთა, პარტნიორებისა და ინვესტორების ნდობა. განსაკუთრებული რისკია, თუ დავები დაკავშირებულია კომპანიის საკვანძო კონტრაქტებთან ან მნიშვნელოვან ფინანსურ ოპერაციებთან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შედეგები შეიძლება იყოს სტრატეგიული პარტნიორობების დაკარგვა, ბაზრის წილის შემცირება და კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობების გაუარესება.

6.2.12. კომპანია აქტიურად იყენებს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებულ საკრედიტო რესურსებს. არსებულმა ან მომავალში ნაკისრმა კოვენანტებმა და საკრედიტო შეთანხმებებმა შესაძლოა შეზღუდოს კომპანიის მოქნილობა ოპერაციული და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

„კომპანია“ ოპერაციებისა და ზრდის დასაფინანსებლად აქტიურად იყენებს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან მოზიდულ საკრედიტო რესურსებს. აღნიშნულ ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური კოვენანტები, რომლებიც კომპანიის ქცევასა და საქმიანობაზე გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს.

ამჟამად „კომპანიას“ აქვს არაფინანსური კოვენანტები კომერციულ ბანკებთან, ხოლო 2023 წელს განხორციელებული ობლიგაციების (ISIN: GE2700604285) ემისიის ფარგლებში - დამატებითი ფინანსური კოვენანტები (დეტალებისთვის იხილეთ 3.F. პუნქტი - „კაპიტალიზაცია და დავალიანება“). „კომპანიის“ მიერ არცერთი მოქმედი კოვენანტი დარღვეული არ არის.

კოვენანტების ბუნება ხშირად მოიცავს მოთხოვნებს კაპიტალისა და ლიკვიდობის მინიმალურ დონესთან, ფინანსური ანგარიშგების დროულ მიწოდებასთან, ნებართვის გარეშე ახალი ვალდებულებების აღების შეზღუდვასთან ან აქტივების გაყიდვაზე შეზღუდვებთან დაკავშირებით. ამგვარი პირობები მიზნად ისახავს კრედიტორების ინტერესების დაცვას, თუმცა პარალელურად შესაძლოა კომპანიის მოქნილობა შეიზღუდოს განსაკუთრებით ოპერაციული და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ამასთან, კოვენანტების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს სესხების ვადამდელი დაფარვის მოთხოვნა, ახალი დაფინანსების მოზიდვის შეზღუდვა ან ფინანსური ხარჯების ზრდა. ამიტომ, კომპანიის გრძელვადიანი მდგრადობა და ფინანსური სანდოობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კოვენანტების მუდმივ შესრულებაზე და მათთან ადეკვატურ მართვაზე.

6.2.13. ვინაიდან კომპანია აქტიურად იყენებს ცვლად განაკვეთიან სავალო ფასიან ქაღალდებსა და მოკლევადიან ნასესხებ სახსრებს, წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკის არაადეკვატურმა მართვამ შესაძლოა წარმოქმნას აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობა, რაც გავლენას მოახდენს მომგებიანობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ კომპანიის სასესხო და საინვესტიციო პორტფელი განსხვავებული საპროცენტო სტრუქტურით არის წარმოდგენილი. კომპანია გასცემს სესხებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, მაშინ როცა მისი ვალდებულებების ნაწილი (მათ შორის მოკლევადიანი სესხები და ცვლად განაკვეთიან ფასიან ქაღალდებზე დაფუძნებული დაფინანსება) დამოკიდებულია ბაზრის საპროცენტო ცვლილებებზე.

თუ საბაზრო განაკვეთები გაიზრდება, კომპანიის ფინანსური ხარჯი (ფასიანი ქაღალდების სარგებლისა და ნასესხები სახსრების პროცენტის გადახდა) ასევე გაიზრდება, მაშინ როცა მისი სესხებიდან მიღებული შემოსავლები უცვლელი დარჩება, რამაც შესაძლოა შეამციროს მოგების მარჟა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული რისკი მნიშვნელოვნად შემსუბუქებულია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკით - სალომბარდე სესხების აბსოლუტური უმრავლესობა საშუალოდ 3 თვეში იფარება, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას დროულად მოახდინოს რეაგირება ბაზრის ცვლილებებზე და განაახლოს საპროცენტო პირობები ახალი სესხების გაცემისას. შესაბამისად, კომპანიის მოკლევადიანი სასესხო პორტფელი ბუნებრივად ამცირებს საპროცენტო რისკის გავლენას გრძელვადიან ფინანსურ შედეგებზე.

6.2.14. კომპანიის ფინანსური და საოპერაციო მართვა დამოკიდებულია ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციაზე და ცოდნაზე. ძირითადი პერსონალის, გამოცდილი მენეჯმენტის ან კვალიფიციური კადრების დაკარგვამ შეიძლება შეანელოს ბიზნესის განვითარება და შეამციროს ოპერაციული ეფექტიანობა.

კომპანიის წარმატებული ოპერირებისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის კრიტიკულია გამოცდილი მენეჯმენტის, ძირითადი პერსონალისა და კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. მათმა გადინებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცოდნის, გამოცდილებისა და ბიზნეს-ურთიერთობების დაკარგვა, რაც შეამცირებს ოპერაციულ ეფექტიანობას და გაზრდის შეცდომების რისკს. კვალიფიციური კადრების ჩანაცვლება ხშირად მოითხოვს დროსა და რესურსებს, ხოლო შიდა პროცესების გაუმართაობამ ამ პროცესში შეიძლება დამატებით დააზიანოს კომპანიის კონკურენტუნარიანობა.

6.2.15. უსაფრთხოების ზომების ნაკლებობამ - იქნება ეს ფიზიკური თუ კიბერუსაფრთხოება - შეიძლება გაზარდოს დანაკარგების ალბათობა, მათ შორის კლიენტთა მონაცემების გაჟონვის რისკი.

უსაფრთხოების ზომების არასაკმარისობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს კომპანიის ფინანსური და რეპუტაციული რისკები. არასათანადო კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, დაუცველი IT ინფრასტრუქტურა ან მონაცემთა დაცვის პროცესების სისუსტე ზრდის კლიენტთა პერსონალური და ფინანსური ინფორმაციის გაჟონვის, არასანქცირებული წვდომის ან კიბერთავდასხმის ალბათობას. ამგვარი ინციდენტები არა მხოლოდ იწვევს პირდაპირ ფინანსურ დანაკარგებს, არამედ მნიშვნელოვნად აზიანებს მომხმარებელთა ნდობას, ამცირებს კომპანიის კონკურენტუნარიანობას და შესაძლოა გამოიწვიოს მარეგულირებელი ჯარიმები და იურიდიული დავები.

ამასთან, ვინაიდან „კომპანიის“ სასახო პორტფელის უზრუნველყოფას წარმოადგენს ძვირფასი ლითონები, საცავების არასათანადო დაცვამ ან უსაფრთხოების ზომების არასაკმარისობამ შესაძლოა გამოიწვიოს არაკეთილსინდისიერი ქცევის, მიტაცების, ძარცვის/ქურდობის შედეგად ან სხვა მიზეზით ქონების დაზიანება, რითიც „კომპანიას“ შესაძლოა მიადგეს მნიშვნელოვანი ფინანსური და რეპუტაციული რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანია იყენებს შიდა პროცედურებს უზრუნველყოფის შეფასებისა და შენახვისთვის. ასევე, კომპანიის საცავს ჰყავს 24 საათიანი დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე ძარცვის და თაღლითობის მნიშვნელოვან შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია, შესაძლოა კომპანიაში არსებული რისკის მართვის პროცედურები შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი და სამომავლოდ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდეს, რაც კომპანიას რეპუტაციულად და ფინანსურად დააზარალებს. შესაძლოა გამოიწვიოს გირაოს დაზიანება, მოპარვა ან რაიმე სხვა მიზეზით ღირებულების შემცირება.

G.2.16. უზრუნველყოფის დასაკუთრების შემდგომ მისი გაყიდვის პროცესს თან ახლავს საოპერაციო, საბაზრო და მარეგულირებელი რისკები, მათ შორის ლოჯისტიკური ორგანიზების სირთულეები, საერთაშორისო ბაზრებზე ძვირფასი ლითონების ფასების მერყეობა და ბიუროკრატიული შეფერხებები, რაც შესაძლოა ნეგატიურად აისახოს თანხების ამოღების სისწრაფესა და სრულ ოდენობაზე.

კომპანიის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უზრუნველყოფა წარმოადგენს ძლიერ დამცავ მექანიზმს, მისი რეალიზაცია პრაქტიკაში დაკავშირებულია რიგ სპეციფიკურ რისკებთან.

უპირველეს ყოვლისა, დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვა მოითხოვს შესაბამის ლოჯისტიკურ და ადმინისტრაციულ ორგანიზებას. პროცესი მოიცავს ნივთის სათანადო შეფასებას, შესაბამის აუქციონზე ან სხვა არხით გატანას, მომხმარებლების მოძიებას და რეალიზაციას. ნებისმიერი შეფერხება ან ხარვეზი ამ პროცესში შესაძლოა გამოიწვიოს თანხების ამოღების დაყოვნება.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ბაზრის ფასი იმ მომენტში, როდესაც უზრუნველყოფა იყიდება. მაგალითად, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფასები საერთაშორისო ბაზარზე მერყეობს, და თუ რეალიზაციის მომენტში ფასები შედარებით დაბალია, მიღებული თანხა შეიძლება ვერ დაეფაროს სესხის სრული ოდენობას.

გარდა ამისა, რეალიზაციის პროცესზე გავლენას ახდენს ინდუსტრიული და მარეგულირებელი გარემო. აუქციონის პროცედურები, საკანონმდებლო რეგულაციები, ბიუროკრატიული ფორმულობები და სხვა ოპერაციული საკითხები ხშირად ზრდის პროცესის ხანგრძლივობას და ამცირებს მის ეფექტიანობას.

შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფა კომპანიას სესხების გაცემა-დაფარვის პროცესში დამატებით დაცვას აძლევს, მისი დასაკუთრებისა და შემდგომი რეალიზაციის პროცესი თავისთავად შეიცავს რისკებს, რომლებიც შესაძლოა უარყოფითად აისახოს როგორც კომპანიის ფინანსურ შედეგებზე, ისე ობლიგაციების მფლობელთა ინტერესებზე.

G.2.17. წამყვანი საბაზრო პოზიციის მიუხედავად, კომპანია ოპერირებს კონკურენტულ ბაზარზე. კონკურენციის გამწვავებამ ან ახალი მოთამაშეების შემოსვლამ ბაზარზე შეიძლება შეამციროს საბაზრო წილი და ზეწოლა მოახდინოს მარეგულაციაზე.

კონკურენციის გამწვავება ან ახალი მოთამაშეების შემოსვლა ბაზარზე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას კომპანიის საბაზრო პოზიციებისთვის. ახალი კონკურენტების გამოჩენამ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ოპერირებენ ინოვაციური ბიზნეს მოდელებით, დაბალი

ხარჯებით ან აგრესიული ფასების სტრატეგიით, შესაძლოა პირდაპირი ზეწოლა მოახდინოს კომპანიის საბაზრო წილზე და მის მომგებიანობაზე.

მოქმედი კონკურენტების მიერ პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებამ, დამატებითი სერვისების შეთავაზებამ ან მომხმარებელზე მორგებულმა მიდგომამ შეიძლება გაზარდოს მომხმარებელთა მიგრაციის რისკი. ამის შედეგად კომპანიას შესაძლოა მოუხდეს ფასების შემცირება, დამატებითი ინვესტიციების გაღება მარკეტინგში, სერვისების გაუმჯობესება ან ტექნოლოგიური განახლებები, რაც ზრდის საოპერაციო ხარჯებს და ამცირებს მარჟებს.

განსაკუთრებით რისკიანია სიტუაცია, როდესაც ბაზარზე შემოსული ახალი მოთამაშეები ფლობენ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს ან ძლიერი პარტნიორების მხარდაჭერას, რაც მათ საშუალებას აძლევს სწრაფად მოიპოვონ კლიენტთა ნდობა და ბაზრის წილი. ასეთ გარემოში, კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მუდმივი ინოვაცია, მომსახურების ხარისხის სტაბილურად მაღალი დონე და მოქნილი საპასუხო სტრატეგიები, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მარჟებზე ზეწოლისა და ბაზრის დაკარგვის რისკი.

საბაზრო გარემოს შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 3.C.2. ქვეპუნქტი - „გასაღების ბაზრები“.

6.2.18. კომპანია დამოკიდებულია სხვა ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო რესურსებზე. აღნიშნულ ინსტიტუტებთან ურთიერთობის გაუარესებამ შესაძლოა შეაფერხოს წვდომა საჭირო ფინანსურ რესურსებზე, შეაფერხოს ზრდა და გაზარდოს ხარჯები.

პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის გაუარესებამ შეიძლება სერიოზულად შეაფერხოს კომპანიის საქმიანობა და გაზარდოს ხარჯები. თუ საკრედიტო ორგანიზაციები, ინვესტორები ან სხვა კაპიტალის მიმწოდებლები „კომპანიას“ ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის, საკრედიტო რეიტინგის გაუარესებიდან გამომდინარე) შეუმცირებენ დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას, გაზრდიან საპროცენტო განაკვეთებს ან საერთოდ შეწყვეტენ თანამშრომლობას, კომპანიას შეიძლება გაუჭირდეს როგორც დაგეგმილი ზრდის განხორციელება, ისე მიმდინარე ფულადი საჭიროებების დაფარვა.

6.2.19. ვინაიდან არასტანდარტულ საბაზრო პირობებში აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს სკამარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარად, კომპანიის რეალური მოგება შესაძლოა დაგეგმილზე ნაკლები იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია გაუფასურების ზარალის რეზერვს აღრიცხავს ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიამ სწორად ვერ განსაჯოს სამომავლო დანაკარგები და, ამგვარად, რეალურად დამდგარი ზარალი აღემატებოდეს დარეზერვებულს. ასეთ შემთხვევაში კომპანიას დასჭირდება შექმნას დამატებითი რეზერვი, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის მოგებაზე, სესხის კოეფიციენტებსა და სესხის მომსახურებაზე. დაგეგმილზე მეტი ზარალის რეზერვი მოსალოდნელია დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში დადგება ეკონომიკური ან პოლიტიკური არასტაბილურობა, კომპანიის კლიენტები ვერ შეძლებენ სესხების დაფარვას სხვა მიზეზით.

6.2.20. საკრედიტო პორტფელის ჭარბმა კონცენტრაციამ კონკრეტული კატეგორიის სესხებში ან გეოგრაფიულ რეგიონებში შესაძლოა გააძლიეროს დანაკარგები ეკონომიკური კრიზისის დროს.

კომპანიის ბიზნესმოდელი მთლიანად ორიენტირებულია მხოლოდ ერთ სახეობის პროდუქტზე, კერძოდ სალომბარდე სესხებზე, და მისი ოპერაციები სრულად შემოფარგლულია საქართველოს ბაზრით.

თუ სალომბარდე სესხების ბაზარზე მოხდება უარყოფითი ცვლილებები - მაგალითად, უზრუნველყოფის ფასის (ძვირფასი ლითონების, განსაკუთრებით ოქროს) მკვეთრი ვარდნა, საკანონმდებლო რეგულაციების გამაცვრება ან მომხმარებელთა ქცევის ცვლილება - ეს პირდაპირ აისახება კომპანიის მთელ სასესხო პორტფელზე.

ამასთან, ვინაიდან კომპანია ოპერირებს მხოლოდ საქართველოში, ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისის, პოლიტიკური არასტაბილურობის ან რეგულაციების მკვეთრი ცვლილების შემთხვევაში, მისი საქმიანობა შესაძლოა მთლიანად მოექცეს ზეწოლის ქვეშ, რამაც შესაძლოა არსებითად დააზიანოს კომპანიის ფინანსური შედეგები და საინვესტიციო მიმზიდველობა.

6.2.21. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები და სხვა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. ერთის მხრივ, ჩამოთვლილმა მოვლენებმა შესაძლოა დააზიანოს კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივები, რითიც ემიტენტს შეუჩერდება ოპერაციების განხორციელების საშუალება. ასეთ დროს, კომპანია დაკარგავს შემოსავლებსა და მოგების გენერაციის საშუალებას.

მეორეს მხრივ, მოულოდნელმა და მასობრივმა მოვლენებმა შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ქვეყნის მოსახლეობაზე, რომლებიც ემიტენტისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ისეთი მასშტაბური და მოულოდნელი უარყოფითი მოვლენების შედეგად, მაგალითად, როგორიც იყო COVID-19 პანდემია, ხდება სამუშაო ადგილების დაკარგვა, ეკონომიკის დაღმასვლა, რაც აღარბებს მოსახლეობას. ასეთ დროს, კომპანიას შესაძლოა გაუჭირდეს პორტფელის ზრდა და არსებული გაცემული სესხების ამოღება. ორივე შემთხვევას უარყოფითი ფინანსური ეფექტი ექნება ემიტენტზე.

6.3. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის

6.3.1. განვითარებად ბაზრებზე, მათ შორის საქართველოში, ინვესტირება მოიცავს მაღალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებს.

განვითარებად ეკონომიკებში, მათ შორის საქართველოში, ინვესტიციები თავისთავად შეიცავს მაღალ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იურიდიულ რისკებს განვითარებულ სახელმწიფოებთან შედარებით. ამ ტიპის ბაზრებისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური სიტუაციის ხშირი რყევები, კაპიტალის ბაზრის დაბალი ლიკვიდობა, ექსპორტის შეზღუდული დივერსიფიკაცია, მიმდინარე ანგარიშის დისბალანსი და განუწყვეტელი ცვლილებები პოლიტიკურ, სოციალურ და რეგულატორულ სფეროებში. მიუხედავად კორუფციასთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებებისა, კვლავ რჩება სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვისა და ადმინისტრაციული კორუფციის რისკები, რაც აუარესებს ბიზნესკლიმატს და ამცირებს ინვესტორთა ნდობას.

დამატებით, ბიზნეს გარემოზე კრიტიკულ გავლენას ქვეყნის პოლიტიკური ფაქტორები ახდენს. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, მათ შორის სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალების კონფრონტაცია, საპროტესტო აქციები და საერთაშორისო სანქციები, ზრდის განუსაზღვრელობას ხარისხს სახელმწიფოს სტაბილურობასა და ეკონომიკური პროგრესის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პოლიტიკურმა ტურბულენტობამ შეიძლება დააბრკოლოს ეკონომიკური განვითარება, გააუარესოს საინვესტიციო გარემო და შექმნას მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ბიზნესისთვის.

მიდა პრობლემებთან ერთად, საქართველო მოწყვლადია საერთაშორისო ეკონომიკური და რეგიონული ფინანსური კრიზისების მიმართ. საერთაშორისო კაპიტალზე წვდომის გართულებამ, სესხების გაძვირებამ ან ინვესტორთა განწყობის გაუარესებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური პრობლემები. უცხოელი ინვესტორების რეაქციები ხშირად ვრცელდება მთელ რეგიონში დომინოს პრინციპით, რაც ზრდის ალბათობას, რომ მეზობელ განვითარებად ქვეყნებში მომხდარმა კრიზისმა უშუალო გავლენა იქონიოს საქართველოზე. ისტორიულად ასეთი „გადაცემითი“ ეფექტები აღინიშნა 1998 წლის რუსული კრიზისისა და 2007-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში.

მაკროეკონომიკური ინდიკატორები - ინფლაცია, დეფლაცია, ვალუტის კურსის მერყეობა და საპროცენტო განაკვეთების დინამიკა - დიდ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული კომპანიების საქმიანობის შედეგებზე. ვინაიდან ემიტენტის შემოსავალი ძირითადად დამოკიდებულია მოსახლეობის საკრედიტო მოთხოვნაზე, ნებისმიერმა შემცირებამ - განპირობებული ადგილობრივი, რეგიონული თუ გლობალური მიზეზებით - შეიძლება სერიოზულად შეაფერხოს სტრატეგიული მიზნების მიღწევა, შეამციროს შემოსავლები და დაზიანოს ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები.

ამ კონტექსტში, საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში ნებისმიერმა ნეგატიურმა ცვლილებამ - იქნება ეს რეფორმების შეწყვეტა, გარე ფინანსური შოკი, რეგიონული დაძაბულობა თუ ინვესტორთა სეპტიციზმის ზრდა - შეიძლება რადიკალურად შეცვალოს ბიზნესგარემო და კომპანიის განვითარების პერსპექტივები.

6.3.2. საქართველოს ეკონომიკური არასტაბილურობა ან რეცესია უარყოფითად აისახება „კომპანიის“ ფინანსურ მაჩვენებლებზე.

საქართველოს ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ან რეცესიამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს როგორც ბიზნესების, ასევე კერძო პირების გადახდისუნარიანობა, რაც პირდაპირ აისახება კომპანიის შემოსავლებსა და ფულადი ნაკადების სტაბილურობაზე. ეკონომიკური რეცესიის პირობებში შესაძლოა შემცირდეს მომხმარებელთა მოთხოვნა ფინანსურ პროდუქტებზე, გაძნელდეს არსებული სესხების ან სხვა ვალდებულებების მომსახურება, ხოლო კაპიტალის ბაზრებზე წვდომა გახდეს უფრო შეზღუდული და ძვირი.

გარდა ამისა, ასეთ ვითარებაში უცხოელი ინვესტორების ნდობა ქვეყნისადმი შეიძლება შესუსტდეს, რაც გაართულებს კაპიტალის მოზიდვას და შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური რესურსების დეფიციტი. ინფლაციის მატებამ და ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება გაზარდოს, როგორც საოპერაციო, ისე საკრედიტო ხარჯები, ამასთანავე შეამციროს კომპანიებისა და მომხმარებლების რეალური შემოსავალი.

ეს ფაქტორი ერთად ქმნის გარემოს, სადაც სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულება შეიძლება მნიშვნელოვნად გაჭირდეს, ხოლო არსებული რისკების შესამცირებლად საჭირო გახდეს დამატებითი რესურსების, დივერსიფიცირებული შემოსავლების წყაროების და მოქნილი მართვის მექანიზმების გამოყენება.

6.3.3. პოლიტიკური ტურბულენტობა და უსაფრთხოების გამოწვევები ზრდის ქვეყნის რისკს და ამცირებს ინვესტორთა ნდობას.

პოლიტიკური ტურბულენტობა, ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა და უსაფრთხოების გამოწვევები მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს ქვეყნის რისკის პროფილს, რაც პირდაპირ აისახება, როგორც საინვესტიციო გარემოზე, ისე კომპანიის საქმიანობაზე. მსგავსი ფაქტორები ხშირად ქმნის გაურკვევლობას და არასტაბილურობას, რაც ინვესტორებს უბიძგებს თავიანთი კაპიტალის ნაკლებად რისკიან ბაზრებზე

გადამისამართებისკენ. შედეგად, იკლებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რთულდება საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვა და იზრდება დაფინანსების ღირებულება.

გარდა ამისა, უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები -იქნება ეს სამხედრო ესკალაციის რისკი, საზღვრის ინციდენტები თუ დივერსიული ქმედებები -ზრდის ლოგისტიკური არხების, ინფრასტრუქტურისა და კრიტიკული მომსახურებების შეფერხების ალბათობას. ამან შესაძლოა პირდაპირ იმოქმედოს კომპანიების საოპერაციო მდგრადობაზე და გაზარდოს მოულოდნელი ხარჯების გაჩენის რისკი.

6.3.4. მიკროსაფინანსო სექტორის სტრუქტურულმა ცვლილებებმა შესაძლოა შექმნას კონკურენტული დისბალანსი და ზეწოლა „კომპანიაზე“.

მიკროსაფინანსო სექტორის უმსხვილესი წარმომადგენლების მიკრობანკებად გარდაქმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან გარდატეხას ინდუსტრიის განვითარებაში, რომელსაც თან ახლავს როგორც ახალი შესაძლებლობები, ისე არსებითი სისტემური რისკები დარჩენილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის.

მიკრობანკებად გარდაქმნილ სუბიექტებს საბანკო სტატუსიდან გამომდინარე შესაძლოა ქონდეთ წვდომა დაფინანსების უფრო მრავალფეროვან წყაროებზე, მათ შორის დეპოზიტებზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს მოიპოვონ უფრო იაფი და სტაბილური დაფინანსება. შედეგად, არსებობს ალბათობა, რომ დარჩენილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აღმოჩნდნენ ნაკლებად კონკურენტულები ფულადი რესურსების მოზიდვის კუთხით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის შემცირება ან/და მოზიდული სახსრების გაძვირება.

გარდა ამისა, მიკრობანკებს აქვთ უფლება მომხმარებლებს შესთავაზონ მომსახურების უფრო ფართო სპექტრი (მათ შორის, საგადახდო ოპერაციები, გადარიცხვები და საბანკო ანგარიშების მომსახურება), რაც მათ აძლევს შესაძლებლობას მოიზიდონ და შეინარჩუნონ ისეთი კლიენტები, რომლებიც ტრადიციულად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებას იყენებდნენ. შედეგად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შესაძლოა გაუჭირდეთ, როგორც არსებული კლიენტების შენარჩუნება, ისე ახალი მომხმარებლების მოზიდვა.

ამასთან, აღნიშნულმა ტენდენციამ შესაძლოა გამოიწვიოს სექტორის რისკიანობის ზრდა. მიკრობანკები შესაძლოა ჩამოყალიბდნენ როგორც ფართო ფინანსური ეკოსისტემის ნაწილი, ხოლო ტრადიციული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დარჩნენ შედარებით შეზღუდულ ნიშაში, ფოკუსირებულნი მცირე ზომის და მაღალრისკიან სესხებზე. ამან შესაძლოა გაზარდოს სისტემური რისკები სექტორის მდგრადობის კუთხით და აისახოს დაფინანსების გაძვირებაში.

ზემოაღნიშნული რისკების არსებობის მიუხედავად, ალბათობა რეალური ზიანისა საკმაოდ დაბალია. სექტორში დარჩენილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს მიკრობანკის სტატუსისთვის აუცილებელ მარეგულირებელ და კაპიტალის მოთხოვნებს, რაც ამცირებს მათი გარდაქმნის ალბათობას. გარდა ამისა, სექტორში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (მათ შორის „ემიტენტი“) უკვე დამკვიდრებულნი არიან კონკრეტულ საბაზრო ნიშაში (მცირე მოცულობის, სწრაფი და უზრუნველყოფილი სესხების გაცემაში), სადაც მიკრობანკების კონკურენცია შესაძლოა შედარებით შეზღუდული იყოს მათი საოპერაციო მოდელისა და მარეგულირებელი ჩარჩოს გათვალისწინებით. შესაბამისად, მიუხედავად პოტენციური სტრუქტურული ცვლილებებისა, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ მიკროსაფინანსო სექტორის არსებული მოთამაშეები შეინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს ბაზარზე და გააგრძელებენ საქმიანობას სტაბილურ გარემოში.

6.3.5. მარეგულირებელი ბაზის ან საზედამხებლო ცვლილებებმა შესაძლოა გავლენა მნიშვნელოვანი იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობასა და მომგებიანობაზე.

საკანონმდებლო ჩარჩოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების ხშირი ცვლილებები ზრდის კომპანიის საოპერაციო და ადმინისტრაციულ დატვირთვას. ახალ მოთხოვნებზე დროული ადაპტაცია მოითხოვს დამატებით ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, მათ შორის შიდა პოლიტიკის, პროცედურების და ტექნოლოგიური სისტემების განახლებას. რეგულაციების გაუთვალისწინებელმა გამცაცრებამ შეიძლება პირდაპირ იმოქმედოს საკრედიტო პოლიტიკაზე, კაპიტალის მოთხოვნებსა და ლიკვიდობის მართვაზე, რაც შემოსავლების სტაბილურობასა და ბიზნეს გეგმების შესრულებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

ამასთან, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობის თანხვედრას ევროკავშირის სტანდარტებთან, რაც მიკროსაფინანსო და ფინანსურ სექტორში მოქმედი კომპანიებისთვის წარმოშობს რიგ მნიშვნელოვან რეგულატორულ და ოპერაციულ გამოწვევებს.

ახალი წესების დანერგვა მოიცავს სესხების გაცემის, კაპიტალის საკმარისობის, მომხმარებელთა მონაცემების დაცვისა და ფინანსური თაღლითობის პრევენციის ევროპული პრაქტიკების სრულ ინტეგრაციას. ეს ნიშნავს, რომ კომპანიას შესაძლოა მოუწიოს არა მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკების გადახედვა, არამედ შიდა პროცედურების, კონტროლის მექანიზმების და IT ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რაც მოითხოვს როგორც ფინანსურ, ისე ადამიანურ რესურსებს.

ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია სერტიფიცირებული პერსონალის გადამზადებასთან, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვასთან და გაძლიერებული შიდა აუდიტის სისტემების შექმნასთან. მოკლევადიან პერიოდში ეს ზრდის საოპერაციო ხარჯებს და შეიძლება შეამციროს კომპანიის მოგების მარჟა.

საკანონმდებლო ჰარმონიზაცია ასევე ნიშნავს, რომ ბაზარზე შეიძლება შემოვიდნენ უცხოური ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც უკვე ოპერირებენ ევროკავშირის სივრცეში და აქვთ გამოცდილება ამ სტანდარტების შესრულებაში. ეს ზრდის კონკურენციის დონეს და კომპანიისგან მოითხოვს პროდუქტების და სერვისების ხარისხის სწრაფ გაუმჯობესებას.

G.3.6. ლარის მნიშვნელოვანმა დევალვაციამ აშშ დოლარის ან რეგიონული ვალუტების მიმართ შესაძლოა შეამციროს კომპანიის შემოსავლების რეალური ღირებულება და გაზარდოს ვალუტის რისკი.

ლარის მნიშვნელოვანი დევალვაცია აშშ დოლარის ან რეგიონული ვალუტების მიმართ ქმნის მრავალმხრივ საფრთხეს კომპანიის ფინანსური სტაბილურობისთვის. პირველ რიგში, ვინაიდან კომპანიის შემოსავლები ძირითადად ლარშია ნომინირებული, ხოლო ვალდებულებების ნაწილი დოლარში და სხვა უცხოურ ვალუტაში, ასეთ პირობებში ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა შეამციროს შემოსავლების რეალური ღირებულება. შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხარჯების ტვირთი, რაც შეამცირებს მოგების მარჟას და შეზღუდავს რეინვესტირების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, ვალუტის კურსის მერყეობა ხშირად იწვევს ფინანსურ ბაზრებზე ნდობის შემცირებას, ზრდის საპროცენტო განაკვეთებს და ამცირებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას. ასეთ გარემოში კომპანიას შესაძლოა მოუწიოს ფორვარდული და ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენება, რაც ზრდის საოპერაციო ხარჯებს, ან კაპიტალური და საოპერაციო გეგმების გადახედვა, რაც აფერხებს ზრდის ტემპებს და სტრატეგიული მიზნების შესრულებას.

G.3.7. რეგიონული დაძაბულობა ან მუზობელი ქვეყნების ეკონომიკური კრიზისები უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკურ კლიმატზე და, შესაბამისად, კომპანიის ოპერაციებზე.

რეგიონული დაძაბულობა ან მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური კრიზისები ხშირად გადამდები ეფექტით მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ქვეყნები საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო, საინვესტიციო ან სატრანზიტო პარტნიორები არიან. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ან სამხედრო კონფლიქტებმა შეიძლება შეამციროს ინვესტორთა ნდობა და გამოიწვიოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, ასევე შეაფერხოს სავაჭრო ნაკადები, ლოგისტიკა და ტურიზმი.

მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური კრიზისები შეიძლება გამოიხატოს მოთხოვნის კლებაში ქართული ექსპორტის მიმართ, რაც შეამცირებს ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსს და ეროვნული ვალუტის სტაბილურობას. ასეთ პირობებში ფინანსურ ბაზრებზე შესაძლოა გაიზარდოს არასტაბილურობა, რაც მოახდენს გავლენას კაპიტალის მოზიდვის პირობებზე და გაზრდის საპროცენტო განაკვეთებს. აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა შექმნას არახელსაყრელი ბიზნეს გარემო, გაზრდის ხარჯები და შეამციროს საოპერაციო საქმიანობის პროგნოზირებადობა, რამაც შესაძლოა გაართულოს კომპანიის სტრატეგიული მიზნების შესრულება.

6.3.8. გლობალური პანდემიები, ბუნებრივი კატაკლიზმები, საგანგებო სიტუაციები ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბიზნესის უწყვეტობას და ფინანსურ სტაბილურობას.

გლობალური პანდემიები, ბუნებრივი კატაკლიზმები, საგანგებო სიტუაციები და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები კომპანიისთვის შეიძლება იქცეს კრიტიკულ გამოწვევად, რადგან ეს მოვლენები პირდაპირ ზღუდავს მისი ძირითადი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას.

ასეთი მოვლენებისას შესაძლოა შეიზღუდოს სესხების გაცემა და ამოქმედდეს მთავრობის ან რეგულატორის მიერ დაწესებული დროებითი მორატორიუმები გადახდებზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შემოსავლებს. პარალელურად, მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა მკვეთრად იკლებს, რაც ზრდის პრობლემური სესხების წილს პორტფელში და აფერხებს ნაღდი ფულადი ნაკადების შემოსვლას.

ფორსმაჟორული ვითარებები ხშირად იწვევს ოფისებისა და სერვის ცენტრების დროებით დახურვას, პერსონალის მუშაობის შეზღუდვას ან ონლაინ რეჟიმში გადასვლას, რაც განსაკუთრებით რთულია მიკროსაფინანსო სექტორისთვის, სადაც მომხმარებელთა ნაწილი ნაკლებად არის ტექნოლოგიურად ინტეგრირებული. ეს ზრდის როგორც მომსახურების შეფერხების, ისე მომხმარებელთა დაკარგვის რისკს.

შემოსავლების შემცირების და პრობლემური სესხების ზრდის ფონზე იზრდება ლიკვიდობის დეფიციტის რისკი, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციების მომსახურების შესაძლებლობაზე. ასეთ გარემოებებში შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი დაფინანსების მოძიება უფრო მაღალი ფასით, რაც კიდევ უფრო გაზრდის ხარჯებს.

6.3.9. საგადასახადო კანონმდებლობის არაპროგნოზირებადი ცვლილებები ან არსებული ნორმების ბუნდოვანება იწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს, ჯარიმებს და ადმინისტრაციულ სირთულეებს.

საგადასახადო კანონმდებლობის არაპროგნოზირებადმა ცვლილებებმა და არსებული ნორმების ბუნდოვანებამ შესაძლოა შექმნას საოპერაციო და ფინანსურ რისკები კომპანიისთვის. კანონმდებლობის მოულოდნელმა ცვლილებებმა შესაძლოა გაზარდოს საგადასახადო ტვირთი, შემოიღოს დამატებითი ადმინისტრაციული მოთხოვნები ან შეცვალოს არსებული შეღავათები, რის გამოც კომპანიას შესაძლოა მოუწიოს სწრაფად ადაპტირება ახალი წესებთან.

ნორმების ბუნდოვანება ზრდის სამართლებრივი ინტერპრეტაციის რისკს - სხვადასხვა საგადასახადო ორგანო ან სასამართლო შეიძლება ერთსა და იმავე ნორმას სხვადასხვაგვარად მოექცეს. შედეგად,

კომპანიას შესაძლოა დაეკისროს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები. ასეთი გარემოებები ასევე ზრდის საგადასახადო აუდიტების სიხშირეს და ხანგრძლივობას, რაც იწვევს დროისა და რესურსების დამატებით ხარჯვას.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ასეთი არასტაბილურობა ამცირებს საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას, რადგან ბიზნესს უჭირს სტრატეგიული დაგეგმვა უცნობი საგადასახადო პირობების ფონზე. ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტორების ნდობაზე.

G.3.10. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის დარღვევა იწვევს მძიმე სანქციებს და არსებით რეპუტაციულ ზიანს.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის დარღვევა კომპანიისთვის მოიცავს, როგორც სამართლებრივ, ასევე რეპუტაციულ რისკებს. რეგულაციების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ფინანსური სანქციები, საქმიანობის შეჩერება ან ლიცენზიის გაუქმება.

დამატებით, ასეთი დარღვევა მნიშვნელოვნად აზიანებს კომპანიის მიმართ ნდობას, როგორც ინვესტორების, ისე პარტნიორებისა და კლიენტების მხრიდან. ეს განსაკუთრებით კრიტიკულია, რადგან მიკროსაფინანსო სექტორი დიდად არის დამოკიდებული რეგულატორულ შესაბამისობაზე და სანდო იმიჯზე, რის დაკარგვამაც შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს კაპიტალზე წვდომასა და შემოსავლების სტაბილურობაზე.

G.3.11. კონკურენციის კანონმდებლობის გამაცრება ზრდის ანტიმონოპოლიური გამოძიების რისკს და ამცირებს ბაზრის შესვლის ბარიერებს ახალი კონკურენტებისთვის.

კონკურენციის კანონმდებლობის გამაცრება კომპანიისთვის ზრდის ანტიმონოპოლიური გამოძიების დაწყების ალბათობას, რაც შეიძლება მოიცავდეს ხანგრძლივ სამართლებრივ პროცესებს, დამატებით ხარჯებსა და მენეჯმენტის ყურადღების გადატანას ძირითადი საქმიანობიდან.

ამასთან ერთად, აღნიშნულმა პროცესებმა შესაძლოა შეამციროს ბაზარზე შესვლის ბარიერები, რაც ახალ მოთამაშეებს მისცემს შესაძლებლობას უფრო მარტივად შევიდნენ სექტორში. შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს კონკურენცია სესხების პირობებსა და საპროცენტო განაკვეთებზე, რაც ზეწოლას მოახდენს კომპანიის მოგების მარჟებსა და ბაზრის წილზე. ასეთ პირობებში კონკურენტული უპირატესობის დაკარგვის რისკი განსაკუთრებით მაღალია, თუ კომპანიამ დროულად არ მოახდინა სერვისების, პროდუქტის შეთავაზებისა და საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესება.

G.3.12. ფინანსური ანგარიშგებების ხარისხობრივი რისკი.

კომპანიის 2025 და 2024 წლის შუალედური ანგარიშგებები არ არის აუდიტირებული ან აუდიტორის მიერ გადახედილი, შესაბამისად შესაძლოა შეიცავდეს არსებით ხარვეზებს. ინვესტორებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებისას.

G.4. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის

G.4.1. ობლიგაციები წარმოადგენს თანაბარი რიგის ფასიან ქაღალდებს (Pari Passu), რომლებიც არ სარგებლობენ უპირატესობით სხვა მსგავსი პირობების მქონე ვალდებულებებთან შედარებით.

კომპანიას უფლება აქვს მომავალში გამოუშვას დამატებითი ფასიანი ქაღალდები, რომელთა მფლობელებს ექნებათ ისეთივე უფლებები, როგორც ობლიგაციონერებს არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებთან დაკავშირებით (იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის პორტფელიდან). რაც შეეხება უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული პორტფელიდან დაკმაყოფილებას, ობლიგაციონერები მიიღებენ თანხას პროპორციულად და თანაბარ პირობებში (Pari Passu).

ასეთი დამატებითი ვალის გამოშვებამ შეიძლება შეამციროს ის თანხა, რომელსაც ინვესტორები რეალურად ამოიღებენ ობლიგაციებიდან, რადგან დამატებითმა ვალდებულებებმა შესაძლოა შეამციროს კომპანიის შესაძლებლობა, დაფაროს ობლიგაციების ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების ბაზარზე გადაყიდვის ფასზე.

6.4.2. არსებობს რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ობლიგაციების ძირი და პროცენტი.

არსებობს რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად ან სრულად დაფაროს ობლიგაციების ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, შემოსავლის შემცირება, ლიკვიდობის პრობლემები ან სხვა მაკროეკონომიკური და საბაზრო ფაქტორები. აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტორების მიერ ძირითადი კაპიტალის და საპროცენტო შემოსავლების სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვა, აგრეთვე ობლიგაციების ბაზარზე გადაყიდვის ფასის შემცირება.

6.4.3. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ ბაზარზე შესაძლოა შეამციროს ინვესტორთა მოსალოდნელი შემოსავალი „ობლიგაციიდან“.

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი არის ცვლადი და დამოკიდებულია ერთდღიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე (TIBR). TIBR-ის დონე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს) სხვადასხვა ფაქტორის - მათ შორის ინფლაციის დონისა და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის, აგრეთვე ზოგადი საბაზრო და მაკროეკონომიკური პირობების - გავლენით. ამასთან, არსებობს რისკი, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების ღირებულებასა და მათი გადაყიდვის ფასზე.

6.4.4. „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულება და ლიკვიდობა შესაძლოა იყოს ცვალებადი, რამაც შესაძლოა შეაფერხოს მათი რეალიზაცია.

ობლიგაციების საბაზრო ღირებულება და ლიკვიდობა შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, მათ შორის საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების ცვლილების, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების დინამიკის გამო. აღნიშნულმა მერყეობამ შესაძლოა გაართულოს ობლიგაციების გაყიდვა სასურველ ფასად და მომგებიან დროს, ან საერთოდ შეუძლებლად მათი რეალიზების შესაძლებლობა მეორად ბაზარზე.

6.4.5. „ემიტენტის“ მიერ ობლიგაციების ვადამდე გამოსყიდვამ შესაძლოა შეამციროს „ობლიგაციონერის“ მიერ მიღებული საერთო სარგებელი.

წინამდებარე პროსპექტის შესაბამისად, ემიტენტს აქვს უფლება ობლიგაციები ვადის დადგომამდე სრულად ან ნაწილობრივ გამოსყიდოს (იხ. 3.8.6.1.4 ქვეპუნქტი). ასეთ შემთხვევაში, ინვესტორებმა შესაძლოა ვერ მიიღონ დაგეგმილი სარგებელი მთელი საინვესტიციო პერიოდის განმავლობაში და საჭირო გახდეს მიღებული თანხების თავიდან დაბანდება სხვა ფასიან ქაღალდებში ნაკლებად მომგებიანი პირობებით.

6.4.6. „ობლიგაციების“ უზრუნველყოფა მოიცავს „ობლიგაციონერების“ მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების, გირავნობის რეგისტრაციისა და აღსრულების რისკებს.

ობლიგაციები ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილია ემიტენტის სასესხო პორტფელით. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამასთან, ვინაიდან, „გირავნობის ხელშეკრულების“ გაფორმება „ობლიგაციების“ სრულად განთავსების თარიღიდან ან საჯარო შეთავაზების დასრულებიდან, რომელიც უფრო ადრე მოხდება, 60 (სამოცი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში უნდა განხორციელდეს და იმ დაშვებით, თუ „გირავნობის ხელშეკრულების“ გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს საჯარო შეთავაზების დასრულებიდან შესაბამის ვადაში, აქედან გამომდინარე, შეიძლება დაიგვიანოს უზრუნველყოფის გაფორმების პროცესმა. დამატებით, უზრუნველყოფების გაფორმება და ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის, გადაცემა საჭიროებს გირავნობის ხელშეკრულების დამატების რეგისტრაციას „საჯარო რეესტრში“. აღნიშნული პროცესი შეიძლება დაყოვნდეს შესაბამისი ფორმალუბების გართულების, სხვა ინვესტორების მხრიდან კოოპერაციის ნაკლებობის და სხვა ბევრი მიზეზის გამო, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციების ლიკვიდურობაზე და დააბრკოლოს ინვესტორის მიერ ობლიგაციების ნებისმიერ დროს განკარგვის უფლება; გარდა ამისა, ინვესტორებს არ ექნებათ დამატებითი კონტროლის მექანიზმი დაგირავნებული პორტფელის ღირებულების დადგენასთან მიმართებით, ვინაიდან, არსებითად დამოკიდებულები იქნებიან და უნდა დაეყრდნონ ემიტენტის მხრიდან მოწოდებულ ინფორმაციას, როგორც ეს დეტალურად არის განსაზღვრული გირავნობის ხელშეკრულებით.

უზრუნველყოფის აღსრულება შესაძლოა აღმოჩნდეს ხანგრძლივი პროცესი, ხოლო სააღსრულებო პროცედურების ფარგლებში ამოღებული თანხები - მიზერული „ობლიგაციონერების“ მოთხოვნებთან შედარებით. სააღსრულებო პროცესში შესაძლოა წარმოიშვას მთელი რიგი პრობლემები. მათ შორის, შესაბამისი სასესხო ხელშეკრულების მსესხებლებმა შესაძლოა უარი თქვან ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე ობლიგაციონერების მიმართ, არ მოხერხდეს დაგირავნებული პორტფელის დასაკუთრება და ასეთ შემთხვევაში, აღსრულების ერთადერთ მექანიზმად დარჩება დაგირავნებული პორტფელის რეალიზაცია საჯარო აუქციონის გზით. ამ შემთხვევაში, პორტფელის სალიკვიდაციო ფასი შესაძლოა მის რეალურ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდეს. ჩამოთვლილი გარემოებებიდან ნებისმიერის რეალიზაციის შემთხვევაში, შესაძლოა არსებითად შემცირდეს „ობლიგაციონერების“ ამონაგები.

6.4.7. სავალუტო რისკი — თუ ობლიგაციების ვალუტა განსხვავდება ინვესტორის საბაზო ვალუტისგან, გაცვლითი კურსის ცვლილება პირდაპირ აისახება რეალურ შემოსავალზე.

თუ ობლიგაციების ნომინალური ვალუტა (ლარი) განსხვავდება ინვესტორის საბაზო ვალუტისგან, გაცვლითი კურსის ცვლილება პირდაპირ იმოქმედებს ინვესტორის რეალურ შემოსავალზე, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოგების შემცირებაში, ისე ზარალში.

6.4.8. ფინანსური კოვენანტების დარღვევის რისკი - საკრედიტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვების დარღვევამ შეიძლება გაზარდოს დეფოლტის რისკი.

„კომპანიის“ მიერ სხვადასხვა საკრედიტო ინსტრუმენტებით მოზიდულ დაფინანსებას თან ახლავს როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური კოვენანტები, რომელთა შესრულება აუცილებელია როგორც არსებული ვალდებულებების, ისე ახალი გამოშვებული „ობლიგაციების“ პირობების ფარგლებში.

არაფინანსური კოვენანტები ძირითადად დაკავშირებულია ბანკებთან გაფორმებულ საკრედიტო შეთანხმებებთან. დეტალებისთვის იხილეთ 3.F. პუნქტი - „**კაპიტალიზაცია და დავალიანება**“.

დამატებით, 2023 წელს გამოშვებულ „ობლიგაციების“ პროსპექტში (ISIN: GE2700604285) განსაზღვრულია გარკვეული ფინანსური კოვენანტები, რომლებიც უკავშირდება ლიკვიდურობის, კაპიტალის სტრუქტურისა და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებს (კოვენანტების ნაწილი გამომდინარეობს სებ-ის მიერ დაწესებული მაჩვენებლებიდან. დეტალებისთვის იხილეთ 3.F. პუნქტი - „**კაპიტალიზაცია და დავალიანება**“). წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე, განსახორციელებელი ახალი გამოშვების შემდეგ, „კომპანია“ დამატებით იქნება ვალდებული დაიცვას ფინანსური კოვენანტები, რომლებიც უშუალოდ ამ „ობლიგაციებს“ შეეხება (დეტალები მოცემულია 3.F. პუნქტში - „**კაპიტალიზაცია და დავალიანება**“).

კოვენანტების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული შედეგები, მათ შორის სესხების ან „ობლიგაციების“ პირობების გადახედვა, ვალდებულებების ნაადრევი დაფარვის მოთხოვნა ან „კომპანიის“ მიმართ სანდოობის შერყევა. ეს საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება როგორც „კომპანიის“ რეპუტაციაზე, ისე მის ფინანსურ მდგრადობასა და საინვესტიციო მიზნადგეგმვაზე.

მიუხედავად აღნიშნული რისკების არსებობისა, ამ დრომდე „კომპანიას“ არ დაურღვევია არცერთი არსებული კოვენანტი, მათ შორის არც ფინანსური და არც არაფინანსური. თუმცა, ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ნებისმიერი ახალი ვალდებულების გაჩენისას შესაბამისი კოვენანტები შეიძლება კიდევ უფრო გამკაცრდეს და მათი დარღვევა მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებელი გახდეს.

6.4.9. უზრუნველყოფის რეალიზაციის რისკი - მიუხედავად უზრუნველყოფის არსებობისა, მისი რეალიზაციიდან მიღებულმა თანხამ შესაძლოა ვერ დაფაროს ინვესტორთა სრული მოთხოვნა, განსაკუთრებით პრიორიტეტული კრედიტორების ან საგადასახადო გირავნობის არსებობისას.

მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილია და ობლიგაციის მფლობელები დარეგისტრირდებიან „მოგირავენებად“, არსებობს იმის რისკი, რომ ობლიგაციების მფლობელების უფლებებზე უარყოფითად აისახოს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებული საგადასახადო გირავნობა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, თუ ობლიგაციის მფლობელი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ ლიცენზირებული ბანკი (ასეთი ქვეყნების ჩამონათვალი ძირითადად მოიცავს ევროპის ქვეყნებს და ჩრდ. ამერიკას), ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახური სარგებლობს უპირატესი უფლებით და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა (იმ შემთხვევაშიც, თუ აქტივი დაგირავებულია ობლიგაციების მფლობელების სასარგებლოდ) შესაძლოა მიიმართოს საგადასახადო ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

თუ ობლიგაციის მფლობელი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი ან სებ-ის მიერ განვითარებულ ქვეყნად აღიარებული ქვეყნის მიერ ლიცენზირებული ბანკი, ასეთ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაწესებულ საგადასახადო გირავნობა ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ დაწესებულ აკრძალვას, რომელიც დაწესდა როგორც წინასწარი აღსრულების მექანიზმი, შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა ობლიგაციის მფლობელთა უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შეზღუდვები არ სარგებლობს უპირატესი უფლებით ობლიგაციის მფლობელებთან მიმართებაში და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა პირველ რიგში მიიმართება ობლიგაციების მფლობელების

მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ამ შეზღუდვებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის გადახდისუნარიობა/გაკოტრება და ობლიგაციების გამოსყიდვა მფლობელების კონტროლის გარეშე.

6.4.10. ცვლილების რისკი - ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს, ხოლო უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შესაძლოა დაექვემდებაროს ყველა მფლობელი, მათ შორის ისინი, ვინც დარჩებიან უმცირესობაში

არსებობს რისკი, რომ ობლიგაციების მფლობელთა განსაზღვრულმა უმრავლესობამ მიიღოს გადაწყვეტილება ობლიგაციების პირობების შეცვლასთან, გაუქმებასთან ან დეფოლტის გამოცხადებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, მიუხედავად დარღვევების არსებობისა. აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა ობლიგაციის მფლობელისთვის და შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მინორიტარი მფლობელების ინტერესებზე. პროსპექტით გათვალისწინებულია ობლიგაციების მფლობელთა კრების მოწვევის მექანიზმი იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს მათ ინტერესებზე. ასეთ კრებაზე, საკმარისი რაოდენობის ხმების მქონე უმრავლესობას აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება პირობების შეცვლის ან გაუქმების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა მფლობელისთვის, რომლებიც ვალდებული არიან დაემორჩილონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

6.4.11. მარეგულირებელი ცვლილებების რისკი - საკანონმდებლო ან საგადასახადო რეჟიმის ცვლილებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ვაჭრობაზე, რეგისტრაციასა და შემოსავლების დაბეგვრაზე.

საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან საგადასახადო რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა არსებითად იმოქმედოს ობლიგაციების ვაჭრობაზე, რეგისტრაციის პროცესებზე ან მათთან დაკავშირებული შემოსავლების დაბეგვრის წესებზე, რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს ობლიგაციების მფლობელთა ფინანსურ შედეგებზე.

6.4.12. იურიდიული შესაბამისობის რისკი - ინვესტორები პასუხისმგებელი არიან დარწმუნდნენ, რომ ობლიგაციებში ინვესტირება შესაბამეა მათი იურისდიქციის კანონმდებლობას.

თითოეული ინვესტორი სრულად პასუხისმგებელია დარწმუნდეს, რომ ობლიგაციებში ინვესტირება შესაბამეა იმ იურისდიქციის კანონმდებლობასა და მარეგულირებელ მოთხოვნებს, სადაც ის არის რეზიდენტი ან საიდანაც ახორციელებს ინვესტიციას. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, საგადასახადო რეჟიმისა და ნებისმიერი სხვა შესაბამისი რეგულაციის გათვალისწინებას.

ემიტენტს არ ეკისრება ვალდებულება შეამოწმოს კონკრეტული ინვესტორის სამართლებრივი ან საგადასახადო სტატუსი. ნებისმიერმა შეუსაბამობამ ან დარღვევამ, რომელიც დაკავშირებულია ინვესტორის ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველობასთან, შეიძლება გამოიწვიოს ინვესტორის ფინანსური ზარალი, რომლის პასუხისმგებლობაც მთლიანად ეკისრება თავად ინვესტორს.

6.4.13. გასხვისების შეზღუდვების რისკი - ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს.

„ობლიგაციების“ შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე

პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესატავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში „აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონი“) ან აშშ-ს რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლება ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის ან რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ ექვემდებარება ამგვარ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

6.4.14. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების“ პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არაფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, რომ „კომპანიის“ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე

6.4.15. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

„პროსპექტით“ გათვალისწინებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები (4.B.6. ქვეპუნქტის - „უფლებები და შეზღუდვები“ შესაბამისად) შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირითადი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

6.4.16. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, კალკულაციის აგენტის, ობლიგაციონერების წარმომადგენლისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ანგარიშის მწარმოებლის“ ან/და „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს „ცენტრალური დეპოზიტარის“, „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

G.4.17. თუ არ განხორციელდა გირავნობის უფლების სათანადო წესით რეგისტრაცია, ობლიგაციონერი იქნება არაუზრუნველყოფილი კრედიტორი.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული აქტივების გირავნობის უფლება სათანადო წესით არ დარეგისტრირდა, „ობლიგაციონერებს“ სამართლებრივად არ ექნებათ უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსი. ეს ნიშნავს, რომ ისინი იქნებიან არაუზრუნველყოფილი კრედიტორები და შესაბამისად, კომპანიის გადახდისუნარიობის შემთხვევაში მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდება მხოლოდ სხვა არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებთან ერთად, პროპორციული პრინციპით. აღნიშნული გარემოება არსებითად ზრდის ობლიგაციების მფლობელთა რისკს, ვინაიდან უზრუნველყოფის არქონა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ მოთხოვნათა დაკმაყოფილების ალბათობას.

G.4.18. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თუ Book-building-ის პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 5.C. პუნქტში.

H. მარეგულირებელი გარემო

H.1. ემიტენტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა

ასევე ინფორმაცია ნებისმიერი სამთავრობო, ეკონომიკური, ფისკალური ან მონეტარული პოლიტიკის, ან იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც მატერიალური გავლენა მოახდინეს ან შეუძლიათ მოახდინონ ემიტენტის ოპერაციებზე

მიკროსაფინანსო სექტორი მკაცრად რეგულირებული დარგია, რომლის ზედამხედველობა საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატში შედის. მიკროსაფინანსო სექტორი რეგულირდება შემდეგი კანონებითა და ნორმატიული აქტებით:

მიკროსაფინანსო სექტორი რეგულირდება შემდეგი კანონებითა და ნორმატიული აქტებით:

კანონის/რეგულაციის დასახელება	თარიღი	ბოლო ცვლილება
საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ	09/2009	05/2025
საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ	07/2006	04/2025
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი	03/2024	არ აქვს
მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე	02/2020	07/2025
საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე	08/2018	12/2024

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშგების ფორმის, წარდგენის ვადისა და ბუღალტრული აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე	02/2018	04/2020
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ	04/2018	06/2025
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე - ახალი დამტკიცდა	02/2024	07/2025
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ	07/2018	07/2025
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე	07/2018	არ აქვს
ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე	03/2021	03/2025
ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე	03/2020	02/2025

საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ ძალაში შევიდა 2006 წელს. ამ კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგისტრიროს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება, რომლის საწესდებო კაპიტალი მინიმუმ 1 მილიონი ლარია (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი და პირობები) საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას განუსაზღვროს საზედამხედველო კაპიტალი და აუკრძალოს გარკვეული საქმიანობები. ასევე, უკანასკნელი ცვლილების თანახმად, კანონში ჩაიწერა შესაძლო მხარეები, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ მსესხებლის შესახებ ინფორმაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მაქსიმუმ 200,000 ლარამდე მოცულობის სესხები გასცენ როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე. მეორე მხრივ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტების მიღება ნებისმიერი წყაროდან, თუმცა დასაშვებია სახსრების მოზიდვა სესხების სახით.

2006 წელს მიღებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების ჩარჩო შემდეგ ძირითად პრინციპებს მოიცავს:

ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო

- რეგისტრაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ
- სამართლებრივი ფორმა: შპს ან სააქციო საზოგადოება
- მინიმალური საწესდებო კაპიტალი: 1 მილიონი ლარი

ეროვნული ბანკის ზედამხედველობა

- ბრძანება ძალაში შევიდა 2012 წელს
- ეროვნული ბანკი უფლებამოსილია: დაარეგისტრიროს, გაუქმოს რეგისტრაცია, განახორციელოს ზედამხედველობა, დააკისროს ჯარიმა
- რეგისტრაციის გადაწყვეტილება: 45 სამუშაო დღის ვადაში
- განმცხადებელს ეძლევა დამატებით 30 დღე შესწორებებისთვის
- სავალდებულო ვიდეომეთვალყურეობის სისტემა სათავო ოფისსა და ფილიალებში

საქმიანობის რეგულირება

ნებადართული საქმიანობები:

- სესხების გაცემა და მიღება ფიზიკური/იურიდიული პირებისგან
- ინვესტირება ფასიან ქაღალდებში

- სადაზღვევო აგენტის ფუნქციების შესრულება
- ვალუტის გადაცვლა და ფულადი გზავნილები
- ობლიგაციების და თამასუქების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა
- სხვა ბიზნესში წილების ფლობა (მაქსიმუმ საწესდებო კაპიტალის 15%)

შეზღუდვები

- მაქსიმალური სესხის მოცულობა: 200 000 ლარი
- აკრძალულია: დეპოზიტების მიღება
- დასაშვებია: სახსრების მოზიდვა სესხების სახით

მმართველობის მოთხოვნები

დირექტორის არ შეიძლება იყოს პირი:

- რომელსაც არ აქვს სათანადო განათლება/გამოცდილება
- ნასამართლეს ეკონომიკური დანაშაულისთვის
- რომლის საქმიანობამ დააზარალა/გააკოტრა წინა ორგანიზაცია
- ჩართული სხვა ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტში
- ფლობს სხვა საფინანსო ინსტიტუტების წილებს

წილის ფლობა (10%-ზე მეტი) - ეკრძალება პირს:

- ნასამართლეს ტერორიზმის დაფინანსებისთვის
- ნასამართლეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის
- ნასამართლეს სხვა ეკონომიკური დანაშაულისთვის

საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვები

2017 წლის იანვარი:

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: არაუმეტეს სესხის მოცულობის 100%
- წლიური საჯარიმო სანქცია: არაუმეტეს ნარჩენი ძირის 150%

2018 წლის ივლისი:

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: შემცირდა 50%-მდე
- წლიური საჯარიმო სანქცია: შემცირდა ნარჩენი ძირის 100%-მდე

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო (2019-2020)

- სავალდებულო გადახდისუნარიანობის შესწავლა
- ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული მეთოდოლოგიების გამოყენება
- დამტკიცებული სესხის უზრუნველყოფისა და მომსახურების კოეფიციენტები

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარი ან მისი ეკვივალენტი უცხოური ვალუტით)	სესხი უცხოური ვალუტით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შემოსავალი იმავე ვალუტაშია)	სესხი ლარით (ან უცხოური ვალუტით თუ მსესხებლის შემოსავალი იმავე ვალუტაშია)
<1500	20 %	25 %
>=1500	30 %	50 %

წყარო: სეპ-ის ვებ-გვერდი: PTI და LTV მოთხოვნები (<https://nbq.gov.ge/page/pti-da-ltv-motkhovnebi>)

- გამონაკლისი: რესტრუქტურისაცია/რეფინანსირება

ლარიზაციის პოლიტიკა

2017 წლის იანვარი:

- რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე 100 000 ლარამდე სესხი - მხოლოდ ლარში

2018 წელი:

- ზღვარი გაიზარდა 200 000 ლარამდე

შეზღუდვები მოზიდვაზე (2017)

20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან მოზიდვის შემთხვევაში:

- მინიმალური თანხა თითოეული პირისგან: 100 000 ლარი
- 100 000 ლარამდე თანხების დაფარვა: 1 წლის ვადაში

ანგარიშგება და კონტროლი

რეგულარული ანგარიშგება:

- თვიური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში
- კვარტალური ანგარიშგება ვებ-გვერდზე (მომდევნო თვის 15 რიცხვამდე)

ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შესახებ

- წელიწადში ორჯერ ანგარიში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკზე
- ინფორმაცია: კლიენტების მოქალაქეობა, მაღალი რისკის სესხები, მფლობელები, უცხოური ფილიალები

2018 წლის დამატებითი რეგულაციები

- 2018 წლის აპრილში ეროვნულმა ბანკმა მიიღო ახალი ბრძანება მიკროსაფინანსო კომპანიების ლიკვიდაციის პროცედურის შესახებ, რაც ეროვნულ ბანკს აძლევს უფლებამოსილებას, რეგისტრაციის გაუქმების შემდგომ დანიშნოს ლიკვიდატორი
- 2018 წლის ივლისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო 2 ახალი ბრძანება. პირველი არეგულირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესს, ხოლო მეორე ეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების საკითხებს

კაპიტალის კოეფიციენტი

2019 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის განისაზღვრა კაპიტალის კოეფიციენტების მინიმალური. მოთხოვნები დადგენილია ორი განსხვავებული მიდგომის გამოყენებით - სტანდარტული და არასტანდარტული. სტანდარტული მიდგომის ფარგლებში, კომპანიის კაპიტალის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 18%-ზე ნაკლები, ხოლო არასტანდარტული მიდგომის დროს - არანაკლებ 24%.

ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება განპირობებულია იმით, თუ საზედამხედველო კაპიტალში რა პროპორციას წარმოადგენს ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული დაფინანსება. როდესაც ამ წყაროებიდან მოზიდული თანხები (ობლიგაციების ჩათვლით) საზედამხედველო კაპიტალის 50%-ზე ნაკლებს შეადგენს, კომპანიაზე ვრცელდება სტანდარტული მოთხოვნები. თუ კი ეს მაჩვენებელი 50%-ს აღემატება, მაშინ გამოიყენება არასტანდარტული მოთხოვნები.

ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები

როგორც საჯარო ობლიგაციების ემიტენტი, „კომპანია“ არის ანგარიშვალდებული საწარმო და ვალდებულია შეასრულოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის დაწესებული რეგულაციები, მათ შორის ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები.

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონისა („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა ობლიგაციები ან/და რომლის ობლიგაციებიც დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, არის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი და შესაბამისად, წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულ საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოებისა და მისთვის მიწოდების ვალდებულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის, სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროოს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებული ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად, ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშში. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად, „კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები და შეზღუდვები ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა საილუსტრაციო ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

2023 წლის 23 ივნისის N698-1კ ეროვნული ბანკის განკარგულებით, „ემიტენტი“ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის N181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მესამე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 2022 წლის ანგარიშის წარუდგენლობისათვის, დაჯარიმდა 10 000 ლარის ოდენობით.

2024 წლის 20 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგულებით N414-1კ, გამომდინარე იქიდან, რომ შპს მიკროსაფინასო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესის“ მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის (ვებ-გვერდი - www.reportal.ge-ს მეშვეობით) გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშგებასთან ერთად არ ჰქონდა წარდგენილი დანართი N1-3-ით განსაზღვრული კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში, „ემიტენტს“ მიეცა გაფრთხილება და შესაბამისობის ანგარიშის წარდგენისთვის განესაზღვრა დამატებითი ვადა არაუგვიანეს 2024 წლის 31 ივლისისა.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (ყოფილი კონკურენციის ეროვნული სააგენტო), რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლიური კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, კომპანია ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები

დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ და შრომის კოდექსით დადგენილი პროცედურის დაცვით. ამასთან, ნებისმიერი ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან ანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი).

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვისა და დეკრეტული შვებულების ანაზღაურების უზრუნველყოფა მიჩნეულია საუკეთესო პრაქტიკად და გავრცელებულია წამყვან დამსაქმებლებს შორის, შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე

როგორც მისი შვილობილები, ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

ლიკვიდაციის წესები

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და 2024 წლის 14 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ითვალისწინებს სამეწარმეო საზოგადოების, და, კონკრეტულად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესებსა და პროცედურებს:

საზოგადოების დაშლა

საზოგადოების დაშლის საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება; პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; სიახლეს წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და შეუძლებელი ხდება სამეწარმეო საზოგადოების მიზნის მიღწევა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა პარტნიორების ინტერესიც საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სამეწარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულია.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც, კომპანიის დირექტორების მიერ განახორციელება, ისინი ითვლებიან ლიკვიდატორებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წესდებით ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სხვა პირები დაინიშნებიან ლიკვიდატორებად. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოებას უნარჩუნდება იურიდიული პირის სტატუსი, მაგრამ თავის საფირმო სახელწოდებას აუცილებლად უნდა დაურთოს დამატება „ლიკვიდაციის პროცესში“.

კანონის მოთხოვნაა, რომ ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებული ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ განცხადება და დაუყოვნებლივ შეატყობინონ კრედიტორებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და მოიწვიონ ისინი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საზოგადოება თავის ქონებას აქციონერებზე ანაწილებს წილების პროპორციულად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად დაფარავს ვალდებულებებს და განცხადების გამოქვეყნებიდან არანაკლებ ხუთი თვე გავა. ამისთვის დაწესებულია კონკრეტული ვადა იმისდა მიხედვით თუ რა საფუძვლით ხდება საზოგადოების დაშლა.

რეგისტრაციის გაუქმება

საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ ლიკვიდაციის პროცესი სრულდება. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებულ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რის საფუძველზეც მარეგისტრირებული ორგანო გააუქმებს სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.

ახალი კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ საზოგადოებას დარჩა გარკვეული ქონება ან საჭიროა დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ასეთ დროს სასამართლო ნიშნავს იგივე ან ახალ ლიკვიდატორს, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდეს.

გადახდისუნარობის პროცესი

„კომპანიაზე“ ვრცელდება 2024 წლის 14 თებერვლის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ გათვალისწინებული პროცედურები, რომელი წესის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად გადახდისუნარობის ან/და გაკოტრების ნიშნების შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მის შესაბამისად.

გადახდისუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურისაციასთან); ან გ) საქმის წარმოების შეწყვეტა.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

1. პირველი რანგი - გაკოტრების რეჟიმის ხარჯები. აღნიშნული მოიცავს: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; ბ) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში. წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯი, ქონების მართვის ხარჯი, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს;
2. მეორე რანგი - სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. მესამე რანგი - კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
 - 3.1. პრეფერენციული მოთხოვნები;
 - 3.2. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;
 - 3.3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
 - 3.4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
 - 3.5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;
 - 3.6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

გადახდისუნარიობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს.

ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუნარიობის მასაში მიიმართება. იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის შესაბამისად რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება მოხდება არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფის რიგითობის შესაბამისად.

მიკრობანკების შესახებ კანონი

2023 წელს მიკროსაფინანსო სექტორისთვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. ამოქმედდა „მიკრობანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი, რომლის საფუძველზე შეიქმნა ახალი ტიპის ფინანსური ინსტიტუტი მიკრობანკი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობისა და რეალური ეკონომიკის დარგების დაკრედიტებას ახორციელებს იმ სექტორში, სადაც მაღალი საოპერაციო ხარჯების გამო კომერციული ბანკების ინტერესი შედარებით დაბალია.

კანონის თანახმად, მიკრობანკის საკრედიტო პორტფელის არანაკლებ 70 პროცენტი უნდა შედგებოდეს სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისგან და/ან იმ სესხებისგან, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამასთან, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მსესხებლის ჯამური შემოსავლის ორმოცდაათ პროცენტზე მეტი უნდა იყოს (მუხლი 3.1). სწორედ აღნიშნული კრიტერიუმი ადგენს უმთავრეს სხვაობას მიკრობანკებს, როგორც სამეწარმეო დაკრედიტების ხელშემწყობ „კლასიკურ“ მიკროსაფინანსო ინსტიტუტსა და სამომხმარებლო-სალომბარდე ტიპის ორგანიზაციებს შორის.

დამატებით, მიკრობანკს უფლება მიენიჭა მოიზიდოს დეპოზიტები (როგორც მოთხოვნამდე, ასევე ვადიანი) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრის ფარგლებში. ასევე ზღვრის ზემოთ, მიმდინარე ანგარიშების მომსახურება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლიკვიდობის მოთხოვნების დაცვით.

2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით, ორი ყოფილი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ და „ემბისი“ მიკრობანკად გადაკეთდნენ.

I. ინფორმაცია ტენდენციების შესახებ

1.1.1. პროდუქციის წარმოების, გაყიდვებისა და მარაგების, დანახარჯებისა და გასაყიდი ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი ტენდენციები ფინანსური წლის ბოლოდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე

იხილეთ 3.C.2. ქვეპუნქტი - „გასაღების ბაზრები“.

1.1.2. არსებობის შემთხვევაში, ბოლო აუდირებული ანგარიშგებების თარიღიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე ემიტენტის/მისი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში და პერსპექტივებში გამოვლენილი მატერიალური უარყოფითი ცვლილებების აღწერა

ბოლო აუდირებული ანგარიშგების თარიღიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე „ემიტენტის“ ან მისი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში და პერსპექტივებში არ არის გამოვლენილი რაიმე სახის მატერიალური უარყოფითი ცვლილებები.

1.1.3. ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვევლობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში

არ არის ცნობილი რაიმე სახის ტენდენციები, გაურკვევლობა, მოთხოვნები ან მოვლენები, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ „ემიტენტის“ საქმიანობაზე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში.

J. მოგების პროგნოზი და ვარაუდები

J.1.1. თუ ემიტენტი აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების მაჩვენებლებს, ეს მაჩვენებელი უნდა ჩართოს რეგისტრაციის დოკუმენტში. ის უნდა იყოს გარკვეული და არაორაზროვანი და უნდა მოიცავდეს იმ ძირითად დაშვებებს, რომელიც ემიტენტმა გამოიყენა მოგების პროგნოზირებისთვის. ა) ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს დაშვებები და ფაქტორები, რომლებზეც კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ და ფაქტორები, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელი არიან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან. ბ) დაშვებები უნდა იყოს ინვესტორთათვის გასაგები, დასაბუთებული, კონკრეტული და ზუსტი. გ) ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმ განუსაზღვრელ მოვლენებზე, რომლებმაც შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინონ პროგნოზირებულ შედეგზე

„რისკო ექსპრესი“ არ აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების მაჩვენებლებს.

J.1.2. მითითება, რომ: ა) მოგების პროგნოზირებისთვის გამოყენებული აღრიცხვის მეთოდები შეესაბამება ემიტენტის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და აღწერილ დაშვებებს ბ) მოგების საპროგნოზო მაჩვენებლები მომზადებულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებთან შესადარისობის პრინციპით

არ არის რელევანტური.

K. მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები

K.1. პარტნიორებისა და მმართველი ორგანოს წევრების შესახებ

K.1.1. ქვემოთ ჩამოთვლილი პირების სახელები, იურიდიული მისამართები და ფუნქციები: ა) მმართველი ორგანო. ბ) 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები.

კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული პარტნიორი დალი ურუშაძე, რომელიც კომპანიის 100%-ს ფლობს. კომპანიის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს დირექტორი, ხოლო სტრატეგიული გადაწყვეტილებები, მათ შორის დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება და სხვა წესდების შესაბამისად გათვალისწინებული საკითხები სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის.

(i) ერთპიროვნული პარტნიორი

- სახელი: დალი ურუშაძე
- ფუნქციები:
 - კომპანიის წესდების და მასში ცვლილებების დადასტურება;
 - კომპანიის ზოგადი პოლიტიკისა და სამეწარმეო პრინციპების განსაზღვრა;
 - პარტნიორთა შორის კომპანიის ქონების განაწილება;
 - კომპანიის მიერ საკუთარი წილის შეძენა;
 - კონკრეტული კლასის წილიდან გამომდინარე უფლებათა ცვლილება, ახალი კლასის წილთა გამოშვება;
 - წილების განაწილებასა და განთავსების საკითხების განსაზღვრა;
 - სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, მისი წევრების დანიშვნა, წევრის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრა (არსებობის შემთხვევაში), დაქირავების პირობების განსაზღვრა;
 - ღირექტორის წინააღმდეგ პროცესში მონაწილეობა (მათ შორის, აღნიშნული პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნა);
 - კომპანიის რეორგანიზაცია;
 - კომპანიის დაშლა;
 - წლიური შედეგების დამტკიცება;
 - დამატებითი შენატანების დაბრუნება;
 - სხვა კომპანიებში წილის შეძენა ან გასხვისება, თუ ასეთი წილის წილის ოდენობა აღემატება ასეთი კომპანიის მთლიანი კაპიტალის 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს);
 - აქტივების შესყიდვისა და გადაცემის დამტკიცება, რომელთა ღირებულება, მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ აღემატება კომპანიის განთავსებული კაპიტალის 1%-ს (ერთ პროცენტს).

(ii) სამეთვალყურეო საბჭო

- თავმჯდომარე: ლაშა ნიკოლაიშვილი
- წევრები: დავით შენგელია, ვლადიმერ შავლაყაძე, ანა ნიკოლაძე (დამოუკიდებელი წევრი), ილია ფარეშიშვილი (დამოუკიდებელი წევრი)
- ფუნქციები:
 - კომპანიის ბიზნეს სტრატეგიების, პოლიტიკის, პროცედურების, შიდა სახელმძღვანელოების, სტრუქტურის, პერსონალის ცხრილის, ოპერატიული სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების და ა.შ. დადასტურება;
 - კომპანიის ფილიალების შექმნა და გაუქმება;
 - აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, დირექტორთან შესაბამისი სამსახურებრივი ხელშეკრულების დადება და მისი პირობების განსაზღვრა, მათ შორის, დირექტორის ანაზღაურების ჩათვლით;
 - დირექტორის ანგარიშის მოთხოვნა ნებისმიერ დროს და მისი დადასტურება;
 - სესხებისა და სხვა ვალდებულებების აღების დამტკიცება, რომელთა ღირებულება აღემატება, მთლიანად ან ნაწილ ნაწილ, კომპანიის განთავსებული კაპიტალის 1%-ს (ერთი პროცენტს);
 - პროკურის გაცემა და გაუქმება;
 - ერთპიროვნული პარტნიორისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - გარე აუდიტორის დანიშვნა აუდიტის კომიტეტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების საფუძველზე, გარე აუდიტორთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დამტკიცება;
 - მოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს კომპანიის საქმიანი დოკუმენტები, მათ შორის, კომპანიის საადრინცხო დოკუმენტაცია, ქონება და სალარო; სამეთვალყურეო საბჭოს

თითოეულ წევრს დაავალოს ზემოაღნიშნული ამოცანები ან ჩართოს ექსპერტები ასეთი ამოცანების შესასრულებლად;

- შეისწავლოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილებასთან დაკავშირებით და ანგარიში კომპანიის საქმიანობის შესახებ და ამის შესახებ ანგარიში წარუდგინოს პარტნიორს;
- სპეციალური შიდა კომიტეტების შექმნა, მათ შორის, აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი, მათი წევრებისა და ხელმძღვანელების დანიშვნა, მათი ფუნქციების განსაზღვრა, შესაბამისი შიდა სახელმძღვანელოების დამტკიცება;
- გაასაჩივროს პარტნიორის გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საკითხები.

(iii) დირექტორი

- სახელი: თამარ გოგოძე
- ფუნქციები:
 - დაიქირაოს და გაათავისუფლოს თანამშრომლები, გამოიყენოს დისციპლინური და წამახალისებელი ზომები შინაგანაწესის შესაბამისად;
 - დადოს ხელშეკრულებები, გასცეს მინდობილობები;
 - გახსნას კომპანიის ანგარიშები;
 - გამოსცეს ორგანიზაციულ-მმართველობითი ხასიათის დოკუმენტები;
 - კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტის საკითხების გადაწყვეტა საკუთარი შეხედულებისამებრ;
 - იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც კანონით ან წესდებით პირდაპირ არ არის განაწილებული პარტნიორზე ან სამეთვალყურეო საბჭოზე.

K.1.2. ინფორმაცია ზემოთჩამოთვლილ პირებს შორის ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით

ემიტენტის ერთპიროვნული პარტნიორის შვილი არის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

K.2. პარტნიორებისა და მმართველი ორგანოს წევრების გამოცდილების შესახებ

(i) დალი ურუშაძე, ერთპიროვნული პარტნიორი

დალი ურუშაძე არის „ემიტენტის“ ერთპიროვნული პარტნიორი და მისი დაფუძნების დღიდან აქტიურად მართავს კომპანიას. მას გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მართვაში.

(ii) ლაშა ნიკოლაიშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ლაშა ნიკოლაიშვილი არის „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და არაერთი სხვა კომპანიის, მათ შორის შპს „რიკო ფეის“ და შპს „რიკო კრედიტის“, დამფუძნებელი. მას აქვს ოც წელზე მეტი გამოცდილება ფინანსურ სექტორში, დიდ წილად მმართველობით პოზიციებზე. „ემიტენტის“ დაფუძნების დღიდან ლაშა ნიკოლაიშვილი აქტიურადაა ჩართული კომპანიის მართვაში და სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის გუნდთან ერთად, განსაზღვრავს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

(iii) დავით შენგელია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

დავით შენგელია „ემიტენტი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. მას მიკროსაფინანსო სექტორში 24 წლიანი გამოცდილება გააჩნია. ის 2004 წელს შეუერთდა შპს „რიკო კრედიტს“ მენეჯერის პოზიციაზე.

2004 წლიდან დღემდე მუშაობს „რიკო ექსპრესის“ საოპერაციო დეპარტამენტის უფროსად, ხოლო 2018 წლიდან წარმოდგენილია „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

(iv) ვლადიმერ შავლაყაძე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ვლადიმერ შავლაყაძე „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. მას მიკროსაფინანსო სექტორში 22 წლიანი გამოცდილება აქვს. 2003 წელს ის შეუერთდა შპს „რიკო კრედიტს“ საინფორმაციო ტექნიკური განყოფილების უფროსის პოზიციაზე, ხოლო 2007 წლიდან დღემდე „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

(v) ანა ნიკოლაძე, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ანა ნიკოლაძე „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. მას აქვს 12 წლიანი გამოცდილება საბანკო სექტორში. 2018 წლიდან დღემდე ის არის სს „ლიბერთი ბანკის“ კორპორატიული დეპარტამენტის უფროსი, ხოლო 2012-2018 წლებში ანალოგიურ პოზიციას იკავებდა ტერაბანკში. 2007-2012 წლებში მუშაობდა Kor Standard Bank-ში სხვადასხვა პოზიციებზე.

(vi) ილია ფარეშიშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ილია ფარეშიშვილი „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია. მას აქვს 18 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო სფეროში, სადაც „პროკრედიტ ბანკში“ სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა. ილიამ „პროკრედიტ ბანკში“ მუშაობა საკრედიტო ანალიტიკოსის პოზიციაზე 2006 წელს დაიწყო. 2008 წლიდან 2011-მდე საკრედიტო მენეჯერის პოზიციას იკავებდა. შემდეგ, 2011 წლიდან კორპორატიული ბანკირის როლში გადავიდა, სადაც 2018 წლამდე მუშაობდა. 2018 წლიდან 2024 წლამდე ილია ბანკის ხაზინის სპეციალისტის პოზიციას იკავებდა. 2024 წელს, ილიამ დატოვა საბანკო სექტორი და ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანიის შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპის“ ფონდის მმართველის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. აღნიშნულ როლში, ილია მართავს საქართველოში პირველ ავტორიზებულ, საცალო ფონდს, რომელიც „ფორსაითის ლარის ფონდის“ სახელითაა ცნობილი.

(vii) თამარ გოგოძე, დირექტორი

თამარ გოგოძე მიკროსაფინანსო დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მენეჯერია. მისი აღმასრულებელი ლიდერობის ქვეშ „რიკო ექსპრესი“ დარგის მოწინავე კომპანიად იქცა.

K.2.1. ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე

- (i) დამფუძნებელი დალი ურუბაძე არის შპს „რიკოს“ (ს/კ:204871610) 100% წილის მქონე დამფუძნებელი 22.06.2007 წლიდან და იყო თანადირექტორი 18.05.2022 წლამდე;
- (ii) დირექტორი თამარ გოგოძე არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის ადმინისტრატორი;
- (iii) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვლადიმერ შავლაყაძე - არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის ადმინისტრატორი;
- (iv) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დავით შენგელია - არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის ადმინისტრატორი;
- (v) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ანა ნიკოლაძე - არ არის და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის ადმინისტრატორი;

- (vi) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ილია ფარეშიშვილი - ერთობლივი საინვესტიციო ფონდი „ფორსაიტის ლარის ფონდის“ მმართველი 2024 წლიდან. ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი სხვა იურიდიული პირის ადმინისტრატორი;
- (vii) სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე ლაშა ნიკოლაიშვილი:
 - a. შპს ჰოლდინგი 1 (ს/კ 405098166): დირექტორი და 100% წილის მფლობელი (27.04.2015 წლიდან)
 - b. შპს ჰოლდინგი 2 (ს/კ 405110124): დირექტორი და 100% წილის მფლობელი (21.07.2015 წლიდან)
 - c. შპს ჰოლდინგი 3 (ს/კ 405118297): დირექტორი და 100% წილის მფლობელი (24.09.2015 წლიდან) შპს „რიკო კრედიტის“ (ს/კ:204933484) 100% წილის მქონე დამფუძნებელი 14/09/1999 წლიდან და იყო დირექტორი 18.08.2022 წლამდე;
 - d. შპს „რიკო ინტერნეიშნელის“ (ს/კ:204871754) 100% წილის მქონე დამფუძნებელი 03/08/1995 წლიდან და იყო დირექტორი 13/03/2024 წლიდან 02/09/2025 წლამდე;
 - e. შპს „რიკო რანჩოს“ (ს/კ:405409302) 100% წილის მქონე დამფუძნებელი 27/08/2020 წლიდან და იყო დირექტორი 28/09/2023 წლამდე;
 - f. შპს „რიკო ფეის“ (ს/კ:405413529) 100% წილის მქონე დამფუძნებელი 23/09/2020 წლიდან და იყო დირექტორი 16/08/2022 წლამდე;
 - g. შპს „რიკო იმერეთის“ (ს/კ:405711234) 100% წილის მქონე დამფუძნებელი 12/06/2024 წლიდან.

K.2.2. არსებობის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის მანძილზე გამოვლენილი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, ბოლო 5 წლის მანძილზე „ემიტენტის“ პარტნიორისა და მმართველი ორგანოს წევრების მიმართ არ გამოვლენილა თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტები.

K.2.3. არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე იმ კომპანიების გაკოტრების, ლიკვიდაციის შესახებ, რომელშიც ამ პირებს ეკავათ ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობები

ბოლო 5 წლის მანძილზე არ ყოფილა იმ კომპანიების გაკოტრება ან/და ლიკვიდაცია, რომელშიც კომპანიის პარტნიორსა და მმართველი ორგანოს წევრებს ეკავათ თანამდებობები.

K.3. ინტერესთა კონფლიქტი

K.3.1. პარტნიორებისა და მმართველი ორგანოს წევრების კერძო და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის არსებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, ან იმის მითითება, რომ მსგავს კონფლიქტს ადგილი არ აქვს

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე არის კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორის შვილი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის მიტიგაციის მიზნით, კომპანიაში შეიქმნა აუდიტის კომიტეტი, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კომპანიის შიგნით არსებული შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენას, პრევენციასა და მიტიგაციას.

K.3.2. პარტნიორებისა და მმართველი ორგანოს წევრებსა და ძირითად აქციონერებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის ნებისმიერი შეთანხმების აღწერა, რომლის შემდეგც პარტნიორი ან მმართველი ორგანოს წევრი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრად

ასეთი შეთანხმება არ ყოფილა.

K.3.3. პარტნიორებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიმართ არსებული შეზღუდვის დეტალები ემიტენტის ფასიან ქაღალდებში მათი წილების გასხვისებასთან დაკავშირებით

ასეთი შეზღუდვა არ ყოფილა.

K.4. ამ პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა და ე.წ. დამატებითი ბენეფიტები

წინამდებარე ცხრილში მოცემულია 2023, 2024 და 2025 Q2-ის ფინანსური მონაცემების მიხედვით ჯამურად სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და დირექტორატზე გადახდილი ანაზღაურება და დამფუძნებლისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. თანხები მოცემულია ლარში.

გადახდები	2023	2024	2025 Q2
ჯამურად სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და დირექტორატზე გადახდილი ანაზღაურება	3 370 637	2 500 507	2 422 764
დამფუძნებლისთვის გადახდილი დივიდენდები	34 915 263	63 180 000	20 120 000

L. მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა

L.1. მიმდინარე კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია

L.1.1. დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმდინარე კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღი და კომპანიაში მუშაობის პერიოდი. მათი ძირითადი საქმიანობის აღწერა

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ყავს 5 (ხუთი) წევრი, საიდანაც 2 (ორი) წევრი არის დამოუკიდებელი. წევრები ირჩევიან 3 (სამი) წლის ვადით და მათი განმეორებით არჩევა არ არის შეზღუდული. სამეთვალყურეო საბჭო თავად ირჩევს თავმჯდომარეს წევრებიდან.

კომპანიის დირექტორთან გაფორმებულია სასამსახურეო ხელშეკრულება 3 (სამი) წლის ვადით და მისი განმეორებით არჩევა არ არის შეზღუდული.

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 3.J.1.1. ქვეპუნქტში.

კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია:

სახელი, გვარი	კომპანიაში მუშაობის ვადა (წელი)	მიმდინარე კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღი
ლაშა ნიკოლაიშვილი	18	მარტი 2026
ვლადიმერ შავლაყაძე	18	მარტი 2026
დავით შენგელია	7	მარტი 2026
ილია ფარეშიშვილი	-	აგვისტო 2028
ანა ნიკოლაძე	-	მარტი 2026
თამარ გოგოძე	18	მარტი 2026

მიმდინარე კონტრაქტების ვადის ამოწურვის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს კონტრაქტები 3 წლიანია და ვადის გასვლის შემდგომ შესაძლოა მათი იგივე ვადით გახანგრძლივება.

L.2. ინფორმაცია კომიტეტების შესახებ

L.2.1. ინფორმაცია ემიტენტის აუდიტისა და ანაზღაურების კომიტეტების შესახებ, რომელიც მოიცავს კომიტეტის წევრების სახელებსა და კომიტეტის საქმიანობის აღწერას

სამეთვალყურეო საბჭოში შექმნილია ორი კომიტეტი.

A. რისკების კომიტეტი

a. ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს:

- i. რეგულარულად შეისწავლოს და მიაწოდოს ხელმძღვანელობას რეკომენდაციები რისკის აპეტიტის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც საჭიროა კომპანიის საქმიანობისას;
- ii. შეაგროვოს მონაცემები კომპანიის საქმიანი პრაქტიკის, პოლიტიკისა და პროცესების თაობაზე აღნიშნულ რისკებთან მიმართებაში;
- iii. აკონტროლოს შედეგები, რათა დარწმუნდეს მათ თანხვედრაში კომპანიის რისკის აპეტიტთან;
- iv. შეისწავლოს რისკების მთავარი აღმასრულებელი პირისა და შესაბამისობის მთავარი აღმასრულებელი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია რისკებისა და შესაბამისობის შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი რისკების გავლენის ანგარიშები და მიღებული ზომები მათი თვალყურის დევნების, შემცირებისა და მართვისთვის;
- v. სისტემატურად შეაფასოს ხელმძღვანელობის მიმოწერა მარეგულირებელ ორგანოებთან და შესაბამისი ღონისძიებები;
- vi. შეამოწმოს და დაამტკიცოს კომპანიის სტრუქტურის ტესტირების პროგრამა და მისი შედეგები;
- vii. ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობით რეგულარულად გადახედოს რისკის პოლიტიკას და განხორციელებულ ღონისძიებებს, რათა გარანტირებული იყოს სათანადო მექანიზმების არსებობა ამ პოლიტიკის რეალიზაციისთვის, აგრეთვე კომპანიის არსებული და პოტენციური რისკების დადგენა, შეფასება, თვალყურის დევნება და მართვა.

კომიტეტს არ გააჩნია უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოს სახელით იმ საკითხებზე, რომლებიც კანონმდებლობით, რეგულაციებით ან მოქმედი პოლიტიკით განეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს ექსკლუზიურ კომპეტენციას.

b. წევრები:

- i. ანა ნიკოლაძე (თავმჯდომარე)
- ii. ლაშა ნიკოლაიშვილი
- iii. ვლადიმერ შავლაყაძე

B. აუდიტის კომიტეტი - სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს წევრებისგან ფორმირდება აუდიტის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის მინიმუმ 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრი. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნება დამოუკიდებელი წევრი. კომიტეტის ფუნქციები და საქმიანობის თავისებურებები რეგულირდება აუდიტის კომიტეტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო კომპანიის წესდების მიხედვით.

a. ფუნქცია-მოვალეობები:

- i. სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება ჩატარებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების სანდოობაზე აუდიტის ზეგავლენისა და ამ პროცესში კომიტეტის როლის თაობაზე

- ii. სამეთვალყურეო საბჭოსთვის პერიოდული ანგარიშების წარდგენა საქმიანობის შესახებ და დაუყოვნებელი შეტყობინება ფუნქციების განხორციელებისას აღმოჩენილი დაბრკოლებების თაობაზე
- iii. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სანდოობის კონტროლი, შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველყოფა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის დაცვა (ასეთის არსებობისას), გარე აუდიტორთან თანამშრომლობის კოორდინაცია
- b. ზედამხედველობის სფეროები:
 - i. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი
 - ii. ხარისხის უზრუნველყოფის, რისკების მართვისა და საჭიროებისამებრ ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტურობა
 - iii. ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშის რეკომენდაციების გათვალისწინებით
 - iv. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მხრიდან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესრულება, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის სტანდარტების დაცვა
- c. წევრები:
 - i. ანა ნიკოლაძე (თავმჯდომარე)
 - ii. ლაშა ნიკოლაიშვილი
 - iii. დავით შენგელია

L.3. კორპორატიული მართვის სტანდარტი

L.3.1. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა და პროსპექტის რელევანტურ ნაწილებზე მითითება

„ემიტენტის“ კორპორაციული მართვის სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსისთვის. კომპანია ფუნქციონირებს სამდონიანი მმართველობითი სტრუქტურით, რომლის სათავეში დგას ერთპიროვნული პარტნიორი, როგორც უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო.

ოპერაციული მართვის დონეზე კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე საოპერაციო პროცესების კოორდინაციაზე, ფილიალების ქსელის ზედამხედველობაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფინანსური ნაკადების და ინკასაციის კონტროლზე, ასევე წარმოადგენს ორგანიზაციას გარე ურთიერთობებში.

სტრატეგიული მართვის ფუნქციას ასრულებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის კომპეტენციაში შედის ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება, ასევე წესდებით განსაზღვრული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საბჭოს თავმჯდომარე აქტიურადაა ჩართული კომპანიის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში.

მიუკერძოებელი კორპორაციული მართვის პრინციპების შესაბამისად, „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭო წარმოდგენილია 5 წევრით, საიდანაც 2 დამოუკიდებელი წევრია.

დამატებით, კორპორაციული მმართველობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად კომპანიაში ფუნქციონირებს სპეციალიზებული კომიტეტები - აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი, რომლებიც

ახორციელებენ შიდა პროცესების მონიტორინგს და კონტროლს. გარდა ამისა, კარგი კორპორაციული მმართველობის პრინციპების დანერგვისა და განხორციელების მიზნით დანიშნულია კორპორატიული მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს მმართველობითი სტანდარტების დაცვას ორგანიზაციის ყველა დონეზე.

2023 წლის ობლიგაციების (ISIN: GE2700604285) ემისიის შედეგად კომპანია გახდა ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების კომპანიების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის იანვრიდან. 2023 წლიდან, „ემიტენტი“, როგორც ანგარიშვალდებული საწარმო წარადგენს მმართველობის კოდექსის შესაბამისად მომზადებულ წლიურ ანგარიშგებებს. დამატებით, კორპორაციული მართვის ჭრილში, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიღებული აქვს შემდეგი საზედამხედველო ზომა:

მმართველობის კოდექსი დაფუძნებულია პრინციპზე: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რაც მიზნად ისახავს კორპორატიული მმართველობის წამყვანი სტანდარტების დანერგვის სტიმულირებას. კოდექსის მოთხოვნების მიხედვით, ორგანიზაციის მმართველობითი სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს მის საქმიანობის სპეციფიკას, ზომას და სირთულეს, ასევე უნდა არსებობდეს შესაბამისი შიდა რეგულაციების პაკეტი. ყველა ორგანიზაციას ესაჭიროება ეთიკის კოდექსი, რომელიც მოაწესრიგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია, უფლებამოსილების არამიზნობრივი გამოყენების აღკვეთა, კორუფციული რისკების მინიმიზაცია, ინსაიდერული ვაჭრობის აკრძალვა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა უკანონო ქმედებების პრევენცია. განურჩევლად ორგანიზაციის ზომისა თუ ოპერაციების სირთულისა, სამეთვალყურეო საბჭოში უნდა შედიოდეს სულ მცირე 5 წევრი, რომელთაგან არანაკლებ 2 პირი უნდა პასუხობდეს კანონმდებლობით დადგენილ დამოუკიდებლობის სტანდარტებს. დამატებით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ეკრძალება ერთდროულად ღირექტორის პოზიციის დაკავება იმავე კომპანიაში და ა.შ.

M. თანამშრომლები

M.1.1. პროსპექტის თანდართული ფინანსური ანგარიშგებების თითოეული წლისთვის, წლის ბოლოს თანამშრომელთა რაოდენობის ან ფინანსური წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობის მონაცემები პროსპექტის შედგენის თარიღამდე (და შესაბამისი ცვლილებები ამ რაოდენობებში, თუკი მნიშვნელოვანია). თუ ემიტენტთან დასაქმებულია დროებითი თანამშრომლების მნიშვნელოვანი წილი, უნდა მოხდეს უახლესი ფინანსური წლისთვის მათი საშუალო რაოდენობის დაფიქსირება

წინამდებარე ცხრილში მოცემულია თანამშრომელთა რაოდენობა 2023 და 2024 წლების ბოლოს მდგომარეობით.

წელი	რაოდენობა წლის ბოლოს მდგომარეობით
2023	656
2024	731

M.1.2. წილების ფლობა: ამ დანართის 10.1. პუნქტის პირველი ქვეპარაგრაფის ა-ბ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი პირების მიერ ემიტენტის წილის ან წილობრივი უფლებების ფლობაზე ინფორმაცია უახლესი თარიღით

არ არის რელევანტური.

M.1.3. ემიტენტის კაპიტალში თანამშრომლების მონაწილეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია

არ არის რელევანტური.

N. მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები

N.1. 5%-ზე მეტი წილის მფლობელები

N.1.1. ნებისმიერი პირის სახელი, რომელსაც 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილი აქვს ემიტენტის კაპიტალში, თითოეული ამ წილის ოდენობის დაკონკრეტებით

დალი ურუმაძე - 100%

N.2. ხმის უფლებები

M.2.1. იმ ფაქტის დაკონკრეტება, აქვთ თუ არა განსხვავებული ხმის უფლებები 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს (პარტნიორებს)

არ არის რელევანტური.

N.3. კონტროლის სტრუქტურაში ცვლილებები

N.3.1. ემიტენტისთვის ცნობილი ნებისმიერი გარიგების აღწერა, რომელიც უკავშირდება ემიტენტის კონტროლის სტრუქტურაში სამომავლო ცვლილებებს

ასეთი გარიგება არ არსებობს.

O. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

O.1.1. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებულ პერიოდებსა და პროსპექტის შედგენის თარიღამდე პერიოდის მანძილზე ემიტენტსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემდეგი დეტალები:

ა) ტრანზაქციების ბუნებისა და ხასიათის აღწერა, რომლებიც ცალკე მდგომარეობაში ან ჯამურად მატერიალურია ემიტენტისთვის. როდესაც ამგვარი ტრანზაქციები არაა განხორციელებული სამართლიანი საბაზრო ფასით, შესაბამისი მიზეზების აღწერა. სესხებისა და გარანტიების შემთხვევაში უნდა მიეთითოს დარჩენილი ძირის ოდენობა

ბ) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების აბსოლუტური ოდენობა ან მისი ემიტენტის საერთო ბრუნვასთან შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების ნაშთები 2023 და 2024 წლის აუდიტებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

წყარო: შპს „მიკროსაფინანსო რიკო ექსპრესი“ 2024 წლის აუდიტის დასკვნა

	2024 - მფლობ ელი	2024 - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	2024 - სხვა დაკავშირებ ული მხარეები	2023 - მფლობელ ი	2023 - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	2023 - სხვა დაკავშირე ბული მხარეები
დაუფარავი სესხები 1 იანვარს, მთლიანი	-	72	59	-	51	52
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	-	42	23	-	72	59
წლის განმავლობაში დაფარული სესხი	-	(19)	(2)	-	(51)	(52)
დაუფარავი სესხები 31 დეკემბერს, მთლიანი	-	95	80	-	72	59
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	-	-	-	-	-
დაუფარავი სესხები 31 დეკემბერს, წმინდა	-	95	80	-	72	59
საიჯარო ვალდებულება 1 იანვრის მდგომარეობით	183	-	1,353	233	-	2,719
შესყიდვები	-	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(74)	-	(1,542)	(74)	-	(1,670)
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	14	-	195	24	-	304
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	123	-	6	183	-	1,353
გამოშვებული სავალ ფასიანი ქაღალდები 1 იანვარს	-	32,920	-	-	-	-
გამოშვება	-	-	-	-	32,920	-
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	-	(10,045)	-	-	(727)	-
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	-	3,343	-	-	742	-
გამოშვებული სავალ ფასიანი ქაღალდები 31 დეკემბერს	-	26,218	-	-	32,920	-
სუბორდინირებული ვალი 1 იანვარს	-	-	-	-	-	-
გამოშვება	25,000	-	-	-	-	-
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	(1,194)	-	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	1,194	-	-	-	-	-
სუბორდინირებული ვალი 31 დეკემბერს	25,000	-	-	-	-	-
ნასესხები სახსრები 1 იანვარს	-	-	880	-	-	2,398
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	-	-	(898)	-	-	(1,735)
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	-	-	18	-	-	217
ნასესხები სახსრები 31 დეკემბერს	-	-	-	-	-	880
მარტივი თამასუქები 1 იანვარს	7,819	5,433	448	8,001	10,322	1,414
წლის განმავლობაში გამოშვებული მარტივი თამასუქები	61,389	111,182	714	7,819	27,523	3,078
წლის განმავლობაში გადახდილი მარტივი თამასუქები	(40,264)	(100,013)	(822)	(7,987)	(32,393)	(4,016)
სხვა ცვლილებები	253	2	14	(14)	(19)	(28)
მარტივი თამასუქები 31 დეკემბერს	29,197	16,604	354	7,819	5,433	•

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებიდან წარმოშობილი შემოსავალი და ხარჯი იყო შემდეგი:

	2024			2023		
	მფლობე ლი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები	მფლობე ელი	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ ობა	სხვა დაკავშირებუ ლი მხარეები
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	-	25	220	-	11	4
საპროცენტო ხარჯი მარტივ თამასუქებზე	(2,155)	(1,394)	(26)	(681)	(690)	(58)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	-	-	(18)	-	-	(217)
საპროცენტო ხარჯი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე	-	(3,343)	-	-	(742)	-
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ ვალებზე	(1,194)	-	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(14)	-	(196)	(24)	-	(304)
საკომისიო ხარჯი	-	-	(1,527)	-	-	(1,353)
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	-	-	-	-	-	292

P. ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია

P.1. წლიური ფინანსური ანგარიშგებები:

P.1.1. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები უკანასკნელი 2 წლისთვის

იხილეთ 3.E. პუნქტი - „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

P.1.2. თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განახცადის შედგენამდე პერიოდისთვის

არ არის რელევანტური.

P.2. ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღის შეცვლის შემთხვევა

P.2.1. თუ ემიტენტმა შეიცვალა სააღრიცხვო თარიღი, წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა ფარავდეს სულ მცირე 24 თვეს.

სააღრიცხვო თარიღი არ შეცვლილა.

P.2.2. თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის

არ არის რელევანტური.

P.3. სააღრიცხვო სტანდარტი

P.3.1. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

„ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია IFRS-ის შესაბამისად.

P.4. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

O.4.1. თუ ემიტენტი ამზადებს ორივეს - საკუთარ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ან ორივე მათგანი

„კომპანია“ არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

P.5. წარდგენილი ფინანსური ინფორმაციით დაფარული პერიოდი

P.5.1. ბოლო ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილზე უფრო ადრინდელი:

ა) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 18 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს აუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას

ბ) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 16 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს არააუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას

პროსპექტში შეტანილი ფინანსური ანგარიშგებები აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

P.6. შუალედური და სხვა ფინანსური ინფორმაცია

P.6.1. თუ ემიტენტის მიერ ხდება კვარტლური ან ნახევარწლიური ანგარიშგების გამოქვეყნება ბოლო აუდირებული ანგარიშგების თარიღის შემდეგ, ისინი უნდა შედიოდეს სარეგისტრაციო დოკუმენტში. თუ კვარტლური ან ნახევარწლიური ფინანსური ინფორმაცია აუდირებულია, უნდა მოხდეს მისი თან დართვა. თუ არ არის აუდირებული - მითითებულ უნდა იქნას ამის შესახებ;

„ემიტენტი“ თავის ვებ-საიტზე აქვეყნებს კვარტალურ არა-აუდირებულ ანგარიშგებას. აღნიშნული ანგარიშგებები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rico.ge/ka/documents/>

წინამდებარე პროსპექტში 2023 და 2024 წლების აუდირებული ანგარიშგებების გარდა, შეტანილია 2024 და 2025 წლების პირველი 6 თვის არა-აუდირებული ფინანსური მონაცემები.

„ემიტენტს“ აქვს ვალდებულება ანგარიშგების პორტალზე (<https://reportal.ge/>) გამოაქვეყნოს 6 თვის არა-აუდირებული, ხოლო წლიური აუდირებული ანგარიშგება. „ემიტენტმა“ 2025 წლის 6 თვის ანგარიშგება გამოაქვეყნა ანგარიშგების პორტალზე.

P.6.2. თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე ბოლო აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 9 თვე ან მეტია გასული, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს შუალედურ ფინანსურ

ინფორმაციასაც, რომელიც შესაძლოა არ იყოს აუდირებული (ეს ფაქტი უნდა მიეთითოს) და ასევე უნდა მოიცავდეს მიმდინარე ფინანსური წლის სულ მცირე პირველი 6 თვის მონაცემებს.

შუალედური ფინანსური ანგარიშგებები უნდა მოიცავდეს წინა წლის შესაბამისი პერიოდის შესადარის მონაცემებს და შედგენილი უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

წინამდებარე პროსპექტში 2023 და 2024 წლების აუდირებული ანგარიშგებების გარდა, შეტანილია 2024 და 2025 წლების პირველი 6 თვის არა-აუდირებული ფინანსური მონაცემები, რომლებიც მომზადებულია IFRS-ის სტანდარტების შესაბამისად.

P.7. წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი

P.7.1. წლიური ფინანსური ანგარიშგებები შემოწმებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ის მომზადებული უნდა იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

წინამდებარე პროსპექტში შეტანილი 2023 და 2024 წლის ფინანსური ანგარიშგებები აუდიტირებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ (მპს იუაი, ს/კ: 204441158, სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-855308).

P.7.2. თუ აუდიტის დასკვნა პირობითია, მოდიფიცირებული, უარყოფითი, უარი დასკვნაზე ან მოიცავს მნიშვნელოვანი გარემოების ხაზგასმას (emphasis of matter), უნდა მოხდეს ამგვარი უარის ან პირობების დეტალების და მათი მიზეზების ჩართვა პროსპექტის აღნიშნულ ნაწილში;

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ორივე წლისთვის არის უპირობო.

P.7.3. ამასთან, არსებობის შემთხვევაში, ამავე ნაწილში უნდა მოხდეს მითითება, თუ პროსპექტში წარმოდგენილი რა ინფორმაციის დადასტურება მოხდა აუდიტის მიერ, გარდა აუდირებული ფინანსური ანგარიშგებისა;

არ არის რელევანტური.

P.8. პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია

P.8.1. ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში (მაგ: შერწყმა, შესყიდვა), ტრანზაქციის ეფექტის აღწერა ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ფინანსურ შედეგზე იმ დაშვებით რომ ის მოხდა ანგარიშგების საწყისი ან საბოლოო თარიღისთვის.

P.8.2. ეს მოთხოვნა როგორც წესი, შესრულებულია პროსპექტში დანართი 6-ით განსაზღვრული პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაციის ჩართვით. ის იმავე სტანდარტებით უნდა იყოს მომზადებული, როგორც წლიური ფინანსური ანგარიშგებები.

კომპანიას არ ჰქონია მსგავსი ტრანზაქციები.

P.9. დივიდენდების პოლიტიკა

P.9.1. ემიტენტის დივიდენდების გაცემის პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული მუხლუდების აღწერა.

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ თანახმად, კომპანიას დივიდენდების განაწილების უფლება აქვს წლიური ან ნახევარწლიური მოგებიდან. დივიდენდის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების ერთპიროვნული პარტნიორი, სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების საფუძველზე.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით ყველა საზოგადოებისთვის თანაბრად დადგენილია შეზღუდვა: „სამეწარმეო საზოგადოებას არ აქვს უფლება, გასცეს დივიდენდი, თუ ეს სამეწარმეო საზოგადოების გადახდისუნარობას გამოიწვევს“.

P.10. სასამართლო პროცესები

P.10.1. ინფორმაცია ნებისმიერი სასამართლო (მათ შორის სავარაუდო სასამართლო დავების შესახებ, რომელსაც ემიტენტი ელის) პროცესის შესახებ სულ მცირე უკანასკნელი 12 თვის მანძილზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ან უკვე მოახდინა ემიტენტის ან ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ მომგებიანობაზე, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში - შესაბამისი განაცხადი;

არ ფიქსირდება.

P.10.2. ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

ასეთი ცვლილებები არ ფიქსირდება.

P.10.3. ბოლო ფინანსური პერიოდის შემდეგ, რომლისთვისაც წარდგენილია აუდირებული ანგარიშგება ან შუალედური არაუაუდირებული ინფორმაცია, ემიტენტის ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა, ან ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში - ამგვარი განაცხადი.

ასეთი ცვლილებები არ ფიქსირდება.

Q. დამატებითი ინფორმაცია

Q.1. კაპიტალი

Q.1.1. პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია პროსპექტში წარმოდგენილი უახლესი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის:

განცხადებული კაპიტალის ჯამური ოდენობა; ამასთან, აქციის თითოეული კლასისთვის:

ა) გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა;

ბ) გამოშვებული და ბოლომდე ანაზღაურებული ან გამოშვებული და ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა;

გ) აქციების ნომინალური ღირებულება;

დ) მათთან დაკავშირებული უფლებების, შეზღუდვების აღწერა.

2024 წლის ბოლოს მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი იყო 1 584 000 ლარი. კომპანიას არ აქვს გამოშვებული აქციები.

Q.1.2. იმ წილების რაოდენობა, საბალანსო ღირებულება და ნომინალი, რომლებსაც თავად ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ფლობს;

არ არის რელევანტური.

Q.1.3. ინფორმაცია აქციონერების უფლებებთან დაკავშირებით, ასევე განცხადებულ მაგრამ ჯერ არ გამოშვებულ კაპიტალთან ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

არ არის რელევანტური.

R. მატერიალური ხელშეკრულებები

R.1. პროსპექტის შედგენამდე 2 წლის განმავლობაში დადებული თითოეული კონტრაქტის პირობების მიმოხილვა, რომელიც უკავშირდება არსებით (მატერიალურ) ფაქტს და რომლის მხარეცაა ემიტენტი ან მისი ჯგუფის ნებისმიერი წევრი;

„ემიტენტის“ საქმიანობის ჯგუფად წარმართვისთვის „რიკო ექსპრესი“ მნიშვნელოვან სახელშეკრულებო ურთიერთობაშია რამდენიმე მნიშვნელოვან პირთან:

1. კომერციული ბანკები

„ემიტენტის“ დაფინანსების სტრუქტურის დიდი წილი კომერციული ბანკებისგან ნასესხები ფულადი სახსრებია. „ემიტენტს“ საქმიანი ურთიერთობა დამყარებული აქვს რამდენიმე ქართულ კომერციულ ბანკთან. აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში, „ემიტენტს“ კომერციულ ბანკებთან გაფორმებული აქვს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებები, რომელიც აწესებს ბანკის ჯამურ საკრედიტო ლიმიტს „ემიტენტთან“ მიმართებაში. აღნიშნული ხელშეკრულებების ქვეშ, „ემიტენტი“ კომერციულ ბანკებთან აფორმებს ვადიანი სესხის ხელშეკრულებებს და პერიოდულად იღებს და ფარავს ვადიან სესხებს დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში. (ბანკებისგან მიღებული სესხების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 3.E. პუნქტი - „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“). სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, კომერციულ ბანკებს „ემიტენტისთვის“ დაწესებული აქვთ კოვენანტები (დეტალური აღწერა იხილეთ 3.F.1. ქვეპუნქტში - „ემიტენტის დაფინანსების სტრუქტურის აღწერა“). დამატებით, აღნიშნულ კომერციულ ბანკებს შესყიდული აქვთ „ემიტენტის“ 2023 წლის მარტში გამოშვებული ობლიგაციები (ISIN: GE2700604285).

2. საცავის დაზღვევა

სს „ალდაგთან“ გაფორმებული ორი პოლისით დაზღვეულია „ემიტენტის“ საცავი, სადაც ინახება „ემიტენტის“ მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფის საგნები, ძვირფასი ლითონები და ქვები. პირველი პოლისი ფარავს ომის, ტერორიზმისა და პოლიტიკური ძალადობის რისკებს, მეორე კი - ფიზიკურ დანაკარგებსა და განადგურებას. თითოეული პოლისის სადაზღვეო თანხა 335,000,000 (სამას ოცდათხუთმეტი მილიონი) აშშ დოლარია. ორივე პოლისი ძალაშია 2026 წლის აგვისტომდე და ყოველწლიურად ახლდება.

3. ფულადი გზავნილების ოპერატორები

„ემიტენტის“ ერთ-ერთი ძირითადი მომსახურება ფულადი გზავნილების სერვისია. აღნიშნული სერვისის გასაწევად, კომპანია დიდი ხანია თანამშრომლობს ფულადი გზავნილების სამ საერთაშორისო სისტემასთან - „რია“, „მანიგრამი“ და „ვესტერნ იუნიონი“. სამივე პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოქმედია. აღნიშნული კონტრაქტები არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და განსახილველად არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა სისტემის ოპერატორის მხრიდან შესაძლებელია მხოლოდ კონტრაქტში კონკრეტულად განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, დამატებით ბანკოტებით ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმდა ისეთ დიდ კომპანიებთან, როგორიცაა MoneyCorp და TravelEx.

R.2. ნებისმიერი სხვა კონტრაქტის მოკლე შინაარსი (რომელიც არ არის ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციების შედეგი), რომლითაც ემიტენტის ან მისი ჯგუფის ნებისმიერ წევრს ნაკისრი აქვს გარკვეული ვალდებულება ან მინიჭებული აქვს უფლება, რომელიც მატერიალურია პროსპექტის მომზადების თარიღისთვის./მატერიალურია ემიტენტისთვის ობლიგაციებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

არ არის რელევანტური.

S. გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი

S.1.1. იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია (რომლებზეც მითითება არის გაკეთებული) რეგისტრაციის დოკუმენტში; ასევე მითითება, თუ სად შეიძლება ამ დოკუმენტების გაცნობა ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით.

1. 2023 და 2024 წლების აუდირებული დასკვნები, მომზადებული შპს „იუაის“ მიერ - ხელმისაწვდომია <https://rico.ge/ka/documents/>.
2. 2024 და 2025 წლების არა-აუდირებული პირველი ორი კვარტალის ფინანსური ანგარიშგება - ხელმისაწვდომია <https://rico.ge/ka/documents/>.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ სტატისტიკა - ხელმისაწვდომია <https://nbg.gov.ge/page/konsolidirebuli-pinansuri-machveneblebi>.
4. „რიკო ექსპრესის“ რეიტინგის ანგარიში სარეიტინგო კომპანია Scope-ისგან - ხელმისაწვდომია <https://scoperatings.com/ratings-and-research/rating/EN/179081>.
5. „ემიტენტის“ წესდება - სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ვებ-გვერდი (<https://napr.gov.ge/>) სამეწარმეო რეესტრი, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25112676, 05/08/2025 17:19:47
6. „ემიტენტის“ ამონაწერი - სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ვებ-გვერდი (<https://napr.gov.ge/>) სამეწარმეო რეესტრი, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25135011, 24/09/2025 10:01:19

4. ფასიანი ქაღალდების მიმოხილვის ნაწილი

A. მნიშვნელოვანი ინფორმაცია

A.1. საბრუნავი კაპიტალი

A.1.1. განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ, რაც გულისხმობს ემიტენტის მიერ გაკეთებულ დათქმას იმის თაობაზე, რომ საბრუნავი კაპიტალი სკამარისია ემიტენტის მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად ერთი წლის მანძილზე ან, თუ არ არის სკამარისი, როგორ აპირებს საჭირო დამატებითი საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფას.

	2023	2024	2025 Q2
საბრუნავი კაპიტალი	246.6 მლნ	-104.6 მლნ	-351.6 მლნ

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, კომპანიის საბრუნავი კაპიტალი შეადგენდა 246.6 მილიონ ლარს, თუმცა 2024 წლის ბოლოსთვის აღნიშნული მაჩვენებელი -104.6 მილიონ ლარამდე შემცირდა. ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება ნახევარი წლის მონაცემებშიც: 2024 წლის 6 თვის განმავლობაში დადებითი 28.3 მილიონი ლარის მაჩვენებელი 2025 წლის ანალოგიურ პერიოდში მკვეთრად შემცირდა და შეადგინა -351.6 მილიონი ლარი.

აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის მიერ 2023 წლის მე-4 კვარტალში მიღებული გადაწყვეტილებიდან, რომლის მიხედვით ახალ გასაცემ სალომბარდე სესხებზე ფორმალური სტანდარტული ვადა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 3 წლით განისაზღვრა. ამის მიზეზი არის, რომ ხშირ შემთხვევაში, კლიენტები იყენებენ ერთსა და იმავე უზრუნველყოფას განმეორებითი და მრავალჯერადი სესხების მისაღებად. შესაბამისად, კომპანიის რესურსებისა და კლიენტების დროის დასაზოგად, მარეგულირებელთან შეთანხმებით და „ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულების“ პრინციპების დაცვით, „ემიტენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასესხო ხელშეკრულებები ფორმალურად და იურიდიულად გაფორმდეს 3 წლიანი ვადით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სესხები დღეს ოფიციალურად კლასიფიცირებულია გრძელვადიან (ერთ წელზე მეტი ვადიანობის) აქტივებად, რეალურ პრაქტიკაში სალომბარდე სესხების აბსოლუტური უმრავლესობის დაფარვა საშუალოდ 3 თვეში ხდება.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, კომპანიის სასესხო პორტფელი ეტაპობრივად ახლდება (ძველი სესხების ნაცვლად გაიცემა ახალი სესხები 3 წლიანი სტანდარტული ვადიანობით). სწორედ ამ მიზეზით ვხედავთ საბრუნავი კაპიტალის ეტაპობრივ გაუარესებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბუღალტრულად საბრუნავი კაპიტალი უარყოფითია, რეალური ბიზნეს-პრაქტიკა და ფულადი ნაკადების ფაქტობრივი მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ფორმალური სურათისგან. ფაქტობრივად, კომპანიის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცილებით უფრო ლიკვიდურია, ვიდრე ეს ბუღალტრული აღრიცხვიდან ჩანს. შესაბამისად, კომპანიას რეალურად არ უდგას საბრუნავი კაპიტალის არასაკმარისობის საკითხი.

აქედან გამომდინარე, „ემიტენტის“ რეალური საბრუნავი კაპიტალი, როგორც 2023 და 2024 წლების ბოლოს, ასევე 2025 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით სრულად ფარავს კომპანიის მიმდინარე საჭიროებებს.

A.2. ინტერესების აღწერა

A.2.1. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

448 განთავსების აგენტი

- დასახელება: შპს „ფორსაით ბროკერს“
- ს/კ: 404700819
- ინტერესის აღწერა: ემისიის ფარგლებში, შპს „ფორსაით ბროკერს“ წარმოადგენს განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტს. აღნიშნული მომსახურების გაწევაში კომპანია იღებს საკომისიოს, რომელიც დამოკიდებულია წარმატებული განთავსების მოცულობაზე. კომპანიის ინტერესშია ემისიის წარმატებით განხორციელება და გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსება
- ინტერესთა კონფლიქტი: არ ფიქსირდება

განთავსების აგენტს, „ემიტენტს“ და ობლიგაციების ემისიაში მონაწილე სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობს.

B. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს

B.1. ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი

B.1.1. შესათავაზებული/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის ლარის სასესხო პორტფელით ნაწილობრივ (80%-ით) უზრუნველყოფილ, არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას. ობლიგაციები წარმოადგენს თანაბარი რიგის ფასიან ქაღალდებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ურთიერთუპირატესობა და თანაბრად კმაყოფილდებიან სხვა მსგავს უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებებთან ერთად.

B.2. კანონმდებლობა

B.2.2. კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება

ობლიგაციების ემისია და განთავსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

B.3. ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400)

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, სართული 10

ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11

B.4. ვალუტა

B.4.1. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი

ობლიგაციები ნომინირებულია ლარში.

B.5. რიგითობა

B.5.1. გადახდისუნარიანობის შემთხვევაში, შესათავაზებული ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში

„ემიტენტზე“ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონის გავრცელების შემთხვევაში, გადახდისუნარობის დროს ობლიგაციებიდან წარმოშობილი მოთხოვნები განიხილება როგორც უზრუნველყოფილი ვალდებულებები და დაკმაყოფილება შესაბამისი პრიორიტეტულობით, რაც გულისხმობს უპირატესობას სხვა კრედიტორებთან მიმართებაში დაგირავებული აქტივების ღირებულების ფარგლებში.

აღნიშნული მოთხოვნების რეგულირება ხდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის 105-ე მუხლის საფუძველზე. ამ ნორმის თანახმად, პირველი რიგის უზრუნველყოფილ კრედიტორს უფლება აქვს მოსთხოვოს გაკოტრების მმართველს უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაცია იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებაში განსაზღვრული მეთოდით. გაკოტრების მმართველის ვალდებულებაა უზრუნველყოს ქონების რეალიზაცია პირველი რიგის იპოთეკარის/მოგირავნის მითითების მიხედვით.

როდესაც უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხა აჭარბებს პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას, ზედმეტი თანხა მიემართება იმავე ქონებაზე რეგისტრირებული შემდგომი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორების დასაკმაყოფილებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პრინციპების დაცვით. დარჩენილი სახსრები ჩაირთვება გადახდისუნარობის მასაში.

არასაკმარისი რეალიზაციის შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან მიღებული თანხა ვერ ფარავს უზრუნველყოფილი კრედიტორის სრულ მოთხოვნას, დაუფარავი ნაწილი გადაინაცვლებს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების კატეგორიაში და დაკმაყოფილება შესაბამისი თანმიმდევრობით.

ზემოხსენებული კანონის დებულებების მიხედვით, „ემიტენტის“ გაკოტრების პროცესში გადახდისუნარობის ქონების განაწილება ხორციელდება შემდეგი იერარქიით:

- a) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები - აერთიანებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით განსაზღვრულ პროცედურულ ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებასა და საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის გაკოტრების პროცესში წარმოშობილ შრომით ურთიერთობებს, ქონების ადმინისტრირების ხარჯებს და მენეჯმენტის გადაწყვეტილებით შეძენილ პროფესიულ მომსახურებებს;
- b) პოსტ-პეტიციური დავალიანება - ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა სასამართლოს განჩინების შემდგომ პერიოდში, გადახდისუნარობის განცხადების წარდგენიდან გაკოტრების რეჟიმის ამოქმედებამდე, მათ შორის საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც ფორმირდება გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ;
- c) პრეფერენციული მოთხოვნები - მოიცავს 3-თვიან სახელფასო დავალიანებასა და შვებულების ანაზღაურებას (გამოკლებულია ღირუქტორების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და მათი ოჯახის წევრების ანაზღაურება), რომლებიც უნდა დაიფაროს გადახდისუნარობის გამოცხადების შემდეგ; პროფესიული დაზიანებიდან გამომდინარე კომპენსაციები (მაქსიმუმ 1,000 ლარი თითოეულ კრედიტორზე);
- d) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული არაპირდაპირი საგადასახადო, რომლებიც დაგროვდა გადახდისუნარობის განცხადების მიღებამდე ბოლო 3 საგადასახადო წლის განმავლობაში;

- e) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები - ყველა დავალიანება, რომელიც ფორმირებულია გადახდისუუნარობის განცხადების წარდგენამდე;
- f) არაპრივილეგირებული მოთხოვნები;
- g) კორპორაციული ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებები - დივიდენდების განაწილება, აქციების გამოსყიდვა, შენატანების დაბრუნება.

B.6. უფლებები და შეზღუდვები

იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა

B.6.1. კომპანიის ვალდებულებები

1. უზრუნველყოფა

(i) გირავნობა

ობლიგაციების უზრუნველყოფისთვის გამოყენებულია „ემიტენტის“ სასესხო პორტფელის ნაწილი, რომლის ღირებულებაც შეესაბამება ობლიგაციების ნომინალური ჯამური ღირებულების 80%-ს. გირავნობის პირობები და დეტალები გაწერილია გირავნობის ხელშეკრულებაში. „ობლიგაციების“ უზრუნველსაყოფას წარმოადგენს „ემიტენტის“ ძირითადი საქმიანობის ფარგლებში გაცემული სალომბარდე სესხები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფილია მსესხებლების მიერ დაგირავებული ოქროთი. „კომპანიის“ სასესხო პოლიტიკის თანახმად, აღნიშნული სესხების LTV არ აღემატება 90%-ს. აღრიცხვის წესების შესაბამისად, სესხები 3 (სამი) წლის ვადიანობით გაიცემა.

წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ მაქსიმალური საემისიო ოდენობის სრულად (200 მლნ ლარი) განთავსების შემთხვევაში, უზრუნველყოფისთვის გამოყენებული სასესხო პორტფელის მოცულობა იქნება 160 მლნ ლარი, რომელიც „ემისიის თარიღისთვის“ თავისუფალია ყველანაირი ვალდებულებისგან და არ წარმოადგენს სხვა ვალდებულების (მათ შორის „ემიტენტის“ მიერ 2023 წლის 14 მარტს გამოშვებული ობლიგაციების) უზრუნველყოფას.

გირავნობის ხელშეკრულების თანახმად, „ემიტენტი“ პირველი რიგის გირავნობით ტვირთავს იმ სასესხო პორტფელს, რომლის ღირებულებაც ობლიგაციების ნომინალის 80%-ს უტოლდება. პირველი რიგის გირავნობა ნიშნავს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას (როგორც ეს პროსპექტის 4.B.6.1.7. - „დეფოლტი“ ქვეპუნქტშია განმარტებული), ობლიგაციონერებს ექნებათ უპირატესობა სხვა კრედიტორებთან შედარებით თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისას. აღსრულების შემთხვევაში, დაგირავებული აქტივის რეალიზაციიდან შემოსული თანხები განაწილდება ობლიგაციონერებზე იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის მოთხოვნა აქვს თითოეულ მათგანს „ემიტენტი“-ს მიმართ.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, გირავნობის ხელშეკრულებასა და პროსპექტის პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სებ-ის მიერ დამტკიცებულ და სებ-ის ვებ-გვერდზე განთავსებულ პროსპექტს.

(ii) გირავნობის ხელშეკრულების ხელმოწერა და გირავნობის რეგისტრაცია

„ობლიგაციების“ სრულად განთავსების თარიღიდან ან საჯარო შეთავაზების დასრულებიდან, რომელიც უფრო ადრე მოხდება, 60 (სამოცი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, „ემიტენტი“ ან/და

„განთავსების აგენტი“ დაუკავშირდებიან ყველა „ობლიგაციონერს“ და უზრუნველყოფენ „გირავნობის ხელშეკრულების“ დადებას.

„გირავნობის ხელშეკრულება“ უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული, რა დროსაც ნოტარიუსის მიერ უნდა დადასტურდეს როგორც ხელმოწერა პირთა იდენტობა, ასევე მათი უფლებამოსილებები, და რის შედეგადაც „ობლიგაციონერებს“ მიენიჭებათ შესაძლებლობა იმოქმედონ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტიანი რეალიზაციის პროცედურის განხორციელებას „უზრუნველყოფის საგანზე“, თუ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“. „გირავნობის ხელშეკრულების“ რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ („საჯარო რეესტრი“). ზემოხსენებულიდან გამომდინარე, თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია, პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, გამოცხადდეს ნოტარიუსთან „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ თარიღზე და მოაწეროს ხელი „გირავნობის ხელშეკრულებას“.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით გაცემული და დამოწმებული უფლების დამდგენი დოკუმენტის (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) მეშვეობით ან/და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით („მინდობილობა“), რომლის სანოტარო აქტიც ადასტურებს არა მხოლოდ „მინდობილობის“ გამცემის ვინაობას, არამედ (თუ ეს შესაძლებელია იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის შესაბამისადაც გაიცემა მინდობილობა) „ობლიგაციონერების“ სანაცვლოდ ხელის მოწერის უფლებამოსილებას.

თუკი „მინდობილობა“ გაცემულია საზღვარგარეთ, ის ან უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული (თუ აღნიშნული ქვეყანა წარმოადგენს „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის კონვენციის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოს) ან ლეგალიზებული იქ მდებარე საქართველოს საკონსულოს მიერ. დოკუმენტების ორიგინალი ვერსიები მიეწოდება „ემიტენტს“ და „განთავსების აგენტ(ებ)ს“ და აღნიშნული დოკუმენტების სათანადო წესით წარდგენა წარმოადგენს „გირავნობის ხელშეკრულების“ შესაბამისი ობლიგაციონერის მიერ ხელმოწერის წინაპირობას.

„გირავნობის ხელშეკრულება“ გაფორმებული იქნება „ემიტენტის“ მიერ წინასწარ განსაზღვრულ თარიღში. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით „განთავსების აგენტი“ წინასწარ აცნობებს „ობლიგაციონერებს“.. ამასთან, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ „გირავნობის ხელშეკრულება“ გაფორმებული იქნას გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს „ობლიგაციების“ სრულად განთავსების თარიღიდან ან საჯარო შეთავაზების დასრულებიდან, რომელიც უფრო ადრე მოხდება, 60 (სამოცი) „სამუშაო დღის“ ვადაში. „გირავნობის ხელშეკრულება“ უნდა გაფორმდეს ერთდროულად (ერთსა და იმავე დღეს) ყველა „ობლიგაციონერთან“.

„ემიტენტი“ ვალდებულია „გირავნობის ხელშეკრულების“ რეგისტრაციამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე მიაწოდოს „მოგირავნეებს“ „გირავნობის საგნის“ (რაც მოიცავს, როგორც „კლიენტებისგან“ მისაღებ თანხებს, ასევე „გირავნობის ხელშეკრულების“ 3.3. პუნქტის საფუძველზე დაგირავებულ მოთხოვნის უფლებებს) „სია“, რომელიც, „ობლიგაციების“ სრულად განთავსების თარიღიდან ან საჯარო შეთავაზების დასრულებიდან, რომელიც უფრო ადრე მოხდება, არაუგვიანეს 60 (სამოცი) სამუშაო დღისა გახდება „გირავნობის საგნის“ შემადგენელი ნაწილი. ამგვარი „სია“ უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას თითოეული „კლიენტის“ ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერილი უნდა იყოს „ემიტენტის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ (შემდგომში - „სია“). „სია“ უნდა განახლდეს/დადასტურდეს პერიოდულად, „მოგირავნეების“ მოთხოვნისამებრ, „მოგირავნეების“ წერილობითი

მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) „სამუშაო დღის“ ვადაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მინიმუმ ყოველკვარტლურად (ყოველი კალენდარული წლის იანვარში, აპრილში, ივლისსა და ოქტომბერში). „ემიტენტის“ მიერ მიწოდებული თითოეული ამგვარი „სია“ წარმოადგენს წინამდებარე „გირავნობის ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

დამატებით, ყოველ ჯერზე, როცა გირავნობით გათვალისწინებული ნებისმიერი სესხი, რომელიც წარმოადგენს „გირავნობის საგნის“ შემადგენელ ნაწილს, გადაიქცევა „გაპრობლემებულ სესხად“ ან სხვა ნებისმიერი მიზეზით დაირღვევა უზრუნველყოფის ვალდებულებით გათვალისწინებული 80%-იანი დაფარვის კოეფიციენტი, „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩაანაცვლოს იგი სხვა მისი ეკვივალენტური სესხით ან ამჟამად არსებული და/ან პორტფელის განახლების შედეგად წარმოშობილი სასესხო პორტფელის ნებისმიერი ნაწილით, იმგვარად, რომ შეინარჩუნოს 80%-იანი დაფარვის კოეფიციენტი.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუ (1) რომელიმე „ობლიგაციონერი“/მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდება ან/და სხვა მიზეზის გამო ვერ განხორციელდება მისი მხრიდან „გირავნობის ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერა (მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეუზღუდავად, „ობლიგაციონერის“/მისი წარმომადგენლის მიერ შესაბამისი ნოტარიუსისათვის საჭირო დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის, შესაბამისი მინდობილი პირის „მინდობილობის“ გამოხმების, გაუქმების, ვადის გასვლის ან/და სხვა ნებისმიერი მიზეზით) „გირავნობის ხელშეკრულების“ გასაფორმებლად „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ თარიღსა და მისამართზე, ან/და (2) საჭირო გახდა „ობლიგაციონერების“ გამოცხადება „საჯარო რეესტრში“, „გირავნობის ხელშეკრულების“ რეგისტრაციასთან/გაფორმებასთან დაკავშირებით და „ობლიგაციონერი“/მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდება ან/და სხვა მიზეზის გამო ვერ განხორციელდება მისი მხრიდან „საჯარო რეესტრში“ „გირავნობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე გირავნობის რეგისტრაცია, ასეთ შემთხვევებში, შესაბამისი „ობლიგაციონერი“ კარგავს მოთხოვნას/უფლებას „გირავნობის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან/მიერთებასთან/მასზე გავრცელებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუკი წინამდებარე პარაგრაფში მითითებული შემთხვევების არსებობის გამო, რომელიმე „ობლიგაციონერი“ არ აწერს ხელს „გირავნობის ხელშეკრულებას“, აღნიშნული გავლენას არ ახდენს იმ „ობლიგაციონერებზე“, რომლებიც უზრუნველყოფენ/განახორციელებენ ხელმოწერას და „გირავნობის ხელშეკრულება“ გავრცელდება/ძალაში შესულად მიიჩნევა მათთვის.

რაც შეეხება ინვესტორებს, რომლებიც „ობლიგაციებს“ შეიძენენ მეორად ბაზარზე (შემდგომში - „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი“), ასეთი „ობლიგაციონერები“ იმისთვის, რომ გახდნენ „გირავნობის ხელშეკრულების“ მხარე და მათზე გავრცელდეს ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლება-მოვალეობები, საჭიროა მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) ობლიგაციების მეორად ბაზარზე შეძენიდან 60 (სამოცი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმება „ყოველ შემდგომ ობლიგაციონერსა“ და იმ „ობლიგაციონერს“ შორის, რომლისგანაც „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი“ იძენს „ობლიგაციებს“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, იმ შემთხვევაში, თუკი „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერის“ სურვილს წარმოადგენს, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი მოთხოვნები იქნას უზრუნველყოფილი „გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) გაფორმება აუცილებელია, თუმცა მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) გაფორმება არ წარმოადგენს პრერეკვიზიტს, „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერის“ მიერ „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების მოპოვებისთვის. ამასთან, „გირავნობის ხელშეკრულების“ მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) გაფორმება/არ გაფორმება და გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესების წარმართვა, ასეთის რელევანტურობის შემთხვევაში, წარმოადგენს მხოლოდ და

მხოლოდ „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერისა“ და იმ „ობლიგაციონერის“ პასუხისმგებლობას, რომლისგანაც იძენს „ობლიგაციებს“ „ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი“, და არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს „ემიტენტის“ ან/და „განთავსების აგენტების“ პასუხისმგებლობას. მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) ფორმა „გირავნობის ხელშეკრულებისთვის“ თან ერთვის წინამდებარე პროსპექტს. ერთი მხრივ, წინამდებარე ემისიის პროსპექტსა და, მეორე მხრივ, „გირავნობის ხელშეკრულებას“ შორის შესაბამისობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება პროსპექტის დებულებებს. ზემოაღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ პირდაპირ შეუძლიათ დაუკავშირდნენ „განთავსების აგენტებს“ და „ემიტენტს“.

„ობლიგაციონერები“ აქვე აცნობიერებენ, რომ „ობლიგაციების“ მეორად ბაზარზე გასხვისების შემთხვევაში გირავნობის „ობლიგაციების“ შემძენზე რეგისტრაციისთვის შესაძლოა „საჯარო რეესტრში“ მოითხოვოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა. ასეთ შემთხვევაში, სხვა „ობლიგაციონერებიც“ ვალდებული იქნებიან გამოცხადდნენ „საჯარო რეესტრში“, ხელი მოაწერონ „გირავნობის ხელშეკრულების“ ცვლილებას და სრულად შეასრულონ ყველა საჭირო ფორმალთა, რომლის ხარჯების ანაზღაურებაც ეკისრება „ობლიგაციების“ გამსხვისებელს.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ მეორად ბაზარზე გასხვისების შემთხვევაში, საჭირო გახდა გასხვისების მომენტისათვის არსებული სხვა „ობლიგაციონერების“ გამოცხადება და გირავნობის ხელშეკრულების ცვლილებაზე ხელმოწერა და რომელიმე „ობლიგაციონერი“ ვერ უზრუნველყოფს მისი წარმომადგენლის გამოცხადებას შესაბამისი „მინდობილობის“ გამოხმობის, ვადის გასვლის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო, ასეთ „ობლიგაციონერს“ დაერიცხება ჯარიმა მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციაზე“ დარიცხული კუპონის 0.05% ოდენობით, თუმცა არანაკლებ 100 (ასი) ლარისა თითოეული დაგვიანებული დღისათვის. „ემიტენტი“ უფლებამოსილია აღნიშნული ჯარიმა დააკავოს წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გადასახდელი თანხებიდან.

2. „ემიტენტის“ ვალდებულებები

(i) „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა და განგრძობადობა

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების გამოსაყენებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს ობლიგაციებიდან გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს ობლიგაციების კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(ii) შერწყმა

„ემიტენტმა“, ობლიგაციონერების წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა:

(ა) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან (ბ) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შეერწყას რამდენიმე კომპანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

a) ზემოთ (ა) ან (ბ) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე:

A. წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიმღები (უფლებამონაცვლე პირი) იქნება „ემიტენტი“, ან ასეთი უფლებამონაცვლე პირი, თუ ის არ არის „ემიტენტი“, სრულად იკისრებს ობლიგაციებიდან გამომდინარე ემიტენტის უფლებებსა და ვალდებულებებს; და

B. „ემიტენტთან“ შერწყმული ან გაერთიანებული პირის ჯამური ვალდებულებები არ აღემატება „ემიტენტის“ აქტივების 25%-ს.

b) აღნიშნულიდან გამომდინარე არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“.

(iii) განკარგვები

თუ პროსპექტით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, 4.B.6.1-ის 2.b. ქვეპუნქტის დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავის შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდის, გადასცემს, გასცემს იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავს ნებისმიერ პირზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „ემიტენტის“ აქტივების 10%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს IFRS ფინანსურ პერიოდში IFRS-ის შესაბამისად შედგენილ „ემიტენტის“ საბალანსო ფურცელზე მითითებით. ამასთანავე, ნებისმიერ შემთხვევაში და მიუხედავად განკარგული აქტივების ღირებულებისა, დაუშვებელია აქტივების განკარგვა, თუ შედეგად დაირღვევა გირავნობის ხელშეკრულებით „ემიტენტის“ მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომ დაგირავებული პორტფელის მოცულობა უნდა უზრუნველყოფდეს ობლიგაციების ძირი თანხის დაუფარავი ნაწილის 80%-იანი დაფარვის კოეფიციენტს.

წინამდებარე 4.B.6.1-ის 2.c. ქვეპუნქტში არ გამოიყენება (i) აქტივების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან (ii) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღემატება „ემიტენტის“ აქტივების 25%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს IFRS ფინანსურ პერიოდში IFRS-ის შესაბამისად შედგენილ „ემიტენტის“ საბალანსო ფურცელზე მითითებით; (iii) „ემიტენტის“ დივიდენდის გაცემის მიმართ.

(iv) გადასახადების და სხვა მოთხოვნების დაფარვა

„ემიტენტი“ დადგენილ ვადებში გადაიხდის ყველა იმ გადასახადს, რომელიც დაკავშირებულია მის შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან. თუმცა, წინამდებარე ემისიის პროსპექტის მიზნებისთვის „ემიტენტი“ არ იქნება ვალდებული გადაიხადოს მსგავსი გადასახადი ან სხვა მოთხოვნა:

- a) თუ მისი ოდენობა, გამოყენებადობა ან კანონიერება კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და მისი დაფარვის უზრუნველსაყოფად შექმნილია სათანადო რეზერვები IFRS-ის მოთხოვნების შესაბამისად; ან
- b) თუ მისი ოდენობა, ყველა სხვა ანალოგიურ გადასახადთან ან მოთხოვნასთან ერთად, ჯამურად არ აღემატება მთლიანი აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი), დადგენილი IFRS-ის მიხედვით.

(v) ვალდებულებების აღება

„ემიტენტი“ არ დაუშვებს, რომ მან იკისროს, პასუხისმგებლობა აიღოს ან სხვა ფორმით გახდეს ვალდებული ნებისმიერი სახის სასესხო ვალდებულებაზე, თუ:

- a) ასეთი ფინანსური ვალდებულება გამოიწვევს დეფოლტის დადგომას; და
- b) გამოსყიდვის თარიღამდე, ნებისმიერი 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდირებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არააუდირებული კალენდარული წლისთვის, „ემიტენტის“ ჯამური ვალდებულებების ოდენობა აჭარბებს „ემიტენტის“ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის აქტივების 80 (ოთხმოც) პროცენტს (კოეფიციენტის გაანგარიშება იხილეთ 1.B.2.8 ქვეპუნქტში).

(vi) ანგარიშგების ვალდებულება

- a) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 მაისისა, ობლიგაციების მფლობელებს მიაწოდოს და ასევე საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს IFRS-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ აუდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ფინანსური წლისთვის, მათ შორის აუდიტის დასკვნა.
- b) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში, ობლიგაციების მფლობელებს მიაწოდოს და ასევე საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს ექვსი თვის IFRS-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც უნდა მოიცავდეს საბალანსო უწყისს, მოგება-ზარალის ანგარიშსა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშს.
- c) თუ ობლიგაციების მფლობელები, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან ნომინალური მფლობელების საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად გადაუხდელი ობლიგაციების არანაკლებ 25%-ს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, ასეთ შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ნაპარაუდვ „დეფოლტის შემთხვევასთან“.

ასეთ შემთხვევაში „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად და გონივრულ ვადაში მიაწოდოს იმ ობლიგაციების მფლობელებსა და ნომინალურ მფლობელებს, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნა.

წერილობითი მოთხოვნა შეიძლება შედგებოდეს ერთი და იმავე შინაარსის ერთი ან რამდენიმე დოკუმენტისგან, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი ობლიგაციების მფლობელისა და/ან ნომინალური მფლობელის მიერ ან მათი სახელით.

ასევე, აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს ობლიგაციების მფლობელთა კრების გადაწყვეტილების სახით.

(vii) კოეფიციენტების დაცვის ვალდებულება

a) „ემიტენტი“ ვალდებულია, ამ ობლიგაციების არსებობის განმავლობაში შეასრულოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები:

- კკ (კაპიტალის კოეფიციენტი) – საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა დაქვითვის შემდგომ მთლიან აქტივებთან – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 24%;
- ლკ (ლიკვიდობის კოეფიციენტი) – საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივების საშუალო ვალდებულებებთან თანაფარდობა – 18%, ხოლო იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ფიზიკური და არასაფინანსო იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრები აღემატება საზედამხედველო კაპიტალის 50%-ს - 25%;
- იკ (ინვესტიციების კოეფიციენტი) – იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული წილების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს;
- ქკ (ქონებრივი ინვესტიციის კოეფიციენტი) – ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება და იურიდიულ პირთა კაპიტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინვესტიციების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მთლიანი კაპიტალის 40%-ს;
- ისკ (ინსაიდერების საკრედიტო კოეფიციენტი) – ყველა ინსაიდერის მიმართ არსებული მოთხოვნების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს;
- დაკ (დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი) – დაგირავებული ან/და იპოთეკით დატვირთული აქტივების მთლიან კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს. გირავნობა/იპოთეკა უნდა განხორციელდეს იმ აქტივის მოცულობით, რის უზრუნველყოფასაც წარმოადგენს გირავნობის/იპოთეკის საგანი. აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშებაში არ

მიიღებს მონაწილეობას აქტივების გადაფასების რეზერვი და ფულადი სახსრები, რომლებიც დაგირავებულია სვოპ ოპერაციის მიზნობრივობით

b) კოეფიციენტების გაანგარიშების მიზნებისათვის:

- საზედამხედველო კაპიტალისა და მთლიანი აქტივების დაქვითვის ელემენტებს წარმოადგენს: აქტივების გადაფასების რეზერვი, არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება და ინვესტიციები შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში;
- ლიკვიდური აქტივები გაიანგარიშება, როგორც ფულადი სახსრების და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ჯამი. ლიკვიდური აქტივების გაანგარიშებაში მონაწილეობას არ მიიღებს დაჯავშნული/დაგირავებული ფულადი სახსრები და განთავსებული გამოუთხოვადი დეპოზიტები;
- ვალდებულებები – მთლიან ვალდებულებებს გამოკლებული:
 - 6 თვეზე მეტი ნარჩენი დაფარვის ვადის მქონე სუბორდინირებული /კონვერტირებადი ვალდებულებები, კომერციული ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ნასესხები სახსრები;
 - გაცვლილი ფულადი სახსრების სანაცვლოდ კომერციული ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები;
 - ვალდებულებები, ფულადი გზავნილების მიხედვით იმ ოდენობით, რაც არ აღემატება იგივე შინაარსის მოთხოვნებს ერთი კონტრაგენტის მიმართ;

(viii) სხვა ვალდებულებები

a) კონტროლის ცვლილება

„ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს კონტროლის ცვლილება. ამ მუხლის მიზნებისთვის, კონტროლის ცვლილება დადგება მაშინ, თუ პარტნიორები, რომლებიც წინამდებარე ემისიის პროსპექტის თარიღისთვის ფლობენ წილებს კომპანიის კაპიტალში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის ფლობას ან სხვაგვარად შეწყვეტენ „ემიტენტზე“ კონტროლის განხორციელებას. ამ პირობის მიზნებისათვის, ჩაითვლება, რომ არსებული პარტნიორები აკონტროლებენ „ემიტენტს“, თუ მათ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაპიტალის ფლობის, ხმის უფლების, ხელშეკრულების, ტრასტის ან სხვა მექანიზმის საფუძველზე) აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ და/ან გაათავისუფლონ „ემიტენტის“ დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა, ან სხვა გზით ფლობენ უფლებას აკონტროლონ „ემიტენტის“ საქმიანობა და პოლიტიკა.

b) კანონმდებლობის დაცვა

„ემიტენტი“ ნებისმიერ დროს ვალდებულია გამოიყენოს ყველა საჭირო საშუალება, რათა სრულად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა, მათ შორის - სამთავრობო

ორგანოების მიერ დადგენილი ღირებულებები და რეგულაციები, რომელთა დარღვევამაც შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე ან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ობლიგაციების მფლობელთა ინტერესებს.

(c) საქმიანობის ცვლილება

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს ობლიგაციების „ემისიის თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

(d) „აფილირებულ პირებთან“ დაკავშირებული გარიგებები

არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე შვილობილი პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განახორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ, მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, ინვესტიციებს და მსგავს აქტივობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები (შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს „გაშლილი ხელის“ პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისთვის“ ან მისი შვილობილისთვის, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არაა „ემიტენტთან“ ან მის შვილობილთან „აფილირებული პირ(ებ)ი“.

შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად და ამდენად, არ ექვემდებარება ზემოაღნიშნულ დათქმას: (i) „ემიტენტის“ მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ემიტენტის“ წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას; (ii) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის; (iii) ნებისმიერი დამფუძნებელთა სუბირდინირებული დაფინანსება; (iv) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან, თითოეულ შემთხვევაში ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში და სხვაგვარად „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტის“ ან მისი შვილობილებისთვის ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტის“ ან მისი შვილობილებისთვის, როგორიც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ).

(e) რეიტინგის შენარჩუნება:

ამ ობლიგაციების მოქმედების პერიოდში „ემიტენტს“ ექნება საკრედიტო რეიტინგი და ვალდებულია განაახლოს იგი შესაბამისი სიხშირით, მინიმუმ ერთი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან, რომელიც აღიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

საკრედიტო რეიტინგის ცვლილება:

თუ ობლიგაციების მოქმედების პერიოდში „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგი გაუარესდება, კუპონის განაკვეთის „სპრედი“ გაიზრდება 0.5 პროცენტული პუნქტით.

იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტს“ მინიჭებული ექნება საკრედიტო რეიტინგი ერთზე მეტი სააგენტოსგან, კუპონის განაკვეთის დადგენის მიზნით უპირატესობა მიენიჭება ყველაზე მაღალ რეიტინგს. ასევე, თუ საკრედიტო რეიტინგის ცვლილება გამოწვეულია ქვეყნის რეიტინგის ცვლილებით და ეს მიზეზი მკაფიოდ იქნება აღნიშნული რეიტინგის დასკვნაში, საბაზისო განაკვეთი არ შეიცვლება.

3. ობლიგაციის ძირი თანხისა და კუპონის გადახდა

(i) კუპონის გადახდის დღეები

კუპონის გადახდა განხორციელდება შესაბამისი „კუპონის გადახდის დღეს“ ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მომზადებული იმ ინვესტორთა ან მათი უფლებამოსილი პირველი საფეხურის ანგარიშის მწარმოებელთა სიის მიხედვით, რომლებიც ფიქსირდებიან ფასიანი ქაღალდების მფლობელებად 4 (ოთხი) სამუშაო დღით ადრე „კუპონის გადახდის დღემდე“.

იმ შემთხვევაში, თუ „კუპონის გადახდის დღე“ ემთხვევა საქართველოში არასამუშაო დღეს, გადახდა განხორციელდება „კუპონის გადახდის დღის“ შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს.

დეპოზიტარის მიერ გადახდის განხორციელების თარიღი ჩაითვლება გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა ობლიგაციონერის ანგარიშზე.

(ii) კუპონის დარიცხვა

„ობლიგაციებს“ საპროცენტო სარგებელი დაერიცხება თითოეული ობლიგაციის განთავსების გამოშვების თარიღიდან „ობლიგაციების“ „საბოლოო დაფარვის თარიღამდე.“ თითოეული „კუპონის დარიცხვის პერიოდისთვის“, „კუპონის განაკვეთს“ განსაზღვრავს გადახდისა და კალკულაციის აგენტი. ეს ხდება „კუპონის გადახდის დღემდე“ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.

„კუპონის განაკვეთის კალკულაციის პერიოდი“ განისაზღვრება, როგორც დროის ინტერვალი, რომელიც იწყება წინა „კუპონის გადახდის დღეს“ და მთავრდება მომდევნო „კუპონის გადახდის დღემდე“ 4 (ოთხი) სამუშაო დღით ადრე. ეს კონკრეტული დღე ჩაითვლება „კუპონის განსაზღვრის თარიღად“. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პერიოდი მოიცავს მხოლოდ სამუშაო დღეებს და არა კალენდარულ, ან/და საბანკო დასვენების დღეებს ან ოფიციალურ უქმეებს.

კუპონის განაკვეთის დადგენისას, გამოყენებული იქნება ერთდღიანი TIBR-ის (თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი) ე.წ. „Trimmed Average“. ეს მეთოდოლოგია მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ ნაბიჯს:

- a) კალკულაციის პერიოდში დაფიქსირებული ყველა ერთდღიანი TIBR-ის მონაცემი დალაგდება ზრდის მიხედვით, ანუ ყველაზე დაბლიდან ყველაზე მაღალ მაჩვენებლამდე.
- b) დალაგებული მონაცემებიდან მოიჭრება (გამოირიცხება) ყველაზე დაბალი 10% და ყველაზე მაღალი 10% მაჩვენებლები. ეს კეთდება იმისთვის, რომ მოხდეს უკიდურესი ან არასტაბილური მონაცემების გამორიცხვა და თავიდან იქნას აცილებული საშუალო მნიშვნელობის დამახინჯება.

- c) დარჩენილი მონაცემთა მასივიდან გამოითვლება არითმეტიკული საშუალო, რომელიც წარმოადგენს ბაზისურ კუპონის განაკვეთს.
- d) მიღებულ საშუალო მაჩვენებელს ემატება ფიქსირებული „სპრედი“, რომელიც 2.80-3.20%-ია. სწორედ ამ გზით მიიღება საბოლოო „კუპონის განაკვეთი“ კონკრეტული „კუპონის დარიცხვის პერიოდისთვის“.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება „კუპონის განაკვეთი“, თითოეული „კუპონის დარიცხვის პერიოდისთვის“ გადასახდელი კუპონის ოდენობა გამოითვლება სპეციალური ფორმულით:

$$P \times (CR / 365) \times n$$

სადაც:

P – ობლიგაციებში ინვესტირებული ძირი თანხა (ანუ ინვესტორის მიერ ნაყიდი ობლიგაციების ნომინალური ღირებულება);

CR – „კუპონის განაკვეთი“, რომელიც დათვლილია ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით (TIBR-ის ე.წ. „Trimmed Average“ + 2.80-3.20%-იანი სპრედი);

n – დღეების რაოდენობა კონკრეტულ „კუპონის დარიცხვის პერიოდში“.

ამგვარად, ყოველი კუპონის დარიცხვის პროცესი წარმოადგენს მკაფიოდ განსაზღვრულ და გამჭვირვალე მექანიზმს:

- a) განაკვეთი დგინდება წინასწარ;
- b) იგი ეფუძნება საბაზრო ინდექსს (TIBR), რომელსაც ემატება ფიქსირებული სპრედი;
- c) გამოთვლა ხდება ობიექტური მეთოდოლოგიით (Trimmed Average), რომელიც გამორიცხავს ექსტრემალურ მონაცემებს;
- d) საბოლოო გადასახდელი თანხა ეფუძნება მკაფიო ფორმულას, სადაც ყველა ცვლადი განსაზღვრულია.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამისი წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

(iii) ძირი თანხის და კუპონის გადახდა

„ობლიგაციების“ ძირი თანხისა და კუპონის გადახდა მოხდება იმ „ობლიგაციონერებისთვის“, რომელთაც შესაბამისი „გადახდის დღემდე“ 4 (ოთხი) „სამუშაო დღით“ ადრე, 18:00 საათის მდგომარეობით „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე გააჩნიათ შესაბამისი საკრედიტო ნაშთი. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, „გადახდის დღეს“, „საკრედიტო ნაშთის მქონე“ „ინვესტორების“ სასარგებლოდ, „ინვესტორების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. ობლიგაციონერებმა, რომლებიც ფლობენ ობლიგაციებს პირდაპირ დეპოზიტართან, ასევე „ანგარიშის მწარმოებელმა“, ვალდებული არიან უზრუნველყონ დეპოზიტარისთვის დროული, სრული და სწორად განახლებული ინფორმაციის მიწოდება იმ საბანკო ანგარიშების შესახებ, რომლებზეც უნდა განხორციელდეს ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა.

არც „ემიტენტი“, „დეპოზიტარი“, „ანგარიშის მწარმოებელი“ და არც „ანგარიშსწორებისა და გადახდის აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ „ანგარიშის მწარმოებელს“ ან/და „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „დეპოზიტარი“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას. იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციონერის ან ანგარიშის მწარმოებლის საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი განთავსების აგენტთან/დეპოზიტართან, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა გამოიქვეითოს მომსახურების საკომისიოები.

„ემიტენტი“ ვალდებულია „კუპონის განაკვეთის“ დადგენა და კუპონის გადახდა განახორციელოს წინამდებარე პროსპექტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, კალკულაციის აგენტის მიერ დაანგარიშებული კუპონის ოდენობები, აშკარა შეცდომის გარდა, ჩაითვლება საბოლოო ოდენობად „ემიტენტისთვის“.

კალკულაციის აგენტი „კუპონის გადახდის დღემდე“ არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე განსაზღვრავს გადასახდელი თანხის ოდენობებს და აცნობებს მას „ემიტენტს“.

„ემიტენტი“ ვალდებულია, შესაბამისი „კუპონის გადახდის დღემდე“ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე, დეპოზიტარისთვის მითითებულ საბანკო ანგარიშზე განათავსოს გადასახდელი თანხა ლარში და მისცეს დეპოზიტარს ინსტრუქცია აღნიშნული თანხის გადარიცხვის შესახებ.

დეპოზიტარი უფლებამოსილია, თუმცა არა ვალდებული, იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხა განთავსებულია, განახორციელოს ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის და/ან ძირი თანხის) გადარიცხვა ობლიგაციონერთა ანგარიშებზე, მათ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად, თუნდაც „ემიტენტის“ ცალკეული დავალების გარეშე.

თუ „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხა არ იქნება განთავსებული, დეპოზიტარი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ როგორც „ემიტენტს“, ასევე „ანგარიშის მფლობელებს“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლებს“.

4. ობლიგაციის ვადამდელი მიყიდვისა და გამოსყიდვის ოფციები

(i) ოფციების ტიპები

პროსპექტით დადგენილი ვადებისა და წესების შესაბამისად, ობლიგაციებს გააჩნიათ ორი სახის ოფცია:

- a. ვადამდელი მიყიდვის ოფცია (Put Option) - რომელიც ეკუთვნის ობლიგაციების მფლობელებს და აძლევს მათ უფლებას, განსაზღვრულ პირობებში მოითხოვონ ობლიგაციების ვადამდე დაბრუნება/გაყიდვა „ემიტენტისთვის“;
- b. ვადამდელი გამოსყიდვის ოფცია (Call Option) - რომელიც ეკუთვნის „ემიტენტს“ და აძლევს მას უფლებას, წინასწარ განსაზღვრულ წესებში და პირობებში, ვადამდე გამოისყიდოს ობლიგაციები ინვესტორებისგან.

(ii) ვადამდელი მიყიდვისა და გამოსყიდვის ფასი

„ემიტენტის“ მიერ ობლიგაციების გამოსყიდვა, „ვადამდელი გამოსყიდვის ღირებულება“ ან „ვადამდელი მიყიდვის ღირებულება“, განხორციელდება „გამოსყიდვის ფასად“, რომელიც უდრის ნომინალური ღირებულების 100%-ს. ამ თანხას ემატება ყველა ის პროცენტი, რომელიც დარიცხული იყო ობლიგაციებზე ვადამდელი გამოსყიდვის ღირებულება და ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო გადახდილი. ანუ, ინვესტორს უბრუნდება როგორც ძირითადი თანხა, ისე დაგროვილი საპროცენტო სარგებელი.

(iii) ოფციის გამოყენების შეზღუდვა პირველი ორი წლის განმავლობაში

როგორც ობლიგაციების მფლობელებს, ისე ემიტენტს, არ აქვთ უფლება გამოიყენონ აღნიშნული ოფციები (ვადამდელი მიყიდვის ან გამოსყიდვის უფლება) ობლიგაციების ემისიის თარიღიდან პირველი 2 (ორი) წლის განმავლობაში, მაგრამ არაუადრეს 2027 წლის დეკემბრისა.

(iv) ოფციების გამოყენების შესაძლებლობა და განაცხადის პროცედურა 2027 წლიდან

ოფციების გამოყენება, როგორც ვადამდელი გამოსყიდვის, ისე ვადამდელი მიყიდვის, პირველად შესაძლებელი იქნება 2027 წლის დეკემბერში და შემდგომში - ყოველი მომდევნო წლის დეკემბერში.

ამ მიზნით, 2027 წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, და შემდგომ, ყოველი მომდევნო წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (შემდგომში - „**ოფციის გამოყენების პერიოდი**“), მხარეს - იქნება ეს ობლიგაციების მფლობელი თუ „ემიტენტი“ - უფლება აქვს წარადგინოს ვადამდელი მიყიდვის ან/და ვადამდელი გამოსყიდვის მოთხოვნა გადახდის და კალკულაციის აგენტთან. მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ 1-დან 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული ვადების დარღვევით წარდგენილი განაცხადი არ განიხილება.

(v) ობლიგაციების მფლობელების მიერ ვადამდელი მიყიდვის ოფციის გამოყენება

წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით ობლიგაციების მფლობელების მიერ გადახდისა და კალკულაციის აგენტთან ვადამდელი მიყიდვის წერილობითი განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში, ემიტენტი ვალდებულია დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნა და მოახდინოს ობლიგაციების გამოსყიდვა. გამოსყიდვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღისა (შემდგომში - „**გამოსყიდვის ვადა**“). „გამოსყიდვის ვადის“ ათვლა იწყება ყოველი „ოფციის გამოყენების პერიოდის“ დასრულებიდან მომდევნო დღეს.

„ვადამდელი მიყიდვის ოფციის“ გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ინვესტორს ინდივიდუალურად, როგორც სრულ, ისე ნაწილობრივ მოცულობაზე, მიუხედავად სხვა „ინვესტირების“ მოთხოვნებისა. აღნიშნული ოფციის გამოსაყენებლად არ არის დადგენილი მოთხოვნის მინიმალური ოდენობა.

(vi) „ემიტენტის“ მიერ ვადამდელი გამოსყიდვის ოფციის გამოყენება

წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესით „ემიტენტის“ მიერ „გადახდის და კალკულაციის აგენტთან“ ვადამდელი გამოსყიდვის წერილობითი განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში, ობლიგაციების მფლობელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ დაეთანხმონ ამ მოთხოვნას და ვადამდელად მიყიდონ „ემიტენტს“ ობლიგაციები. ასეთი განაცხადის მიღების შემთხვევაში, „გადახდის და კალკულაციის აგენტი“ ობლიგაციონერებს აცნობებს ამის შესახებ „ოფციის გამოყენების პერიოდის“ დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში. „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ობლიგაციების დაბრუნება უნდა განხორციელდეს „ოფციის გამოყენების პერიოდის“ დასრულებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ პერიოდში „ემიტენტს“ აქვს სრული დისკრეცია თავად განსაზღვროს გამოსყიდვის კონკრეტული თარიღი, ხოლო ობლიგაციების მფლობელები ვალდებული არიან დაეთანხმონ „ემიტენტის“ მოთხოვნას.

„ემიტენტის“ მიერ ვადამდელი გამოსყიდვის ოფციის გამოყენება შესაძლებელია ყველა „ობლიგაციაზე“ სრულად, მაგრამ არა ნაწილობრივ. „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვის შემთხვევაში, ისინი ჩაითვლება სახაზინო ფასიან ქაღალდებად, რაც გულისხმობს, რომ:

- a) „ემიტენტს“ აღარ ექნება ობლიგაციონერის სტატუსი და, შესაბამისად, ვერ ისარგებლებს წინამდებარე პროსპექტით ობლიგაციონერისთვის განსაზღვრული ვერცერთი უფლებით; და
- b) მას აღარ ექნება ობლიგაციებიდან გამომდინარე ფინანსური მოთხოვნა და, შესაბამისად, არ ჩაითვლება გირავნობის ხელშეკრულების მოგირავნედ.

(vii) ვადამდელი გამოსყიდვის და ვადამდელი მიყიდვის ტრანზაქციების ანგარიშსწორება

- a) ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, „ვადამდელი გამოსყიდვის დღეს“ ან „ვადამდელი მიყიდვის დღეს“, ობლიგაციონერებისა და/ან ანგარიშის მწარმოებლის სასარგებლოდ, მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, რომელიც გახსნილია განთავსების აგენტთან/დეპოზიტართან.

ობლიგაციონერები, რომლებიც ობლიგაციებს ფლობენ დეპოზიტარის გავლით, ისევე როგორც „ანგარიშის მწარმოებლები“, ვალდებული არიან უზრუნველყონ დეპოზიტარისთვის დროული, სრული და განახლებული ინფორმაციის მიწოდება იმ საბანკო ანგარიშების შესახებ, რომლებზეც უნდა განხორციელდეს მიყიდვისა და გამოსყიდვის ტრანზაქციების თანხების გადახდა.

„ემიტენტი“ და დეპოზიტარი არცერთ შემთხვევაში არ აგებენ პასუხს გადახდის არ განხორციელებისთვის ან შეფერხებისთვის, თუ ობლიგაციონერმა ან/და ანგარიშის მწარმოებელმა დროულად არ მიაწოდა დეპოზიტარს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, ან ვერ უზრუნველყო მისი განახლება გამოსყიდვის ან მიყიდვის მოთხოვნისთვის

დადგენილ ვადებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა წარდგენილი იყო „ემიტენტის“ ან/და დეპოზიტარის მიერ.

- b) იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციონერის ან ანგარიშის მწარმოებლის საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი განთავსების აგენტთან/დეპოზიტართან, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა გამოიქვითოს მომსახურების საკომისიოები.
- c) „ემიტენტი“ ვალდებულია ვადამდელი გამოსყიდვის ან ვადამდელი მიყიდვის ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახდელი თანხების განთავსება დეპოზიტარისთვის მითითებულ საბანკო ანგარიშზე არაუგვიანეს ვადამდელი გამოსყიდვის ან მიყიდვის თარიღამდე 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე და მისცეს დეპოზიტარს ინსტრუქცია მათი გადარიცხვის შესახებ.

დეპოზიტარი უფლებამოსილია, თუმცა არა ვალდებული, იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხა განთავსებულია, განხორციელოს ვადამდელი გამოსყიდვის ან მიყიდვის შედეგად გადასახდელი თანხების გადარიცხვა ობლიგაციონერთა ანგარიშებზე, მათ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად, თუნდაც „ემიტენტის“ ცალკეული დავალების გარეშე.

თუ „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხა არ იქნება განთავსებული, დეპოზიტარი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ როგორც „ემიტენტს“, ასევე ანგარიშის მფლობელებს ან/და „ანგარიშის მწარმოებლებს“.

5. ობლიგაციის საბოლოო დაფარვა

(i) დაფარვის თარიღი

ობლიგაციების ძირი თანხის სრულად დაფარვა განხორციელდება „საბოლოო დაფარვის თარიღზე“, რომელიც განისაზღვრება როგორც 2030 წლის [●]. აღნიშნულ თარიღში „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს ობლიგაციების ნარჩენი ძირი თანხისა და მასზე დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის სრული გადახდა.

(ii) გადასახდელი თანხა

„საბოლოო დაფარვის თარიღზე“ გადასახდელი თანხა მოიცავს:

- a) ობლიგაციების ნარჩენ ძირ თანხას; და
- b) კუპონის დარიცხულ, მაგრამ იმ დროისთვის გადაუხდელ სარგებელს, რომლის დარიცხვა განხორციელებულია „კუპონის დარიცხვის პერიოდის“ შესაბამისად.

(iii) სხვა ვალდებულებები

- a) ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, „ემიტენტის“ მიერ გადახდისა და კალკულაციის აგენტთან/დეპოზიტართან შეთანხმებული წესით, ობლიგაციონერებისა და/ან ანგარიშის მწარმოებლების საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.
- b) იმ შემთხვევაში, თუ „საბოლოო დაფარვის თარიღი“ ემთხვევა საქართველოში არასამუშაო დღეს, გადახდა განხორციელდება მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს.

ასეთ შემთხვევაში, დამატებითი პროცენტი ან კომპენსაცია არ დაირიცხება და გადახდა ჩაითვლება დროულად შესრულებულად.

- c) დეპოზიტარის მიერ დაფარვის განხორციელების თარიღი ჩაითვლება გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება სრულად შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა ობლიგაციონერის ინდივიდუალურ ანგარიშზე.

6. დაბეგვრა

ობლიგაციებთან დაკავშირებით ძირითადი თანხისა და კუპონის გადახდა, „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით, უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადის დაქვითვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახადი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია.

თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ დაადგენს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისაგან, „ემიტენტს“ არ ექნება ვალდებულება დააკავოს აღნიშნული გადასახადი. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციის მფლობელს უფლება აქვს ისარგებლოს აღნიშნული შეღავათით და მიიღოს სრული თანხა გადასახადის გამოკლების გარეშე.

7. დეფოლტი

„ემიტენტის“ დეფოლტად ჩაითვლება, თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი „დეფოლტის შემთხვევა“:

(i) გადახდის ვალდებულების დარღვევა

„ემიტენტი“ ვერ ახორციელებს ძირითადი თანხისა ან/და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ ობლიგაციასთან მიმართებით გადახდის დღეს და ვერ ასრულებს ამ ვალდებულებას აღნიშნული თარიღიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

(ii) სხვა ვალდებულებების დარღვევა

„ემიტენტი“ არ ან ვერ ასრულებს წინამდებარე „პროსპექტით“, ან „გირავნობის ხელშეკრულებით“ ან ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას (გარდა იმ ვალდებულებისა, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე პირობების მუხლით 7(ა), და (i) თუ ასეთი დარღვევა არ ექვემდებარება გამოსწორებას და არის არსებითად მნიშვნელოვანი ან განმეორებითი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი;

(iii) ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default)

- a. სესხად აღებული ფულადი სახსრების ან ნებისმიერი სხვა მოქმედი ან სამომავლო დავალიანების გადახდა „ემიტენტისთვის“ ვადამდე ხდება სავალდებულო ნებისმიერი დეფოლტის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად); ან

- b. „ემიტენტი“ ვერ უზრუნველყოფს მოქმედი ან სამომავლო დავალიანებიდან გამომდინარე გადასახდელი ნებისმიერი თანხის დროულ დაფარვას, იმ პირობით, რომ ასეთი დავალიანებების ჯამური ოდენობა უტოლდება ან აღემატება უკანასკნელი ფისკალური პერიოდისთვის IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ მთლიანი აქტივების 1%-ს; ჯვარედინი დეფოლტის საფუძველზე დეფოლტის დადგომა დაუშვებელია, თუ „ემიტენტი“ კეთილსინდისიერად და გონივრულ საფუძველზე არ აღიარებს გადასახდელ ვალდებულებას.

(iv) გადახდისუნარიობა

„ემიტენტი“ ხდება (ან კანონით/სასამართლოს მიერ შესაძლოა ჩაითვალოს) გადახდისუნარო, გაკოტრებული ან ვალაუვალი; წყვეტს ან შესაძლოა შეწყვიტოს ვალების სრულად ან მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდა; სთავაზობს ან აფორმებს რესტრუქტურიზაციის, ვადის გაგრძელების ან სხვა მსგავს შეთანხმებას (კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო), რომელიც ეხება ვალების სრულად ან მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ვადის ცვლილებას; ან თანხმდება მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაზე ან სხვა მსგავს შეთანხმებაზე კრედიტორების სასარგებლოდ. „ემიტენტის“ ვალდებულებებთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოცხადდეს ან შეთანხმდეს მორატორიუმი (სრულად ან ნაწილობრივ).

(v) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები

„ემიტენტის“ წინააღმდეგ ფულადი თანხის ან სხვა ვალდებულების დაკისრების შესახებ სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და ბრძანებების საერთო ოდენობა აღემატება „ემიტენტის“ საერთო აქტივების 5%-ს (IFRS-ის მიხედვით დადგენილი); ან თუ ასეთი გადაწყვეტილების შედეგად (ა) „ემიტენტის“ მართვა მთლიანად ან ნაწილობრივ იცვლება ან მისი საქმიანობის წარმოების უფლება მნიშვნელოვნად იზღუდება, ან (ბ) ხდება შემოსავლებისა და აქტივების (რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს სულ მცირე 20%-ს) კონფისკაცია, დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება;

(vi) აღსრულება

„ემიტენტის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების მთლიანი ან არსებითი ნაწილის წინააღმდეგ იწყება ნებისმიერი სახის აღსრულების პროცედურა, ან აღმასრულებელი კრედიტორი იღებს მფლობელობას ან ახორციელებს გაყიდვას ქონებაზე/შემოსავალზე/აქტივებზე, რომელიც შეადგენს მინიმუმ ემიტენტის აქტივების 5%-ს;

(vii) ნებართვები და თანხმობები

„ემიტენტი“ ვერ იღებს, ვერ ახორციელებს ან არღვევს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია მის მიერ შეთანხმებების დადებისთვის, არსებითი უფლებების განხორციელებისთვის და ობლიგაციების შესაბამისად გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის: (i) ვალდებულებების სამართლებრივი ძალის შესანარჩუნებლად და მათი აღსრულებადობის უზრუნველსაყოფად, (ii) პროსპექტის ნამდვილი და სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტის სტატუსის უზრუნველსაყოფად საქართველოს სასამართლოში წარსადგენად; ან

(viii) ნამდვილობა და უკანონობა

„ემიტენტი“ სადავოდ ხდის ობლიგაციების ან ემისიის პროსპექტის ნამდვილობას, უარს ამბობს ამ დოკუმენტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე, ან რომელიმე ასეთი ვალდებულების შესრულება ან მასთან შესაბამისობა ხდება უკანონო, კანონსაწინააღმდეგო ან აღუსრულებელი.

„ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, როგორც კი შეიტყობს, აცნობოს ობლიგაციების მფლობელებს ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ შესახებ.

8. ობლიგაციების მფლობელთა კრება

წინამდებარე ემისიის პროსპექტი განსაზღვრავს წესებს ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის, ჩატარების და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების შესახებ.

(i) ობლიგაციების მფლობელების კრება

იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე, მათ შორის წინამდებარე პროსპექტის ნებისმიერი ცვლილების საკითხზე, გადაწყვეტილება უნდა მიღებულ იქნეს „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ სახით, რაც მოითხოვს ობლიგაციონერთა არანაკლებ 75%-იანი უმრავლესობის თანხმობას.

ყველა სხვა საკითხზე, რომელიც არ არის კვალიფიცირებული როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული წესით სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე ობლიგაციონერთა ხმათა არანაკლებ 51%-ით. ასეთი გადაწყვეტილება ჩაითვლება მართებულად და სავალდებულოდ მხოლოდ მაშინ, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.

კრებაზე განხილული იქნება მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც შეტანილია ამ პუნქტის c) ქვეპუნქტით განსაზღვრულ „ემიტენტის“ მიერ დადგენილ დღის წესრიგში.

(ii) კრების მოწვევის უფლებამოსილება

„ობლიგაციების მფლობელების“ კრების ინიცირების უფლება ძირითადად ეკუთვნის „ემიტენტს“. აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“, ასევე „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“ განსაზღვრულ საკითხებზე.

ამასთანავე, აღნიშნული არ ზღუდავს და არ აუქმებს უფლებას იმ „ობლიგაციების“ მფლობელ(ებ)ისა, რომლებიც ფლობენ მინიმუმ 25%-ს გამოშვებული ძირითადი თანხიდან. მათ აქვთ უფლება მოითხოვონ „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევა „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო პროცედურების დაწყების საკითხზე, სადაც მოთხოვნა აღემატება 3 000 000 ლარს.

(iii) კრების მოწვევის პროცედურა

„ემიტენტმა“ „ობლიგაციების მფლობელებს“ უნდა აცნობოს კრების მოწვევის შესახებ მინიმუმ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. აღნიშნული ვადა არ მოიცავს შეტყობინების გაგზავნის და კრების ჩატარების დღეებს. შეტყობინებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული

კრების თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი. დღის წესრიგის შეცვლის უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“.

„ემიტენტი“ დამატებით ვალდებულია, კრების დადასტურებული დროისა და ადგილის შესახებ „ობლიგაციების მფლობელებს“ აცნობოს არანაკლებ კრების გამართვამდე 3 (სამი) დღით ადრე.

კრება შეიძლება გაიმართოს როგორც ფიზიკურად, ისე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). დისტანციური ფორმატის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- a. „ემიტენტის“ საერთო კრების მიერ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება; და
- b. უზრუნველყოფილია შემდეგი პირობები:
 - I. ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციების მფლობელის“ ან მისი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობასა ან ბინადრობაზე;
 - II. არსებობს იდენტიფიკაციისა და ინფორმაციის დროულად და ეფექტიანად მიწოდების, ისევე როგორც ხმის უფლების გამოყენების მექანიზმები.

„ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერ დროს უფლება აქვთ მოითხოვონ ინფორმაციის მიწოდება წერილობითი სახით „ემიტენტთან“ კომუნიკაციის საფუძველზე.

(iv) წარმომადგენლის დანიშვნა

„ობლიგაციების მფლობელს“ უფლება აქვს, კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე, „ემიტენტს“ წარუდგინოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი („მინდობილობა“) წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. თუ დოკუმენტი შედგენილია სხვა ენაზე, აუცილებელია ორბოლოიანი ფორმატი, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს ქართული.

ფიზიკური პირის შემთხვევაში, „მინდობილობა“ უნდა მოიცავდეს მის ნოტარიულად დამოწმებულ ხელმოწერას.

იურიდიული პირის შემთხვევაში, „მინდობილობა“ დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპანიის ბეჭდით და ხელმოწერილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, „მინდობილობა“ შესრულებული უნდა იყოს კომპანიის ოფიციალურ ბლანკზე. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულ პირს არ გააჩნია ბეჭედი, „მინდობილობა“ დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად.

„მინდობილობის“ საფუძველზე „ობლიგაციების მფლობელს“ შეუძლია დანიშნოს წარმომადგენელი („წარმომადგენელი“), რომელიც მის სახელით იმოქმედებს კრებაზე (მათ შორის „განმეორებით კრებაზე“).

დანიშნული „წარმომადგენელი“, მისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ითვლება იმ „ობლიგაციების“ მფლობელად, რომელთა მიმართაც განხორციელდა მისი დანიშვნა.

წარმომადგენლის მიერ „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად მიცემული ნებისმიერი ხმა ჩაითვლება კანონიერად, თუ კრების ჩატარებამდე მინიმუმ 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე „ემიტენტისთვის“ არ იქნა მიწოდებული წერილობითი შეტყობინება „მინდობილობის“ გაუქმების, ცვლილების ან გამოხმობის შესახებ.

(v) კრების თავმჯდომარე

„ობლიგაციების მფლობელების“ კრების თავმჯდომარეს ნიშნავს „ემიტენტი“ წერილობითი ფორმით.

თუ „ემიტენტი“ არ დანიშნავს კრების თავმჯდომარეს ან დანიშნული თავმჯდომარე არ გამოცხადდება კრებაზე მისი დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, მოწვეულ უნდა იქნას „განმეორებითი კრება“.

„განმეორებითი კრების“ თავმჯდომარე არ არის სავალდებულო იყოს თავდაპირველი კრების თავმჯდომარე.

(vi) კრებაზე დასწრება

კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლება აქვთ:

- a) „ობლიგაციების მფლობელებს“ და მათ „წარმომადგენლებს“;
- b) თავმჯდომარეს;
- c) „ემიტენტს“ და მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩეველებს.

სხვა პირებს არ აქვთ კრებაზე დასწრების ან გამოსვლის უფლება.

(vii) კრების კვორუმი

„განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ მიიღება შემდეგ საკითხებზე:

- a) ძირი თანხისა ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილება;
- b) გადასახდელი თანხის გამოთვლის მეთოდის ცვლილება;
- c) ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილება;
- d) ობლიგაციების „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერტაცია;
- e) გადახდის ვალუტის ცვლილება (გარდა მარეგულირებელი მოთხოვნის გამო ცვლილებისა);
- f) კრების კვორუმის ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილება;
- g) „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრის ცვლილება;
- h) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება.

ამ შემთხვევებში, კვორუმისთვის საჭიროა:

- a) კრებაზე წარმოდგენილი იქნას მინიმუმ ორი პირი, რომლებიც ფლობენ ან წარმომადგენენ ობლიგაციების ძირის მინიმუმ 2/3-ს;
- b) „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - მინიმუმ 1/3-ს.

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ გულისხმობს ნებისმიერი სხვა საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც არ არის ჩამოთვლილი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ ნუსხაში. „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მიღების დროს, საკმარისია ორი ან მეტი პირის მონაწილეობა, რომლებიც ფლობენ ან წარმოადგენენ საერთო ძირის ნახევარზე მეტს; „განმეორებით კრებაზე“ - ორი ან მეტი პირის დასწრება, მათი ფლობის ოდენობის მიუხედავად.

(viii) გადაწყვეტილების უნარიანობა და გადადება

თუ კრებაზე წარმოდგენილი არ არის შესაბამისი კვორუმი, საკითხის გადაწყვეტა დაუშვებელია. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყებიდან 15 წუთის განმავლობაში, კრება გადაიდება და განმეორებით ჩატარდება პირველი კრების თარიღიდან 7-30 დღეში. თუ განმეორებითი კრების დროსაც არ შედგა კვორუმი 30 წუთის განმავლობაში, კრება გაუქმებულად ითვლება.

განმეორებითი კრების დრო და ადგილი განისაზღვრება „ემიტენტის“ მიერ და მასზე შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც დასაშვებია იყო თავდაპირველ კრებაზე. განმეორებითი კრების შესახებ შეტყობინება იგზავნება იმავე ფორმით, როგორც თავდაპირველი კრების შემთხვევაში.

(ix) გადაწყვეტილების უნარიანობა და გადადება

„ობლიგაციების მფლობელების“ კრების წინაშე დასმული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით (ღია კენჭისყრა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავმჯდომარე, „ემიტენტი“ ან ერთი ან მეტი პირი, რომლებიც ჯამში წარმოადგენენ „ობლიგაციების“ 10%-ს, მოითხოვს (ხელის აწევის პროცედურის დაწყებამდე ან ხელის აწევის პროცედურის შედეგების გამოცხადებისას) კენჭისყრის ჩატარებას (დახურული კენჭისყრა).

თუ კენჭისყრა არ იქნა მოთხოვნილი, თავმჯდომარის წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იქნა ან არ იქნა მიღებული, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ან არმიღების საკმარის მტკიცებულებას, გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობის მტკიცებულების გარეშე.

თუ კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ამ ფორმით და კენჭისყრა უნდა ჩატარდეს იმ მომენტშივე ან განმეორებით კრებაზე, როგორც ამას თავმჯდომარე გადაწყვეტს. კენჭისყრის შედეგი უნდა ჩაითვალოს იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იგი იქნა მოთხოვნილი, და იმ თარიღის გადაწყვეტილებად, როცა იგი იქნა მიღებული. კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა ხელს არ უშლის კრებას გადაწყვეტის სხვა საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც კენჭისყრა არ არის მოთხოვნილი.

კენჭისყრა, რომელიც მოთხოვნილია თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს იმავე მომენტში.

გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულ პირს, რომელიც ესწრება კრებას და არის „ობლიგაციის მფლობელი“ ან მისი „წარმომადგენელი“, აქვს ერთი ხმა იმ „ობლიგაციების“ ძირი თანხის ყოველი 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისთვის, რომელსაც იგი წარმოადგენს ან რომლის მიმართაც იგი არის დანიშნული „წარმომადგენლად“. პირს, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება, არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ხმა ან გამოიყენოს ყველა მათგანი ერთნაირად.

(x) კრების გადაწყვეტილებები

„განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ შეიძლება მიღებულად ჩაითვალოს, თუ ის ხელმოწერილია „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელთა მიერ. ეს შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ერთ დოკუმენტში, ასევე რამდენიმე იდენტურ შინაარსიან დოკუმენტში.

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ შეიძლება მიღებულად ჩაითვალოს, თუ ის ხელმოწერილია „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელთა მიერ, იგივე წესებით.

(xi) გადაწყვეტილებების ძალაში შესვლა

კრებაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, იქნება ეს „განსაკუთრებული“ თუ „ჩვეულებრივი“, სავალდებულო ძალა აქვს ყველა „ობლიგაციების მფლობელისთვის“, მიუხედავად მათი დასწრების მიუხედავად.

ყველა მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ქვეყნდება „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

(xii) კრების ოქმები

თითოეულ კრებაზე უნდა შედგეს ოქმი, სადაც აისახება ყველა გადაწყვეტილება და პროცედურა.

ოქმზე ხელმოწერა სავალდებულოა კრების თავმჯდომარის მიერ.

ოქმი წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას მის შინაარსთან დაკავშირებით.

თუ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა ოქმი, ჩაითვლება სათანადო წესით ჩატარებულად, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები - კანონიერად მიღებულად.

(xiii) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“.

ასეთი გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს:

- a) მითითებას, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციების მფლობელები“ და რა თანმიმდევრობით;
- b) იმ პირის დანიშვნას, რომელიც უფლებამოსილი ან პასუხისმგებელი იქნება გადაწყვეტილების აღსრულებაზე;
- c) სხვა დამატებით საკითხებს, რომლებიც საჭიროდ ჩაითვლება ადმინისტრირების მიზნით.

თითოეული „ობლიგაციის მფლობელი“ ადიარებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება არის მხოლოდ კრების კომპეტენცია და ინდივიდუალურად ისინი ვერ განახორციელებენ „გირავნობის ხელშეკრულების“ ფარგლებში აღსრულების ღონისძიებებს.

აღსრულების პროცესის დაწყება არ შეიძლება მოხდეს „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებიდან და შესაბამისი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღემდე. ამ ვადაში „ემიტენტს“ უფლება აქვს გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

9. შეტყობინებები და რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროება

(i) შეტყობინებების გაგზავნა

„ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ მფლობელების მიმართ ნებისმიერი შეტყობინება ეგზავნება „ობლიგაციონერებს“ და „ანგარიშის მწარმოებლებს“.

„ობლიგაციების“ მფლობელებმა შეტყობინებები უნდა მიაწოდონ „ანგარიშის მწარმოებელს“ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“, თუ „ანგარიშის მწარმოებელი“ წერილობით არ განსაზღვრავს სხვა მისამართს.

(ii) რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროებისთვის გამოყენებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური წყაროები: <https://reportal.ge/>, <https://gse.ge/>, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი (<https://rico.ge/>).

აღნიშნულ წყაროებზე გამოქვეყნდება ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებებთან.

(iii) გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის კატეგორიები

- ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ეხება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებებს, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებიც შესაძლოა არაპირდაპირ იმოქმედოს ამ უფლებებზე (მაგალითად, სესხის პირობების ან კუპონის განაკვეთის ცვლილება).
- ინფორმაცია კუპონის განაკვეთის, პერიოდული გადახდების, გამოსყიდვის და მიყიდვის, ან ობლიგაციების გაუქმებისა და დაფარვის შესახებ.
- ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადო განხორციელებისთვის.
- საერთო კრების ჩატარების შესახებ ინფორმაცია: ადგილი, დრო, დღის წესრიგი და აქციონერთა მონაწილეობის უფლება.

(iv) გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის წყაროების განაწილება

- პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>.
- კრებებთან, გადაწყვეტილებებთან და მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: „საჯარო რეესტრის“ პორტალი, რეპორტალი (<https://reportal.ge/>).

- c) მიმდინარე ანგარიშები და სხვა გამჭვირვალობის მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი, რეპორტალი (<https://reportal.ge/>).

„ემიტენტი“ უფლებამოსილია შეცვალოს გამოყენებული წყაროები, თუმცა ასეთ შემთხვევაში ვალდებულია წინასწარ უზრუნველყოს „ობლიგაციონერთა“ სათანადო ინფორმირება.

10. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია, ობლიგაციების მფლობელებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დამატებით გამოსცეს სხვა ფასიანი ქაღალდები. ასეთი დამატებითი გამოშვება განხორციელდება იმ პირობით, რომ სრულად იქნება დაცული წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებული ფინანსური შუზღუდვები, დათქმები და კოვენანტები.

„კომპანია“ დამოუკიდებლად განსაზღვრავს დამატებითი ფასიანი ქაღალდების გამოშვების პირობებს, რომელიც შეესაბამება გამოშვების მომენტისათვის არსებულ ბაზრის მდგომარეობას. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც იმავე, ისე განსხვავებულ პირობებს წინამდებარე „ობლიგაციების“ პირობებთან შედარებით.

11. გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

(i) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „პროსპექტი“, „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელმძღვრელო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ii) იურისდიქცია

„პროსპექტსა“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დავაზე ექსკლუზიურ იურისდიქციას ფლობენ საქართველოს სასამართლოები. ეს მოიცავს ყველა დავას ან უთანხმოებას, რომელიც უკავშირდება:

- a) „ემისიის პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გაცემას;
- b) მათ ნამდვილობას, არსებობას ან შეწყვეტას;
- c) მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელმძღვრელო ვალდებულებას.

12. პუნქტის ბათილობა

წინამდებარე პროსპექტით ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას პროსპექტის სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტის რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა, რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონმდებლობით.

13. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე მუხლში მოცემულია „პროსპექტის“ მეხუთე თავში გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

„ანგარიშის მწარმოებელი“ - ნიშნავს ფინანსური ინსტიტუტს (მათ შორის, ცენტრალური დეპოზიტარი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

„აფილირებული პირი“ - რომელიმე კონკრეტულ „პირთან“ მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამ კონკრეტულ „პირს“ ან პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ამ კონკრეტული „პირის“ მიერ ან იმყოფება ამ „პირთან“ ერთად, პირდაპირ ან ირიბად, საერთო კონტროლის ქვეშ, (ამ განსაზღვრების მიზნებისთვის, „კონტროლი“ განიმარტება ფასს სტანდარტების შესაბამისად); და ან (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც არის ამ კონკრეტული „პირის“, მისი „შვილობილის“ ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორი, სამეთვლეყურეო საბჭოს წევრი ან ოფიცერი.

„ადრიცხული მფლობელები“ - დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„გადასახადი“ – აღნიშნავს ნებისმიერ სახის გადასახადს, ბაჟს, საკომისიოს ან სხვა მსგავსი გადახდას, მათ შორის დარიცხულ პროცენტებს, ჯარიმებსა და დამატებით დავალიანებებს, მიუხედავად მათი წარმოშობის, დაკისრების ან ფორმის.

„გადახდის და კალკულაციის აგენტი“ - შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ 404700819), რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიაა და ახორციელებს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული გადახდებისა და კალკულაციების ადმინისტრირებას.

„გადახდის დღე“ - ნებისმიერი დღე, როდესაც „გადახდის და კალკულაციის აგენტი“ ახორციელებს კუპონის ან ძირი თანხის გადახდას „ინვესტორების“ სახელზე;

„გამოსყიდვის ვადა“ - „ოფციის გამოყენების პერიოდის“ დასრულებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე.

„გამოსყიდვის ფასი“ - „ვადამდელი მიყიდვის ოფციის“ ან „ვადამდელი გამოსყიდვის ოფციის“ გამოყენებისას „ობლიგაციის“ ფასი, რომელიც უდრის „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულების 100%-ს.

„განთავსების აგენტი“ - შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ 404700819), რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიაა და ახორციელებს „ობლიგაციების“ განთავსებას.

„განმეორებითი კრება“ – აღნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ წინამორბედი კრება ვერ გაიმართა საჭირო ქვორუმის არქონის გამო.

„განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ - წინამდებარე „პროსპექტით“ დადგენილი ნებისმიერი პირობის ცვლილება, რომელიც არსებითია და რომლის დამტკიცება მოითხოვს ობლიგაციონერთა არანაკლებ 75%-იანი უმრავლესობის თანხმობას.

„გაპრობლემებული სესხები“ - ერთობლივად, „კლიენტებთან“ დადებულ სესხის ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზე ვადამოსული ძირი თანხის ან/და სარგებლის ერთ ან მეტ გადახდაზე ვადაგადაცილება შეადგენს 90 (ოთხმოცდაათი) დღეზე მეტს, ან/და სესხები, რომელთა მიმართ განხორციელდა რესტრუქტურირება ან გადავადება გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან სავარაუდო შეუსრულებლობის გამო.

„გირავნობის საგანი“ - „უზრუნველყოფის პერიოდის“ განმავლობაში ნებისმიერ დროს „კლიენტებისგან მისაღებ თანხებს“ (რაც თავის თავში მოიცავს აღნიშნული თანხების მოთხოვნის უფლებას და არა უშუალოდ მფლობელობით გირავნობაში არსებულ საგანს) ან „დამგირავებლის“ მიერ ნებისმიერ სხვა ისეთ მისაღებ თანხას, რომელიც დროდადრო შეტანილი იქნება „სიაში“, იმ დროისათვის ემისიის „პროსპექტიდან“ გამომდინარე ემისიის ძირი თანხის დაუფარავი ნაწილის 80%-იანი დაფარვის კოეფიციენტით, და „დამგირავებლის“ ყველა არსებულ და სამომავლო უფლებას და მოთხოვნას ამგვარ „კლიენტებისგან მისაღებ თანხებთან“ და/ან „დამგირავებლის“ მიერ ნებისმიერ სხვა ისეთ მისაღებ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც დროდადრო შეტანილი იქნება „სიაში“.

„გირავნობის ხელშეკრულება“ - „ემიტენტსა“ და „ობლიგაციების მფლობელებს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს „ობლიგაციების“ უზრუნველყოფას „ემიტენტის“ სასესხო პორტფელით.

„დავალიანება“ ნიშნავს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი „პირის“ მიმართ (გამორიცხვის გარეშე), მის მიერ აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის:

- (i) ყველა ვალდებულებას, რომელიც წარმოშობილია სესხად მიღებული ფულადი თანხიდან;
- (ii) ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან სხვა მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებით;
- (iii) ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავს დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შორის ანაზღაურების ვალდებულებები), გარდა იმ საკრედიტო წერილების, გარანტიებისა ან მსგავსი დოკუმენტებისა, რომლებიც გამოცემულია მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;
- (iv) ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდასთან დაკავშირებით;
- (v) ყველა სხვა პირის მიმართ არსებულ დავალიანებას, რომელიც უზრუნველყოფილია „უზრუნველყოფის საშუალებით“, რომელიც ამ „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი აქტივებით (აქ აქტივის ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი საბალანსო ანგარიშის მიხედვით უკანასკნელი წლიური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, IFRS-ის შესაბამისად), მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა აღნიშნულ დავალიანებას თავად „პირი“;
- (vi) სხვა პირთა ვალდებულებას, რომლის მიმართაც „პირს“ აქვს გარანტიის ან ანაზღაურების ვალდებულება, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;

(vii) ნებისმიერ თანხას, რომელიც მოზიდულია ფასიანი ქაღალდების გამოშვებით და ექვემდებარება დაბრუნებას;

(viii) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა ნებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე;

(ix) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან მიღებულ თანხას (მათ შორის, გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებები ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტები), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი აქვს.

ნებისმიერ თარიღზე „პირის“ დავალიანების ოდენობა განისაზღვრება როგორც:

- (i) ზემოთ ჩამოთვლილი უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი იმ თარიღისთვის; და
- (ii) პირობითი ვალდებულებების შემთხვევაში - მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა შესაბამისი პირობის დადგომისას.

„დეფოლტის შემთხვევა“ - მოვლენები, რომლებიც წინამდებარე პროსპექტის 4.B.6.1.7. ქვეპუნქტის - „დეფოლტი“ შესაბამისად გამოიწვევს „ემიტენტის“ დეფოლტს.

„ემისიის თარიღი“ - თარიღი, როდესაც „ობლიგაციები“ პირველად გაიცემა „ობლიგაციების“ „შესყიდვის მსურველ პირებზე“ წინამდებარე „პროსპექტის“ პირობების შესაბამისად.

„ვადამდელი გამოსყიდვის დღე“ - დღე, როდესაც წინამდებარე „პროსპექტით“ დადგენილი წესით „ემიტენტი“ საკუთარი გადაწყვეტილებით განახორციელებს „ობლიგაციების“ უკან გამოსყიდვის ანგარიშსწორებას.

„ვადამდელი გამოსყიდვის ოფცია“ - „ემიტენტის“ უფლება, წინასწარ განსაზღვრული პირობებით და მოთხოვნის შემთხვევაში, გამოისყიდოს „ობლიგაციები“ „საბოლოო დაფარვის თარიღამდე“.

„ვადამდელი მიყიდვის დღე“ - დღე, როდესაც წინამდებარე „პროსპექტით“ დადგენილი წესით „ემიტენტი“ „ობლიგაციონერ(ებ)ის“ მოთხოვნის საფუძველზე განახორციელებს „ობლიგაციების“ უკან გამოსყიდვის ანგარიშსწორებას.

„ვადამდელი მიყიდვის ოფცია“ - „ობლიგაციების“ მფლობელთა უფლება, წინასწარ განსაზღვრული პირობებით და მოთხოვნის შემთხვევაში, „საბოლოო დაფარვის თარიღამდე“ მიყიდონ „ემიტენტს“ „ობლიგაციები“.

„კლიენტი“ - ნიშნავს „ემიტენტის“ ნებისმიერ და ყველა „კლიენტს“, რომელიც „ემიტენტისგან“ იღებს დაფინანსებას შესაბამისი სესხის ხელშეკრულების (დროდადრო მასში შესული ცვლილებებისა და განახლებების გათვალისწინებით) საფუძველზე.

„კლიენტებისგან მისაღები თანხები“ - „კლიენტებისგან“ მომავალში მისაღებ ნებისმიერ თანხას და „დამგირავებლის“ ყველა არსებულ და სამომავლო უფლებას და მოთხოვნას ამგვარ „კლიენტებისგან მისაღებ თანხებთან“ დაკავშირებით.

„კომპანია“, „ემიტენტი“, „დამგირავებელი“ - შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“ (ს/კ 205034639), რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული

მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა და წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე უშვებს „ობლიგაციებს“.

„კონტროლი“ – აღნიშნავს უფლებამოსილებას „ემიტენტის“ მენეჯმენტისა და პოლიტიკის წარმართვაზე, იქნება ეს კაპიტალის ფლობის, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვა გზით.

„კუპონის განაკვეთი“ - სარგებლის პროცენტული განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება „კუპონის განაკვეთის კალკულაციის პერიოდის“ შესაბამისად ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით. აღნიშნული განაკვეთი გამოიყენება შესაბამის „კუპონის დარიცხვის პერიოდში“ გადასახდელი საპროცენტო სარგებლის გამოსათვლელად.

„კუპონის განაკვეთის კალკულაციის პერიოდი“ - პერიოდი, რომელიც იწყება წინა „კუპონის გადახდის დღეს“ და მთავრდება მომდევნო „კუპონის გადახდის დღემდე“ 4 (ოთხი) სამუშაო დღით აღრე. აღნიშნული პერიოდის ფარგლებში დგინდება „კუპონის განაკვეთი“.

„კუპონის განსაზღვრის თარიღი“ - კონკრეტული თარიღი, რომელიც დგება „კუპონის გადახდის დღემდე“ 3 (სამი) სამუშაო დღით აღრე. ამ დღეს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ ადგენს შესაბამისი „კუპონის დარიცხვის პერიოდისთვის“ მოქმედ „კუპონის განაკვეთს“ და კუპონის ოდენობებს.

„კუპონის დარიცხვის პერიოდი“ - ყოველთვიური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხდება „კუპონის განაკვეთის“ დარიცხვა „ობლიგაციების“ ნარჩენ ძირითად თანხაზე.

„კუპონის გადახდის დღე“ - ყოველი თვის 30 რიცხვი, როდესაც „ემიტენტი“ ვალდებულია გადაიხადოს დაგროვილი კუპონის სარგებელი „ობლიგაციების მფლობელებისთვის.“ თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, გადახდა გადაიწვეს მომდევნო სამუშაო დღისთვის „Following Business Day“ კონვენციის შესაბამისად.

„მინდობილობა“ - დოკუმენტი, რომლის საფუძველზე „ობლიგაციონერს“ შეუძლია უფლებამოსილება მიანიჭოს სხვა „პირს“, რომ აღნიშნული „პირი“ მას წარმოადგენდეს წინამდებარე ემისიის ფარგლებში.

„მოგირავნეები“ – „ობლიგაციონერები“, რომელთა სასარგებლოდ „ემიტენტი“ ახორციელებს სასესხო პორტფელის დაგირავებას „გირავნობის ხელშეკრულების“ ან/და მისი დანართი N2-ის (გადაცემის და მიერთების აქტი) საფუძველზე.

„ნომინალური მფლობელი“ – ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს „ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად.

„ობლიგაცია“, „ობლიგაციები“ - ფასიანი ქაღალდები, რომლებიც „ემიტენტის“ მიერ გამოშვებულია წინამდებარე „პროსპექტის“ შესაბამისად და წარმოადგენს „ემიტენტის“ ვალდებულებას, განახორციელოს ძირი თანხის და კუპონის გადახდა „ობლიგაციების მფლობელების“ სასარგებლოდ დადგენილ პირობებში.

„ობლიგაციების შეთავაზების პირობები“ - წინამდებარე „პროსპექტის“ 5.B თავში მოცემული წესები და პირობები, რომლებიც არეგულირებს „ობლიგაციების“ გამოშვებასა და შეთავაზებას.

„ობლიგაციის მფლობელი“, „ობლიგაციონერი“ ან „ინვესტორი“ – ნიშნავს „ობლიგაციების“ რეგისტრირებულ მესაკუთრეს „ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად.

„ოფციის გამოყენების პერიოდი“ - პერიოდი 2027 წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, და შემდგომ, ყოველი მომდევნო წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, როდესაც „ობლიგაციონერებს“ და „ემიტენტს“ აქვთ უფლება გამოიყენონ „ვადამდელი მიყიდვისა“ და „ვადამდელი გამოსყიდვის“ ოფციები.

„პირველადი გაყიდვის თარიღი“ – „შეთავაზების პერიოდის“ განმავლობაში ნებისმიერი დღე, როდესაც ხდება „ობლიგაციების“ გაყიდვა „შემსყიდველ ინვესტორზე“.

„პირი“ – ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, ორგანიზაციას, სახელმწიფო დაწესებულებას ან ნებისმიერ სხვა სუბიექტს, მათ შორის, ერთობლივი სახელშეკრულებო სქემით დაფუძნებულ საინვესტიციო ფონდს, მიუხედავად მისი იურიდიული სტატუსისა.

„პროსპექტი“ – ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ „ემისიის პროსპექტს“.

„საბოლოო დაფარვის თარიღი“ - თარიღი, რომელზეც მოხდება „ობლიგაციების“ ძირი თანხის სრული დაფარვა და დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი სარგებლის გადახდა.

„სამუშაო დღე“ – არის ნებისმიერი დღე, შაბათისა და კვირის გარდა, როდესაც თბილისში მოქმედი კომერციული ბანკები მუშაობენ და ახორციელებენ გადარიცხვებს, მათ შორის უცხოურ ვალუტაში.

„სახაზინო ობლიგაციები“ – „ობლიგაციები“, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ არ არის გასხვისებული „ობლიგაციონერებზე“ და წარმოადგენს „ემიტენტის“ საკუთრებას.

„საჯარო რეესტრი“ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“, სადაც ხორციელდება „გირავნობის ხელშეკრულების“ რეგისტრაცია.

„სია“ –გამოიყენება „გირავნობის ხელშეკრულების“ 3.2 პუნქტში განსაზღვრული მნიშვნელობით.

„სპრედი“ – აღნიშნავს 2.80-3.20 პროცენტულ პუნქტს.

„სრული ფასი“ – „ობლიგაციების“ შესყიდვის ფასი, რომელსაც „შემსყიდველი ინვესტორი“ იხდის იმ შემთხვევაში, როცა „ობლიგაციების“ შესყიდვა ხორციელდება „ემისიის თარიღის“ შემდგომ პერიოდში.

„უზრუნველყოფის საშუალება“ – გულისხმობს ნებისმიერ გირავნობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან ფასიანი ქაღალდის უზრუნველყოფას, მათ შორის შესაბამისი სამართლებრივი ანალოგიებით.

„შეზღუდული პერიოდი“ - იწყება „კუპონის განსაზღვრის თარიღის“ წინა სამუშაო დღის დასრულებისთანავე და გრძელდება „კუპონის გადახდის დღის“ ჩათვლით.

„შესყიდველი ინვესტორი“ – „პირი“, რომელიც „ემისიის თარიღის“ შემდგომ წინამდებარე „პროსპექტით“ დადგენილი წესით „განთავსების აგენტთან“ დააფიქსირა „ობლიგაციების“ შესყიდვის მოთხოვნა და რომლის მოთხოვნა „განთავსების აგენტის“ მიერ დადასტურდა.

„შესყიდვის მსურველი პირები“ – „პირები“, რომელიც „ემისიის თარიღის“ შემდგომ წინამდებარე „პროსპექტით“ დადგენილი წესით „განთავსების აგენტთან“ დააფიქსირებენ „ობლიგაციების“ შესყიდვის მოთხოვნას.

„უზრუნველყოფის პერიოდი“ - გამოიყენება „გირავნობის ხელშეკრულების“ 1.2. პუნქტში განსაზღვრული მნიშვნელობით.

„უზრუნველყოფის საგანი“ – „ემიტენტის“ ლარის ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების პორტფელი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებული ემისიის უზრუნველყოფას, ემისიის ჯამური მოცულობის 80%-ის ოდენობით.

„ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა“ – აღნიშნავს საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მიღებულს 1998 წლის 24 დეკემბერს, შემდგომში განხორციელებული ცვლილებებით.

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS) – ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ დამტკიცებულ სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IFRS-ის განმმარტებელ კომიტეტთან (IFRIC) დაკავშირებულ ყველა განმარტებას, მათ შორის შემდგომ ცვლილებებსა და განახლებებს.

„ფინანსური ვალდებულებები“ – აღნიშნავს ნებისმიერ დროს „პირის“ მიერ აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის:

- (i) სესხად აღებული ფულადი თანხისგან წარმოშობილ დავალიანებებს;
- (ii) ვალდებულებებს, რომლებიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან სხვა მსგავსი დოკუმენტებით.

„ყოველი შემდგომი ობლიგაციონერი“ – „პირი“, რომელიც „ობლიგაციონერისგან“ შეიძენს „ობლიგაციების“ წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებული პროცედურებით.

„შეთავაზების პერიოდი“ - დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს „ემისიის თარიღიდან“ არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვით პერიოდს და რომლის განმავლობაშიც „ობლიგაციები“ შეთავაზებულია ინვესტორებისთვის „პროსპექტის“ პირობების შესაბამისად.

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ - პროსპექტის ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის კვალიფიცირებული როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ და რომლის დამტკიცება მოითხოვს „ობლიგაციონერთა“ ხმების არანაკლებ 51%-ს.

„წარმომადგენელი“ - „მინდობილობის“ საფუძველზე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ დანიშნული „პირი“, რომელიც მისი სახელით იმოქმედებს „ობლიგაციონერთა“ კრებაზე.

B.7. ფასიანი ქაღალდის მფლობელთა წარმომადგენელი

B.7.1. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის მითითება; ამ წარმომადგენლობის პირობებისა და იმ ვებ-გვერდის მითითება, სადაც ინვესტორები შეძლებენ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაცნობას;

„ემისიის“ ფარგლებში არ მოიწერება ობლიგაციონერების წარმომადგენლის დანიშვნა.

B.8. მიმოქცევის შეზღუდვა

B.8.1. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა;

ვინაიდან „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება „ანგარიშის მწარმოებლების“, მათ შორის, ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში შესაბამისი ჩანაწერის შეცვლის გზით, „კომპანია“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ ვალდებული არიან გადახდისა და სხვა შესაბამისი მიზნებისათვის ნამდვილ მესაკუთრეებად აღიარონ მხოლოდ „აღრიცხული მფლობელები“. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა „ობლიგაციის“ ძირის ან კუპონის გადახდა ვადაგადაცილებული, ყველა გადახდა, რომელიც განხორციელდება ამგვარ „აღრიცხულ მფლობელებთან“, ჩაითვლება ნამდვილ და სრულყოფილ ვალდებულების შესრულებად „კომპანიისა“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მხრიდან, გადახდილი თანხის მოცულობის ფარგლებში.

„ობლიგაციების“ მფლობელებს აქვთ უფლება განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება გადამცემ პირს, „ემიტენტის“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ მიმართ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით დადგენილია „შეზღუდული პერიოდები“ - ამ დროის განმავლობაში არც ერთ „აღრიცხულ მფლობელს“ არ აქვს უფლება მოითხოვოს „ობლიგაციების“ გადაცემის (გასხვისების) რეგისტრაცია. „შეზღუდული პერიოდი“ იწყება „კუპონის განსაზღვრის თარიღის“ წინა სამუშაო დღის დასრულებისთანავე და გრძელდება „კუპონის გადახდის დღის“ ჩათვლით.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციის მფლობელი“ გადაცემას განახორციელებს „შეზღუდულ პერიოდში“, შესაძლებელია თანხების განაწილება განხორციელდეს არასწორი მიმღების სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში, „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „ობლიგაციების“ გასხვისება და მათზე საკუთრების უფლების გადაცემა ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ შემძენი გახდება „გირავნობის ხელშეკრულების“ დანართის - მიერთების შეთანხმების (Deed of Accession) მხარე და აღნიშნული შეთანხმება დარეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე პროსპექტის 4.B.6. ქვეპუნქტით - „უფლებები და შეზღუდვები“ დადგენილი წესით.

„ობლიგაციონერები“ ასევე აცნობიერებენ, რომ „ობლიგაციების“ ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში „საჯარო რეესტრმა“ შეიძლება მოითხოვოს „გირავნობის ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანა. ასეთ შემთხვევაში, ყველა „ობლიგაციონერი“ ვალდებულია გამოცხადდეს „საჯარო რეესტრში“, ხელი მოაწეროს „გირავნობის ხელშეკრულების“ ცვლილებას და სრულად შეასრულოს ყველა საჭირო ფორმალა. აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „ობლიგაციების“ გამსხვისებელს.

თუ „ობლიგაციების“ გასხვისებისას საჭირო გახდება „ობლიგაციონერების“ გამოცხადება „საჯარო რეესტრში“ და „გირავნობის ხელშეკრულების“ ცვლილებაზე ხელმოწერა, მაგრამ რომელიმე

„ობლიგაციონერი“ ვერ უზრუნველყოფს გამოცხადებას, თავად ან/და მისი წარმომადგენლის სახით (მათ შორის მინდობილობის გამოწვევის, ვადის გასვლის ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო), მას დაერიცხება ჯარიმა: ყოველდღიურად 0.05% მის საკუთრებაში არსებულ „ობლიგაციებზე“ დარიცხული საპროცენტო სარგებლის ოდენობით, თუმცა არანაკლებ 100 (ასი) ლარისა თითოეული დაგვიანებული დღისათვის. „ემიტენტი“ უფლებამოსილია აღნიშნული ჯარიმა დააკავოს წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გადასახდელი თანხებიდან.

„ობლიგაციები“ შეიძლება გასხვავდეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის“ შესაბამისად). „ობლიგაციების“ საკუთრების უფლების გადაცემა ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი აღნიშნული დარეგისტრირდება „საჯარო რეესტრში“.

B.9. დაბეგვრა

B.9.1. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. ინფორმაცია ობლიგაციების საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს „ობლიგაციების“ დაბეგვრის ზოგად მიმოხილვას და ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა და პრაქტიკა ხშირად არ გამოირჩევა იმავე სიცხადითა და სტაბილურობით, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, რის გამოც ცვლილებების შესაძლებლობა რეალურია - როგორც უშუალოდ კანონში, ისე მის ამჟამინდელ განმარტებებში.

ამ გარემოებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ „ობლიგაციების“ მფლობელებს მომავალში დაეკისროთ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები ან ამჟამად მოქმედი განაკვეთები გაიზარდოს. მსგავსი ცვლილებების წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ შედგენის თარიღისათვის.

„ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი საგადასახადო მდგომარეობა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ საქართველოს წესრიგზე, არამედ იმ ქვეყნის სამართალზე, სადაც ხდება „ობლიგაციების“ შეძენა, ფლობა ან შემდგომი რეალიზაცია.

აქ მოცემული შეჯამება არ მოიცავს ყველა იმ ნორმას, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს „ობლიგაციების“ მფლობელებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ მიმართ მოქმედებს სპეციალური საგადასახადო რეჟიმი. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, რომ „ობლიგაციების“ მფლობელებმა წინასწარ მიმართონ პროფესიონალ საგადასახადო კონსულტანტებს და შეაფასონ „ობლიგაციების“ ფლობის შესაძლო შედეგები საკუთარი რეზიდენტობისა და შესაბამისი იურისდიქციების კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საპროცენტო სარგებლის დაბეგვრა (კუპონის დაბეგვრა)

„ობლიგაციებიდან“ მიღებული საპროცენტო შემოსავალი რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის, ასევე არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (იმ შემთხვევაში, თუ პროცენტი არ უკავშირდება საქართველოში არსებულ მათ მუდმივ დაწესებულებას), გათავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისგან. ეს შედავითი ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაცია“ გამოშვებულია საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით 2026 წლის 1 იანვრამდე და დაშვებულია სავაჭროდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე.

ამ „პროსპექტის“ დამტკიცების მომენტისთვის, ასეთი აღიარებული ორგანიზებული ბაზარი არის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“.

რაც შეეხება „ობლიგაციებზე“ მიღებულ პროცენტს მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის (გარდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი სუბიექტებისა და სადაზღვევო კომპანიებისა) - ეს შემოსავალი ჩაითვლება მათი მოგების ნაწილად და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-ით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მოგების განაწილება.

საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი სუბიექტების შემთხვევაში, „ობლიგაციებიდან“ მიღებული პროცენტი შედის მათი საერთო შემოსავლის სტრუქტურაში და ხარჯების გამოკლების შემდეგ იბეგრება 20%-იანი მოგების გადასახადით.

ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ რეალიზაციის/გაყიდვის შედეგად, რეზიდენტი ფიზიკური პირის, ასევე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ მიღებული მოგება (ანუ სარეალიზაციო ფასსა და შეძენის ფასს შორის არსებული დადებითი სხვაობა, ამასთან - გამოკლებით მიწოდების ღირებულება დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის), საგადასახადო კოდექსის შესაბამისი წესების გათვალისწინებით, თავისუფლდება სამშემოსავლო და მოგების გადასახადისგან - გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოგება დაკავშირებულია საქართველოში არსებულ მუდმივ დაწესებულებასთან.

ასეთი შეღავათი მოქმედებს მხოლოდ იმ „ობლიგაციებზე“, რომლებიც გამოშვებულია საჯარო შეთავაზების გზით საქართველოში და დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობისთვის.

რეზიდენტი იურიდიული პირები (გარდა საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი სუბიექტებისა და სადაზღვევო კომპანიებისა) „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებას მოგების გადასახადის 15%-ით იბეგრებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მოგებას განაწილებენ.

რაც შეეხება საბანკო დაწესებულებებს, საკრედიტო კავშირებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ სუბიექტებს, მათი „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი ჩაითვლება საწარმოს საერთო შემოსავლის ნაწილად და, გამოქვითვების შემდეგ, დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერის“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა საქართველოში დასაბეგრ შემოსავლად არ ითვლება და შესაბამისად დაბეგვრას არ ექვემდებარება, იმ პირობით, რომ გამოსყიდვისას გადახდილი თანხა ვადის დადგომის მომენტში არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველ გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) დამატებული ღირებულების გადასახადისგან სრულად გათავისუფლებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას, გადაამოწმოს ტრანზაქციის ფასი მხარეთა მიერ მითითებულთან მიმართებით, იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია და პროცედურული წესების დაცვით.

B.9. საკრედიტო რეიტინგი

B.9.1. არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები.

„ემიტენტს“ მინიჭებული აქვს B+ საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით. „ემიტენტისთვის“ აღნიშნული რეიტინგის მინიჭება მოხდა სარეიტინგო კომპანია Scope-ის მიერ 2023 წლის 18 იანვარს. რეიტინგის ბოლო განახლების თარიღია 2025 წლის 10 ივნისი.

უშუალოდ ფასიან ქაღალდებს („ობლიგაციებს“) არ აქვთ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი.

C. საჯარო შეთავაზების პირობები

C.1. შეთავაზების პირობები

C.1.1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება;

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საემისიო დოკუმენტებით (მათ შორის წინამდებარე პროსპექტით) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.

C.1.2. ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის საორიენტაციო მაჩვენებელი;

შეთავაზების ჯამური ოდენობაა 200 000 000 (ორასი მილიონი) ლარამდე.

C.1.3. პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა;

„ობლიგაციების“ შეძენა შესაძლებელი გახდება წინასწარი პროსპექტის დამტკიცების შემდეგ. „ობლიგაციების“ შეთავაზების პერიოდი დაიწყება პროსპექტის დამტკიცების დღიდან და დასრულდება იმ მომენტში, როდესაც ყველა გამოშვებული „ობლიგაცია“ გაიყიდება, ან არაუგვიანეს 12 თვისა - რომელიც უფრო ადრე დადგება.

„ობლიგაციების“ შეთავაზება და შესყიდვა გულისხმობს შემდეგ პროცესს:

„განთავსების აგენტი“ ობლიგაციების შეთავაზებას ახორციელებს „ემიტენტის“ სახელით, წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მას აქვს უფლება პოტენციურ ინვესტორებს გაუგზავნოს დამტკიცებული წინასწარი ემისიის „პროსპექტი“.

საბოლოო პროსპექტის დამტკიცების შემდგომ, განთავსების აგენტს, აქვს უფლება ობლიგაციები განათავსოს ინვესტორებზე უწყვეტ რეჟიმში პროსპექტის დამტკიცებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში. ობლიგაციები შეიძლება გაიყიდოს ეტაპობრივად, ინვესტორთა მოთხოვნის შესაბამისად. ის ობლიგაციები, რომლებიც დაუყვანებელი არ განთავსდება, დარჩება „ემიტენტის“ საკუთრებაში („სახაზინო ობლიგაციები“) და შემდგომში განთავსდება შესაბამისი მოთხოვნის წარმოშობისას.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესის გამოხატვა „განთავსების აგენტისთვის“ მთელი „შეთავაზების პერიოდის“ განმავლობაში, განაცხადის ან შეტყობინების წარდგენით,

მათ შორის წერილობით, ელექტრონულად ან სხვა კომუნიკაციის არხებით, რომელიც „განთავსების აგენტის“ მიერ არის აღიარებული. „შეთავაზების პერიოდის“ განმავლობაში, „ობლიგაციების“ განთავსება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში: განაცხადების მიღება და მათი დაკმაყოფილება ხდება ეტაპობრივად, ინვესტორთა ინტერესის წარმოშობისთანავე. შესაბამისად, ობლიგაციები იყიდება მაშინ, როდესაც არსებობს მოთხოვნა, და არა წინასწარ განსაზღვრული ერთჯერადი განაწილების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ მომენტში ინვესტორთა მოთხოვნა აღემატება ხელმისაწვდომ ობლიგაციებს, „ემიტენტი“ საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს ნაწილობრივი დაკმაყოფილების წესს - მაგალითად, პროპორციულად ან სხვა სამართლიანი მექანიზმით. ინვესტორს, რომლის განაცხადიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აქვს უფლება მიიღოს შეთავაზებული ოდენობა ან უარი თქვას მონაწილეობაზე. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღისა“, რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

ყველა წარმატებული განთავსების შემდეგ „განთავსების აგენტი“ აცნობებს შემსყიდველს შესყიდვის წარმატებით დასრულების შესახებ, მათ შორის, გამოყოფილი ობლიგაციების შესახებ ინფორმაციას. ასეთი ცნობის გაგზავნის მომენტისთვის, ტრანზაქცია იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე „შესყიდვის მსურველი პირებისთვის“.

„ობლიგაციების“ შესყიდვის განაცხადის „განთავსების აგენტის“ მიერ დადასტურების შემდეგ, „შესყიდვის მსურველ პირებს“ ევალებათ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა სრულად განათავსონ „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები „განთავსების აგენტთან“ გახსნილ საკუთარ საბროკერო ანგარიშზე. აღნიშნული საბროკერო ანგარიშის გახსნა სავალდებულოა ყველა „შემსყიდველი ინვესტორისთვის“. „ემიტენტი“ უზრუნველყოფს შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას „შეთავაზების პერიოდის“ განმავლობაში იმავე საბროკერო ანგარიშებზე. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ დაუშვას, რომ „შემსყიდველმა ინვესტორმა“ შესასყიდი თანხა პირდაპირ „ემიტენტის“ ანგარიშზე განათავსოს, რომელიც გახსნილია „განთავსების აგენტთან“. ასეთ შემთხვევაში „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „დეპოზიტართან“ ან სხვა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელთან“ გახსნილ „შემსყიდველი ინვესტორის“ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი ინვესტორი“ „ობლიგაციებს“ ყიდულობს „ემისიის თარიღის“ შემდგომ პერიოდში, „ობლიგაციის“ ფასი იქნება მის ნომინალურ ღირებულებაზე მეტი (შემდგომში - „**სრული ფასი**“). გაყიდვის კონკრეტული ტრანზაქციისთვის, „სრული ფასი“ გამოითვლება „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულებისა და „ემისიის თარიღიდან“ „პირველადი გაყიდვის თარიღამდე“ დარიცხული სარგებლის დაჯამებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელებს“ ექნებათ შესაძლებლობა ფლობდნენ მათ ჩანაწერის ფორმით, როგორც „დეპოზიტართან“, იმ შემთხვევაში თუ თავად არიან ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მონაწილეები, ასევე სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ გახსნილ ანგარიშზე.

თუ „ობლიგაციები“ გადატანილი იქნება სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“, „ობლიგაციების მფლობელებს“ ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ აღნიშნულმა „ანგარიშის მწარმოებელმა“

„გადახდის და კალკულაციის აგენტს“ მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადებში მიაწოდოს სრული ინფორმაცია „ობლიგაციების“ ბენეფიციარი მფლობელების შესახებ, მათ შორის, მათი საგადასახადო სტატუსის დეტალები.

ცვლილებები პროსპექტში „შეთავაზების პერიოდის“ განმავლობაში

თუ „შეთავაზების პერიოდში“ „ემიტენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება შეცვალოს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, ისეთი როგორიცაა ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, საპროცენტო განაკვეთი ან შეთავაზების ხანგრძლივობა, ასეთი ცვლილება საჭიროებს ეროვნული ბანკის მიერ პროსპექტის ხელახალ დამტკიცებას (რაც ავტომატურად არ გულისხმობს ცვლილების დამტკიცებას). აღნიშნული ცვლილების შემთხვევაში „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს ინვესტორებისთვის მინიმუმ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადა, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესყიდვის მოთხოვნის გაუქმება. ამ ვადის გასვლის შემდეგ, „ემიტენტი“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება უკვე განახლებული პირობებით.

იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება შეეხება არსებით გარემოებებს, ინვესტორებს, რომლებმაც უკვე შეიძინეს „ობლიგაციები“, ენიჭებათ უფლება გააუქმონ ტრანზაქცია და მოითხოვონ დაუყოვნებლივ გამოსყიდვა - ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის ჩათვლით. ხოლო ის ინვესტორები, რომლებიც ასეთ უფლებას არ გამოიყენებენ, ავტომატურად დაექვემდებარებიან „პროსპექტის“ განახლებულ პირობებს.

რაც შეეხება არაარსებით ცვლილებებს, „ემიტენტი“ ვალდებულია წინასწარ აცნობოს „ობლიგაციების მფლობელებს“ შესაბამისი დოკუმენტის საშუალებით და განუსაზღვროს მათ მინიმუმ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადა, რათა სურვილის შემთხვევაში მოახდინონ საკუთარი მოთხოვნის გაუქმება.

C.1.4. მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგ;

„ობლიგაციების“ ის ნაწილი, რომელიც ვერ განთავსდება „შეთავაზების პერიოდის“ განმავლობაში - გაუქმდება.

C.1.5. განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა;

იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი ინვესტორის“ მიერ „ობლიგაციების“ შეძენის მიზნით გადარიცხული თანხა გადააჭარბებს იმ ოდენობას, რაც შეესაბამება მისთვის გამოყოფილი „ობლიგაციების“ ღირებულებას, „შემსყიდველ ინვესტორს“ უფლება აქვს მიმართოს „განთავსების აგენტს“. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე „განთავსების აგენტი“ უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

C.1.6. ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა;

იხილეთ 4.C.1.3.

C.1.7. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ;

იხილეთ 4.C.1.3.

C.1.8. შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება;

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში „ემიტენტი“ ეროვნულ ბანკს წარუდგენს განთავსების ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შეთავაზებული და გაყიდული ფასიანი ქაღალდების ზუსტი რაოდენობისა და ფასის შესახებ.

განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში, „ემიტენტი“ საკუთარ ვებ-გვერდზე გაასაჯაროებს განთავსების შედეგებს.

C.2. განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

C.2.1. პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება;

გამოშვებული „ობლიგაციების“ შეთავაზება მოხდება, როგორც გათვითცნობიერებულ და გაუთვითცნობიერებელ ინვესტორებზე, ისე ინსტიტუციურ ინვესტორებზე.

C.2.2. ფასიანი ქაღალდის შეძენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი, ამასთან იმის მითითება, შესაძლებელია თუ არა ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დაწყება ასეთი შეტყობინების გაგზავნამდე;

პოტენციურ ინვესტორებს შესაძლებლობა აქვთ „შეთავაზების პერიოდში“ ნებისმიერ დროს წარმოადგინონ „ობლიგაციების“ შესყიდვის განაცხადი „განთავსების აგენტთან“. ყოველი ასეთი განაცხადის დამუშავების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ აფიქსირებს შესაბამის ოდენობას და აცნობებს ინვესტორს მისთვის გამოყოფილი „ობლიგაციების“ რაოდენობასა და შესაბამის საპროცენტო განაკვეთს.

ამ ეტაპზე გაცემული შეტყობინება ითვლება დადასტურებად, რის შემდეგაც განაცხადი ძალაში შედის და ხდება ინვესტორისათვის სავალდებულო. შესაბამისად, ვაჭრობა დაუშვებელია მანამ, სანამ ინვესტორს არ მიეწოდება აღნიშნული დადასტურება „განთავსების აგენტისგან“.

C.2.3. რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, მითითება აკირებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობა მიიღონ შეთავაზებაში და შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ან არსებობს თუ არა პირი, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 პროცენტზე მეტი;

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იყოს „ემიტენტის“ ერთპიროვნული პარტნიორი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ინფორმაციის ან გადაწყვეტილებების მიღების ისეთი უპირატესობა, რომელიც სხვა ინვესტორებს არ გააჩნიათ. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი „ემიტენტთან“ დაკავშირებულ პირებსა და სხვა „ინვესტორებს“ შორის. აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური რისკი მნიშვნელოვნად შემსუბუქებულია მოქმედი კანონმდებლობითა და პროცესებით გათვალისწინებული მექანიზმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ გამჭვირვალობასა და თანასწორობის პრინციპის დაცვას ყველა ინვესტორის მიმართ:

- „ემიტენტი“ ვალდებულია გაასაჯაროოს ყველა არსებითი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე. ეს მოიცავს ფინანსურ და ოპერაციულ მონაცემებს, რისკების აღწერას და სხვა არსებით გარემოებებს, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა ინვესტორი ფლობდეს ერთსა და იმავე ინფორმაციას;
- „განთავსების აგენტი“ კანონით და ხელშეკრულებით ვალდებულია ყველა ინვესტორს, მათ შორის „ემიტენტთან“ დაკავშირებულ პირებსაც, მოექცეს თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის

საფუძველზე. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ განთავსების პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ, ობიექტურად და ინვესტორთა ინტერესების თანაბარი დაცვით.

C.3. ფასის დადგენა

C.3.1. არსებობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით;

„ობლიგაციების“ შეთავაზება განხორციელდება მისი ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად.

C.3.2. თუ ფასი არ არის ცნობილი ან ფასიანი ქაღალდებისათვის არ არსებობს ლიკვიდური ბაზარი ამ ტიპის ფასიანი ქაღალდებისთვის, უნდა მოხდეს:

ა) თუ შესაძლებელია, მაქსიმალური და მინიმალური ფასის მითითება; ან

ბ) შეფასების მეთოდისა და კრიტერიუმების მითითება, რის მიხედვითაც მოხდება საბოლოო ფასის დადგენა. ასევე, განმარტება, თუ რატომ მოხდა აღნიშნული შეფასების მეთოდის შერჩევა; აქვე უნდა მიეთითოს მყიდველისთვის დაკისრებული ნებისმიერი ხარჯისა (მათ შორის ფასში შესული) და გადასახადის ოდენობა.

„ობლიგაციების“ შეთავაზება განხორციელდება მისი ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. სხვა ფასის დადგენა არ განიხილება.

C.3.3. ამასთან, პროსპექტში მითითებული უნდა იყოს, რომ ორივე შემთხვევაში ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება ნომინალური ღირებულების 100%-ისგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენის განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

C.3.4. შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა;

„ობლიგაციების“ შეთავაზება განხორციელდება მისი ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. სხვა ფასის დადგენა არ განიხილება.

C.4. განთავსება

C.4.1. შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;

არ არის რელევანტური.

C.4.2. ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია;

შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ 404700819)

მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N18-20-22

ვებ-საიტი: www.foresight.ge

ელ. ფოსტა: brokers@foresight.ge

ტელ: +995 322 22 52 12

C.4.3. განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით. თუ არ ხდება სრული შეთავაზების ანდერაიტიზინგი, ხელშეკრულებით დაფარული ნაწილის მითითება;

შპს „ფორსაით ბროკერს“ (ს/კ 404700819)

მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, გამზირი წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი, N18-20-22

ვებ-საიტი: www.foresight.ge

ელ. ფოსტა: brokers@foresight.ge

ტელ: +995 322 22 52 12

„ობლიგაციების“ განთავსებას „განთავსების აგენტი“ განახორციელებს „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტს“ შორის 2025 წლის 6 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. გამოშვებული „ობლიგაციების“ სრული განთავსების შემთხვევაში, განთავსების საკომისიოს გადახდის შემდეგ „ემიტენტი“ მიიღებს არანაკლებ 199 მლნ ლარს.

C.4.4. მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

ხელშეკრულება ჩაითვლება შესრულებულად „განთავსების პერიოდის“ დასრულებისთანავე.